



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

# აკაკი ნერეთელი

თხზულებათა სრული კრებული  
ოც ტომად



თბილისი 2010

# აკაკი წერეთელი

ტომი I

ლექსები

1856 – 1880



თბილისი 2010

## **აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგია**

<b>ირმა რატიანი</b>	მთავარი რედაქტორი
იუზა ევგენიძე	
მაკა ელბაქიძე	
ნანა ფრუიძე	
როსტომ ჩხეიძე	
ზურაბ ჭუმბურიძე	
თამაზ ჯოლოგუა	
<b>ჯულიეტა გაბოძე</b>	პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი

**იუზა ევგენიძე**

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები,  
შენიშვნები და კომენტარები დაურთეს  
ელისაბედ ზარდიაშვილმა და ზურაბ ჭუმბურიძემ

ტომი გამოსაცემად მომზადდა  
რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5

ISBN 978-9941-0-2790-1

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

## რედაქციისაგან

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის ბოლო გამოცემიდან (1950-1963 წწ.) ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ძველი გამოცემები, გარდა იმისა, რომ სათანადო სისრულით ვეღარ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობასაც წარმოადგენს. სწორედ ამ მიზეზთა გამო შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დღის წესრიგში დადგა აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის საკითხი, გამოცემისა, რომელიც თავს მოუყრიდა პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ახლად მიკვლეულ მასალებს და ჭეშმარიტად ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევდა მეცნიერებს, ქართველოლოგებს, პედაგოგებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, აგრეთვე – სახელმძღვანელოთა შემდგნლებსა და ავტორებს. ამოცანა არ იყო მარტივი, მით უფრო, რომ აკაკის თხზულებათა გამოცემას ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი ისტორია უძლოდა წინ.

ჯერ კიდევ აკაკის სიცოცხლეში არაერთმა გამომცემელმა სცადა მისი ნაწერების თავმოყრა და მეტ-ნაკლები სისრულით გამოქვეყნება, მაგრამ, გარემოებათა გამო, დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. 1912 წელს მხცოვანი პოეტი გულისტკივილით წერდა: „ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა დგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება კი ჩემს ნაწერებს ეწია: ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო“. ამიტომ ახლა მე თვითონ განვიზრახე ჩემი ნაწერების სრულად გამოცემაო: „გამოვა თვითეული წიგნი ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაბეჭდილი იქნება ჩემი ახალი ნაწერები, ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი, და მეორე ნაწილში კი – ძველი, უკვე სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დრომ და ვითარებაზ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება“ (ჩემი ნაწერები, წიგნი I, თბ., 1912). სამწუხაროდ, ეს გამოცემაც მეორე ტომზე შეწყდა და პოეტის სურვილი განუხორციელებელი დარჩა. ასე რომ, აკაკი წერეთლის უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა მის სიცოცხლეში სრულად შეკრებილი და გამოცემული არ ყოფილა.

XX საუკუნეში აკაკის თხზულებების რამდენიმე გამოცემა განხორციელდა: ოთხომეული ალექსანდრე აბაშელისა და სერგი გორგაძის რედაქციით (1925-1928), თხზულებანი, სრული კრებული შვიდ

ტომად, პავლე ინგოროვას რედაქტორობით (1940-1961) და თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად გიორგი აბზიანიძის საერთო რედაქტორობით (1950-1963). თითოეულ მათგანს თავისი დროისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა, ვერც ერთი ვერ აქმაყოფილებდა სრული აკადემიური გამოცემის მოთხოვნებს. ტომეულებში სხვადასხვა მოსაზრებით, – ძირითადად კი საბჭოური იდეოლოგიური კონიუნქტურის გამო, – ვერ მოხვდა მთელი რიგი ტექსტებისა. მაგალითად, რელიგიური შინაარსის გამო არ დაბეჭდილა პოემები: „წმინდა ნინო“ და „ანდრია პირველნოდებული“; არ გამოქვეყნებულა სომხურ-ქართულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული აკაკის პოლემიკური ხასიათის წერილები („წერილები პროფესორ მარის პასუხად“ და სხვ.). მიზანშენონილად არ ჩაითვალა აკაკის ბევრი ლექსისა თუ პირადი წერილის დაბეჭდვა; პოემებს არ ერთვოდა ვარიანტები, ტომებს – საძიებლები. ამას გარდა, ტექსტებში გაუმართლებელ სწორებათა შეტანით ირღვეოდა ავტორის შემოქმედებითი ნება; ხშირად უგულებელყოფილი იყო მეცნიერული გამოცემისათვის სავალდებულო პრინციპი ნაწარმოებთა უანრობრივ-ქრონლოგიური დალაგებისა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა დაიწყო აკაკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა თვრამეტ ტომად. 1991 წელს გამოვიდა კიდეც პირველი ტომი, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისა და მათგან გამოწვეული სიძნელეების გამო გამოცემა ხანგრძლივი პერიოდით შეწყდა. ამასობაში ბევრი მნიშვნელოვანი სიახლეც გამოვლინდა, რამაც განაპირობა გამოსაცემად მომზადებული ტექსტების შევსებისა და გადამუშავების აუცილებლობა.

2009 წელს რუსთაველის ფონდმა (ქართველოლოგის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდმა) დააფინანსა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ წარდგენილი სამეცნიერო საგრანტო პროექტი „აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის პირველი ნაწილის (ათი ტომი) გამოსაცემად მომზადება“, რამაც ინსტიტუტის ტექსტოლოგთა და რედაქტორთა ჯგუფს საშუალება მისცა, განეახლებინა მასალა, 2010 წელს კი, პოეტის საუბილეოდ, მისი დაბადებიდან 170-ე წლისთავზე, ინსტიტუტის გამომცემლობა შეუდგა ტომების დასტამბვას.

აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეული მომზადდა თანამედროვე ედიციური მოთხოვნების საფუძველზე: ტექსტები ალიქურვა შესაბამისი სამეცნიერო აპარატით, თხზულებები ტომებში განლაგდა უანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით – შემდეგი თანამიმდევრობით:

- ტ. I – ლექსები (1856–1880 წწ.);  
 ტ. II – ლექსები (1881–1900 წწ.);  
 ტ. III ლექსები (1901–1914 წწ.). უთარილო, დაუმთავრებელი და  
     ყრმობისდროინდელი ლექსები;  
 ტ. IV – პოემები;  
 ტ. V – დრამატული პოემები;  
 ტ. VI-VII – მოთხრობები;  
 ტ. VIII – დრამატული თხზულებანი;  
 ტ. IX – პოეტური თარგმანები, თარგმნილ-გადმოკეთებული ლექსები,  
     იგავ-არაკები „კრილოვით“;  
 ტ. X – თარგმნილი პესები;  
 ტ. XI-XVI – პუბლიცისტური წერილები;  
 ტ. XVII – პუბლიცისტური წერილები რუსულ ენაზე;  
 ტ. XVIII-XIX – ეპისტოლური მემკვიდრეობა;  
 ტ. XX – დოკუმენტები და საძიებლები.

აკაკის სიცოცხლესა და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცე-  
 ბული კრებულების შესწავლამ მეცნიერ-ტექსტოლოგთათვის თვალ-  
 საჩინო გახადა, თუ რა გაკეთდა დღემდე და რა დარჩა გასაკეთებე-  
 ლი. შედგენილი ბიბლიოგრაფიის საფუძველზე ახალ აკადემიურ ოც-  
 ტომეულში განისაზღვრა მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეო-  
 ბის სრული ნუსხა; გამოვლინდა არქივებსა და სამუზეუმო ფონდებ-  
 ში დაცული დღემდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მასალები, დად-  
 გინდა ნაწარმოებთა ძირითადი წყაროები და კანონიკური ტექსტე-  
 ბი, გაირკვა ზოგიერთი თხზულების ატრიბუციისა და დათარილების  
 საკითხი. აკაკის თხზულებათა აკადემიური გამოცემა შეივსო მრავა-  
 ლი ახალგამოვლენილი, – ცენზურის მიერ აკრძალული თუ საბჭოუ-  
 რი კონიუნქტურის გამო გამოუცემლად დარჩინილი, – მხატვრული  
 და პუბლიცისტური ნაწარმოებებით, პირადი წერილებით, დოკუმენ-  
 ტური მასალით; გაიხსნა მწერლის ფსევდონიმები და კრიპტონიმე-  
 ბი, შესწავლილ იქნა სადაცო თხზულებები.

თხზულებათა აკადემიური გამოცემის ერთი მნიშვნელოვანი თა-  
 ვისებურება მასში შესულ ტექსტთა ვარიანტების გამოქვეყნებაა. აკა-  
 კი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის ყო-  
 ველ ტომს ერთვის ტექსტების რედაქციები და შეჯერებული ვარიან-  
 ტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ახლავს სამეცნიერო აპარა-  
 ტი და საძიებლები, რაც მკითხველს გაუადვილებს წიგნით სარგებ-  
 ლობას, საშუალებას მისცემს, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს ამა  
 თუ იმ ნაწარმოების შექმნის ისტორიის, ტექსტთან დაკავშირებულ  
 ისტორიულ-ლიტერატურულ და სხვა საკითხთა გარშემო.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აკაკი წერეთ-ლის თხზულებათა შესახებ არაერთი მონოგრაფია, ნარკვევი თუ სტატია დაიბეჭდა, შეიქმნა საკვალიფიკაციო ნაშრომები. აკადემიური გამოცემის მომზადებისას თითოეული მათგანი საგანგებოდ იქნა შესწავლილი და საჭიროებისამებრ გამოყენებულიც. მათ შორის: ნო-დარ გურგენიძისა და ილია გორგაძის „აკაკი წერეთელი. ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ (თბ., 1989), რომელშიც დაიბეჭდა ბევრი მანამდე უცნობი მასალა; 1990 წელს, აკაკის 150-ე წლისთავისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიცა „საიუბილეო კრებული“, რომელშიც სხვა საინტერესო წერილებთან ერთად დაიბეჭდა პროკლე კეპელიძის მიერ ქუთაისის არქივში ნაპოვნი აკაკის „თამარ ცბიერის“ ავტორიზებული ხელნაწერი; 1999–2005 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკაკის კაბინეტმა გამოსცა „აკაკის კრებულის“ I და II წიგნები, რომლებშიც საგულისხმო ნარკვევებთან ერთად შევიდა აკაკი წერეთლის გამოუქვეყნებელი პირადი წერილები და მივიწყებული პუბლიკაციები; 2001 წელს გამოიცა, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკაკის კაბინეტის მიერ მომზადებული კრებული „უცნობი აკაკი“ – ახლად გამოვლენილი ნანარმოებები (შემდგენლები: იუზა ევგენიძე, ნანა ფრუიძე); პრესასა და სამეცნიერო უურნალებში გამოქვეყნდა პროფესორ ლევან ჭრელაშვილის მიერ მოსკოვის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მიკვლეული გაზეთ „თეატრის“ ეგზემპლარებში დაბეჭდილი აკაკის რამდენიმე მივიწყებული პუბლიცისტური წერილი. ლევან ჭრელაშვილმავე გახსნა აკაკის რამდენიმე ფსევდონიმი, რითაც დადგინდა მანამდე უცნობი წერილების ატრიბუციის საკითხი; თამაზ კვაჭანტირაძემ 2001 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა აკაკის ლექსის „ბოდვა“ შვიდი უცნობი სტროფი, რომლებიც პოეტის ხელით იყო მიწერილი მაკო საფაროვა-აბაშიძის კუთვნილ აკაკის „თხზულებანის“ ცალზე; 2006–2007 წლებში გამოიცა გურამ შარაძის წიგნი-ალბომი „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ (ოთხი ტომი), რომელიც პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მრავალ ახალ და საგულისხმო ცნობას შეიცვდა; ჯულიეტა გაბოძის ნამრომში „აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემები“ (თბ. 2009) საგანგებოდ იქნა შესწავლილი პოეტის თხზულებების ყველა გამოცემა; აკაკის ახალი აკადემიური ოცნებობების შემდგენელთათვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2010 წელს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ განხორციელებული აკაკი წერეთლის ნა-

წერების საარქივო გამოცემა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-სა და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში მოძიებული და-მატებითი მასალები.

აკაკის თხზულებათა აკადემიურ ოცტომეულში კანონიკური ტექსტები დაფუძნებულია ავტოგრაფებზე, ავტორის სიცოცხლისძ-როინდელ გამოცემებზე: აკაკის „თხზულებანი“ (ტ. I, II, 1893), „ჩემი ნაწერები“ I და II წიგნები (1912–1913), უურნალი „აკაკის თვიური კრებული“ (1897–1900) და სხვა.

აკადემიურ ოცტომეულში პირველად იბეჭდება ათობით უცნობი და ნაცენტურული ცნობილი ლექსი. გამოცემა შევსებულია რამდენიმე ახალი წყაროთი, სახელდობრ, ნაპოვნია აკაკის ლექსთა კრებულ „სა-ლამურის“ ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და ამიტომაც ვერ მოხვდა აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულში. დაზუსტებულია ძირითადი წყაროები აკაკის ცნობილი ნაწარმოებისა: „გამზრდელი“, „ნათელა“, „ბაგრატ დიდი“, „ბაში-აჩუკი“, „კიკოლას ნაამბობი“, რომელიც სიცოცხლის ბოლოს შემოქმედებითად გადაამუშავა პოეტმა და გამოსაცემად გადასცა იოსებ მერკვილაძეს. დაზუსტებულია „განთიადის“ დაწერის თარიღი და დადგენილია, რომ პირველი შავი ავტოგრაფი, რომელიც დღემდე ლექსის ას-ლად იყო მიჩნეული, ავტორიზებული წყაროა, ჩანსრილი აკაკის კარნახით. დადგენილია პოემების „თორნიკე ერისთავი“ და „ომი“ ავტორიზებული წყაროები. მიკვლეულია პოემების „ალექსისა“ და „გორის ციხის“ ავტოგრაფები. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღმოჩნდა პოემების – „გორონცოვი“ და „ასი წლის ამბავი“ – ასევე საზოგადო-ებისათვის დღემდე უცნობი ავტოგრაფები.

აკადემიურ ოცტომეულში სრულად იბეჭდება აკაკის უცნობი პოემა „ასი წლის ამბავი“, რომელიც პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. თხზულებათა შვიდტომეულში დაიბეჭდა პოემის მხოლოდ I თავი. გამოცემაში პირველად შევა პოემის „პატარა კახი“ და ლექსის „ოცნება“ ავტორიზებული წყაროებიც.

პუბლიცისტიკის ტომებს შეემატა ხუთ ათეულზე მეტი აქამდე სრულიად უცნობი პუბლიცისტური წერილი და ასევე, ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ცხრამეტი ავტოგრაფი.

რამდენიმე ათეული წერილი დაემატა პოეტის რუსულენოვან ნაწერებსაც. ახალი აკადემიური გამოცემის რუსულ მასალებში პირველად დაიბეჭდება მწერლის ინტერვიუები.

გამოცემა შეივსო დოკუმენტური მასალებით, რომლებიც სხვა-დასხვა დროს „ლიტერატურის მატიანეს“ კრებულებში გამოქვეყნდა. 1966 წელს ბესარიონ უღენტმა გამოსცა აკაკის წერილები ცოლ-

შვილთან (პარიზული ციკლი) – ცხადია, ეს წერილებიც გაამდიდრებს ახალ გამოცემას. თხზულებათა ოცტომეულში პირველად გამოქვეყნდება აკაკის უცნობი პირადი წერილები და მათ შორის ლიტერატურის მუზეუმში დაცული წერილები ანასტასია (ტასო) მაჩაბელთან.

აკადემიური ოცტომეულის სარედაქციო კოლეგის გადაწყვეტილებით, აღდგენილ იქნა ავტორისეული ენობრივი (გრამატიკულ-ორთოგრაფიული) ფორმები: ცნობილია, რომ გრამატიკულ ნორმათა მრავალფეროვნება, საერთოდ, ნიშანდობლივია მე-19 საუკუნის 60-80-იანი წლებისათვის, ენობრივ ფორმათა უნიფიცირება კი გამოიწვევდა როგორც ეპოქისათვის დამახასიათებელი სურათის წაშლას, ისე საკუთრივ აკაკის ტექსტებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ენობრივ თავისებურებათა უგულებელყოფასაც. მით უფრო, რომ აკაკი წერეთელი თვითონ არის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელთაგანი. როდესაც გრამატიკულ-ორთოგრაფიული სხვადასახვაობა ან პარალელური ფორმები გვხვდება ერთი და იმავე ტექსტის ვარიანტებში, უპირატესობა ენიჭება იმ ფორმას, რომელიც A რედაქციაშია დაცული. გასწორებულია მხოლოდ უნებლივი ლაფსუსები და კორექტურული შეცდომები. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით არის გამართული პუნქტუაცია და კომპოზიტების მართლწერა (მცირე გამონაკლისით).

აკაკი წერეთლის შემოქმედება ქართული კულტურული საგანძურის განუყოფელი ნაწილია. ვიმედოვნებთ, რომ პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემა ეროვნული მნიშვნელობის კულტურულ-სალიტერატურო მოვლენად იქცევა და დიდ სამსახურს გაუწევს მეცნიერებს, ქართველობის უმაღლეს სასწავლებელთა პროფესიონალური მასწავლებლებსა და ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებს, მოსწავლეებსა და ქართული მწერლობით დაინტერესებულ პირებს.

ՀԵԿՏԵԾՈ



\* \* \*

გაბრწყინდი, ჩემო კანდელო,  
მინათლე ბნელი ღამისა!..  
მინათლე, რადგანც დაგირჩა  
სინათლე მცირეს უამისა!..

ჩემი სიცოცხლეც შენსავით  
იწვის და თანდათან სდნება,  
წარსული აღარას მარგებს,  
მომავალი მენანება!

და მაშ შენ, ჩემო სიცოცხლევ,  
რადგანც მშორდები ხვალისად,  
დღეის-დღე მაინც მალხინე,  
რომ დრო ვატარო ხალისად!

[1856]

## პ. 6.

ჩვეულებითად გახალისებულს  
ვეღარ გჰჭვრეტო შენ დღეს,  
გარნა მტირალსა, შეწუხებულს  
შავი გმოსიეს!

შავი სამოსი რომ არ გიყვარდა  
სხვიმის აროდეს,  
ეხლა რად გინდა? რა დაგემართა?  
ძაძა გმოსიეს!.

სხვიმის იწვევდი შენთა სტუმართა  
გახარებული,  
დღეს რალათ იწვევ იმათ მტირალთა  
ატირებული?

შავნი ხუჭუჭნი რისთვის გაყრია  
გაშლილნი მხართა?  
მნუხარე სახე ძირს დაგიხრია,  
რა დაგემართა?

რას მივაწეროთ ესევითარი  
შენი გამოცვლა?  
რა დაგემართა? რა არს, გვითხარი,  
შენი გამოცვლა?

ნუთუ ქმარზედ ხარ გარისხებული  
და ის გატირებს?  
არ მჯერა, მისი კეთილი გული  
არ გაწყენინებს!

და არც ლმობიერს შენს გულს შეჰფერის  
ეგ მრისხანება!  
რა დაგემართა? გვითხარ, რა არის?  
ვინ მოგცა ვნება?

ანუ მოგიკვდა ძმა საყვარელი,  
მიჰმართა მამას?

შენ დაგიტია გაუხარელი,  
მისთვის იგლოვ მას?

მაშინ არ გიძრახვთ მაგა ცვლილებას,  
ჩაცმასა შავის,  
და ჩვენც მივიღებთ მონაწილობას,  
ვით ნათესავის!..

ჰოი შენ, კაცო! რა არს ამ სოფლად  
ბედნიერება?

მოვალს სიკვდილი შენთანა მსწრაფლად,  
ყველა განპქრება!

სიკვდილს ვეროდეს ჩვენ ვერ ავსცდებით  
ვერრას გზითა,  
ყველა მას ვმონებთ, ყველა მოვჰკვდებით,  
მოვალს რიგითა!

დღეს მოლხენით ვართ, ისმის ჩანგთა ხმა,  
ურა, ყვირილი;  
ხვალ კუბოს ვედავთ, გვაქეს დიდი მოთქმა,  
მნარედ ტირილი!

დილას სხვისთვის ვართ თვალცრემლოვანი  
და ვიგლოვთ სხვასა;  
სალამოს ჩვენვე გვტირიან სხვანი,  
გვჭვრეტენ რა მკვდარსა.

მაშა სჯობს დავთმოთ სხვისი სიკვდილი,  
რავდენ ძალ-გვედვას,  
რადგანც ყველანი ვართ მისი შვილი,  
არვის დაგვზოგავს!

1858 წელსა, სეკტემბრის 7-სა,  
ქ. ქუთაისს.

## ჩემს ვენერას

განცვიფრებით გჭვრეტ, აღშფოთებული,  
შვერების ღმერთა, ჩემო ვენერა!  
სადა იშვევი? სად ხარ გაზდილი?  
მსურს, რომ შევიტყო: ვერ გავიგე რა!

ეგებ ზეცით ხარ მოვლინებული,  
მოშორებიხარ ცისა არესა?  
ანუ ედემს ხარ აღყვავებული,  
მაგრამ რა გინდა ჩვენსა მხარესა?

ნუთუ ბედით ხარ მოვლინებული,  
დიდი ხანია რომელიც მდევნის?  
და შენით მოსწყლოს, ჰსურს, ჩემი გული,  
გამოუცდელი, არა დიდის ხნის?

სწორეთ ასეა! ეს უფრო მჯერა!  
მოჩვენება ხარ სწორეთ ნამდვილი!  
ვგრძნობდი, ბედისგან ასე მეწერა  
ყვავილოვანთ წელთ ტანჯვით სიკვდილი!

მაგრამ სიკვდილსა მე არ უწოდებ  
შენთვის სიკვდილსა, ჩემო ვენერა!  
სანამ ცოცხალ ვარ, შენთვისა ვგოდებ,  
შენ დაგეტრფია და შენთვის ვმლერა!

და როს მოვკვდები, დაგენაცვლები, –  
შენის ხელითა მიწა მაყარე!  
უგრძნობს მიჩვენე შავი თვალები,  
და ცოცხალ-ტანჯულ-მკვდარი მახარე!

1858-სა წელსა, დეკემბრის 20 დღესა,  
ქ. ქუთაისს.

## ნავი

საშუალ ზღვისა სცურავდა ნავი,  
ყოველის მხრიდან ჰქრიდა ნიავი.  
ჰსჩანდა, რომ ნავი იღუპებოდა  
და შემწედ არვინ ეგულებოდა.

ამ დროს ხვამალდმა გამოიარა,  
ნავმა იხილა რა, გაიხარა;  
გაჭირვებისგან სთხოვა გამოხსნა.  
ხვამალდს შეჰპრალდა, ეს საქმე რომ სცნა,

მოაბა ჯაჭვი, შველა ინება  
და უთხრა: „შიში ნულარ გექმნება!  
ქარი ჩემს სივრცეს რომ შემოხედავს,  
მერწმუნე, ქროლას ველარ გაჰედავს.

მალე მოვახდენ აქ მყუდროებას  
და შენ მიიღებ თავისუფლებას!“  
ნავს ეს ნუგეში დიდად იამა  
და, რაც შეიძლო, მას ასიამა.

რა ნავი ნახა განსვენებული,  
შეიქმნა ქარი გარისხებული:  
დიდის დაკვეხით ხვამალდს შეჰპერა,  
მაგრამ მის სივრცეს დააკლო ვერრა.

ჩადგა ნიავი ძალით, არ ნებით  
და ზღვა დასტოვა მან განსვენებით.  
ნავს ესე საქმე დიდად იამა,  
სთქვა: „გამომიჩნდა კეთილი მამა!

თუ ესა მყავდეს და ეს მფარვიდეს,  
მე ვერავინ ვერ მომერეოდეს“.  
დაემორჩილა ხვამალდსა ნებით,  
დიდის სურვილით და განსვენებით.

მას შემდეგ ვითომ აქვს მშვიდობა ნაცა  
და მავნებელიც აღარავინ ჰყავს...  
გაძული არის გარეშე მტერი,  
მოშორდა იმ ნაცს, აღარსადა ჰყავს,  
მაგრამ რაი, რომ თვით ის ხვამალდი  
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს.

1859

## საიდუმლო ბარათი

საიდუმლო ბარათო!  
გითხრეს: „ექმენ მარადო  
სიხარულის მიმნიჭედ  
და სევდისა ფარადო“.

მისთვის გიდებ უბეში,  
გალბობ ცრემლის გუბეში,  
ამისრულო, რაც გითხრეს,  
თუ ხარ ჩემი ნუგეში!

ვერა მხედავ მდუმარეს,  
ცრემლებს რომ ვლვრი მდუღარეს?  
რად არ მეტყვი მის ამბავს,  
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს?

როცა მისი მარჯვენა  
გრძნობით გხატავდა შენა,  
თვალს ცრემლი ვერ შენიშნე?  
ვერც სახეზე მოწყენა?

როცა ამ სიტყვებს სწერდა,  
გული ხშირად უძგერდა?  
და თან ტკბილის გრძნობითა  
სიყვარულსა დაგმლერდა?

ან, როს ფარულად მანა  
შენ ჩემთან გამოგვიავნა,  
ანგელოზი სუფევდა  
მის გულში, თუ სატანა?

არა! ამ გრძნობას განა  
მიჰპედავდა სატანა?!  
მაშინ უკულმა ბრუნვას  
იწყებდა თვით ქვეყანა!

საიდუმლო ბარათო!  
მექმენ... მექმენ მარადო  
სიხარულის მომნიჭედ  
და სევდისა ფარადო

1859

## ცოდვილის სინანული

სოფლის ღელვისგან ალტაცებულმან,  
გადავსცდი მცნებას, გცოდე, მამაო!  
და ვა! დღეს სცნო ბოროტმა სულმან  
სოფელი ესე ცრუ და ამაო!

ვგრძნობ, სახიერო! ეს ბოროტება,  
გამოუთქმელი და საშინელი,  
თუმც სხვათ ბოროტთა ალემატება,  
მაგრამ შენდობას მაინც მოველი!

რადგან, ზეცავ, შენ, აპა, მოგმართე,  
ამაოდ ნუ ჰყოფ ჩემს სინანულსა!  
კეთილისათვის გზა წარმიმართე,  
ძალ-მეც, ვსთრგუნვიდე ბოროტსა სულსა!

შენანებულს შენ არ მოიძაგებ,  
ნუგეში ამით მე მემატება!  
და სულგრძელობას შენსას ვადიდებ,  
ოდეს მეზვერე გამახსენდება.

1859-სა წელსა. მკათათვის კბ-სა დღესა,  
ს. პეტერბურლი

## ქართლის სალამი

შორი ქვეყნიდგან, მოშორებულსა,  
სამშობლო ჩემო! გიგზავნი გულსა,  
შენს ერთგულს მონას, მსხვერპლადცა მზასა,  
შენთვის ოხვრისგან დაწყლულებულსა.

მშვიდობა შენთან, სამშობლო მხარე!  
ერთ დროს ჩემთ სევდათ მეიავარე,  
რა რომ მოგშორდი, სევდამ კვლავ მძლია  
და სიხარული მანდვე დაგჰყარე.

ვად, თუ დაგჰყარე უკუნისამდე?  
ვეღარ გიხილო სანამ ვსუნთქამდე?  
უნდ უნუგეშომ კაეშანს ვმონო  
და ჯაჭვჩაბმული მას უნდა ვჰყავდე.

ასე ამ ქვეყნად გამიქრეს ბედი,  
ვეღარ გიხილო, სამშობლო, მეტი!  
ჩემი სურვილი, მხურვალე გრძნობა  
ამაო იქმნეს, აღწყდეს იმედი!

უნდ სიკვდილამდის ვეგდო ამ მხარეს,  
სევდისა მსხვერპლად ცრემლს ვლვრიდე მწარეს,  
სად ვერ ვსჭვრეტ ვარსკვლავს, მთვარე მქრალია,  
დღეს ბნელი ჰფარავს მის არემარეს?

წყეულო გრძნობავ! მყოფ უიმედოს?  
არ მრწამს, სამშობლომ გამომიმეტოს!  
ვეღარ ვიხილო? წყრული ვერ ვჰკურნო?  
მაშინ ჩემს გულსა ცეცხლი მოედოს!

არა! ვგონებ კი მელირსოს ნახვა!  
ნახვა! რა ნახვა? ის იქნება სხვა!  
როს მის გემებსა დააქანებდეს  
კასპიისაცა და ექვსინის ზღვა!

აღსდეგ, სამშობლო! ბევრი გეძინა!  
ვინც კვალში გდევდენ, გაგისწრეს წინა!  
შენის ბუნების მექონი, მითხარ,  
რამ დაგალონა? რამ შეგაშინა?

აღსდეგ მამაცად და გაიმართე,  
თუ რომ იშრომებ, გზები გაქვს ფართე!  
ცეცხლის გემები, რეინისა გზები  
და ტელელრაფი თამამად მართე!

როგორც შეფერის შენსა ბუნებას,  
ისე აძლევდე შრომასა წებას,  
ხარბის თვალითა მიიტაცებდე  
და ავრცელებდე მანდ განათლებას.

ჰედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა?  
ვით ჸზრუნავს შენოვის, გიმართავს ხელსა?  
ეცადე ნაცვალს, და მოთმინებას  
შენ ნუ აკმარებ მას ცარიელსა.

1859-სა წელსა, ივლის,  
ს. პეტერბურლს.

ერთ ქალს,  
ვარდი რომ ერჭო თმაში ზედ პეპელათი

ვარდს პეპელა დაჯდომოდა,  
დაჰთეთქედა და დასუნთქავდა,  
მაგრამ ვარდი ვარდს ქვემოდა  
სხვა ყვავილსა არა ჰეგავდა.

იგი ტურფა მის მჭვრეტელსა  
ნეტარების სუნნელს სცემდა,  
მაგრამ ხელის შემხებელს კი  
შეუბრალად ეკლით სცემდა.

და მჭვრეტელნი, მაშინ ოდენ  
დარდ-აშლილნი, ერთხმა ყველა,  
გულდაწყვეტით იძახოდენ:  
„ნეტავი შენ, ოჲ, პეპელა!“

მაგრამ იმ დროს, გაუხარი,  
ვით ზამთარში თვით პეპელი,  
უნუგეშოდ, ცოცხალმკვდარი,  
ბედს სწყევლიდა წერეთელი.

1859 წ.

\* \* \*

ახალგაზრდა მონადირეს  
კარს მიადგა ერთხელ ბედი:  
გალიაში ჭკუამცირეს  
შეუფრინდა უცბად მტრედი.

საწყალს ეგონა სიზმარი  
ან ხუმრობა და შეშინდა;  
ვერ მიხურა დროზედ კარი...  
მტრედი ისევ გამოფრინდა!

ცხადი იყო, მერე მიხვდა,  
თავის-თავსა შანს უგებდა  
და გაფრენილს გამოუდგა,  
ტყეებში მახეს უგებდა.

შენც ხომ ასე მოგივიდა,  
შესაბარალო ჩემო ძმაო:  
სატრფო ხელით წაგივიდა...  
ღირსი ხარ, რომ ჩაექვაო!

[1859]

## შამილის სიზმარი

შუაღამეა, გავსილი მთვარე  
 დედამიწაზე სხივებს უხვად ჰუენს;  
 მთები, ტყები, კლდე და მდინარე –  
 ყველა მდუმარებს და გრძნობით ისმენს:  
 ვით განსვენების ანგელოზი ცით  
 გადმოეფინენ გუნდად ხმელეთად,  
 თვისის ნეტარის და მსუბუქის ფრთით  
 და მყუდროებას ჰგალობენ ერთხმად.  
 მაგრამ კავკაზსა ეს მყუდროება,  
 ცით მოვლენილი, არ ეყურება,  
 გაურჩეველი აქვს მას დროება,  
 მხოლოდ სხვა რამეს ემსახურება.  
 იმას ჰსურს სისხლი, ომი ფიცხელი,  
 მისთვის საღმრთო ხმას რათა ჰგალობენ?  
 სისხლს სთხოვენ მთები, კლდეები, ველი,  
 და მდინარენიც მას ჰლრიალებენ,  
 მხეცთა ლრიალი, ფრინველთ ჩხავილი,  
 ქართა ქრიალი, ზვავთა გრიალი –  
 ამას ნიშნავენ: „გვწყურიან სისხლი“ –  
 და თერგისაც ეს არის ლრიალი.  
 მათის სურვილის აღმსრულებელი,  
 მწუხარის სახით, დაფიქრებული,  
 ქვაზე ზის „ყურნის“ მადიდებელი  
 და მურიდნი ჰყავს შემოკრებული.  
 ზოგს დახმობია გულ-მკერდზე სისხლი  
 მისგან მოკლულის ჩხუბში გააურის,  
 ზოგს ჩასწუნკურებს ისევ ახალი,  
 უმზერს კმაყოფით, უჭვრეტს, უხარის,  
 ამბობს ჰიმამი: „მართლმორნმუნენო!  
 ჩვენი გაკიცხვა მაჰმადს არა ჰსურს,  
 დროა გამხნევდეთ, ერთგულნო ძენო,  
 და თავს ნუ მივსცემთ მონად გააურს,  
 „ხომ გახსოვთ ჩემი დარღოში ომი

და სხვანი კიდევ ბევრგან მრავალი?  
 მე არ გეგონოთ ცრუ მოწმის მდომი,  
 მოწმედ მეყოფა მიწა და ქვანი!

„დრო გადავიდა! – მოგზუცდი, ჰალლა!  
 მაჰმადო! ვატყობ, ღონე მაკლდება,  
 მაგრამ დღეს ჩემში ახლდება ძალა  
 და დამჭენარ ძარღვში სისხლი სდულდება.  
 „მართლმორწმუნენო! ჰა! წაიყვანეთ!  
 უკანასკნელად მსურს ვცადო ბედი,  
 წინ წაგიძლვებათ კაზი-მაჰმეტ,  
 მაგაზე დამრჩა მხოლოდ იმედი.  
 „თქვენ მიაშურეთ მარცხენა მხარეს,  
 სადაც განაგებს თვითონ კნიაზი!  
 მაჰმადის ძალით ნახავს სიმწარეს  
 და თქვენც თაყვანს გცემსთ მაშინ კავკაზი!  
 „და სიბერის უამს ამ შიშველის ხრმლით  
 მარჯვენა მხარეს მე შევეჭრები: –  
 დღეს უნდა გაგსძლე გაურის სისხლით,  
 მათ მჩქეფარე სისხლს მივეყურჭები“.

შეიქმნა ომი მეტად ფიცხელი,  
 საზარელი და ცუდ-სანახავი,  
 ლეკებმა სისხლით შეღებეს ხელი,  
 ველს ეფინება რუსების თავი!  
 ომიც გათავდა, მუნ კმაყოფილმა  
 ყურანს შესწირა გმირმა ნამაზი,  
 და იმავე დროს იმისმა შვილმა  
 ტყვედ მოუყვანა თვითონ კნიაზი.  
 მან ძვირფასი ტყვე, წარჩინებული,  
 მის წინ მოსული რომ დაინახა,  
 მსწრაფლ აუღელდა მრისხანე გული,  
 „თავი მოსჭერით!“ ჯარს მიაძახა.

[1859]

## ამაო ძებნა

მაისის ლამე პნელთვალიანი,  
აგერ, განთიადს ესალამება  
და ვარსკვლავთ კრება უხვსხივიანი  
გულდაწყვეტილი ნელ-ნელა ჰქრება.

იწყო კაშკაში ცისკრის ვარსკვლავმა,  
მთვარემ დაუთმო მას თვისი ბინა,  
მწყნარად დაპქროლა დილის ნიავმა  
და სუნნელება ქვეყნად მოჰყონა.

მამალთ ხმამალლა იწყეს ყივილი,  
მუშებს აუწყეს მით გათენება,  
ალიძრნენ ჩიტნი და ერთხმად ტკბილი  
გრძნობით ბუნებას შეასხეს ქება.

შემოქმედების სარკევ, ბუნება,  
ვინ ჩაგისახა ეგ ძლიერება?..  
ნეტავ თუ იყოს ღვთისა ქმნილება,  
გჭვრეტდეს და არ ჰგრძნოს მან ნეტარება?

მაგრამ რას ვხედავ! აპა ჭაბუკი,  
რომელიც შენ ყურს სულაც არ გიგდებს,  
კვნესის და ოხრავს, სტირს უბადრუკი  
და წარსულს დროებს ოცნებით ეძებს!..

მთა-კლდეთ შეპბლავის, ჩასძახის ქვესკნელს,  
წყალსა მიჰყვირის მსწრაფლმიმავალსა,  
მაგრამ ვერ ჰპოებს ნუგეშისმცემელს  
და უმრავლდება წყლული საწყალსა!

მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,  
ქვესკნელი – საფლავს და ძვლებს გამხმართა,  
რომელიც ანდერძს მოგვაგონებენ  
მსხვერპლად შენირულთ ჩვენთ წინაპართა.

საზარელ, უხმო ამა პასუხით  
საპრალოს გულში სისხლი სდუღდება  
და მდინარესვე მტირალისა ხმით  
წარსულის ამბავს ის ევედრება.

მაგრამ მდინარე აქაფებული  
ქვე მოაქანებს ასწლოვანთ ხეთა,  
მალ-მალ ტალღით სცემს განრისხებული  
და ჰსურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა,

რომ მსნრაფლ მორეცხოს მან სისხლი ძველი,  
მის კიდეებზედ გადაოხეული,  
მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი  
და მის გამოა აღელვებული.

[1860]

## მოხუცის მოგონება

სიყრმისა ჟამნი განქრნენ ვით წამნი,  
სიკვდილსა ვუცდი;  
წარვიდენ წელნი ტკბილ-სანატრელნი,  
ადრე მოვხუცდი!

შეცრთა სხეული, იჩაგრა გული  
ერთს დროს მხურვალე,  
მხოლოდღა ცრემლში დამრჩა ნუგეში,  
სრულად ვიცვალე!

ერთს დროს სიყვარულს ცხადს, ხან დაფარულს  
მეცა ვუმლერდი!  
ის დრო ნეტარი ეხლა სად არი?  
ვხედავ, დავბერდი!

ერთხელ ვმონებდი და ვთაყვანებდი  
მეცა შავს თვალებს!  
მარად ვიცნობდი და მარად ვგრძნობდი  
მე იმათ ძალებს!

სიზმარებრ ჩქარა დრომ გაიარა,  
გაპქრა ყოველი!  
ხალისი მანა თან წაიტანა,  
რაღას მოველი?

ჩემსკენაც ჰრბოდენ, მეცა მეტრფოდენ  
ყმანვილნი ქალნი  
და სწითლდებოდენ, როს შეხვდებოდენ  
მათ ჩემნი თვალნი.

სად არს ხალისი და ჟამი ისი,  
მათ რომ წიგნს ვსწერდი?  
მოვიდა რიგი, განპქრა დრო იგი,  
და მეც დავბერდი!

მეც ვჯირითობდი, მეც ვხალისობდი  
 ცხენის ჭენებით;  
 ბევრჯელ ფერხული გვქონდა დაბმული  
 და ვტრიალებდი სიამოვნებით!

სიყრმისა ჟამნი განპექრნენ ვით წამნი,  
 სიკვდილსა ვუცდი;  
 წარვიდენ წელნი ტკბილ-სანატრელნი,  
 ვაი, მოვხუცდი!

ხშირად ვბედავდი და თორმეტამდი  
 კახური ღვინო გარდმისვამს თასით!  
 ვერ მომრევია და მითხოვია:  
 „კიდევ დამისხით და ისევ მასვით!“

მაწვდენდენ სასმოს სიტყვით: „გაამოს!“  
 რომ გადავკრავდი, – მეც – „ალავერდი“  
 სხვასა ვეტყოფდი იმავ სასმოთი.  
 დღეს მომეშალა! განა დავბერდი?!

მაშინ ამგვარ დროს, ცუდს, არ სანატროს  
 არ მოველოდი!  
 სიკვდილის კარსა მივადექ მწარსა,  
 გულს მხვდება ლოდი!

ეჸ, სიყმაწვილევ, რად მომიძულე?  
 დროვ, რა მიყავი?  
 მოველი სიკვდილს, საფლავსა განთხრილს,  
 კუბოს და სუდარს, ვაი და ვაი!

[1860 ]

## მარიამს

შენ აღუნთე სიყვარული!  
 შენგან არის ცოცხალ-მკვდარი!  
 რად მოსტაცე სიხარული,  
 დამიტანჯე მეგობარი?

რათ გამოჩნდი მისად მეხად,  
 ცრემლსა ადენ და ატირებ,  
 თუ რომ მხოლოდ დასაკვეხად,  
 ცივსისხლოვნებით უყურებ?

დამიშამათე ღიმილით,  
 შემიძრწუნე მეგობარი,  
 არ ასვენებ აღარც ძილით,  
 სტანჯავს სასტიკი სიზმარი!

არ დაეძებ მის ცრემლთ ღვრასა,  
 თავი გაქვს სავსე ქარითა,  
 და მისსა ტანჯვა-ოხვრასა  
 პასუხს აძლევ ხარხარითა!..

შენ აღუნთე ტრფობის ალი,  
 შენგან არის ცოცხალ-მკვდარი!  
 ხუმრობითა, შესაბრალი,  
 რათ მომიკალ მეგობარი?

[1860 6.]

## ალექსანდრა

მშვენიერო ალექსანდრა,  
თვით ბუნებამ მთვარედ გბადრა!...  
ქვეყნიერმა სიტურფითა  
შედარება ვით შეგკადრა!

რომ გიყურებ მოცინარეს,  
მით ვიქარვებ სევდას მწარეს;  
მსურს ორივე გადავთვრინდეთ  
უდაბურსა უცხო მხარეს.

იქ შევეტკბოთ ორთავ მყუდროთ,  
მტრედებივით დავიბუდოთ,  
რომ სიამით მარტოდმარტო  
ნეტარებით განვვლიდეთ დროთ.

მაშინ, ჩემო ნეტარებავ,  
მითხარ შენი ალსარება,  
ნახე ჩემი გულის სილრმეც...  
სატრფიალო ძლიერება.

შემდეგ ერთი გულისთქმითა,  
შეთანხმებით და ლოცვითა,  
ღმერთს ვავედროთ საქართველო,  
იცვას ისევ, როგორც სცვიდა!..

და შეწირვა ლოცვის თუ ჰსურს,  
მწირად მყოფთა, ჩვენ უდაბურს –  
ყვავს ან ყორანს გადმოგვიფრენს  
და მოგვაწვდენს ხმას მშობლიურს.

მაშინ უცხოს მახარობელს  
სანუგეშო ამბის მთხოვობელს,  
მადლს შევწირავთ და სამშობლოს  
შევავედრებთ კვლავ ღვთისმშობელს!

მაგრამ, ჩემო ალექსანდრა,  
ამაოა ჩვენი ნატვრა;  
ცხადად ვერ ვჰურენთ, და ოცნება  
ნამს იშვა დ ნამსვე გაჰქრა.

[1860]

## დედაბერ-მამაბერი

ეჰ, დედილო, ერთხელ შენცა  
კეკლუცად ყმაწვილქალობდი  
და, ჭაბუკი თავმომწონე,  
მეც სიყვარულს გიგალობდი!

თვის შვენების მოტრფიალე,  
სარკეს თვალს არ აშორებდი,  
მეც ვიგრეხდი ულვაშებსა  
და ყურთმაჯებს ვისწორებდი.

ჩემსა ხელსა შენს გულ-ძკერდში  
ხშირად გაჰქონდა ფართხალი  
და ჩემთ ბაგეთ მაგ შენს ყელში  
კრთოლვით უძებნიათ ხალი!..

ერთმანეთის თანაგრძნობას  
გულის ძგერით ვაცხადებდით:  
შვენებით და სიჭაბუკით  
ტრფობის ალსა გულს ვიდებდით.

ერთს დედაბერ-მამაბერსა,  
გახსოვს, ჩვენ რომ შევეყარეთ,  
გავკიცხეთ საცოდავები  
და სიცილი დავაყარეთ?

მათ მაშინ თავს ვადარებდით,  
აწმყო ჩვენი გვექმებოდა!  
არ ვფიქრობდით, თუ რომ ერთხელ  
ჩვენც ბოლო მოგვეღებოდა!

ერთმანეთის ეშით მთვრალი  
სიჭაბუკით ვამაყობდით  
და დრო რომ წლებს გვინამლავდა,  
იმას კი ვეღარ ვატყობდით!

სოფლის ბრუნვამ დაგვაშორა  
ერთმანეთსა, გაგვამწარა...  
და მას შემდეგ, ვაი ჩემს თავს,  
დიდმა ხანმა გაიარა!

აპა, მოველ და ან კვალად  
იმავ ადგილს შევიყარეთ,  
სადაც პირველ ერთმანეთის  
სიყვარულით გავიხარეთ!

მაგრამ ვაი ამგვარ შეყრას:  
ერთმანეთში რასა ვხედავთ?  
ძველ აღთქმის განმეორებას  
ვეღარცერთი ვეღარ ვბედავთ!

ვაი, მე მუხლები მითრთის...  
ვხედავ, ძალი გამქრობია!  
შენც ძვალზედ კანი დაგკვრია  
და თითები დაგხმობია!

უკბილობით ბაგეები  
ჩემი პირში შემივარდა...  
შენც ის ყელი დაგჭკნობია,  
რომელიცა მე მიყვარდა!..

ძლივსლა სიტყვის გამომთქმელი,  
სიყვარულს ვეღარ გიმღერი;  
შენც ბაიად გარდაგქმნია  
შავ ლაწვებზედ ვარდის ფერი.

რაც გვიყვარდა, ის შეგვძულდა,  
შენ სარკესა თვალს არიდებ,  
მე ყურთმაჯებს ვერ ვისწორებ,  
ულვაშზედაც ხელს არ ვიდებ!

მაშ, იმ დროის რაღა დაგვრჩა?

– ლიმილი და მწუხარება!

მაგრამ მოხუცის სახეზედ

ლიმილსაც არ აქვს შვენება!

ჩვენც იმ ბეპრებს დავემსგავსეთ,

ადრე ჩვენ რომ დავცინოდით!

და, ჭაბუკნო, თქვენ, აშიყნო,

ან დაგვცინეთ თქვენცა, მოდით!

[1860]

\* \* \*

დედამ რომ შვილი გაზარდოს  
და მერე თქვენისთანაო?!

ნაცარქექია რამე ხართ  
ყველგან და ყველასთანაო!

არც ლხინში ვარგხართ, არც ჭირში,  
ზარმაცი, ენატარტალა,  
და კუჭით გიყვართ სამშობლო,  
როგორც ფლავი და არტალა.

სიტყვით სულ სხვა ხართ, საქმით სხვა,  
ორჭოფობს თქვენი გონება:  
თანასწორობას ჰქადაგებთ  
და გსურთ კი გაბატონება.

თუ რამეს ელით, წინ მიხვალთ  
გაბედვით... იერიშითა  
და თუ არა და იხევით  
სულ უკან-უკან შიშითა!

მუდამ სხვას ეძებთ, სხვა გინდათ  
საქმის დროს გზა და ხიდათა!  
მზა საქმეს ეპატრონებით  
და თავი მოგაქვსთ დიდათა.

თქვენა ხართ მამულის შვილი?  
აბა, რა დასაჯერია...  
თუ არ თქვენთვისვე, მაგ თქვენს გულს  
ერთხელაც არ უძგერია.

საბრალო ჩვენი სამშობლო  
ყურს გიგდებსთ გულის ძგერითა  
და თქვენ კი იმას ატყუებთ  
მომხიბლავ სიტყვა-წერითა.

დედამ რომ შვილი გაზარდოს  
და მერე თქვენისთანაო!..  
ნაცარქექიათ დარჩებით  
ყველგან და ყველასთანაო.

1861-ს წელს, 2 იანვარს

## ლოდინი

ფრენით მოდი, შუალამე,  
დამამშვიდე, ჰლელავს გული!  
შენა ხარ ჩემი სიამე,  
დრო, სატრფოსგან დანიშნული!

საბრალო ჩემი ნუგეში,  
ასრულებს რა მშობლის სურვილს,  
ოხვრით გორავს ქვეშსაგებში,  
ცრემლით იკლავს ტრფობის წყურვილს.

მაგრამ შენ დროს, შუალამე,  
მის მეტს ყველას ეძინება;  
მაშინ კი ჩემი სიამე  
საწოლიდგან წამოდგება.

ქურდულად პირდაპირ ფენჯერს  
მოადგება, ავლებს თვალებს,  
შემერთალს გული მაღლად უძგერს,  
მკერდს პერანგი დაჰფართხალებს.

ზეცით მთვარე სხივს ჰყენს ფენჯერს,  
ქვეყნის მთვარეს ეჯიბრება,  
მაგრამ ვერ სძლევს ჩემს ამაძგერს,  
მეტობს ჩემი ნეტარება!..

ისმენს – ვარდსა ვით ბულბული  
შესჭიკრიებს საბრალო ხმით,  
ულელავს და უძგერს გული  
და შენატრის მას გულისთქმით:

„ვარდო, ვარდო, მშვენიერო,  
სუნელების აღმომფშვენო!  
ყვავილთ მეფევ, უცხო ფერო,  
ედემისა დამამშვენო!

„არვის ჰმონებ, თავისუფლებ,  
აყვავდები უცხო ველად,  
აშიკ ბულბულს თავს აწონებ,  
გაგიხდია ეშით ხელად.

„ქურდულად ვსჭვრეტ მე ჩემს ბულბულს,  
ჩემს სატრფობლად წამოსულსა,  
და, შორიდგან რომ ვუძღვნი გულს,  
შორიდგანვე ვსწირავ სულსა.

„ვარდო, ვარდო, მეხარბება  
შენი ეგე ნეტარება!..  
ღმერთო, როდის მელირსება  
გავხდე მისი საკუთრება?!”

აი, რას ჰერძნობს მოციმციმე  
ჩემი ტკბილი ნეტარება;  
მალე მოდი, შუალამევ,  
მეც მის ნახვა მენატრება!..

[1861]

## სალამური

სად ხარ, ჩემო სალამურო,  
ხმატკბილო და საამურო,  
რომ შენის ხმით ჩრდილოეთში  
ქართველს გული გამიხურო!

როცა მწყემსი გიპყრობს ხელში  
და გაჰკივის მთა და ველში,  
ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს  
და სევდისას – შავს ქვესკნელში,

მაშინ ფიქრი ჩემი შენს ხმას  
გარს ეხვევა, ვითა ძმა ძმას  
და შენი კვნესით მაგონებს  
საქართველოს მწარე მოთქმას.

ხან სპარსელნი აკვნესებენ,  
ხან თურქები აოხრებენ,  
ხან სკვითები, დროს შერჩევით,  
მყუდროებას უშფოთებენ!

მაშ, უწყალო სალამურო,  
მტირალო, არსაამურო!  
რად მსურს შენი ხმა ვისმინო  
და ქართვლის ბედს მოვემდურო?!

მაგრამ ზოგჯერ, რომ ტკბილი ხმა  
სანუგეშოდ მიჰფრენს აღმა  
და ჩემთ გიჟთა ოცნებათა  
ხარბად ინთქავს უფსკრული ღრმა,

თავგანწირულს მამულის მცველს  
 წარმოვიდგენ მაშინ ქართველს:  
 მტერს შეჰყვირის: „ჰერა მაგასა!“  
 გამოსული ბრძოლისა ველს.

აბა, ეს ხმა, სალამურო,  
 ტებილხმოვანო, საამურო,  
 აროდეს არ მომყირჭდება,  
 ძალგიძს მუდამ მომაწყურო!

ქართულად ჰკვნეს, ქართულად სტვენ,  
 ქართველის გულს ამით ულხენ,  
 ხასიათს და ჩვეულებას  
 წინაპართა გვაგონებ ჩვენ.

მაგრამ, ჩემო სალამურო,  
 გრძნობით მსტვენო, საამურო,  
 აღარავინ გიგდებს დღეს ყურს,  
 სჯობს, ისევ მწყემსს ემსახურო!..

[1861]

## მუშარი

სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,  
ერთხმად დაგძახოთ მუშარი;  
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,  
რომ გლეხნი ვართ უბედური!

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,  
სხვისიც გვმართებს სამსახური:  
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,  
უპატრონო, უბედური!

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს,  
გარეშე და შინაური,  
ცხელსა მინას უხვად ალბობს  
ოფლი, ჩვენგან მონაწური.

ჩვენი ჯაფით მონაყვანი,  
სხვასთან მიდის საზრდო პური,  
შინ ცოლ-შვილს შიმშილი გვიკლავს,  
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?

მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,  
სტირის ცოლი მეძუძური,  
შიმშილისგან რძე უშრება,  
ნივის შვილი უსუსური!

ღმერთს ბატონად მოუცია  
ჩვენთვის ერთი აზნაური,  
მისთვის სუყველა ჩვენა ვართ –  
მებეგრეცა და მსახური!

მისგან ტანჯვას რომ მოვრჩებით,  
მაშინ გეტანჯავს მისი ფური!  
უპატრონოდც არ ვარგივართ,  
როგორც ცხვარი უმწყემსური.

მაშინ ყველა ბატონია!  
გამკითხავი სადღა არი!..  
მდივანბეგის ბოქაულებს  
გაეღებათ სახლის კარი.

სულ მათ მიაქვთ, რაც რომა გვაქვს:  
ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი,  
ჩვენ ყოველდღე ტანჯვას ველით!..  
გლეხებს რა გვაქვს გასახარი?

სამართალს კოლოფში სძინავს,  
ის არს ფულის მეგობარი,  
არ იღვიძებს, თუ უფულოდ  
მასთან მივიდა სტუმარი!

შინდის წკნელებზედ სწერია  
ჩვენი სახელი და გვარი...  
განვაგრძოთ, ძმებო, მუშური,  
ჩვენი სევდის გამაქარვი!

ბანს გვეტყვიან ნაღვლიანად  
არემარე, მთა და ბარი!  
ნუთუ გულგრილად უყურებს  
ჩვენს ტანჯვასა მაცხოვარი!..

[15 აპრილს, 1861]

## პატარა მეგობარს

სულით და გულით მოძღვნილი  
მცირედიც შეიწირება!  
ვიცი, გაქვს კითხვის სურვილი,  
მით შევსძელ კადნიერება.

ამ ლექსებითა გაიგებ,  
თუ რა ტკბილია მამული.  
ქართველობით მაშინ გაქებ,  
თუ ხარ ძმათა მოყვარული!

ისწავლე და დაინახე,  
სიყვარულს გაულე გული!  
და უკვდავათ დაიმარხე  
საქართველოს სიყვარული!

ძმაო! ბევრი დაგგმობს, ვიცი,  
დაგიძრახვენ კეთილ ქცევას!  
მაგრამ შენს აზრს ეყავ მტკიცი,  
მით მიიღებ შვილთ კურთხევას.

რომ შენს კეთილს დასცინიან,  
შენ ნუ ისმენ მრისხანებით!  
რას შვრებიან არ იციან,  
ეტევებათ უგნურებით.

[1861]

**საბრალო გული**  
 (ვუძღვნი თ.კ. ლორთქიფანიძეს)

საბრალო გულო, დროა, გამოსთქვა  
 დღეს თავისუფლად შენი ტანჯვანი!  
 ყურსა გიგდებენ: მთა, კლდე და ტბები,  
 ველი, მდინარე, მიწა და ქვანი.

წყნარი ლამეა და შენ მარტო ხარ,  
 ვერა გჭვრეტს თვალი მქირდავი კაცის,  
 მოწმად გყავს მთვარე ბაკედასმული  
 და მოთამაშე ვარსკვლავები ცის.

დაგტვირთავს ტანჯვა ეგ დაფარული,  
 თუ რომ არავის გაუზიარე!  
 უსულო საგანთ მაინც შესჩივლე,  
 ეგებ მათ იგრძნონ შენი სიმწარე!

ხომ გახსოვს, ოდეს კაცს ანგელოზად  
 და სასუფევლად სოფელს სახავდი?  
 ვინ დაგიბრუნოს ის ნეტარი დრო,  
 რომ ცრუ ოცნებას შენ მონად ჰყავდი!

რა ბედნიერი იყავი მაშინ!..  
 დღეს შეგისრულდა შენ ოცი წელი,  
 და, აბა, რას ჰერძნო? თუ გიყვარს კაცი  
 და კიდევ მოგწონს ეს ცრუ სოფელი?

ვგონებ, ვერ უძლებ, მგრძნბელო გულო,  
 კიდეც ემდური სოფლის ბრუნვასა!  
 ანგელოზებად ვისაც სახავდი,  
 ისინი, ხედავ, გესვრიან ქვასა,

რადგან არ დასდევ არცა პატივსა,  
 არც დიდებასა ამა სოფლადა,  
 ბრმად რომ არ ჰმონებ საზოგადო აზრს  
 და შეუპოვრად დახვალ ობლადა.

ვიცი, ის ბედი, სხვა რომ შეგნატრის,  
შენ მიგაჩნია მხოლოდ სახვნეშად!  
ბედს შენთვის ერთი მხოლოდ ბუნება  
წინ დაუნიშნავს მუდამ ნუგეშად.

მაშ, ნუ გწყინს, გულო, კაცთაგან გმობა,  
ხელი გეძახონ, ნუ გენალვლება, –  
შენ კი დაადექ შენს წმინდა აზრსა  
და აღასრულე დანიშნულება!..

ჩვეულებრივად, მაშ, ამაღამაც  
დასტები ბუნებით და გაიხარე!  
ქვეყნად ყურს გიგდებს ტკბილი ბუნება  
და ზეცით ეშით დაგნათის მთვარე!

დღეს განისვენე, საბრალო გულო!  
ან შეაყენე, დრო არის, ღელვა  
და სევდისაგან გარემოდებულს  
ბნელს განგინათლებს შენ საღმრთო ელვა!

1861 წ., 18 ნოემბერი.  
პეტერბურგი.

## აპპელაციის მცოდნე

ბედნიერია ჩანჩურა! შვილი ჰყავს მას საქები,  
თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით იცის აპპელაცია!..  
წვერ-ულვაშს აღარ ჰყადრობს, მოუშვია ბაკები:  
ეს სწავლის ნიშანია, უჰ, რა დიდი კაცია!..

ქართულ ტანისამოსსა, აბა, რაღად იკადრებს;  
სწავლული კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია;  
ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს, –  
ვინ ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია!

არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური,  
ლექური ეზიზლება, მოსწონს ტანცი-მანცია;  
ვერც დავძრახავთ: ოპერისთვის მიუჩვევია ყური!  
უჰ! რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!..

მაზრაც კი ჩააბარეს, ან ვიღა შეედრება!  
მოჩივარს რომ შეუტევს, სწორედ რომ მამაცია!  
უფულო კაცის წვევა უამივით ეჯავრება!  
სხვა რამე არ იფიქროთ! ის სწავლული კაცია!..

ამბობენ, –ქრთამი სძულსო, არ იძღვნის არც ქათამსა,  
მხოლოდ მაშინ არ იწყენს, თუ მსუქანი ვაცია.  
მაგრამ ეს ზვარაკია! ამას ვინ ეტყვის ქრთამსა?  
სხვამ რომ ჰქნას, ის სხვა არის! ეს სწავლული კაცია!

თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,  
მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;  
უსწავლელებთან თურმე მოსდის ზაფრის ქარები;  
რა ჰქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!

გაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში,  
მთელს ნაციას ის მოსწონს, მას სძულს მთელი ნაცია!  
აი, სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში,  
ქართველების შეხედვით, ყოვლად კარგი კაცია!

[1861 წ., დეკემბერი]

## სურვილი

ნაღვლით სავსემ, მწუხარემ,  
თავსა ჩემსა ვუთხარი,  
სარკის წინა მდგომარემ:  
რისთვისა ხარ გამხდარი?

ტკბილსა უამსა ამ სოფლად  
ვისგანა ხარ ვნებული?  
რათ მოძმეთ შორის ობლად  
დახვალ გაყვითლებული.

ესე ასე ვკითხე რა,  
სახეზედა გავწითლდი,  
გულმაც დამიწყო ძგერა  
და მიზეზს მაშინ მივხვდი!..

მწარედ ამოვიოხრე  
და კვალად თავს ვუთხარი:  
(თუმცა ტყვილად ვინატრე)  
რათ არა ხარ ფუტკარი?!

მაშინ შენ თავისუფლად  
ა... . . . გიჰფრინდებოდი  
და კოკობ ვარდის ნაცვლად  
ბაგეთ დაგაჯდებოდი.

ამოგწოვდა სიტკბოსა  
კიპრუჭს შეამზადებდი  
და საქმეს სახარბოსა  
ტოლშიდ დაიქადებდი!..

[25 იანვარი, 1861,  
პეტერბურგი]

## ქურდ გოგოს

ლამაზო, ცრემლს რისთვის იდენ  
ან რას ნიშნავს შენი ოხვრა?  
ნუთუ დრონი მოგივიდენ  
და ქ... მოგენატრა?

ლოყებს გიწითლებს სირცხვილი:  
მის გამო გაქვს ეგ ცრემლთა ლვრა?  
მასთანც გაშფოთებს სურვილი  
და ნუგეშს გცემს ეგე ოხვრა?

შე საწყალო, მებრალები:  
ძნელია ეგ ჯოჯოხეთი!  
გამოახილე თვალები,  
არ დაგიჭირონ მახეთი!..

ქ...ის, სასაცილოდ,  
არ შეიმჩნიო ნიშანი:  
ცუდსა ლექსა საუკუნოდ  
გიმლერებენ ავ ენანი.

[31 იანვარი, 1861,  
პეტერბურგი]

## ფუტურო

როს სასეიროდ გავდივარ ველად  
 ზაფხულში, ბნელსა შუალამის დროს,  
 ხშირად შორიდგან ვსჭვრეტ მანათობლად,  
 ვით მართალ მნათობს, მაშინ ფუტუროს.

მაგრამ თუ ახლოს მივედი, ვნახე,  
 მაშინ კი სწორედ გული მიკვდება,  
 ხელში მირჩება მე დამპალი ხე  
 და ეს მაშინვე მომაგონდება:

არიან ჩვენში დღეს სწავლულები,  
 შორიდგან თუმცა ბევრს გვინათებენ,  
 მაგრამ ახლოს კი, დალოცვილები,  
 როგორც ფუტურო, ვერას გვარგებენ.

[1862 წ., 9 იანვარი].

## ყადის ჯორები

ერისთავისგან ნათქვამი,  
არ ყოფილა მჭორები:  
მართლა ძალიან გამრავლდენ,  
ქართლში ყადის ჯორები!

მათ ძველებური წესები,  
სულ დაუვინებიათ,  
და ახლის მიღება კი,  
ვერ მოუხერხებიათ.

მომდგარან მოედნის პირზედ,  
სხვის ნავარდს უყურებენ,  
მაგრამ, რადგან არ მოსწონთ,  
ლანძლვენ და აგინებენ.

ჰედავთ? ძველ ბედაურებს  
გაკიცხვით უყურებენ!..  
და ცარიელ თავებზედ  
ყურებს აპარტყუნებენ!..

მიკვირს!.. თუ მართლა ისინი  
ამოდენ წუნსა ხედვენ,  
რატომ თვითონ მოედანზედ  
გამოსვლას ვეღარ ბედვენ?

თორემ შორიდამ ყროყინი,  
ვიცით, რომ ადვილია! –  
ვგონებ, რომ მათ იცოდენ,  
ხურმა რა ხილია.

მაშინ ამოდენს ყროყინსა  
სწორედ არ იკადრებდენ  
და თავისთავს რომ სცნობდენ,  
ყურებს ჩამოაგდებდენ.

შენგან მიკვირს, საქართველო!  
ერთი მითხარ, რას შვრები?  
ნუთუ მართლა შენ ამგვარი  
მოგწონს ყადის ჯორები?!.

ვფიცავ შენ სასარგებლოთ  
მონურ დაადგამ-უნაგირს!..  
მათგან კარგს ნურას მოელი  
და ნურც აჭმევ ტყვილად ქერს!..

[10 იანვ., 1862 წ.,  
პეტერბურგი]

## ფარისეველი

შეხედეთ ფარისეველსა,  
ლოცვითა ლამის მთეველსა,  
ცხადად ბოროტის დამგმობსა,  
ჩუმად კი ცოდვის მდეველსა.

წამისწამ ახსენებს უფალს,  
ამ თვალთმაქცობით გიხვევსთ თვალს,  
მე უღმრთო კაცსა მეძახის  
და მიზეზს ადებს თერგის წყალს.

შეგტირისთ ჯვარითა და ღვთით;  
თქვენც გჯერათ: ცუდ კაცადა მხდით;  
მაგრამ მიზეზი სხვა არის, –  
მე გეტყვით, რადგან ვერ მიხვდით.

მე და ეგ ვცნობდით ერთმანეთს!  
ეგ რომ მუშტებით იმტვრევს მკერდს,  
არ იცით, რომ თქვენც გატყუებსთ  
და ეცრუება თვითონ ღმერთს?

აბა სინჯეთ – ერთხელ გარეთ  
სადმე ჩუმად მიეპარეთ,  
მაშინ ნახავთ, რომ იმავ მუჭს  
გლეხკაცს ურტყავს თავში მნარეთ.

გეფიცებით იმავ თვალებს,  
ცხადად რომ ცას უყვრიალებს,  
ჩუმად ბევრჯელ აშიყულად  
უთამაშებს ლამაზ ქალებს.

საყდარში რომ დაგვიხელებს  
და ხატს უპოტინებს ხელებს,  
მერწმუნეთ, იმავ ხელებით  
მოჩივრებს ჯიბეს უთხელებს.

მე ვერ შემაცდენს თქვენსავით  
მარხვით, ლოცვით, მოხრილ თავით,  
შევუტყე ფარისევლობა,  
ღირსია, ჩაიქოლოს ქვით!

ვიცანი გაიძვერა მე  
და მისთვის მიწყრება თურმე,  
უღმრთობას მიტომ მწამობს  
და მეძახის: „რუსეთურმე!“

1862 წ., 30 მარტი,  
პეტერბურგი.

## შიქასტა

ვით სნეულსა თანაუგრძნობს  
მისივე მსგავსი სნეული,  
ისე მკვნესარ შიქასტის ხმას  
ძგერით უგრძნობს ჩემი გული.

აჲ, მეზურნევ, დაჲკა! დაჲკა!  
გამაგონე ეგ სევდის ხმა!  
მაგაშია ჩემთა ძელთა  
მამაცური ოხვრა, მოთქმა.

გამიხურე ჰანგით გული,  
ეგებ დასდნეს მწუხარება  
და ჩემთ თვალთა გადმოსთხიონ  
ნაღვლიანი მდუღარება!

ვიცი, ცრემლი მამაკაცსა  
შეარცხვენს და არ შეშვენის,  
მაგრამ მიჯობს ჩუმად ტანჯვას,  
ცრემლი ვღვარო, არა მრცხვენის.

ნურვინ სცდილობს, იმ ცრემლებში  
ნახოს კერძო სიყვარული!  
იქ იქნება საიდუმლო,  
გულგამხეთქი, დაფარული!

ყოველს წვეთში ტანჯვას ნახავს,  
საქართველოს გამომხატველს  
და მწარესა ნაკადულში –  
უიმედობას გულის მწველს.

აჲ, მეზურნევ, დაჲკა, დაჲკა!  
ეგებ დადნეს მწუხარება  
და ჩემთ თვალთა გადმოსწურონ  
ნაღვლიანი მდუღარება!

[1862, აპრილი]

\* \* \*

ალექსანდრა გამიხელდა,  
მომექუშა, დამცა ელდა;  
ნეტავ ვსცნობდე, რას მიწყრება,  
გული რითვის აუღელდა?

შეუპყრია შავსა ფიქრებს,  
იჭვნეულად ჩემზედ ჰყიქრობს;  
ნეტავ მამცნო, ამგვარ ჭორებს  
სად ტყობილობს, საიდგან ჰკრებს?

ვფიცავ გრძნობით ზე-ნათელსა,  
გეფიცებით ქვენა-ბნელსა,  
არ ვსტოებდე ძველსა გზასა  
და არც სატრფოს ჩემსას ძველსა!

მაშ რილასთვის გამიხელდა,  
მომექუშა, დამცა ელდა?  
მითხრას მაინც: რას მიწყრება,  
გული რისთვის აუღელდა?

მის მმღერალსა რად მალონებს?  
განა თვითონ არა ჰგონებს,  
რომ მის ეშით დათუთქული  
ეს გული სხვას ალარ ჰმონებს?

ჰგონებს, მაგრამ არის ქალი!  
მაშ სადლა აქეს სამართალი?  
იგი თურმე მხოლოდ ხუმრობს,  
როცა ჩვენ გვნვავს ტრფობის ალი!

აი, რისთვის გამიხელდა,  
მომექუშა, დამცა ელდა!  
ახლა ვიცი, რად მიწყრება,  
გული რისთვის აუღელდა!

მართლაც თუ აქვს ჩემგან წყენა,  
არ კმარა ეს ჭირთა ჩენა?  
ნუთუ ცოდვას ვერ გამბანდა  
ესოდენი ცრემლთა დენა?

ან მაკმაროს მრისხანება,  
ეს გული მას ემონება!  
შემიბრალოს მისი მონა,  
რომ კვლავც შევძლო თაყვანება!

ნუდა ქუშობს... შეისმინოს,  
სამკურნალოდ გამიცინოს  
და ცრემლების მოსაშრობლად  
მისი ეშტი მომაფინოს!..

და თუ კიდევ გამიხელდა,  
რისხვით გული აუღელდა,  
ანუ შემშლის უეჭველად  
და ან მომკლავს მისგან ელდა!

[1862 ]

### ჭური

ორმოცკოკიანი ჭური,  
ცარიელი, კაცმა ნახა;  
რაც ჩასძახა, მოვჰკარ ყური,  
რომ ჭურმაც ის ამოსძახა.

მე მაშინვე მომაგონდენ,  
ზოგიერთი ყმაწვილები,  
რასაც კი გაიგონებენ,  
ჰყვირიან დალოცვილები!..

[1862 ]

## ზლაპარი

დიდებულს მებატონეს კარს მიადგა მესტვირე,  
მშვენიერად დამკვრელი, მსმენელის გამაკვირვე;  
ეშით დაუკრა სტვირი, ზედაც გრძნობით დაპმლერა,  
შეართა ორი ხმა, გულს სევდა გადაჰფერა.  
უნძბურ გრძნობით ბატონს მოეწონა ეს სტვირი,  
კმაყოფილების ნიშნად გააწლაჟუნა პირი.  
ზოგიერთი დიდყაცი, – ვის არ მოეხსენება, –  
პირს დაუწყებს წლაკუნსა, რომ რამ მოეწონება,  
რადგანც იმას იმ დროსა საჭმელი აგონდება,  
თორემ ესთეტიკისა მას არრა ეყურება  
და წლიდგან წლამდის მხოლოდ მის კუჭს ემსახურება:  
ღორის ქონით გაძლება, მერე ღვინით ჩაჰფერავს  
და იქვე გაჰვირდება, თუ მუცელზედ გაჰპერავს,  
კოტრიალობს ლოგინზედ, ბედს სწყევლის, იგინება  
და მუცელზედ ხელს ისვამს (უკედ დაეძინება!).  
ვახშმობამდის იხვრინებს, მრავალგვარად ცხვირს ასტვენს,  
ვახშმად კი ნაკლებსა სჭამს, – ხუთ გირვანქას, – რას ანყენს?  
დილას გავა, სეირნობს, ტორტმანით ადგამს ბიჯსა  
და მოჭედილი ხმალი უკან მიაქვს მის ბიჭსა,  
ახალ წლიდგან წლამდისა დროს ატარებს ამგვარად.  
და, თუ ძილი გაუტყდა, ოჯახზედ ჰფიქრობს მარად.  
ან ისიც მოიხსენეთ, რას შვრებიან ცოლები:  
– ქალებო, არ გამინყრეთ, თქვენ კი გენაცვალები, –  
წიგნი სძულთ, ოჯახობის მათ არრა გაეგებათ,  
გულზედ ხელის დაკრეფა მიაჩინიათ საქებად;  
ქარვის კრიალოსანსა მარცვალ-მარცვლად ჩასთვლიან,  
რომ ჰყითხოთ: „რამდენია?“ მერნმუნეთ, ვერ გეტყვიან;  
სადილ-ვახშმის მზადებას პატივს სულ არა სცემენ:  
მოართმევენ – შესჭამენ, თუ არა – ბიჭებს სცემენ;  
როგორც წიგნს მიიღებენ, ცხენს შეხტებიან მალით,  
მიაჭენებენ: „აჩუ!“ ბიჭი მისდევს ჩანჩალით,  
სტუმრობა და ბალები არ გამოეპარებათ:  
იქ ჭორებს შეიტყობენ, და ეს აქვსთ ნეტარებათ!..

სულ რომ ბევრიც იჯავროს, ვინ გაუგონებს ქმარსა! ულვაშებს შეურცხვენენ, ცხვირში ადენენ ძმარსა! ეტყვიან: „გაჰქრა ის დრო, ძველ დროს ნუღარ მოელი, ჩვენ ქალბატონები ვართ! რად გავისვაროთ ხელი?.. სირცხვილია ოჯახში ჩვენგან განკარგულება, მზარეული, გამდელი თუკი შინ გვეგულება! ძვირფასად გამოგაწყვეთ, გინდ აიღეთ ვალები; აბა, რისთვის შეგირთეთ? თქვენ დაგიდგათ თვალები!“ ამგვარად მათი ქმრები ვალებში ვარდებიან, პოლოს, ყაზარ, კარაპეტ კი მათით მდიდრდებიან!.. ყველა ასე არ არის, მე ზოგზედ მოგახსენებთ, და, ქალებო, განყრომას სუყველა ნუ ინებებთ! ამგვართაგანი იყო თურმე ის მებატონე, რომლის კარსაც მიადგა მესტვირე თავმომწონე, ამისთანა სტვირის ხმა ბატონს არ გაევონა და უნებურის გრძნობით მას სტვირი მოეწონა. უთხრა: „თუმც კარგი ხმა გაქვს, ცოტა მალლა ვერ ჰყვირი!“ და მალალ-ბანის მთქმელად გამოუგზავნა ვირი. მესტვირემ სთქვა: „მერწმუნეთ, დავამტვრევ ამ ჩემს სტვირსა, ალარც ხმას ამოვილებ, თუ მართლა გზავნით ვირსა!.. შეესცდი, რომ აქ მოვედი! მე ვისთან აქ რა მინდა?!“ ამაყად დაიძახა, არავის შეუმინდა. „რაო“ – მებატონემა ერთი დაიღრიალა: „მაგას ჯერ არ უნახავს დიდკაცობისა ძალა? რას ამბობს? არ მინდაო ბრძანებით სამსახური? ჰე, ბიჭებო! გააგდეთ! მიაყოლეთ პანლური! თავზედ გადაამტვრიეთ მაგ მანანნალას სტვირი და აქვე ამომგვარეთ ჩემი საქები ვირი!“ შემებრალა ბატონი! შემეცოდა მესტვირე! ან შენა სცან, მკითხველო: მე რომელი ვიტირე?

[1862]

## გ . . . . ს

იგი გრძნობით შენია,  
შენია და შენია,  
ის გაშლილი ვარდია  
ერთგული და შენ ია!

ძმაო, დასტკბი მათითა...  
გუშინ შენზედ მათითა,  
შენ მანდ დარჩი ნეტარად,  
მე წამოველ მათითა!

შენ ხარ მისთვის დარადა,  
მე უდაროს დარადა...  
რათ მიწყრება, ვიცოდე,  
ვის გამო ანდა რადა?

ჩემის გულის ისარი  
შენც ხომ იცი, ის არი! –  
გუშინ რომ უარი სთქვა,  
დღესაც მითხრა ის ვარი!..

მშვენიერთა სადარი  
შენი ნორჩი სად არი?  
გულმა მიამბო, თურმე  
შენ ხარ მისი სადარი!

1862-ს წელსა

## პასუხი ილია მამაცაშვილს

თავისუფლების იმედს რად ჰყარგავ, ჩემო ილია?  
 რად მოგვიწამლე ჩვენი იმედი – ახალი წელი?  
 განა არ იცი, თავის გამოხსნა რა ადვილია,  
 თუ რომ ძმურათა ჩვენ ერთმანეთს მივეცით ხელი.

მაგრამ ვაი, რომ ვერვის ვხედავთ მხნე მოციქულათ,  
 რომ მწველი გრძნობა წარმოუთქვათ სავსე ნალველით.  
 აბა, ვის ვხედავთ... სამსხვერპლოდ მზას აქეთ ან იქით,  
 რომ ჩემის ჩანგის სიმნი ვალბო სიამის ცრემლით.

განა არ იცი, შენს მღერალსა იმედს რა აცლის  
 და რის გამოც აქვს ალშფოოთებულს კრულვა და წყევა? –  
 – ის, რომ ტკბილ სიტყვას, უფასურსა, არვინ გვამადლის  
 და საქმეში კი, ძმაო, ყველა უკან იხევა.

[1862]

## გამოთხოვება

თუ შენ მიტკბობდი დღემდის ბედ-მწარსა  
და განმიქარვე გულისა დარდი,  
მაშ, დამაწერე გულის ფიცარსა:  
„მშვიდობით გნახო, მე შენ მიყვარდი!“

ხომ არა გცვლია ის გრძნობა ჯერე?  
ისევ გიყვარვარ? სხვისი ხომ არ ხარ?  
გულის ფიცარზე, მაშ, დამაწერე:  
„მშვიდობით იყავ, ისევ მიყვარხარ!“

თუ იმედიც გაქვს, რომ მაგ სიყვარულს,  
რაგინდ შორს ვიყო, არ გაეყრები,  
მაშ, დააბეჭდე, მოდი, ამ ჩემს გულს:  
„მშვიდობით გნახო, შენ მეყვარები!“

მაშინ ამგვარად შენგან დადალულს  
და უცნაურად შენგან დაბეჭდილს,  
დავიცვამ შენთვის ამ საბრალო გულს,  
სანამ არ მივსცემ უწყალო სიკვდილს.

1862 წ.

## ნინოს სიმღერა

ჩემი ვარსკვლავი მოსწყდა,  
თან გაჰყვა ჩემი ბედი:  
გაჰყვა და წამიწყმიდა  
უნუგეშოს იმედი.

კვლავ ვეღარ გამინათლებს  
ვარსკვლავი დალუპული,  
და ტრფობასუც ვერ შესძლებს  
მეორეთ ჩემი გული!

გინდ მწვავდეს მისი ალი,  
მსურს ზედ ცეცხლი დავადო!  
არ მინდა ღენერალი!..  
შორს!.. შორს ჩემგან, თავადო!..

შენთან ჰერონს ჩემი სული,  
ჩემო გულის იმედო!  
მე შენ სხვაზე ვერ გაგვლი,  
ჩემო სიცოცხლის მტრედო.

ჩემი ვარსკვლავი მოსწყდა,  
თან გაჰყვა ჩემი ბედი...  
გაჰყვა და წამიწყმიდა  
უნუგეშოს იმედი.

## კატოს

მკლავს სიშორე საყვარლისა,  
დავობლდი და დავრჩი მარტო!  
მაღამოვ ჩემის სულისა, –  
სად ხარ, კატო, ჩემო კატო!

ოცნებითა წარმოგიდგენ,  
მსურს თვალის წინ დაგიხატო!  
სად გაჰვინდი? და რა იქნ?  
ცელქო კატო! ჩემო კატო!

სხვამ ვინ გამიკურნოს წყლული,  
ჩემის გულის ანდამატო,  
თუ მე შენთვის მიძგერს გული?  
სატრფოვ კატო! ჩემო კატო!..

დამეკარგე, ველარ გნახე?  
სად მოგძებნო? ვის მივმართო?  
მსურს ვიხილო შენი სახე,  
სად ხარ, კატო? ჩემო კატო!

მე უშენოთ ვით ვიხარო,  
ჩემის შვენებისა ხატო?  
ვინ შემაშროს ცრემლთა წყარო.  
ნუ მკლავ, კატო! ჩემო კატო!..

რაგინდ ეკლით მიხევდე გულს,  
მზა ვარ მაინც ბულბულს ვმატო.  
ვერ დავსთმობ მე შენს სიყვარულს! –  
გეტრფი, კატო! ჩემო კატო! –

მკლავს სიშორე საყვარლისა...  
დავობლდი და დავრჩი მარტო!  
მაღამოვ ჩემის სულისა,  
სად ხარ, კატო! ჩემო კატო!

ახ . . . ს

სიზმრად ვნახე შენი გული,  
ეს სიტყვები ზედ ეწერა:  
„გამოცვლილა სიყვარული  
აქ' ოთხმოცდაცხრამეტჯერა!“

მეასედ მეც მზად ვიყავი  
ჩემი თავი ჩამეწერა,  
მაგრამ გააქნიე თავი,  
მომაყვირე: ვერა! ვერა!

რა დამგმო და არ მინება  
შენმა გულმა, დავრჩი ასე!  
ვსცნობდე მაინც, ვინ იქნება  
შესაბრალი ის მეასე?

დამკვიდრდება მაგ შენ გულში  
ის მეასედ ჩაწერილი?  
თუ გამოსცვლი მასაც სხვაში  
და დარჩება თავდახრილი?

დიალ, შენს გულსა აქვს ძალა  
და მასთანც გამოცდილება:  
სადაც ასი წაიშალა,  
იქ სხვა ერთიც წაიშლება!..

[1862]

## ეპიტაფია

სევდის მშობელს, გულის მკოდსა,  
ყველასაგან მოსალოდსა,  
უდროვოდა დაუფარავს  
ორი დები ამა ლოდსა!

თვითო დღე და თვითო ღამე  
იყო მათის ტანჯვის ჟამი...  
ექვსის წლისა პელაგია,  
ოთხის იყო მარიამი!

ნათესავთ არ მოლოდებით  
გაფრინდენ მაღლით წოდებით.  
თვით ჰფრენენ ანგელოსთ გუნდში,  
მშობელნი სტოვეს გოდებით! –

სატკივარს შეხვდენ უეცარს,  
სიკვდილი მიადგა მათ კარს:  
პირველი მოკვდა ცამეტსა,  
მეორე თოთხმეტს იანვარს.

1862 წ.

## იავნანა

იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!  
 გაფურჩქნულო ახალ-ნორჩო, შენ პანაწინაო!  
 აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?  
 დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო?  
 დაიძინე, იავ-ნანა, ვარდო-ნანინაო!  
 იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

დაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელიო;  
 ძუძუებში ჩაგივლია პანაწა ხელიო;  
 შენს ვაჟყაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო.  
 აგცილდეს სხვისა მონობა დამამხობელიო!  
 თავისუფლების სხივები გულს მოგეფინაო!  
 იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

გაივსე და გაიზარდე, პატარა მთვარეო;  
 შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!  
 ანუგემე, სადაც ნახო, მოძმე მწუხარეო!  
 შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!  
 ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტერი აშინაო.  
 იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

პანაწინა იადონო და ვარდის კონაო,  
 ყური უგდე, დაისწავლე ჩემი ნანინაო,  
 თვალხილულად დააკვირდი, იცან ქვეყანაო,  
 რომ გაიგო ამ სოფლისა ცრუ გამოცანაო...  
 მაგრამ ჯერ კი დაიძინე, ადრეა განაო?  
 იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

[1862]

## ნატვრა

ნეტავი ის ბედი მომცა! ნეტავ ისე გამახარა,  
და უჩინ-მაჩინის ქუდი მე ამ თავზედ დამაფარა,  
რომ პერანგასთან საწოლში ჩუმათ შენთან მომაპარა  
და ერთი საბანიც ორივეს ზიარათ გადაგვაფარა!..

გაკოცებ, ვერ დამინახავ... რა თქმა უნდა, გაიკვირვებ!  
მუხლებს მოგვეთს, წელსაც მოგწყვეტს გაქცევას რომ დააპირებ,  
შეიშით ენაც ჩაგვარდება, ერთსაც ვეღარ დაიყვირებ...  
და მეც ის მინდა: დროს ვიხელთებ, კოცნა-ხვევნას დაგიხშირებ!..

მე ხომ ჩემით არასა გთხოვ, თუ რომ შენით არ მიბოძებ?  
მხოლოდ ქვეით ხელს ჩაგისვამ და ტუჩებში ცხლათ გაკოცებ,  
მაგრამ ერთს კი არ გაკმარებ, გსურს, გიათებ! გსურს, გიოცებ!  
და ეშებში შესულს, ტრფობის მდომსა, უჩინობით გაგაოცებ!..

ჯერ შეგრცხვება, ვით წესია, მერე, ვგონებ, მოიწონებ!  
რაღა გზა გაქვს, თვალს დახუჭავ და გულის ძილს მოიგონებ:  
ალარაფრათ შეიძუებ: აჯმაჯურა იყო ჰეონებ,  
და მეორე დღეს აჯმაჯურს სიყვარულით მოიგონებ!

ამას იტყვი: „ყოველს ლამაზს, ვისაც ლეჩაქი ჰეროდეს,  
ხალხში თუ ერცხვინებოდეს და ჩუმი ტრფობა სწყუროდეს,  
ჩემებრ იდუმალ ილხენდეს, ჩემი სტუმარი ჰეროდეს,  
ამ აჯმაჯურას თავს წოლას, ღმერთო, ნუ უშლი ნუროდეს!“

მაშინ ლამაზი ქალები ღალატს სულ დაივიწყებენ?  
არც მოირთვიან სალამოს, არც ფერუმარილს იცხებენ!..  
მზის ჩასვლამდივე ქათმებთან ერთს დროსვე დაიძინებენ...  
და აჯმაჯურას მლოდენი... ნახვენ და გაიცინებენ!

[1862]

## ძველ სამეფოს

სამეფომ ძველთა-ძველო,  
 დღეს სნეულო, გულის მწველო,  
 დაჭქნა შენი ძველი ქება,  
 ვით ზაფხულში მზისგან მდელო,  
 მაგრამ თუ დრო შეიცვალა,  
 გაცოცხლდები, საქართველო!

დავივიწყოთ ის „ნანინა“,  
 რამაც დღემდი დაგვაძინა!  
 სხვა კილოზე დავამლეროთ,  
 თუ რომ ბედმა გაგვიცინა!  
 ბერო ქართლო, გულს ნუ იტეხ,  
 კმარა, ცრემლი რაც გვედინა!

ამდენი ხნის მწუხარება,  
 ნახავ, მალე გაგეყრება!..  
 გაიღვიძე, დროს ნუ ჰყარგავ,  
 თუ რომ გინდა ნეტარება!..  
 თვით სიცოცხლეა სიფხიზლე,  
 გაიღვიძე, გვეჩეარება.

ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს,  
 ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს?  
 შენი არის!... ბედს გექადის!  
 მიეგებე, ნულა გძინავს!  
 მოემზადე, ახალი დრო  
 შესამკობლად გვირგვინს გინნავს!

დიდებაო ძველის-ძველო,  
 დღეს სნეულო საეჭველო,  
 გულს ნუ იტეხ, წამოდექი,  
 ნეტარების მომლოდნელო!  
 მოგვასწარ, რომ ვიძახოდეთ:  
 „ვაშა, ვაშა საქართველო!“

[1863 ]

## ვირი და ფილოსოფოსი

ერთსა ფილოსოფოსსა მიუახლოვდა ვირი,  
უკრიჭა, გაუცინა, ჩამოუგდო ქვიქვირი.  
ბრძენმა ვერ დაინახა, ცაზედ ვარსკვლავებს სთვლიდა,  
მაგრამ ვირი ბატონს ბრძენს მათ თვლას აღარ აცლიდა.  
რა მოესმა ყროყინი, მაშინ კი მოიხედა,  
სთქვა: „ეს ვირი რას შვრება, ნეტავ რას მეთავხედა?“  
გაეცინა და უთხრა მან ვირსა: „ჩოქში, ჩოქში!  
აქ რად ხარ? ისევ გიჯობს წახვიდე ვირის ჯოგში!“  
— არა, მე თქვენში მოვალ, ვემონები ტკბილს გრძნობას:  
მითხრეს — აქ ვითომც ჩემს ძმებს აძლევდენ დიდკაცობას!  
— რას ამბობ? ვის უნახავს აქ დიდკაცობა ვირის?  
— როგორ არა! ის არის, ვინც ყველაზედ მეტს ჰყვირის.  
მეც აქ გავდიდკაცდები, შენც გული ნუ დაგწყდება;  
რომ მოგშივდეს, მე მთხოვე, მამა ნუ წაგინყდება!

[1863]

## დღე და ლამე იყრება

დღე და ლამე იყრება,  
ცელქი ვარსკვლავთა კრება  
მოწმენდილ ლაჟვარდ ცაზედ  
ხანა ჰერთის და ხან ჰერება.

ზენარე და ქვენარე,  
ცხოველი და მცენარე  
ყველა ამბობს: „გიყვარდეს,  
დასტკბი და გაიხარე!“

ტახტს დაჯდა სიყვარული,  
უგალობებს ბულბული,  
ჭაბუკობა შეპხარის,  
არევით უძგერს გული.

მოხუცს კი ეძინება,  
ყმაწვილს ცოლს ეცინება;  
დაიძინე, მოხუცო,  
აბა, ვის ეწყინება?

მოისვენა მოხუცმა,  
მაგრამ უცებ კატის ხმა:  
„მიავ! მიავ, მიაუ!“  
კარებს უკან მოესმა.

ცოლს უთხრა მან: „გემდური;  
რად არ მიუგდე ყური  
კატას? შინ შემოუშვი,  
შია, აჭამე პური!“

— „ბატონო, მართალს ბრძანებ!  
კატას კი ვუპატრონებ,  
მაგრამ ჯერ დაიძინე,  
ნანინას მოგახსენებ!“

უთხრა მოხუცს ნანინა,  
ჯერ ტკბილად დააძინა,  
მერე კატა მონახა,  
ქმარს ცინდალი შესძინა.

ქმარმა რომ გაიღვიძა,  
მისი ცოლი აფიცა  
„კატა ხომ გააძლეო?“  
ცოლმაც დასტური მისცა.

ქმარს მართალი ეგონა,  
ცოლს გულში ჩაეკონა:  
ამგვარი მორჩილება  
მას მეტად მოეწონა;

და ისევ დაიძინა;  
ცოლმაც უთხრა: „ნანინა!  
შენ სიზმრადაც ვერ ნახავ,  
რაც ცხადად შეგვეძინა!“

[1863], 23 მარტი.

## გლეხის აღსარება

„ხატად და მსგავსად ლვთისა ვინ ქმნილ არს,  
ჭეშმარიტების მხილებაც უყვარს;  
და ვისაცა სწყინს ჭეშმარიტება,  
სჩანს, დაუკარგავს მას ლვთის ხატება“.

ოხ, დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხაზი ხარ!..  
თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზედ მაზიხარ.  
დამტკბარს ვეროდეს გხედავ, ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;  
უჩემოდ გამრჯელი ხარ, თუ მე მხედავ, ნაზი ხარ!..

რომ იცი, რაღად მკითხავ: ასე რისთვის ვლონდები?  
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები!  
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები;  
მაგრამ, ჩემო წამწყმედო აქ, იქ შენ ვერ ცხონდები!

ცხადად შენ მაგონდები, შენ ხარ ჩემი სიზმარი,  
შენ მდვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი,  
მაგრამ შენ რას დამეძებ?! შენი ფიქრი ეს არი:  
„ნეტავ ვინ გაასწორა ერთადო მთა და ბარი?!”

ამით ჩვენის კავშირის უფლებით ხარ შემცვლელი:  
ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეიძელი!  
მაშ, ახლა რაღად სწუხარ, ახალს დროს რომ მოელი?  
რად არ მეტყვი: „ძმები ვართ, მოდი, მომხვივ ხელი!“

თორემ შენ ცხვირს მაჩვენებ, მე ჩამოგიყრი ყურებს,  
მტერს ვინ უწინალმდეგებს, რომელიც ჩვენ შეგვყურებს?  
ერთმანეთის მტერს ვეღარც მამული გვიმსახურებს  
და ახალს დროს დაგვასმენს, შვილისშვილთ მოგვამდურებს.

მაგრამ, ვაი! ეს სიტყვა შენ როგორლაც გემწარა,  
მეუბნები: „შენ ვინ ხარ, ვისი ტიკი-ტომარა?“  
მაგრამ, ჩემო კეთილო, იფიქრე, ნუ სჯი ჩქარა  
და მაშინ აღიარე – მართალს ვამბობ თუ არა?!

[1863]

## მოგონება

სიმნი, მკვენესარნი სამარის ხმითა,  
ზედ დასტირიან რაღაც საგანსა,  
და უცნაურის თანაგრძნობითა  
ეს ჩემი გულიც ეტყვის მათ ბანსა.

ღმერთო! რა მიყვარს ეს მწარე მოთქმა!  
ვეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა!  
მხოლოდ ამისი ეს მაცდური ხმა  
გულს გადამფერავს მოდებულს ჟანგსა.

ეს არის ჩემი თანამგრძნობელი,  
ეს ისმენს მხოლოდ ჩემს ალსარებას;  
მეალერსება, ვითა მმობელი,  
და ცრემლით ადნობს ჩემს მწუხარებას.

აი, ეხლაცა ჩემი გონება  
სიმთ გააცოცხლეს, აამლელვარეს,  
მომცეს წარსულთა დროთ მოგონება  
და გარდმიტანეს სამშობლო მხარეს.

ჰა! წარმომიდგა თვალწინ ჭაბუკი...  
გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა,  
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი,  
უფროსების წინ თავს არა ჰერიდა.

პირმოთნეობით ის, დაჩაგრული,  
არავის სთხოვდა თვის წარმატებას  
და სიმართლისთვის თავგანწირული  
ალიარებდა ჭეშმარიტებას.

უშლიდა მოძმეთ სულის მდაბლობას,  
ჰეგმობდა მათ შორის ის უპირობას,  
მაგრამ ეტყოდენ რაგვარ მადლობას,  
ემუქრებოდენ ტყავის გაძრობას!

„გამოახილეთ, – ამბობდა, – თვალი,  
შეიტყეთ, გლეხიც თქვენი ძმა არი!“  
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?  
– „ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმარი!“

დაჩაგრულს გლეხებს ეფერებოდა,  
დიდყაცებს ჰგმობდა პირუთნეველად,  
მისთვის მას ყველა ემტერებოდა...  
ყველას მიაჩნდა საზიზღარ გველად!

მაგრამ მაინცა თავს არ იხრიდა  
უფროსების ნინ, იმათი მტერი,  
თუმც ჩუმად ხშირად ცრემლებს კი ჰლვრიდა,  
გაუკითხავი ყველგრით... მშიერი.

შიმშილ-წყურვილით გახდა ის ავად,  
მისი დაცემა ყველამ იხარა;  
მოკვდა საბრალო გაუკითხავად  
და საუკუნოდ მიწამ დაჰფარა.

ოჳ, უგნურებავ! ოჳ, საძაგლობა!  
ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი;  
მას მოიგონებს შთამომავლობა  
და მას უგალობს ან წმინდა ქნარი.

ვინც მოუსწრაფა საწყალს სიკვდილი,  
იმას კი გრძნობით არვინ აკურთხებს,  
მას შეაჩვენებს მისივე შვილი  
და მამის საფლავს გადააფურთხებს.

კურთხეულმც იყოს ამგვარი შვილი!  
და ამას ამბობს ეს ჩემი ქნარი:  
„ვინც სამშობლოსა უყო კეთილი,  
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი!“

[1863]

## სიმღერა მკის დროს

გავლესოთ, ძმებო, ნამგალი,  
პური შეგვქნია სამკალი,  
ჯერ „ჰოპუტ“ დავაგუგუნოთ  
და მერე „პარი-პარალი!“

ვერა ხედავთ ჩვენს მეთაურს,  
როგორა ხტის? გული უხურს!  
რა სიამით და სიხარბით  
შეჰყურებს დამწიფებულ პურს!

მეთაურო, დაგვაცალე,  
ჯერ ეს ყანწი გამოცალე,  
მერე გნახავთ, რაც ბიჭი ხარ,  
ნამგალი დაატრიალე!..

მკაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით  
ჩვენც გვერდში ამოგიდგებით,;  
გულგალებული, პერანგა,  
პურს ცეცხლივით მოვედებით!

ჯერ თანასწორ დავუაროთ,  
გულს დარდები გავუქარვოთ,  
და, ვინც მკაში ჩამოგვრჩება,  
პირში პური მივაყაროთ!

მეთაურო, თაბაგარო,<sup>1</sup>  
ნუ გგონია, რომ დაგვჩაგრო!  
ნახავ მკაში, რომ შენც ჩვენთან  
ბევრი ოფლი გადმოლვარო!

მომკლები ვართ ჩვენცა სრული,  
არ ვყოფილვართ დაჩაგრული,  
თაბაგრები თუმც არა ვართ,  
მკა კი ვიცით თაბაგრული.

1 თაბაგარი გვარია, პირველი მომკლები იმერეთში და სახელგანთქმულები (ავტორის შენიშვნა)

ჰე! დატრიალდა ნამგლები,  
ბიჭებო, თქვენ გენაცვლები!  
გიცნობთ, სადაურიცა ხართ:  
შორაპნიდგან იმერლები!

ამას ჰქვიან ხელაური,  
ასე უნდა მომკათ პური!  
მეთაურო, შენ კარგად მკი,  
მაგრამ აგდის კი ალმური!

ჩუ! მტრედმა დაიღულუნა,  
მკა ხომ ჩვენ არ დაგვიწუნა?  
ჰა, ბიჭებო, დატრიალდით,  
ჰოოპუნა! ჰოოპუნა!

ჰოოპუნა! ავხე! ავხე!  
ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე,  
და თუ შენ მკაში ჩამოგრჩე,  
ქალაჩუნა დამიძახე!

ჰოოპ! ჰოოპ! ჰერი! ჰერი!  
ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი,  
ნამგლებით გარს შემოვერტყათ,  
დავიჭიროთ პურის მტერი.

მეთაურო, ბარაქალა!  
ხომ ნახე ან ჩვენი ძალა?  
სალამომდე სულ მოვრჩებით,  
ნამგალმაც თუ დაგვაცალა!

ნელა, ბიჭო! ან კი კმარა,  
ჰედავ? მზემაც გადიხარა,  
ჯერ რიგიანად ვისამხროთ,  
მერე მოვმკით უფრო ჩქარა!

## იმერული ნანინა

(ვუძღვი საბატონო ყმების ახალშობილ შვილებს)

გაპუტულო გლეხის შვილო, შენ პანაწინაო!  
აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?  
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო...  
დაიძინე, ვარდო-ნანა, იავ-ნანინა!..

დედა ეტყვის: „გენაცვალოს შენი მშობელიო,  
ძუძუებში ჩაგივლია პანანა ხელიო!  
შენს ვაჟაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო!  
მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:  
შენი ვარსკვლავი სხვა არის – ბედმა გიცინაო!  
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინა!

ღმერთს შენი ბედნიერება წინედ უსახავსო,  
შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო,  
დედას თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!  
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყე, ბატონი არ გყავსო!  
რისთვის შეჰქორო? მართალია! რამ შეგაშინაო?!  
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინა!..

გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო;  
ბატონი ვერ შეგანუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო;  
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;  
ჭირისა და ავ თვალისგან გიხსნის უფალიო!  
ხომ გიამა, გენაცვალე! მან გაგიცინაო?  
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინა!

დიდი კაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებიო;  
აბა, შენ იცი, ბიჭოჯან, როგორ ეცდებიო;  
ძველ ბატონის შვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,  
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!..  
შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,  
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინა!

ჩინოვნიკებიც არიან ჩვენი გამწვალეო:  
 ჩვენს საქმეზე როცა მივალთ, გვეტყვიან: „ხვალეო“,  
 და, ჩვენ როცა დაგვსაქმებენ, მაშინ კი – „მალეო!“  
 ამას შენ ვეღარ გეტყვიან, შენ გენაცვალეო,  
 რომ ვეღარ დაგიბრიყვებენ, თუ რო თავი სცნაო!  
 იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

პანაწინა იადონო და ვარდის კონაო,  
 დღეს ხომ კარგად გაიგონე ჩემი ნანინაო?  
 და თუ კარგად გაიგონე, ხომ მოგეწონაო?  
 მაშ, ნუ გძინავს! გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!  
 შენც შეიტყვე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!  
 იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

[1864 ]

## ჩანგურის ძალა

მოდი, ჩემო ჩანგურო,  
მსურს, ისევ გემსახურო,  
გამლერო სულ სიმართლე  
და ბევრი მოგამდურო!

ოდეს შენი მომტანი  
მე მუზი გავიცანი,  
თითქოს ხელახლად ვიშევ  
და თავიც მაშინ ვცანი.

სულმან ჰერძნო უცხო ძალი,  
გულში ამენთო ალი;  
ვნახე, თურმე ბრმა ვიყავ,  
და გავახილე თვალი...

უცხო ძალი ვიგრძნე რა,  
გულმა დამიწყო ძგერა,  
მაშინ აგილე ხელში  
და ვიწყე საღმრთო მლერა...

რასაც თვალი ჰქედავდა,  
გულიც მის თქმას ჰქედავდა;  
და იმ დღიდგან მშვიდობა  
მგონისათვის გათავდა...

ვნახე, რომ მეგობარი  
თურმე იყო ხუმარი!..  
და იმის სიყვარულიც  
ჩემდამო კი სიზმარი!..

თავს ვუთხარი „გასწორდი!  
კმა, რაც დღემდის მოღორდი!“  
ზიზღით ზურგი ვუჩვენე  
მეგობარს და მოვშორდი.

ვიხილე სწავლულები  
მე სახელგანთქმულები;  
ვნახე, ტვინზედ ეწერათ:  
„უგნურების შვილები!“

მაშინ მოვსდრიკე ქედი,  
გადავსწყვიტე იმედი,  
დავჯექ კურცხალის ყრითა  
და მოვსთქვი ჩემი ბედი!

ვსთქვი რა მწარე ნანინა,  
თვალთ ცრემლი მომედინა!..  
ჩანგურო! შენც მოგშორდი!..  
ხომ გახსოვს – დამეძინა...

მაგრამ მოჰყორინდა მუზი,  
რისხვით მითხრა: „რას უზი?“  
გულის მითხრა: „გახსენი  
ეგ გრძნობისა აუზი!

„ხან სიტკბო აიაფე,  
ხან ნაღველი აქაფე,  
ჭეშმარიტება აქე  
და ბოროტი აკაფე!..

„ხალხს სძულს ეს სამსახური,  
დაგრჩება უმადური!“  
შებრალებით ვუჩვენე  
მათ ზურგი და მოვშორდი.

კეთილ კაცთან მივედი,  
მაზედლა მრჩა იმედი,  
ვნახე და რისხვით გული  
ამენთო, ვით აბედი:

ტკბილად დაიწყო სტვენა,  
მოპხიბლა ყველას სმენა  
და ბროლის კბილებითა  
დამალა შავი ენა.

სისხლით უყარდა ხელი,  
გულში ედვა მას გველი,  
და შუბლზე კი ეწერა  
შავად: „ფარისეველი!“

თავს ვუთხარი: „გასწორდი!  
კმა, რაც დღემდი მოლორდი!“  
წყევით ზურგი ვუჩვენე  
იმასაც და მოვშორდი.

და მუზს გარისხებული  
ვეტყოდი: „ხარ წყეული!  
რად წამართვი სიამე  
და აღმიშფოთე გული?“

„მესმის ყველგნით მტერობა,  
გამიქრა მეგობრობა  
მას შემდეგ, რაც შენ იწყე,  
მუზავ, ჩემთან სტუმრობა.“

„წამართვი ტახტად გული,  
ზედ დასდევ სიყვარული,  
და მას შემდეგ ალარ მაქვს  
შიგ არრა დაფარული!“

„ან ალარ მაქვს მე ფარად  
პირმოთნეობა მარად,  
და მისთვისც ვერვის ვხედავ  
მეგობრად, გამახარად!..“

მუზმა დამიგდო ყური  
და მითხრა: „განა ჰსური,  
რომ გყავდეს მეგობარი?  
აპა, ჩემი ჩანგური!

„შენი კვნესით მოიწყენს,  
შენის შვებით მოილხენს  
და ცრემლში დამდნარ ნალველს  
სიმებით შესვავს, იდენს!..

„და ვინც კი ხორციელი  
ნახო მის ბანის მთქმელი,  
ის მიგაჩნდეს მეგობრად!  
იმას მიეცი ხელი!“

ეს მითხრა და გაფრინდა  
ის მშვენიერი, წმინდა,  
და კურთხევით დამძახა  
„აგისრულებ, რაც გინდა!“

შემდეგ შენ ხარ ნუგეში,  
გიდებ გრძნობით უბეში,  
ტკბილ გრძნობას დაგლილინებ  
და სევდას ზედ დაგხვნეში!

[1864]

## საცოლოს ალბომში

ნათელო ბნელის გულისა,  
ანდამატო მიმზიდველო,  
ტკბილო მაღლამოვ სულისა,  
ალმგზნებელო ცეცხლის... მწველო!

ლალთა, ბროლთა და ორ ნათელს  
იშვენებ ბადრსა სახესა,  
ამით პოეტსა წერეთელს  
აბამ უწყალოდ მახესა.

პეკლუცობ, თუმცა თვით ვერ გრძნობ,  
ამპარტავანებ სიმდაბლით.  
პარგია, ნუღა დამადნობ,  
იმედის გულიდან გაცლით.

1864 წ., 24 ივნისი.

## მოქრთამე მსაჯულებს გლეხისაგან

გულქვაო, დროა ან გვითხარ:  
 როდემდის უნდა გვაწვალო?  
 ვინა ხარ? სიდან მოსულხარ?  
 ან რა სჯულის ხარ, მტარვალო?..

კისერს გვხეხ მძიმე ულელით,  
 გვაყრუვებ მაღლისა ხმითა,  
 და ქრისტეს, ქრისტეს სახელით,  
 ქრისტიანი ჰგმობ საქმითა!

იუდას კანონით ჰსაქმობ!  
 პილატებრ გვაძლევ ჩვენ ზავსა  
 და ჯვრის სახელით ჯვარსა ჰგმობ:  
 ჯვარს აცვავ ჯვრისა მმოსავსა.

ჩვენს კანზედ ჩვენივე სისხლით  
 კანონი დაგინერია!  
 პილატებრ იბან შენ ხელს წყლით  
 და ხორცს გვგვლევ, ვითა ძერია!..

ჯერ ჩვენის ხორცითა ძღები,  
 სისხლითა იყლავ წყურვილსა  
 და ჰფიქრობ: ვითა „უძღები“  
 მერე ვიქმ ღვთისა სურვილსა!..

მაგრამ შენს კანონს არა ჰგავს  
 კანონი იმ ჯვარცმულისა:  
 არ გაათეთრებს ტყვილათ შავს,  
 ხარბი არ არის ფულისა!

მალლით ხმა გვესმის: „ითმინე,  
გლეხო, ან გიხსნის უფალი!“  
გეძახის მსაჯულს: „ისმინე,  
გამოახილე შენც თვალი!

„დმა ძმას ნუ ალრჩობ ძმის ხელით,  
კაენის შავ გულისთქმითა  
და ქრისტეს, ქრისტეს სახელით,  
ნუ ჰგმობ იუდას საქმითა!..“

[1864]

**პასუნი კ. ბ. ჯ.[ორჯაძისას]**

სევდით სავსე სახედ ქალი,  
გულში ალი ეკიდება  
და წამნამებზედ კურცხალი  
მარგალიტებრ ეკიდება.

თვის ნაშობ ცრემლს მისი თვალი  
თვით ვერ ჰედავს, შორს გაჲყურებს,  
და, ვინ იცის, მაშინ ქალი  
რას უჩივის? ვის იმდურებს?

ოცნებით დროს სევდას ჰპარავს,  
ჰფიქრობს: „სევდა ვეღარ მავნებს!“  
მდუმარებით სევდას ჰფარავს,  
მაგრამ ცრემლი კი ამჟღავნებს:

იგი მცირე მარგალიტი  
გრძელი ამბის შემცველია,  
თვით დამდნარი გულის წვეთი  
ვარდ-ლაწვების შემწველია...

ქართვლის მწარე აწმყო ბედი,  
გამქრალი ძველი დიდება  
და მომავალი იმედი  
მასში ერთად იხატება.

იმ ცრემლს ჰშობს წარსული ბედი,  
აწმყო თვალსა მოაჩქერებს  
და მომავალი იმედი  
წამნამებზედ შეაჩერებს.

მეც თანავგრძნობ მაგის შობას,  
პატივსა ვსცემ მოჩქერებას  
და ტებილ გრძნობით გამარჯვებას  
მივულოცავ შეჩერებას.

ველობა

ძმან მკითხველო! ძმობას გაფიცებ,  
კაცი რომ ნახო შენ დაცემული,  
თუ რად დაეცა, მიზეზს ნუ ეძებ!  
შენი ვალია, შეგტკივდეს გული!..

შეგთქივდეს, მაგრამ ესეც უნდა სცნა, რომ დაცუმული არის ორგვარი: ერთს ჰსურს ადგომა, უნდა თავის ხსნა, და მეორე კი გლია, ვით მკვდარი!..

ერთი მოელის კაცთაგან შველას:  
ეპრძების თვის დამცემს, რაც შეეძლება;  
მეორე ვერ ჰგრძნობს ამაებს ყველას  
და მტერს პირუტყვებრ ემორჩილება!

პირველს თუ შეხვდე, შრომა უკურთხე,  
ხელი მიეცი, წამოაყენე,  
და მეორეს კი ზედ დააფურთხე!..  
იტირე, მაგრამ ზურგი უჩვენე!..

შემდეგი აზრი სთქვას აქ წერტილმა, თორემ ჩემს კალამს არა აქვს ნება!.. უნდა მონებით ჩავიწყვიტო ხმა, თორემ ბატონის ჩემს ეს ინყინება!..

უნდა ჩაგვიყლაპო სიტყვები ძალით,  
გულს თუ დამადგა, ვერც დავახველო...  
ამას კი ვიტყვი, გინდა მომქალით:  
„ფურთხის ლირსი ხარ შენ, საქართველო!“

[1864]

## ნადირობა

(ვუძლვნი ჩემს ძალლს)

კუდქიცინა და შავყურა,  
ჩემო ძალლო, ჩემო მურა,  
სუყველამ ჭირი მოგჭამოს,  
ვინც მე ტყვილად დამემდურა!..

რადგან კაცში მეგობარი  
უსასყიდო არსად არი,  
სულ ძებნით რომ გადვიაროთ  
ოცდაათი მთა და ბარი, –

ან მეგობრად გირჩევ შენა!..  
თუმც, პირუტყვო, არ გაქვს ენა,  
მაგრამ გშვენის კუდის ქნევით  
ერთგულების გამოჩენა.

მე რომ სევდით მიწუხს სული,  
შენც გიღრინავს მაშინ გული:  
წუნკუნით თვალებში მიცქერ  
შენ კუდამოძუებული.

და, მოლხენას რომ შემატყობ,  
ჩემს სიხარულს შუა იყოფ:  
კუდს აქიცინებ, ნავარდობ,  
ყურებს სცქვეტ, ჰყევ და ამაყობ!

არ ხარ კაცივით შავპირი!..  
მეგობრებს ან აღარ ვსტირი,  
რადგანც შენ დაგემეგობრე:  
ყველამ შენ მოგჭამოს ჭირი!..

ბევრნი ტყვილა თავს იმკობენ,  
კაცნი ვართო, ამაყობენ,  
მაგრამ მხოლოდ შენ გბაძავენ:  
ძალლობენ და ვერ იტყობენ.

უსაქმურად ტყვილა ჰყეფენ,  
საზრდოს სუნით დაეძებენ,  
ძლიერს ფეხებს უსლაქავენ,  
სუსტებს კი საზრდოს სტაცებენ.

ვხედავ, გაძვირდენ კაცები,  
ნაცვლად მრავლობენ მხეცები,  
მაგრამ ბევრნი ვერა ჰხედვენ,  
რადგანც არიან ბეცები!..

ან მე და შენ ვინადიროთ  
და მჭვრეტელნი გავაკვირვოთ:  
მოედანზედ გამოვაგდოთ  
ის მხეცები, დავიჭიროთ.

ჩუ! გამოხტა ერთი მხეცი!  
სსსი!.. ჰკარ მაგას!.. მაგას ეცი!..  
რა მხეცია, ერთი ვნახოთ?  
დამართნია კიდეც ქეცი!..

თავმსხვილაა და შავპირი,  
ჩამოუგდია ქვიქვირი,  
ეხლა ვიცი, ვინც ბრძანდება:  
ბატონია – დიდი ვირი!

ეგ კუდმოკლე, შუბლმაგარი,  
პირუტყვების თავი არი,  
თუმც გარჩევა კი არა აქვს,  
სწორად უჩნს მას მთა და ბარი!..

მეგობრები ჰყავს ათასი,  
თუმც კიტრია მაგის ფასი!..  
შეუტივე მაგ ყურგრძელსა,  
ამუ! ამუ! ჰკარ მაგას!.. სსსი!..

ტყვილად გახლართულა თოკში,  
სჯობს, წაბრძანდეს ვირის ჯოგში!  
„აცე, ვირო! აცე, ვირო!“  
მივაძახოთ „ჩოქში! ჩოქში!“

აბა, კიდევ, ჩემო ძალლო,  
მოუყეფე ახლო-მახლო,  
გამოაგდე მოედანზედ  
მხეცი, კბილი კი არ ახლო!..

ჩუ! გამოხტა!.. ესეც ორი!..  
რა მხეცია? – გახლავსთ ლორი!  
ღრუჩუნითა მოძუნძულობს,  
მსუქნადა აქვს ტანზედ მძორი.

კუდს აპზეს და თავს დაბლა ჰერის,  
მისის დრუნჩით მამულსა სთხრის,  
სხვის ეზოში ნაგავსა სჩხრეს,  
გამოაქვს და შარაზედ ჰყრის.

მაგის ყველას ეშინია,  
რადგანც აქვს დიდი ზვინია,  
თვისას სვრის, სხვის ეზოს სწმენდავს,  
ერთგული და მომჭირნეა!..

ჰკარ მაგას! ნუ შეგეშინდა!  
ეგ ჰირუტყვი ჩვენ ნუ გვინდა!  
წასულია მაგისი დრო,  
მაგის დილა დაიბინდა!

სსსი! ან თავი მოუარე,  
უკბინე და გაამნარე,  
რომ ხალხში ალარ გამოჩნდეს,  
მოძებნოს თავის საღორე!

მოუყეფე! აბა! ეცი!..  
 ჩუ! გამოხტა კიდევ მხეცი!  
 აბა, სცანით, რა მხეცია,  
 თუ არა სართ ყველა ბეცი!

ყურცქებიტინა და კუდგრძელა,  
 მოცუნცულებს ნელა-ნელა!  
 აბა, კარგად გამოვიცნოთ,  
 დავუკვირდეთ მაგას ყველა!

ვხედავთ, ვიცნობთ: გახლავსთ მელა,  
 მაგან ყველა მოგვინელა:  
 არც მტერსა და არც მოყვარეს  
 არ ზოგავს, თუ დაიხელა!..

წინ მეტად შორს იყურება,  
 სხვის ეზოში რომ მიძვრება,  
 და ვაი მაგის მიმდობსა,  
 რა უწყალოდ ტყავი სძვრება!

სხვის ხარჯით გასუქებული,  
 დადის ეგ გაწუნკებული,  
 გაუტანლობით, ღალატით  
 და ეშმაკით ქებული!

სსსი! მურა, მაგას უკბინე!  
 სერი გადაარბენინე!  
 კუდიდამ ტყავი ააძრე  
 და თავზედ გადააფინე!

მოუყეფე! მორბის მგელი,  
 ეგ მყრალი და საძაგელი;  
 სულ მაგისგან ამოვარდა  
 საწყალი ჩვენი სოფელი!..

ურცხვად, უშიშრად ტანტალობს,  
საზრდოს სტაცებს ყველას, ძალობს.  
მაგრამ ვერვინ რას უბედავს,  
რადგან თვითონ ლომი სწყალობს.

მაგრამ ლომსაც მოუვა დრო,  
მოაგონდეს თვისი სორო,  
უტეს ტყეში გლიჯინობდეს,  
აღარ ჰქონდეს ბინა მყუდრო!

მაშინ მგელსაც დაივინყებს,  
ტაცებაზედ ხელს აიღებს  
და, ახლა რომ ფეხებს სლაქავს,  
იგივე ძალლი შეუყეფს.

მოუყეფე კიდევ ჩქარა!  
ანდა ნუ ჰყეფ! ან კი კმარა!..  
თორემ ამ ერთგულებისთვის  
დაგვერქმევა მეტიჩარა!..

დღეს სიმართლეს ვინდა ეძებს?  
დავანებოთ თავი მხეცებს!..  
თუ სუყველა გამოვაგდეთ,  
ცოტას ვნახავთ ჩვენში კაცებს!..

ესე ჩვენი ერთგულება,  
ვფიქრობთ, ბევრს არ ეყურება!..  
მართლისათვის, კარგად ვიცით,  
რომ ბევრი დაგვემდურება!..

მაგრამ შენ, ჩემო ქუცურა,  
ტკბილად მყეფო, კარგო მურა,  
სუყველა შენ გენაცვალოს,  
ვინც ამ ლექსზედ დამემდურა!..

## უდარდო კაცი

ყველასათვის კარგი მსურს,  
ბოროტების მტერი ვარ,  
არ გავივლებ გულში შურს  
და მით ბედნიერი ვარ!

მე ბევრს არას დავეძებ,  
რაც მაქვს ცოტა, ვჯერივარ,  
ქვრივ-ობლებს არას ვსტაცებ,  
ისეც ბედნიერი ვარ!

პატიოსან ოფლსა ვღვრი,  
მეც ერთ მუშათ ვწერივარ;  
უსაქმურებს ვუყვირი:  
„მხედავთ? ბედნიერი ვარ!“

ბატონიც ვარ, ყმაცა ვარ,  
ჩემთვის ყველაფერი ვარ!  
ხომა მხედავთ, რაცა ვარ?  
ვარ და ბედნიერი ვარ!

ხან მაქვს წყალი და პური,  
ხანდახან მშიერი ვარ,  
მაგრამ ბედს არ ვემდური,  
მაინც ბედნიერი ვარ!

მიყვარს გაჭირვებული,  
მეც მისებრ ოხერი ვარ!  
თუმც არ მაქვს გროში ფული,  
მაგრამ ბედნიერი ვარ!

დიდკაცებს თავს არ ვუკრავ,  
– რა მათი საფერი ვარ? –  
უმათოთაც, არ ვფიცავ,  
ჩემათ ბედნიერი ვარ!

სანამდის მაქვს ძალ-ღონე,  
და არცა ხნიერი ვარ,  
ვიძახებ თაგმომწონე:  
„ვარ და ბედნიერი ვარ!“

[1865]

## ჩუ, ქართველო!

ჩუ! ქართველო, ბედნიერო,  
ნუ ამბობ: „მამული მიყვარს!“  
როგორ უნდა დაგიჯერო,  
როს ძმის სისხლით ხელი გიყარს?

მეორეთ ჩუ! შენ – ძმის მტერო,  
„ქრისტიანი ვარ“, ნუ ანბობ!  
როგორ უნდა დაგიჯერო,  
როცა ჭეშმარიტებას ჰგმობა?

მაშ ისევ ჩუ! რჯულის მტერო!  
ნუ ანბობ, რომ ჭკვიანი ხარ!  
როგორ უნდა დაგიჯერო,  
როს ყელამდე მტვერში ზიხარ?

კიდევ გეტყვი: ჩუ, ოხერო!  
„მამაცი ვარ!“ ნუ იძახი!  
როგორ უნდა დაგიჯერო,  
როცა ტყავს გაძრობს მათრახი.

ჩუ! ჩუ და ჩუ, მშვენიერო!  
ნუ ანბობ: „ვარ მე ლამაზი!“  
როგორ უნდა დაგიჯერო –  
სახეზედ გაქვს შურის ხაზი!..

ეჱ, ქართველო – კაცის ჩერო,  
ქართლი შენგან არას ელის ...  
და მაშ როგორ დავიჯერო,  
რომ შვილი ხარ შენ ქართველის!..

[1865]

## მოსაწონი

ნეტავ მის მშობელს!.. რა ყმაწვილია!  
ქართლში პირველი ვაჟიშვილია:  
ყოვლისფერი აქვს, რაც ეჭირვება...  
და მით წინ წავა, უეჭველია!

ტანათ საროა, პირად ვარდია!  
მისგან დაშვენდა მთელი გვარდია,  
სწავლა და ჭკუა ღვთით არა აქვს რა  
და სიმდაბლეშიც ერთობ მარდია.

უფროსთან შიშით მას გული უძგერს,  
მაგრამ უმცროსებს კი რისხვით უბლვერს:  
ტოლს არ გაიტანს, ძირში მოუთხრის,  
საქმეც ბევრი აქვს: სულ ჭორებსა სწერს!

მის თავში ტვინათ ღორის ქონია!  
პატიოსნება ჩინი ჰერინია,  
მისთვის ყოვლისფერს იმასა სწირავს  
და ეს იმისგან მოსაწონია.

ჩუმათ, თუკი რომ ვერვინ გაიგებს,  
ასის წლის ბებერს წინ დაუჩიქებს,  
ეტყვის: „მიყვარხარ, ოჳ, მშვენიერო!“  
და ნაცვლად მისგან ფულებს იჩუქებს.

მაგრამ ამაებს მას ვინ დასძრახავს?  
ცოტა ხნის შემდეგ სუყველა ნახავს,  
რომ დღემდის სხვების ნაცემ-ნატყეპი  
ჩამოვა ჩვენში და ძმებს გალახავს.

მაგრამ ეს ქცევა ვინ დაუწუნოს?  
 მას სურს სკვითები ასიამოვნოს  
 და, აბა, რა ქნას შურით აღვსილმა,  
 თუ ერთი რამეც არ მოიგონოს!

რადგანაც მაგის ბედი ჩინია,  
 ყველას ფეხს ლოკავს, როგორც ფინია,  
 და მოსწონს თავი იმ მოქმედებით,  
 დადის, არავის არ ეშინია.

მაგრამ ჩვენგანსა როცა შეხვდება,  
 მაშინ კი რაღაც ფერი უხდება,  
 რადგანაც იცის, რომ მის კაცობას  
 ჩვენგანი ყველა მალე უხვდება.

ეჰ, რათ ირჯება და რა აწუხებს!  
 ჩვენგანი იმას ხელს არ შეახებს:  
 ისეთ საზიზლარ ქმნილებათ იცნობს,  
 რომ არც იკადრებს, – არ შეაფურთხებს.

[1865]

## პოეტის გული

პოეტის გული  
აღელვებული  
ზღვისა დარია:  
ზვირთებს აგორებს,  
სდგამს ტალღის გორებს,  
თუ ავდარია!..

ღრიალ-გრიალით,  
უცნაურ ძალით  
ცას ემუქრება,  
და მაშინ ნავი,  
მაზედ მბრუნავი,  
მისგან გაქრება!..

მაშ, ღელვისა დროს  
სჯობს მოერიდოს,  
ინავთსაყუდროს,  
რომ გულის წყრომა  
და ტკბილ-დაცხრომა  
მას დააცალოს;

და ისე მის გულს,  
ტკბილ-დამშვიდებულს,  
უფსკრულს და ფართოს,  
თამამად, ნაზად  
და მოსაკაზმად  
ეშნით მიმართოს;

და ხელი ახოს,  
რა მშვიდად ნახოს,  
ვით მშვიდი გვრიტი!..  
ნახოს მის გულში,  
დამშვიდებულში,  
მან მარგალიტი!..

## ცოლუ-მორნმუნება

არ მიყვარს მღვდელი;  
თუ არ მოველი:  
ის რომ შემსვდება,  
გულს რენჩხად მხვდება!

არცა კურდღელი,  
გზის გადამჭრელი;  
ის რომ შემსვდება,  
ფერი მიხდება!

და ვფიცავ რჯულს,  
რომ მიშფოთებს სულს  
სასტიკი მეხი,  
ყოვლის გამტეხი!

მაგრამ ამ ჩემს გულს  
მათზედ უფრო სძულს,  
სიმხნისა მკვეხი,  
მხდალი სომეხი!

[1866]

## გამოცანა

(ვუძღვნი ჩემს მოგვარეს)

ანწლისაგან არ ივარგებს, რომ გაკეთდეს სტვირი,  
ჩოჩრისაგან გაიზრდება მხოლოდ დიდი ვირი;  
საპნითაც არ გათეთრდება კაცის შავი პირი!  
გამოიცანთ, ვიზედ ვამბობ ამას და ვის ვსტირი?

როდესაც ვარდი დასჭკნება, აღარ ჰყეფს ბულბული;  
მეგობრები გვშორდებიან, თუ დაგვაკლდა ფული;  
ლომიც ხშირად გვინახავს ჩვენ კუდმოძუებული!  
აბა მიხვდით, ვიზედ ვამბობ? ვისთვის მიწუხს გული?

არ შვენის ვირს უნაგირი, მოუხდება კეხი;  
ბრიყვი არ დაჭკვიანდება, გინდ გადავლოს ლიხი,  
ლიხს აქეთ თუ „ჩოქში“ უთხრეს, იქ მიელის „ხი, ხი!“  
აბა, სცანით, ვიზედ ვამბობ? ვის უყვარს: ხი! ხი! ხი!

პირუტყვია, თუ გამაგრდა კაცის შუბლზედ კანი,  
ნეტა სწავლას რით იჩემებს, ვისაც უჭირს „ანი“?  
შერცხვეს კაცი ბოროტი და თვის ძმის არ-გამტანი!  
ამ სიტყვებით ვის ვიგონებ, მკითხველო, შენ სცანი.

და ტროადელის გმირისა ვის ჰქვიან სახელი?  
ენა გესლით ვის უყარს და გულში უძევს გველი?  
ახალგაზრდა ქართველების ვინ არს შურით მკვლელი?  
ამის ახსნას გამოცხობით მკითხველისგან ველი!

[1867]

## მოზარე

(ვუძლვნი ჩვენს პოტებს)

როს ჭირისუფლად ვიყავ მწუხარე  
და სატრფო მედვა კუბოში მკვდარი,  
მაშინ მოვიხმე ჩემსას მოზარე  
და ვათქმევინე კუბოზედ ზარი.

„ვაი-ვაის“ ხმა მისი მხეცური  
გულს მიტანჯავდა, იყო უგვანი,  
მაგრამ მე მაინც მივუგდე ყური,  
რადგანც ჩემივე იყო ის პანი.

მოუწვეველად გაჩნდა მღერალი  
და კარს მომადგა ჩანგმომართული;  
გამოიჩინა მგოსნობის ძალი –  
„სალხინო“ სთქვა მან ტკბილი და სრული!

მაგრამ უდროვო მისი ტკბილ-სტვენა  
და უადგილო მისი ჩანგური,  
გავიცხვის ხმებად მე მომეჩვენა  
და მეც მას ნაცვლად ვუძლვენ პანლური!

როს უკადრისი პანლური მოხვდა  
და ჩანჩალითა განვლო ის არე,  
ჩვენი მღერალი მაშინ კი მიხვდა,  
თუ რად მერჩია იმას მოზარე.

შემდეგ ჩემისა იმ მწუხარების  
როდეს გავიდა დიდი დროება,  
ვითა წესია ჩვენის ბუნების,  
მე მოვიქარვე ის მწუხარება.

მოლხენით ვიყავ, მქონდა ქორწილი,  
მხიარულებდენ ჩემი სტუმრები,  
ტკბილ-ბაასი და გულით სიცილი გვქონდა, გვიმღერდენ  
მეჩანგურები.

ჩვენც ლხინისადმი მოუყირჭებლად  
მადა გვეხსნოდა, გვიდიდდებოდა,  
შევექცეოდით და ლხინის მსხვერპლად  
მგრძნობარე გული თითქოს დნებოდა.

ამ დღროს მოგვადგა მოზარე კარზედ  
და შესაზარი დაინყო ზარი, –  
თუმც კარგს კილოზედ სთქვა და კარგს გვარზედ,  
მაგრამ მე მაინც ვუჩვენე კარი!..

ვსთქვი: „ეს მეორედ შემომელახა!..  
ნეტავ მთვრალია თუ გიჟი, ცეტი?“  
მან გულმოსულმა ეს შემომძახა:  
„ქართველებისა ვარ მე პოეტი!“

[1867 ]

\* \* \*

წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მაღონებს,  
მომავალისგან თუმც ბევრს მოველი,  
მაგრამ ბევრია ჩვენში გვამები  
ყოვლის კეთილის ხელის შემშლელი.

როდის იქნება ის დრო, რომ ჩვენში  
ზიზლით თითებით მათ გვიჩვენებდენ  
და საზოგადოდ არ თუ ღირსებას,  
იმათს სახელსაც კი აჩვენებდენ?!

დაუფარავად, პირუთნეველად  
მრისხანედ სჯიდენ სულ იმათ ავზედ,  
და ოდეს მოჰკვდენ, სამაგალითოდ  
ზედ აფურთხებდენ იმათ საფლავზედ.

[1867 ]

**რჩევა**  
(ზოგიერთების საპასუხოდ)

„შენი გზა აღმაფრენაა  
და მარტო ჩანვი – ხელობა!  
დაბლა ქვეყანას რას არგებს  
შენი ზრუნვა და მსჯელობა?“

ეს საქვეშქვეშო ქვეყანა  
ჩვენ უკეთ შეგვისწავლია:  
ვიცით, შიგ რაცა სთესია,  
რა გალავანიც ავლია.

ჰაერში მოჭიკიკე ხარ,  
ზეანატაცი ტოროლა!  
ქვეყანას ზოგიერთები  
ვეყოფით თვითო-ოროლა.

ჩვენ დაგვაცადე! ჩვენ ვიცით,  
რაც უნდა ჩვენსა მხარესა,  
შენ წადი და ესაუბრე  
ვარსკვლავებს, მზეს და მთვარესა!“

ასე ურჩევდენ მგოსანსა  
ხოხონიკა და ტეტია:  
ერთი მათგანი ბრიყვია  
და მეორე კი ცეტია!

ჯერ არ იციან არც ერთმა,  
თუ რა ხილია ხურმაო!  
„ჩემზე მეტს რომ იწველიდეს,  
დამწიხლოს მე იმ ფურმაო!“

## დიდი ვინმე

გზა მომეცი! ჩამოდექი!  
ხომ ხედავ, არ გეხუმრები?  
ჩემს მშობლის მკვლელსა ვახლავარ  
და იმას ვემსახურები!..

არ მცალიან... მეჩეარება:  
გასალესად მაძლევს დანას  
და მით ჩემს ძმებს ყელებს დასჭრის  
ჩუმად... ცხადად ეტყვის „ნანას“.

მე კი სრულად გამაკეთებს,  
ერთგულად რომ დამისახავს;  
და საბრალო ჩვენი ერიც,  
დიდკაცად რომ დამინახავს,

მუხლს მომიყრის, თაყვანსა მცემს,  
დამაფასებს ქვეყნის ცალად  
და მომავალ თაობისთვის  
გამომსახავს იდეალად!

მეც ის მინდა!.. მეც იქ შევალ,  
სადაც ტებილა, სადაც თბილა!  
თორემ, თუ მე არ ვიქნები,  
ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა!

გზა მომეცი! ჩამოდექი!  
გამოცქვიტე ან ყურები!  
ხომ შეიტყეთ, ვის ვახლავარ  
და ან ვის ვემსახურები!!

[1867]

## პასუხი „პარასკევია, ვერ მოგართვისზე“

მაგ ქალს რომ არ ეკადრება,  
იმისთანა ზნე სწევევია:  
გულით კვირა ენატრება,  
სიტყვით კი პარასკევია.

სწორედ კარგად შეუტყვია,  
თავის თავი გამოჰხატა:  
ვინ არ იცის, ეგ ძეხვია!  
მაგრამ ჩვენ როდი ვართ კატა?!

იმ ქვეყანას, სად ქათამი  
და ხოხობი ბევრი ჯდება,  
გინდ პირიქით გასცეს ქრთამი,  
ძეხვისთვის ვინ გაგიჟდება,

თუ არ ყრუ და თვალ-დამდგარი,  
მაიმახი, თავის მტერი,  
უღირსი და უმაძლარი,  
წუნკი ძალლის შესაფერი?

მაგრამ მაგან თუკი ნახოს,  
ლმერთს მადლობა უნდა სწიროს,  
„პარასკევი“ არ იმარხოს,  
„კვირააო“ დაიყვიროს.

თორემ თუ დარჩა თაროზე,  
ხომ იცით, რა იზამს ძეხვი?  
აყროლდება ის ერთ დროზე  
უსარგებლოდ, როგორც ნეხვი.

**მოთქმა შვილზედ**  
 (ცოტა ჭკუაზედ არეულობის დროს)

მესმის უცხო ხმა პირველად, მაგრამ რა გასაგონია?  
 მლოცავენ ჩემი მშობლები: „აღარ გყავს შენი სონია!“  
 მაგრამ სიხარბით ამბობენ, შვილს შემეშურენ, მგონია,  
 თვარა რას მერჩის სოფო? ჩემგან რა წყენა ჰქონია?

ჩემს დებსაც შავი ჩაუცვამთ, ცრემლებსა ღვრიან თავ-ხრილი,  
 საამოს ხმითა მახარეს: „დაჲკარგე, ძმაო, დღეს შვილი!..“  
 მაგრამ ვიცი, მატყუებენ, ხალისობენ ვით ყმაწვილი!  
 ხუმრობაა, თუმც არ არის დღეს კი პირველი აპრილი!

ვხედავ, ძმაც ამათკენ არის, ერთობით შეუკრავთ პირი.  
 მაგრამ არც ჩემს ძმას ვუჯერი! ნუ აქტიორობ! ნუ სტირი!  
 სუნნელსა კოკობსა ვარდსა არ გახმობია ჯერ ძირი,  
 მე დავენაცვლე სოფოს, მე ვირგე იმისი ჭირი.

პირველ მე მმართებს სტუმრობა, ჯერ მე მეწვევა სიკვდილი,  
 მაშინ სოფო შემსუდრავს, მიტირებს თავ-თმა-გაშლილი.  
 მაგრამ თქვენ მაინც ნუ ხუმრობთ! არ მაქვს ეგ კარგათ დაცდილი,  
 გირჩევთ, სულ სხვაზედ იხუმროთ და აიტეხოთ სიცილი!

ნუ გიკვირსთ მაგის თვალხუჭვა, ვერ ხედავთ, რომ დაიძინა?  
 მოსწყინდა ლოგინზედ წოლა და კუბოში აქვს ან ბინა!  
 ამისთვის ნუ სტირთ, ნუ ხუმრობთ.: არ მოსწონს თქვენი „მზეშინა“.  
 ბანი მითხარით მამასა, მე უნდა ვუთხრა „ნანინა“!

„ნანინა! შვილო, ნანინა! ნანა, ამელამ იძინე!  
 დილით კი ადრე წამოდექ, ჯერ ჩემთან მოდი, მიცინე.  
 მერე დედასთან მიიჭერ და ძუძუებზედ უბნეინე,  
 ამოუკოცნე თვალები, ცრემლები აშვრე, ამცხივნე!

მიუტიკტიკე: „დედა-თქო! რისთვის ხარ შენ თმაგაშლილი!  
ადრე ხომ თეთრი გიყვარდა, ან რათ ხარ შავით მოსილი?  
ტანჯვასაც გატყობ სახეზედ, სჩანს, დაგვლებია შენ ძილი?  
ვაითუ, მე ვარ მიზეზი! ნუ ჯავრობ, ვარ ჯერ ყმაწვილი!“

მერე ბებიას ესტუმრე, ხატი მოსთხოვე, აკოცე!  
და რომ მოგშორდეს, ზურგს უკან ენა უჩვენე... გვაოცე!  
პაპასაც თვალი უქნიე, წვერებში ხელი მოსტაცე,  
რადგანც ამგვარი ალერსი უყვარსთ! ცრემლებიც მით ჰხოცე.

შენს მამიდებსაც შეჰვედრე, დაგიკან ჩვეული ტაში,  
გალხინონ, რადგანც იციან, რომ გიყვარს, შვილო, თამაში.  
თუმც გასაკვირი კი არის ეგ თვალთმაქცობა შენს ხანში,  
მაგრამ ნახვენ, რომ ვერავინ გაჯობებს ხელების შლაში.

მაგრამ, ვაიმე, რას ვხედავ: რაც მითხრეს, ახლა კი მჯერა;  
გადამწყვეტია მამაშენს მე ჩემი ბედი და წერა! –  
სხვაფრივ მიმართებს მოლხენა, სხვა ხმაზედ მშვენის სიმღერა,  
სხვაგვარი ალი მედება, სხვა რიგათ მაქვს გულის ძგერა!

დადუმებია ბაგები, კოცნას ან ველარ შეიძლებს!  
პატარა ლამაზ გულ-მკერდზედ რათ იჭდობს სონია ხელებს?  
ის მოტიკტიკე ენაცა, გაჩერებია! – გვახელებს! –  
თვითონ მომქვდარა და ჩვენ კი არც გვკლავს და ალარც  
გვაცოცხლებს!

შვილო! დედ-მამის მტერობა, აბა, რა მოსაწონია!  
მაგრამ შენ მშობლებისაგან მაგ გულში წყენა გქონია?  
თვარა ამგვარი უბრობა სხვისგან ვის გაუგონია?  
შენი ნება! არ გაწყენთ! მშვიდობით, ჩემო სონია.

დ. 1866 წელსა მაისის 27, პარასკევი,  
გ. 8-ს დეკემბერს 1867-ს პარასკევს.

## სომხებს

სომხური აწა-პაწანი  
ცუდი გასაგონია:  
გალობას რომ ამბობდენ,  
პრაწა-პრუწი გვინია.

ან რა კომერციაა  
მათებური შეძენა,  
სხვების გლეჯა, კოტრობა  
და ან ცეცხლის გაჩენა?

მაგრამ მათ კი ამ ყოფით  
თავი მოაქვსთ ჭკვიანად  
და ჰსურსთ რომ საქართველო  
ჩაჰყლაპონ შურიანად.

რაკი რომ ამ ჩვენ ტფილისს  
„ტიფხისი“ დაუძახეს,  
ჰგონიათ, თუ ქართველი  
სახლიდან გაუძახეს.

ქართველების ზრდილობა  
მათ სიბრიყვე ჰგონიათ  
და ალბათ ლათაია  
ჯერ არ გაუგონიათ.

სომეხო, გიჯობსა ნებით,  
რომ იღებდე ჩემზე ხელს,  
თორემ თუ არ მომეშვი,  
გამოგიხტუნებ კურდლელს.

და მაშინ არ თუ პირით,  
მუცლითაც იტყვი სომხურს  
და შენი ჰაისტანი  
საკუთრად დაგიგდებს ყურს.

## მეგრული ალელორია

დიდ ირემსა ირმის ნუკრი  
უმდაბლესად ვუძღვნი სალამს,  
ბზეს მივართმევ, ქერს დავუყრი,  
ნეტავ თვის ჯიშს რაღად მალავს?

საცნობია, ხომ ყურებით,  
ვინც ბრძანდება, რა გვარია?  
მაგრამ არ დავემდურებით,  
ყურგრძელის მეგობარია!

ირმის ნუკრსა ცილსა სწამებს,  
ემუქრება ჩუმად კბენას,  
მით მეგობარს ასიამებს,  
მაგრამ ტყვილად ჰლალავს ენას!

ჩემობს ქორბუდიანობას,  
ყურები რქად მიუღია,  
იმტკიცებს კუდიანობას,  
უქმად პირი დაუღია!

ჭეშმარიტების მტერია,  
სჩანს, ყურგრძელის არს ამყოლი,  
და შუბლზედაც აწერია  
სხვილ ასოთი: დიდი ნოლი.

15 იანვარს, 1868 წ.

### ნინო

ვუძღვნი დ. ბერიევს

ჰე, ლოთებო, ვის უნახავს  
გოგო, ჩემი საყვარელი?  
გეფიცებით, სხვას არა ჰგავს,  
არავინ ჰყავს სადარელი!..

ვენაცვალე ჩემსა ნინოს:  
ძმობას ვფიცავ, შემიყვარდა!  
მდიდარი კი არ გეგონოსთ:  
მხოლოდ ერთი აქვს ხაბარდა!..

ადრე თუმცა მდიდრად იყო,  
თვლებიც ბევრი კი ჰქონია,  
მაგრამ ბოლოს ხელი მიჰყო,  
საყვარლებში გააბნია!

და მის შემდეგ ამის ტანზედ  
ალარ ცმულა კაბად ფარჩა!  
ახლა მღერს სულ სხვა საგანზედ,  
ერთი ხაბარდალა დარჩა!..

მაგრამ არის სულ სხვა ქალი!  
ერთხელ მცივანს შემეყარა,  
ამივარდა მე კანკალი,  
მანც ხაბარდა დამაფარა!

ჩემს ნინუცას ვენაცვალე!  
ჰედავთ, როგორ შემიყვარა!  
რომ გავეთბე გოგოს მალე  
მე ხაბარდა დამაფარა!..

ახლა მჭორვენ, – მაგრამ მიკვირს! –  
ნუთუ მე მან არ მიკმარა,  
გასცა და იმ საძაგელს ვირს  
პირიქითვე ჩაუყარა?!?

და არ ნაღვლობს ფულისათვის!  
ეშმაკისა რამ ხიდია!..  
ჰედავთ, სხვისი გულისათვის  
ხაბარდაც გაუყიდია!!

პერანგიც შემოჰევია,  
იჩენს გულმკერდის სითეთრეს,  
ნაოჭიც აუწევია,  
აცხადებს, რაც აქვს, სიმდიდრეს...

ეს ტურფა გოგო ლამაზი,  
დღეს თუმცა ქვეყნის ბარგია,  
არ დაჰკარგვია მით ფასი,  
უხაბარდოდაც ვარგია!..

გამოუჩინდება მშველელი,  
დრო იქნება, მისცემს ფულებს,  
მაგრამ ვინმე საყვარელი  
საწყალს კიდევ გააშიშვლებს!

და ჩემი ლამაზი ნინო  
დარჩება სულ მარტოდმარტო!  
შეიქნება სასაცინო  
და მოკვდება უხაბარდო!..

20 იანვარს [1868]

\* \* \*

ეჰ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?  
 მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზედ წინა ხარ,  
 უცხო კაცად არ ვარგხარ, აღარცარა შინა ხარ,  
 ორთა შუა აგდიხარ, სანაგველას ფინა ხარ!

ჯერ ქართულიც არ იცი, უცხოს რაღას ედები?  
 სიარულიც რომ გიჭირს, მალლა რაღაზე ჰეტები?  
 სულ ბევრიც რომ იხტუნო, წელს ზევით ვერ ახტები,  
 დაეცემი, მერნმუნე, სასაცილო გახდები.

პირში მთქმელი არ გიყვარს, მართლისთვის ილანძლები,  
 თუ გშია, პატრიოტობ, შენ მოძმებსაც უწყრები,  
 მაგრამ მაშინ კი სხვა ხარ, როდესაც გამოძლები:  
 თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი – ფეხები.

[1868]

## მაზურკის ხმა

გრძნობით ალვესილი დარია,  
თვით ანგელოზის დარია,  
ვისაც ის სხივებს მიაფენს,  
მის გულში მაშინ დარია.

მაისის ვარდის ფერია  
ცით მოვლენილი ფერია,  
შედარებითა ვენერაც  
იმასთან არაფერია.

მას ვუძლვნათ სული და გული,  
მისგან დამწვარი, დაგული,  
სიცოცხლეც ფიანდაზადა  
მის წინაშე ვყოთ დაგული.

თაფლს ბუდედ ჰქონდა მანანა,  
ვინც მე სიცოცხლე მანანა,  
ისაა გრძნობის დამტკბობი,  
ვით უდაბნოში მანანა.

სიცოცხლისა შენ იმედო,  
გულს ისარი შენი მედო,  
ანგელოზებრ გიტრფიალებ,  
მე გეძმობი, შენ კი მედო.

15 თებერვალს, 1868 წ.

## დიდი პოეტების მიბაძვა

აახ! ოხ! უხ! ვაი და ვუი!  
 ვაი და ვუი! ოხ! ახ! უხ!  
 ოჰ, რა გულსაკლავად ვზუი!  
 გინდ დარიც იყოს, მაინც ვქუხ!

ეს ჩემი ანწლის ჩანგური  
 ცხო მხარეს არს გათლილი,  
 უნდა ვიმღერო კატური,  
 რომ დაგიკარგოთ მით ძილი!..

სხვა სჯულზედ მოვრთავ ამ ჩემ ჩანგს,  
 სიმებს შევუყენებ ჯორას,  
 მსმენელს მოვსდებ ყურებში ჯანგს,  
 დავსდგამ „ვაის“ მაღალ ხორას!

უცხო-უცხო ქვეყნის პირებს  
 გადავაცვამ ქართულ კაბას,  
 თათრებს ვალოცებ ჩვენ ხატებს,  
 ქრისტიანს გავგზავნი ქაბას.

„ვაის“, „ვუის“ გავახშირებ,  
 ვიყვირებ: „მგელი მიაქვს კრავს!“  
 ცოცხლებზე ძველ მკვდრებს ვატირებ  
 და დროებაც ტაშს დამიკრავს.

მაშ, აწ თქვენც დამიგდეთ ყური,  
 მინდა მოგალხინოთ ზარით,  
 და თუ გულში არ გაქვთ შური,  
 გთხოვთ, თქვენც ტაში დამიკარით:

„აგვისტო არის, ამდგარა მტვერი  
და სიცხისაგან იწვის ქვეყანა,  
თითქო უწყალო ის ჩვენი მტერი  
თავს დაგვტრიალებს შავი სატანა,

რომ ჯოჯოხეთის მცხარის სხივებით  
გამომეტებით დაგვწვას, დაგვდაგოს,  
სისხლი გვიღელვოს ბოროტის ვწეპით  
და უთავბოლოდ ჩვენ გვაქადაგოს.

ბზუილ-ბზუილით პირსა და ცხვირში  
გვებენენ უწყალოდ ჩვენ კოლოები,  
როგორც ბნელს ლამეს სადმე ხის ძირში  
უხაპარდოდა... აჲ! გოგოები!..

ფრთებჩამოყრილი სჩანს მაღალ ხიდან  
და ძლივსლა ჰსუნთქავს მარდი მიმინო,  
ვით წამოსული ორთაჭალიდან  
ქეიფის შემდეგ ლამაზი ნინო.

ხის ქეშაც ძალლი დიდ-გულმოსული,  
გაბრაზებული ულრენს მკბენარ მწერს,  
თითქოს პოეტი თვით-გამსჭვალული  
მტერთ გასაგმირად სატირასა სწერს.

ყურგრძელი ვირი თავდაქინდრული  
აგერ ჩეროში გამდგარა განზედ,  
როგორც პლატონი, სიბრძნითა სრული,  
ჰფიქრობს რაღაცა მაღალ საგანზედ.

მხოლოდ მუშაკი ტვირთმოდებული  
ქუჩაში მოდის ფეხებშიშველა,  
არვის შესტკივა საწყალზედ გული,  
არავის უნდა საბრალოს შველა!

სიცივე იყოს, თუ გინდა სიცხე,  
ვერ მოისვენებს, მისთვის ერთია!  
იშრომე, ძმაო, კუჭი გაიძლე,  
შენ შემწედ მხოლოდ ერთი ღმერთია.

გიჭირს, იყიდო შენ საზრდო პური,  
მაგრამ ნუ შიშობ, სჯობს, დამიჯერე,  
აი, რას გეტყვი, დამიგდე ყური:  
ჩვენი თხზულება გამოიწერე!

და იქ შეიტყობ, ვით ვასრულებთ ვალს:  
ჩვენ ვფიქრობთ მუდამ თქვენ კარგს და ავზედ,  
და სამკურნალოდ ფეხების წამალს  
ტირილით გადებთ უტკივარ თავზედ,

რადგანაც კაცის ბედნიერება  
ჩვენ მარტო თავში არ გვეგულება:  
კაცი ფეხებით დაიარება  
და, მაშ, იქ არის მიმართულება!“

[1868 ]

## ჩემს მუზას

უცხო სტუმარო, ხომ გახსოვს, პირველ რომ გამომეცხადე, მომეც ალთექმითი კავშირი, ტკბილი ცხოვრება მიქადე, მით გრძნობა ტკბილი, უცნობი, უცნაურ ძალით მებადე, მონა მყავ შენის ნებისა, ძალით ამხადე პირბადე.

მის შემდეგ ჩვენის კავშირით რა ერთხელ მომილხენია!.. შენთან კოცნაში დამდნარვარ, ტკბილი ცრემლები მდენია! სულ ვარდსა ვკრეფდი, ყორნის ხმაც ბულბულის სტვენად მსმენია, ბნელ ღამეშიაც, მნათობო, გულს შენი სხივი მფენია!..

დიდხანს გმონებდი, ლამაზო, ნათლის სპეტაკით მოსილსა, გულს ფიანდაზად გიგებდი, შენის სურვილით აღვსილსა, ყელი-ყელს გადაჭდობილი, ნებით ვიფრთხობდი ტკბილ ძილსა, მოუყირჭებლად შევსვამდით ფიალით შარბათსა ტკბილსა.

დღეს სხვაგვარად გჭვრეტ, ნაცნობო, ტანი გიმოსავს შავითა, აღარ გიცინის ეგ სახე, დამტირი მოხრილ თავითა! ნუთუ სოფელმან დაგვძლია მისის ძლიერის დავითა, გასწყვიტა შვების სიმები ზუილით გულსაკლავითა?

ადრინდელივით ლამაზი, ბულბული, გავსილი მთვარე, ვერ მახარებენ, დამეხშო გული, ვით ბნელი სამარე! – ნაცვლად ლხინისა ჭირსა ვმეკი, შარბათის წილ ვსვი ძირმწარე! სადღა ხარ, ლხინის მოყვასო?.. ან ჭირიც გაიზიარე!..

ჯერ ცოცხალ-მკვდარი ჩემებრი ჭაბუკი არსად ნახულა: ცოცხლადვე მიხვდი ჯოჯოხეთს, ჩემს გულში გამოსახულა! უდროვოდ სიკვდილსა ვსწყევლი, სიცოცხლემ თავი მაძულა, მას შემდეგ, რა ის აღარ მყავს, მომიკვდა და დამარხულა!..

სახალხოთ ძალით მოცინარს, ნაღვლით მაქვს გული ვსებული, და გინდ ერთბამად მომფინოს სოფელმან თვის სიხარული, უკვდავით მაინც ვერ მკურნავს, ვიტანჯვი სევდით შეკრული, რა ანგელოსი გამიქრა და თან წამილო გლახ-გული.

## ციცინათელა

ჩემო ციცინათელა!  
 რად მიპჰრენ ნელა-ნელა?  
 შენმა შორით ნათებამ  
 დამწვა და დამანელა!

ანათებ და კარგი ხარ,  
 მე თუმც არას მარგიხარ!!  
 ჩემი იყო, ის მინდა,  
 შენ კი სხვისი ბარგი ხარ!..

აბრეშუმის პეპელა,  
 ფუტკარი და წურბელა,  
 შენზედ სარგებლიანი  
 შენ გენაცვალოს ყველა!..

წურბელა მკურნალია,  
 მაგრამ ცოტა მყრალია...  
 მშიერი – სისხლის მტერი,  
 რომ გაძლება – მთვრალია!..

მაშ, რად მინდა წურბელა?  
 მან გული დამიბნელა!  
 ისევ შენ და ისევ შენ,  
 ჩემო ციცინათელა!..

მეორე თაფლს და სანთელს  
 გვიყეთებს და სარგებელს  
 მით გვაძლევს, მაგრამ კბენით  
 გვისივებს ცხვირ-პირს და ხელს!

მაშ, რად მინდა ფუტკარი,  
 მკბენარი, მოისარი?  
 ისევ ციცინათელა,  
 უწყინარი ის არი!

მესამე ტანს გვიმოსავს  
წყნარია და არ იქმს ავს,  
მაგრამ უგნურებითა  
პარკში იღრჩობს თავის თავს!

მაშ, რად მინდა პეპელი,  
უგნურად თავის მკვლელი,  
და როგორ არ მერჩიოს  
მასაც ციცინათელი?

ჩემო ციცინათელა,  
საით ჰფრენ ნელა-ნელა?  
მე ვარ შენი ერთგული,  
სხვა მოგატყუებს ყველა.

მებრალები, კარგი ხარ!  
და, ვაი! სხვის ბარგი ხარ!  
სხვებს ბნელშიაც უნათებ,  
მე კი დღეც არ მარგიხარ.

ნეტაც, რისა გაქვს რიდი?  
ჩემსკენაც გამოფრინდი,  
ნათელი მომაფინე,  
მეც გამინათე ბინდი!

კმა, რაც დღემდის ვინამე;  
ან საყვარლად მინამე  
და მაშინ შენს სიყვარულს  
დამავიწყებს მინა მე..

ჩემო ციცინათელა,  
სადღა ჰფრენ ნელა-ნელა?  
შენმა შორ-შორ ნათებამ  
უდროოდ დამანელა!..

[1869]

## პასუხი მაცდურს

მისთვის ვეღარ ვმღერ, როგორც ბულბული,  
რომ გულში ვარდი აღარ მიყვავა...  
მის ნაცვლად ეკლით ამევსო გული  
და ზედ ყორანი შავი დამჩხავა!

ეს არის ჩემი შავ-ბედის წერა,  
მოძმეულისგან გამოკვებული,  
მისთვის ალარ აქვს ჩემს გულს ტკბილ-ძგერა,  
სევდის ჯაჭვითა არის დაბმული.

მეხსიერება დროსაა წარსულსა  
უსუსტრად, მტრულად მარად მაგონებს,  
მით მომავალი მიშფოთებს სულსა,  
წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მაღონებს.

ჰოი, სად ხარ, დროვ, ოდეს ეთერსა,  
ვით ტრფობის ქალ-ლმერთს, თაყვანი ვეცი?  
მაშინ მოყვასად ვრაცხდი თვით მტერსა  
და სიცოცხლეცა მქონდა ორკეცი.

არ მითქვამს მისთვის: „მიყვარხარ, ქალო!“  
არც იმას უთქვამს, თუ: მამწონხარო, –  
თურმე ჩუმი ხარ, ტრფობისა ძალო,  
ვით უკვდავების მკურნალო წყარო.

რომლის მიგნებას და დაწაფებას  
ბევრს არ ანიჭებს ნუგეშად ლმერთი!  
იგემებს მხოლოდ ამ ნეტარებას  
მისგან რჩეული ათასში ერთი!

სატრაფოსა გულსა ჩუმი ტრაფიალით  
მიიზიდავდა ძგერით ეს გული,  
თითქოს ვიყავით უცნაურ ძალით  
ერთმანეთისთვის დაბადებული!

დღეს კი ამაო იქმნა ეს ფიქრი,  
მე დავრჩი ობლად, შენ გამეყარე,  
მაგრამ შენ გმონებ მაინც, თუმც განჰქირი, –  
გულს მახატია შენი სამარე.

და საფლავის ქვას რომ წარმოვიდგენ,  
რომელზედაცა ასე სწერია:  
„წეტარნი დღენი ადრე წავიდენ,  
შენი ეთერი დღეს აქ მტვერია“, –

მაშინ ხელიდან მვარდება ჩანგი,  
რომელზედაცა წალველს ცრემლად ვლვრი,  
მისგან ედება სიმებსა ჯანგი  
და იმიტომაც ალარას ვმლერი!

[1869 წ. 12 სექტემბრამდე]

## რჩევა ახალგაზრდა მწერლებს

ააჭიჭინე აჭი-ბაჭია,  
მართალს, ჭკვიანურს ნურას იმღერი,  
თორემ გამოჰერავს შენს ჩანგს, ვით ჭია,  
ჭკუის მტარვალი ტვინმეისტერი.

როგორ არ იცი? ჩვენში მართალი  
ისე წამხდარა და სცვლია ფერი,  
როგორც ურის მყრალი ფართალი!  
ამას გვიმტკიცებს ტვინმეისტერი!

მაგრამ სიცრუეს და ორპირობას  
მარად თაყვანს სცემს ერი და ბერი,  
და ვინც არა სცემს – სჩადის ვირობას!  
ამას გვარწმუნებს ტვინმეისტერი!

შენ ხარ პოეტი – ცხოვრების სარკე,  
სადაც იხატვის ყოველიფერი,  
მაგრამ ნუ ხატავ ყველას, თავს არგე!  
ნუ გადიმტერე ტვინმეისტერი!

„ყარყუმს რა მოჰკლავს? – თავისი ენა!“  
ვინ გეხვენება შენ, რომ იმღერი?  
ყველას მაგისტვის ჰსურს შენი წყენა  
და მას გინყრება ტვინმეისტერი!

შენ თუ ხალხს სძულხარ, შენ რაღად გიყვარს?  
წყალმაც წაილოს მთლად ქვრივ-ოხერი!  
შენ რა გატირებს? რად მოჰყვები ზარს?  
ამას გინყრება ტვინმეისტერი!

ტყვილად ნუ სცდილობ დიდკაცის გმობას,  
გინდ მამულისა იყოს ის მტერი,  
თორემ შეცდები, – ვფიცავ შენს ძმობას! –  
და გაგიწყრება ტვინმეისტერი!

სჯობს, ნუ დასცინებ ხელჯოხიანებს,  
გინდა შიგ თავშიც უფრენდეს მწყერი,  
თორემ იცოდე, რომ გაზიანებს  
და გაგიწყრება ტვინმეისტერი!

ხალხში სამართალს ტყვილა ნუ ელი!  
თუ გსურს, არ მოჰკვდე ჩვენში მშიერი,  
ფარისევლობას მიჰყავი ხელი  
და მოგიწონებს ტვინმეისტერი!

ხელჯოხიანებს სიტყვა თუ ფული  
წინ დაუყარე, როგორც ცხენს ქერი,  
თუ გსურს, მოიგო იმათი გული  
და ასიამო ტვინმეისტერი!

დიდკაცს რომ შეხვდე, წინ გაუგორდი,  
ზურგით ასწმინდე მის ფერხთა მტვერი,  
უმცროსი სჩაგრე, ტოლს გაუსწორდი  
და დაგიმადლებს ტვინმეისტერი!

ბანზე შეაგდე შენი კალამი,  
რომ დაეყაროს ბლომად მას მტვერი,  
თუ გსურს, მიიღო ხალხის სალამი  
და შეირიგო ტვინმეისტერი!

ააჭიჭინე აჭი-ბაჭია!  
მართალს, ჭკვიანურს ნურას იმღერი,  
თორემ გამოჰხრავს შენს ჩანგს, ვით ჭია,  
ჭკუის მტარვალი ტვინმეისტერი!

[1869 წ. 12 სექტემბრამდე]

## ზოგიერთების ლოცვა

სულო ბოროტო! შენდა მოვილტვი,  
ბედნიერებას არ გთხოვ, ნუ მომცემ!  
შენგან წყალობად იმას მივითვლი,  
თუ ჩემს მოძმეებს როგორმე დასცემ!

გაქებ, გადიდებ, სულო ბოროტო,  
მუხლმოყრით ყოველ დამე გილოცავ,  
თუ ეცდები და ჩემს მოძმეებსა  
პატიოსნებას ამოუხოცავ!

შენდა პატივად აღთქმასაც დავსდებ,  
ხმელა წყალ-პურზე მე ვიმარხულებ,  
თუ იმდენსაც იქმ, რომ ქართველებსა  
ერთიერთმანეთს შენ შეაძულებ!

შიშველი ვივლი, წყურვილს მოვიკლავ,  
შიმშილს მოვითმენ და არ ვითხოვ პურს,  
მხოლოდ უსაქმოდ ნუ დამაყენებ  
და ნუ გამოლევ ამ ჩემს გულში შურს!

მომეცი მხოლოდ იმდენი სწავლა,  
ხერხი, გონების განვითარება,  
რომ მე შემეძლოს ხალხის დაჩაგვრა  
და მით გულს მივსცე მე ნეტარება!

პირმოთნეობის, მოლალატობის  
და ორპირობის მომმატე ნიჭი,  
რომ ვიმოქმედო ჩვენს ქვეყანაში  
და თანდათან წინ წავადგა ბიჯი!

სულო ბოროტო! ეს აღმისრულე  
და მეტს არ ვითხოვ შენგან დიდებას!  
მაშინ შენც ჰანახავ, რომ ყველა ერთხმად  
მე დამიწყებენ ჩვენში დიდს ქებას.

[1869 წ. 12 სექტემბრამდე]

## ძველ სატრფოს

თუ გსურს, გეტრფოდე ძველებურათა  
და კვალად გრძნობით აღვივსო გული,  
მაშ, გევედრები, უცნაურათა  
რომ დამიბრუნო მე გაზაფხული.

რომ ეს საბრალო, კოდვილი გული  
შამბნარის წილად მექცეს ვარდნარად,  
რომ ზედ უსუსტრად იჯდეს ბულბული  
და შენს სიყვარულს უყეფდეს მარად.

განაქრე ჩემი გამოცდილება,  
მით ამიხვივ გონების თვალი,  
რომ შენებრივი – მაცთურ ქმნილება –  
კვლავ ანგელოზათ მიმაჩნდეს ქალი.

რომ უგნურებით შევიქმნე კრული,  
ქალთა ბუნების მიმზადე ცნობა,  
რომ დავიჯერო კვლავ სიყვარული  
და ვალვიარო ქალისა გრძნობა.

და ვსთქვა: ეს გრძნობა გულის მაძგერი  
სიკვდილის დღემდე მექმნეს მე ფარად,  
არ არს სხვებსავით ეს წამიერი,  
ამან მიმონოს მარად და შარად.

მომხიბლე, ქალო, მომეც სიამე,  
ეს მოტყუება იქმნება ტებილი,  
სიცოცხლეც მექმნეს გინდ ერთი წამი  
და წამის შემდეგ მწარე სიკვდილი.

მაგრამ, ვაიმე, გამოცდილება  
დღეს აღმოუჩნდა გლახ-გრძნობას მტერად,  
ჩემს სიხარულსა ის ეცილება,  
ოცნება ჩემი გაპფანტა მტვერად.

ან ჭაბუკობის შარბათს ვერ შევსვამ,  
გაზაფხულს კვალად აღარ მოველი,  
გულს ვარდის ნაცვლად ეკლით ვიმოსავ  
და სასმელათ მაქვს მწარე ნაღველი.

მაშ, ვითლა გეტრფო ძველებურათა?  
ვითლა აღვივსო ტრფობითა გული?  
უმჯობესია, რომ და-ძმურათა  
ვიქმნეთ ორნივე შეთვისებული.

[1869 წ. 12 სექტემბრამდე]

## ზოგიერთების მამაო ჩვენო

ლოცულობს: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ შენ ცათა შინა“,  
გულში ფიქრობს: წუხელის შურით მთელი ლამე არ დამეძინა.

- „წმინდა იყავ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი“,
- ვაი, რათ არის ჩემი მოძმე ჩემზე უფრო ბევრის შემძენი?
  
- „იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“,  
სასტიკმა სენმა ამოუწყვიტოს შვილები, ძმები, მამა და დედა!
  
- „პური ჩვენი არსებისა, მოგვეც ჩვენ დღეს“,  
ნეტამც, შემეძლოს, ავაოხრებდი მთლად ამ ჩვენს კუთხეს!
  
- „და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი“,  
ძმაზედ დანოსი შევიტანე დღეს, კარგად ვქენი!
  
- „ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“,  
ოჳ, რომ შემეძლოს გაუჩენდი მათ სხვადასხვა სენთა!
  
- „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ  
ბოროტისაგან“,  
ოლონდ ის წახდეს, ვთხოვ ლვთისმშობელსა, და მეც დავმარცხდე  
ეშმაკისაგან.

1869 წ.

## გიორგის ალსარება

ადრე ყოფილა ჩემი გვარი „ქართველიშვილი“,  
შემდეგ მეძახდენ „გურჯიოლლის“ დიდხანს თათრები,  
დღეს კი „გრუზინსკით“ შევიქენი მე გარდაქმნილი, –  
სულ დამეკარგა გვარ-ტომობის ძველი დავთრები!

მამა ყოფილა ჩემი თურმე მამაცი, სრული,  
მტრისა მებრძოლი, გულადი და შეუპოვარი;  
ბრძოლის ველზედა სისხლით იყო ის დაწურული,  
ბარათაშვილმა მისთვის მორთო უკვდავი ქნარი!

დედაჩემიცა ქალი იყო სულით მაღალი,  
მამულისათვის შვილის მზრდელი სისხლის სათხევლად!  
მას აუხსნია შვილებისთვის მათ-მათი ვალი,  
ისინი ჩხუბში დახოცილან, მე დავრჩი მძევლად...

ჯერ არ შემეძლო მომეხმარა კარგად ფარ-ხმალი,  
როდესაც მამა ბრძოლის ველზედ სისხლად დასწურეს!  
იმან ქართულად აასრულა მით თვისი ვალი,  
ყიზილბაშებმა ტფილისისკენ რომ მოაშურეს.

დედამ ოდეს სცნა ეს ამბავი, მას ელდა ეცა,  
ველარ გაუძლო იმდენ ჯავრსა, მუცელს გადაჰყვა!  
ასე ჩვენს ოჯახს გაურისხდა სასტიკად ზეცა, –  
მე დავრჩი იბლად და მომვლელიც ალარავინ მყვა.

მაშინ ხელთ მიგდო ვიღაც უცხო მე დედაკაცმა,  
დიდხანს დამდევდა და მაშინ კი იშოვნა მან დრო:  
ხელში ჩამიგდო კაკიები მან ერთი აცმა,  
მით მომატყუა და ცრემლებიც მითი შემაშრო.

მაგრამ ნაცვალი დედის, იცით თქვენც, თუ რა არი, –  
გერისა კუჭი მისგან ხომ ვერ გამოძლებოდა!  
ოჲ, მიეყაროს იმ კუდურსა თვალში ნაცარი,  
რომ აბლის კვერი იმის ხელში გვიან ცხვებოდა!

წინაგანზრახვით არ მომცა მე მაღალი სწავლა,  
ოქროქსოვილით ამხვია ორივე თვალი,  
რომ ვერ შევიძლო მე უმისოდ სწორ გზაზე გავლა  
და მისს მონასა მებნეოდეს ან გზა და კვალი!

არავინ მომცა მე საშველად დაცემულს ხელი  
და სიყრმიდანვე შევეზარდე ამა მონებას!  
აღარ მამძიმებს ეს მონების მძიმე უღელი, –  
სული მკვდარია... და არც ველი მე აქ ცხონებას!..

და რომ მოვკვდები, თუ მის შემდეგ ჩემი შვილები  
აიცილებენ მამის ხვედრსა, უბედურებას,  
მაშინ საფლავში შეიძვრიან მსწრაფლ ჩემი ძვლები  
და სული ზეცას მაინც იცნობს ტკბილ ნეტარებას!..

1869 წ.

## პასუხი ჭალადიდელისადმი

„იყავ უმანკო, ვითარცა მტრედი,  
და მეცნიერი, ვითარცა გველი!“  
ამას გვასწავებს წინამორბედი,  
ამას გვიმოძღვრებს თვით ჩვენი მხსნელი.

თუ ეს ლირსება ორივე ერთად  
აქვს კაცსა ზეცით მონიჭებული,  
მაშინ ის მოსჩანს სულდგმულში ღმერთად,  
არს პირუტყვებზედ ამაღლებული.

მაგრამ თუკი ეს ორივ ლირსება  
არა აქვს ერთად შეთვისებული,  
მაშინ ნახევრობს მისი არსება,  
არ არის კაცად-კაცადი, სრული:

თუ უმანკოა მხოლოდ, ვით მტრედი,  
და ალარა აქვს სიბრძნე მას გველის,  
მაშინ მოელის საწყალს შავბედი  
და ქვეყნად შვებას ნულა მოელის!

მისთვის, რომ მოძმეთ ის მიენდობა,  
ჰერნია ყველა მას თავის სწორი,  
და მით მათგანვე კი დაემხობა:  
ისე გაჰვეჯენ, ვით მტრედსა ქორი!

თუ არ აქვს მტრედის უმანკოება  
და მხოლოდ გველებრ არს მეცნიერი,  
არც მაშინა აქვს კაცს მყუდროება:  
ის არის თვითვე თავისი მტერი,

რომ უყვარს მხოლოდ მას თავი თვისი,  
სარჩოს იმატებს, მოძმეთ მკბენარი,  
მაგრამ ამხილებს მას სინიდისი  
და მის გამო არს მოუსვენარი!

ჰერნის მოატყუოს მან თვისი ტომი,  
ტკბილი სიტყვა აქვს რიდედ და ფარად,

მაგრამ ხშირად კი სიკვდილის მდომი  
ჩუმად იტანჯვის მარად და მარად!

მის ცრუ ღირსებით დაბრმავებული  
ბევრი შეჰერი ამგვარ კაცის ბედს  
და არ იციან, რომ მისი გული  
ედრება ხშირად ცეცხლნადებ აბედს!..

მაშ, მხოლოდ წეტარ არს იგი კაცი,  
ვინც უმანკოა და მეცნიერი!  
მისი სიცოცხლე არის ორკეცი,  
ის არის ქვეყნად სრულ-ბედნიერი.

ავიც და კარგიც მას ეყურება,  
თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს,  
მოძმეთ უმანკოდ ემსახურება  
და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს.

ამგვარი კაცი არის პოეტი:  
დროზედ იმტრედებს და დროზედ გველობს,  
მის ტომს მისთვის სძულს, ჰერნია ცეტი  
და მის ქცევაზედ უმართლოდ ხელობს.

მაგრამ პოეტი, კაცი გველ-მტრედი,  
მოძმეთ ცრუ აზრსა არ აგდებს არად!..  
ახალგაზდობის მას აქვს იმედი  
და იმას უმლერს მარად და მარად!..

სან მტრედებრ ალმა ჰერნის მოწონებით,  
სან გველივითა ქვესკნელში ძვრება,  
მაგრამ ყოველთვის თვის მოქმედებით  
ის მხოლოდ მამულს ემსახურება!

ვერ შეაშინებს მას სოფლის ღელვა,  
მხნედ მიაცურებს იგი თვის წრფელ ნავს  
და გზას უნათებს რა საღმრთო ელვა,  
ის სიბნელიდან ნათლად გამოჰყავს.

## გამოსარჩლება

ჯერ ადრე გახლავსთ! რისთვის უკრავთ ტაშს?  
ნუ აჩქარდებით! ადრე უგებთ ნიშს!

ჯერ კიდევ ნახავს თქვენს კურდღლურ თამაშს,  
კიდევ იხილავს თქვენს დედაბრულს შიშს!..

ცრუ იმედებით ნუ ხართ შემცდარი!  
რომ ეგ დასჩაგროთ, იმას ნუ ჰგონებთ!..  
ეგ ლარიბია და თქვენ მდიდარი,  
მაგრამ მაგითი ვერ დაიმონებთ!..

ეგ გაღარიბდა პატიოსნებით!..  
არაწმინდობით თქვენ ხართ მდიდარი?  
სჩანს, გიცხოვრიათ სხვადასხვა მცნებით! –  
ვინ შეასწორა, სთქვით, მთა და ბარი?!

თქვენ გიგლეჯიათ სულ ქვრივ-ობოლი,  
მაგას კი სხვისთვის შეუძენია!..  
თქვენ ლარიბებზედ გქონდათ სიცილი  
და მაგას მათვის ცრემლი სდენია!..

ხარისხით სრულნი, სრულნი ხართ ფულით!..  
ეგ – უხარისხო! ვინ მისცა გროში?!.  
მაგრამ, ლარიბი ჭურით და სულით,  
ვინ დაგაფასებსთ მომავალს დროში?!

მაშ, ვის დასცინით? ვისთვის უკრავთ ტაშს?..  
თვით საკიცხავნო, ვიღას უგებთ ნიშს?  
ვაი მომავალს თქვენს კურდღლურ თამაშს!  
უი მომავალს თქვენს დედაბრულს შიშს!..

[1869 ]

## ყევნობა

(ვუძღვი აზნაურობას)

გათავდა ყევნობა...  
 დიდი ამბავი იყო:  
 კრივი და ცუდენობა!..  
 ბევრს გადაჰდა საბრიყო!..

ამ დიდმარხვის ორშაბათს  
 შეკრბა ხალხი მრავალი!..  
 ძლიერად სცემდენ ნობათს  
 და მაზედ ჰქონდათ თვალი,

თუ ვინ ამოირჩიონ  
 ორშაბათის ყევნად...  
 რომ მაჰმად-ხანს დასცინონ  
 პატრიოტთ მოსალხენად!

ნახეს ერთი გლახავი,  
 ის მოკაზმეს ყევნად...  
 მოჰვარეს ვირი ჭავი,  
 მისცეს ბედაურ ცხენად!

და ზედ შესვეს პამპულა,  
 აბუნდიც დაუგრძელეს!..  
 აიღეს თასი, კულა,  
 ბატონად ადლეგრძელეს!

დალიეს, შეჭორიკდენ:  
 იწყეს აყალ-მაყალი!  
 „ავირჩიოთ, – ჰყვიროდენ, –  
 სჯობს, ყევნი ახალი!“

ძველს ყევნს სტაცეს ხელი,  
 ლაფში გადაუძახეს,  
 გაძარცვეს და შიშველი  
 ლანძლეს!.. რა არ უძახეს?!

ახალი ყევნობა  
ბევრმა მოიწადინა!  
შეიქნა მოენობა:  
ძმამ ძმას სისხლი ადინა.

ქუჩებში ხრიალობდენ,  
როს დაფა-ზურნა დაჰკრეს,  
ერთმანეთზედ ძალობდენ,  
კისერშიაც ბევრს წაჰკრეს!..

გაჩნდა კრივი ძლიერი,  
გაიყვნენ „პარტიებათ“,  
ჩხუბობენ, ასდისთ მტვერი,  
თავისტეხა ექებათ.

ბანებიდან ქალები  
მაჩხუბრებს ბანს აძლევენ. –  
ელალებათ ხელები,  
ერთმანეთს ვერა სძლევენ!..

ძმობილო, ძმაზედ მიდი!  
სთხლიშე, არ იგვიანო!..  
ბიჭებო, ჰაი გიდი!  
კაჟისთავებიანო!..

დაუშინეთ ერთმანეთს,  
მაგისთვის არვინ დაგსჯით!  
მოგცემენ თითო მანეთს,  
ტყუილად არვინ გაგრჯით!..

ვინც მოგცეს მეტი ფასი,  
შენც იმისკენ იყავი,  
აიღე სავსე თასი,  
იმას დაუკარ თავი!

ეგ ყენები ყველა  
ერთმანეთის დარია!..  
ალია და ოსმალა –  
ორივე თათარია!..

მაგრამ რჩევა რად უნდა  
ამ დალოცვილ მეომრებს?  
მოსცვივა ქვა და გუნდა,  
ერთმანეთს სტეხენ კისრებს!..

ასრულებენ სხვის ნებას,  
ბოლოს სახლში მიდიან  
და თვის პატიოსნებას  
თითო გროშად ჰყიდიან!..

ამ ხალხის სულელობა  
მინდა მიტომ დავსძრახო,  
რომ მსგავსი ყენობა  
მასში აღარა ვნახო.

1870 წ., 5 მარტი, ქუთაისი.

## N-ს

მაგ თვალებმა ნაპერწკალი  
გულში მერეს და დამიმონეს!..  
განმიახლეს ძველი ალი,  
ამაურულეს, დამალონეს.

მოვიგონე ძველი ქნარი,  
სიმთა იწყეს ტკბილად უღერა,  
გრძნობა, გულში ნაგუბარი,  
ტოკავს და გულს მით აქვს ძგერა!..

ჩალად მიჩანს ან შავბედი,  
თვალთ შემაშრა მდუღარება!..  
გინდ ვიწვიდე, ვით აბედი...  
მალხენს ტკბილი მდუმარება!..

შავ ფიქრების უკუმყრელად  
სახე მისი ჩემთვის მზეობს,  
გული, ქმნილი მისგან ხელად,  
ჭირთამძლეობს, ამაყ-მხნეობს!

წრფელ აზრების შეურყევლად,  
სიყვარულის იმ წმინდა მსხვერპლს –  
თაყვანს ვსცემ და საკურთხევლად  
ალვიარებ მე მისს სახელს!..

ის სახელი მადლიანი,  
წმინდა, ტკბილი, ვით მანანა,  
სამ-აზრი, სამ-მარცვლიანი  
მიყვარს, თუ მანც არ მანანა!..

[1870 ]

### ბაიათი

მაცდურმა მახე დამიგო,  
მიჯნურთ ბადეში გამიბა,  
პასუხიც ალარ მომიგო,  
გული მან ჯაჭვით დამიბა!

მიიპყრა ჩემი გონება,  
გამიხდა გულის მეფადა,  
მით მისი სრული მონება  
გლახ-გულში ხარკად მებადა!..

მაგრამ ამგვარი მონება  
არ დამამცირებს აროდეს!..  
მითი მაქვს თავმოწონება,  
თუ გინდ არც დაიფაროდეს!..

თაყვანს ვსცემ ტურფად შემკულსა  
ვინც არს შვენების ღვთაება!  
ვიშ, საყვარელო, ჩემს გულსა, –  
რა ტკბილი ჯაჭვით დაება!..

[1870 ]

## შეცდომა

სიბრიყვე კაცსა უცებსა  
სწორზედაც ფეხსა წაუტებსა –  
დღე ჯავრით აფაცფუცებსა  
და ლამით ძილსაც გაუტებს!

მისის ტრფობისა საგანსა  
მრისხანედ თვალწინ უჩვენებს;  
გინდ იხურავდეს საბანსა  
თვალთხუჭვით... არ მოასვენებს!..

დილამდე კვნესით აოხვრებს,  
დააწყევინებს თვის ბედსა  
და ააწურვებს რა მხარებს,  
დააკარგვინებს იმედსა!..

მაშინ კი ვაი მის ბრალი:  
ის არ იქნება, – რაც არი!..  
და უჯობს ჭკუის წამალი  
ენაზედ იცხოს ნაცარი!..

[1870 ]

## სიმღერა

ვაი სიყვარულსა,  
მწარ-დაფარულსა,  
რა უიმედოთ  
მიწყლულებს გულსა!

საგანი ტრფობის,  
ჩემის ოხვრობის,  
მიზეზათ მექმნა  
ჩემის დამცრობის:

შორით მაწონებს  
თავს, მით მაღონებს,  
მარადუამ მტანჯავს!  
ხმას არ მაგონებს!

ამ ტრფობას მარად  
ის აგდებს არად...  
თვით ფას-უდები,  
მაფასებს ფარად.

მაგრამ ეს გრძნობა, —  
მგოსნობით ძნობა,  
შემდეგ ოდესმე  
ხომ კი იცნობა?

და მაშინ, ქალო,  
მაგნიტის ძალო,  
სხვის ტრფობისაგან  
თუ მოიცალო,

მეც ხელი მახე,  
მოყვარად მსახე!..  
თუ მკვდარი ვიყო,  
საფლავში მნახე:

იქ ჩემი ფარდი  
დაგხვდება ვარდი  
ფურცლებ-წარწერით,  
თუ ვით მიყვარდი!..

ვაი სიყვარულსა,  
მწარ-დაფარულსა,  
რა უძმედოთ  
მიღელვებს გულსა!

[ 1870 ]

N...6

გუშინ შენი ცივი სიტყვა  
ისარივით გულში მეცა!  
შენ სთქვი: „რათ მეყვარება სხვა,  
თუ მას არ ვუყვარვა მეცა!“

ამ სიტყვებით მკლავ და მაღნობ,  
ალარ უნდა ამას ფიცი:  
შენ სხვა გიყვარს, ამას მე ვგრძნობ...  
რომ მიყვარხარ, ეს შენჯ/ იკი!..

მაში, ის სიტყვა განძრახული  
მისთვის მითხარ მოფიქრებით,  
რომ მოგეკლა ჩემი გული  
დაჭინვით და მოძომებით;

მაგრამ, ტურფავ, მისთანა ვარ,  
გინდ ვერ გნახო დიდის ხნობით,  
იცოდე, რომ შენთანა ვარ  
სულით, გულით და სრულ გრძნობით!

თუმც კი ვიცი, რომ ამ ჩემს გულს  
არც ენდობი, არც გაიტან,  
მაგრამ მე კი შენს სიყვარულს  
სამარეში თან ჩაიტან!

მაშ ნუ ცდილობ გულგრილობას  
და მით ჩემსა განვალებას!  
ეგ არ შვენის შენს ზრდილობას  
და არც ჩემსა ტრფიალებას!!

[1870 ]

## ასათიანებს

ურა, ურა და ურა  
სულ ყოველ ასათიანს!  
ყინულზედ გააცურა,  
სძლია მან ეშმაკს ფრთიანს.

თუ ბედმაც გვემსახურა,  
შემდეგშიც ნახვენ ზიანს, –  
ურა, ურა და ურა  
სულ ყველა ასათიანს!

ვერც ძვრება, ვერც ქიანებს,  
დაბერდა მათი ტურა!  
ძლევა ასათიანებს!  
ურა! ურა და ურა!

ვერც ჩვეულებრ რქიანებს  
მათი ვერძი ფაფხურა,  
ძლევა ასათიანებს,  
ურა! ურა და ურა!

ნულარც გვისისიანებს,  
ვეღარ კბენს მათი მურა,  
ძლევა ასათიანებს,  
ურა! ურა და ურა!

ხერხი შემოელია,  
ან ისიც ბევრს ინანებს...  
მოატყუეს მელია,  
ძლევა ასათიანებს!..

დამარცხდა ყურპანტურა  
და ან ვეღარ იჭენებს, –  
ურა! ურა და ურა!..  
ურა ასათიანებს!

[1870]

N . . . ს

შორს რომ იყავ, ახლოს ვიყავ  
გაუყრელად შენთან მეცა!  
ახლოს რომ ხარ, შორს დაგირჩი.  
გულს ისარი მტრულად მეცა!

მინდა გნახო, მაგრამ როგორ,  
რომ იმედი არ მომეცა?!  
სჩანს, გაწირულს ბედისაგან  
გადმომყურებს რისხვით მე ცა.

ვით ბულბულსა, აგზნებულსა,  
აღმაფრენით უყვარს ვარდი,  
ძმობით, დობით, წმინდა გრძნობით  
მეტრფოდი და მეც მიყვარდი,

მაგრამ ახლა, რომ ვეღარ გჭვრეტ,  
შავს უფსკრულში გადავვარდი!...  
ბევრჯელ გითქვამს: „თუ გიყვარდე!“  
და მეც გეტყვი: თუ გიყვარდი,

თავდადებულ მეგობრად თუ  
აღმიარე და მიწამე,  
საუკუნო მეგობრობა  
რად მიწუთე და მიწამე?

წმინდა სული, წრფელი გული,  
რად მომიკალ? რად მიწამე?  
და სიცოცხლით ისევ სავსეს  
დამაყარე რად მიწა მე?

[1870 ]

## პასუხი მეგობარს

ქალო, შენი წერილი  
მემახვილ-მეისარა!..  
ის ვარ, რაც არ გგონივარ,  
რაც გგონივარ, ის არა!

მეუბნები: „შენ სწუნობ,  
თუ გნუნობს ქვეყანაო?  
რათ გამხდარხარ ყველასთვის  
რაღაც გამოცანაო?

თუ ჭკუა გაქვს, დიდება  
რათ ვერ შეიძინეო?  
თუ გრძნობა გაქვს, მოყვარე  
რათ ვერ გაიჩინეო?

თუ არა გაქვს არც ერთი,  
მაშ, რაა ის ძალაო,  
რომლის გამოც ამ ხალხმა  
შენზედ მოიცალაო:

ყბად აგილო, ცილს გწამებს,  
ამბობს ათასს რამესო,  
გიშორებს და იმ „შორსაც“  
გიშხამავს სიამესო?!

არ მოგწყინდა ამდენი  
ტანჯვა-მოთმინებაო?  
გკითხავ და გთხოვ პასუხსაც,  
ხელთ მაქვს ამის ნებაო“.

ამ სიტყვებმა, დობილო,  
მომიმატეს ჭირი ჭირს!..  
შენც რომ ჰფიქრობ სხვებსავით,  
ის მაწუხებს და მიკვირს:

სხვამ, რაც უნდა, ისა სთქვას,  
შენ კი, მსურს, რომ მიცნობდე  
და ჩემ გულისპასუხებს  
მუდამ თანაუგრძნობდე!

ნუ გიკვირს, რომ არა მაქვს  
სუყველასთან თანხმობა!  
სწორს დავეძებ, არა მსურს  
ბატონობა... არც ყმობა!

ვკიცხავ, ვსდევნი და ვყვედრი  
ქვეყნის უკულმართ ბრუნვას  
და ბინიერებად ვრაცხ  
პირადობაზე ზრუნვას!

მე მგონია, მისთვის ვართ  
ქვეყნად მოვლინებული,  
მაცხოვარი რისთვისაც  
იქმნა ჯვარზე ვნებული!

გინდ ცამდისაც ამაღლდეს,  
კაცი რა არის? – ჭია!  
რაც ბრწყინავს – ფუტუროა!  
გარეგნობა – ფუჭია!

კმარა კაცისთვის მხოლოდ  
ღვთის მსგავსება-ხატება!  
ამ ციურ ნიჭს ამ ქვეყნად  
სხვა რა დაემატება?!

ეს არის ჩემი რჯული  
და ჩემი ალსარება!..  
და მგონია, რომ კმარა  
ქვეყნად ეს ნეტარება!

მართალია, ხორციელს  
არ აქვს თავისუფლება,  
ხელ-ფეხს უკრავს სხვადასხვა  
დამოკიდებულობა,

და ვინც ახსნას არ სცდილობს,  
ჩემებრ უბედურია:  
სხვები ნაღველს ასმევენ,  
შარბათი რო სწყურია.

მაგრამ რა ვქნათ, ეს ტანჯვა  
ყველა მუშაკთ წესია  
და ვერც მე ვუღალატებ,  
ვისთვისაც მიკვენესია!

დე, დამგმოს ქვეყანამ,  
გამიმეტოს, გამკიცხოს!  
თავი ბრძენი ეგონოს,  
მე გიჟებში ჩამრიცხოს!..

ვერ ვუმუხოლებ მე მაინც  
ამ ჩემ გრძნობა-გონებას!  
ვერ ავიტან ცხოვრების  
ბრძანებას და მონებას!..

ხელს არა ვჰყოფ გარეგნად  
გაბრწყინვებას და მკობას!  
ვერ დავუთმობ ვერავის  
შინაგან აკაკობას!..

1871 წელს, 14 იანვარი, ქუთაისი.

## „ვარდის“ ხმაზედ

ვუძღვნი ან. მუსხელიშვილისას

მე ჩანგური მისთვის მინდა,  
რომ სიმართლეს მსახურებდეს,  
განამტკიცოს აზრი წმინდა,  
გულს სიწმიდით ახურებდეს!

ერთი ჰქონდეს მას საგანი:  
ჰარმონია მისი ხმების,  
ცხოვრებაში იყოს ბანი  
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

აღტაცებით სიმთა უღერა  
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას  
და მაზედაც ჩემი მღერა  
ორხმოვანად გამოისმას,

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით  
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს  
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით  
ისარივით ესობოდეს!..

მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ჩანგურს  
აშორდება უქმად გდება,  
და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,  
ვჰყიცავ, არც ის მოსტყუდება!

გამიქვავდეს მაშინ ენა,  
თუ რომ ვისმეს მივეფერო  
და გამიხმეს ეს მარჯვენა,  
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო!..

რაგინდ ბედით ვიყო კრული,  
სამინელიც მექნეს ბოლო,  
არ შედრკება ჩემი გული,  
გინდა ქვითაც ჩავიქოლო!

სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ,  
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი აფად,  
და მაინც არ აღვიარებ  
შავს თეთრად და თეთრსა შავად!..

მე ჩანგური მისთვის მინდა,  
რომ სიმართლეს მსახურებდეს,  
განამტკიცოს აზრი წმინდა  
და გულს წრფელად ახურვებდეს!

[1871 ]

\* \* \*

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
 ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!  
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,  
 რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!  
 თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,  
 თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ  
 და მოწყენით ჩემზედ მტერს არ ვახარებ,  
 რომ არა სთქვან ჩემზედ: „რა ოხერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
 ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!  
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,  
 რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

ალარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,  
 არვინ მაძლევს სანუგემოდ ძმურად ხელს,  
 ჩემს შარბათში ნალველს ვსჭვრეტ და ვარდში გველს.  
 მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,  
 რომლისგანაც მე გზები ამერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
 ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!  
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,  
 რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

რაღას ველი, დრო არს განჟერეს იმედი;  
 გინდ მეწვიოს, ვერას მარგებს ან ბედი,  
 დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!  
 აჰა, ღმერთო, რა უდროოდ დავბერდი:  
 საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
 ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!  
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,  
 რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

დავუძლურდი, განპერა გიუი ოცნება...  
 ნალვლიანად ჩემს თავზედ მეცინება,  
 და ღმერთს ვვედრებ: „ღმერთო, მომეცი ნება,  
 რომ მელირსოს საფლავში დაძინება!..  
 სჯობს, სულ განპერეს კაცი, რადგანც მტვერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
 ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!  
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,  
 რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

[1871 ]

## კნეინების ლათაია

რად მინდოდა სითეთრე?  
ვყოფილიყავ მოშავო,  
და თქვენ კი არ გამეცვნეთ,  
შალომავ და მოშავო!

მოკლე ხნით რად მინდოდა  
ოქრომკედი, შლეიფი,  
თუ ან მაინც დიდხნობით  
დამეკარგვის ქეიფი!

მაგრამ ჩემი შეცდომაც  
მოიტანა ალომა  
და მით გამებატონა  
მე მოშა და შალომა!

იტიროს ჩემმა ქმარმა,  
ბელლებმა და კალომა!..  
ვაი, რამდენს იცინებს  
ჩვენზედ მოშა... შალომა!..

1871

## ალლა-ვერდი

ალლა-ვერდი ჩვენ ქალებს!  
ალლა-ვერდი კნიაზებს!  
ალლა-ვერდი „კნიაუნებს“!  
უმანკოების ვაზებს!

გუშინ გვქონდა მოლხენა,  
დღეს რად მოგვიწყენია?  
რად ჩაგვვარდნია ენა,  
ხომ არაფრის გვრცხვენია?!

მდიდრული მორთულობით  
აკი ჩვენ გვაკვირვებდით!  
არ სწუხდით უფულობით  
და ვაჭრებს იპირებდით!

დღეს მწუხარებით, განა,  
გილელავსთ ეგ გულ-მკერდი,  
როს არშინით თქვენთანა  
მოდიან: „ალლა-ვერდი!“

მოშა, მისი წვერებით  
მოდის, თანაც ახველებს.  
ტყვილად ნუ ეფერებით:  
„არაო“ – აქნევს ხელებს.

იფიცავს დაბადებას,  
იხსენიებს თავის სჯულს,  
არ გაძლევთ მოცდის ნებას,  
დღესვე ითხოვს თავის ფულს!

„ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს“ და სხვ.

შალომა დილ-დილობით  
ჩამოუვლის ქნეინებს,  
ჩვეულებრივ ზრდილობით,  
მუსაიფით აცინებს.

ფულებსა არ სთხოვს, ვექსილს სცვლის,  
წერებზედაც ხელს ისვამს!..  
თავნზედ სარგებელს ათვლის,  
ერთი-ორად ზედ ისვამს!..

მერე კოხტურად თავს ჰქონის,  
ზრდილობით აძლევს სალამს.  
და, რა ყურთმაჯს შეიყრის,  
გულში სხვა გრძნობას მალამს!..

„ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს“ და სხვ.

ისპანიოლკით ბრძნულად  
მოდის ფიფინაშვილი,  
თავს გიკრავთ ფრანციულად,  
პირზედ მოსდის ღიმილი:

„პარდონ! რომ შეგაწუხეთ,  
მაგრამ მისთვის მოველი,  
რაც ნისია წაიღეთ,  
იმის ფულებს მოველი!

„უ უ პრი! ამავე ხნით  
გავსწორდეთ ანგარიშში,  
რადგანაც ფულებს ვგზავნით  
სავაჭროზედ პარიუში!“

„ალლა-ვერდი კნეინებს!“ და სხვ.

ხარაზოვი მრისხანედ  
მოდის გაჯავრებული:  
„რისთვის დააგვიანეთ?  
დროა, გვიბოძოთ ფული!

„კრედიტი ჩვენ არ ვიცით,  
ესე იგი, ნისია,  
რა ვქნათ, ირწმუნეთ ფიცით,  
რომ სავაჭრო სხვისია.

„ჩვენც ვყიდულობთ, ფულს ვიღებთ,  
მითი გვიდგია სული,  
და ნურც თქვენ დაივიწყებთ,  
ან კი გვიბოძეთ ფული!“

„ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს!“ და სხვ.

და წვრილ-წვრილი ვაჭრები  
შემოდიან დას-დასად!  
სირმები და ნაჭრები  
გიჯდებათ ოხრის ფასად!

ცოლი ქმარს ებუტება,  
ქმარი კი ცოლს ემდურის,  
ყველას გული უკვდება,  
ყველა სიმწრის ოფლსა ჰლვრის!

ერთმანეთს ადებენ ბრალს;  
ერთმანეთს იმდურებენ,  
მაგრამ ამითი ხომ ვალს  
ველარ გაისტუმრებენ?!

ეჱ, რაღა გაეწყობა,  
ჩვენ ადრევე ვიცოდით,  
რომ თქვენი გამოწყობა  
ბოლოს დაგწვავდათ ცოდვით!

ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს!  
ალლა-ვერდი კნიაზებს!  
ალლა-ვერდი „კნიაჟნებს“,  
უმანკოების ვაზებს!!!

[1871]

## ბანკობია

იძინეთ, ძმებო, კვნესით... ღრმა ძილით!  
 საკმაოდ გისვამთ, გეტყობათ, ბანგი!..  
 ეგებ სიზმარში ნახოთ სიცილით,  
 რომ აგიყვავდათ თქვენ თქვენი ბანკი.

მე კი ცხადად ვსჭვრეტ და ჭეშმარიტად,  
 რომ თქვენი ბანკი, თქვენი ალალი,  
 გადაქცეულა პატარა გვრიტად  
 და მას მრისხანედ დამზერს ალალი.

.....

მაგრამ თქვენ გძინავსთ, თქვენ ვერას ხედავთ,  
 ზოგ-ზოგნი ძილსა კიდეც იგონებთ!  
 „ჰოუ, ჰოუ“ თქმა არავის გნებავთ  
 და წინდახედვით თავსაც იწონებთ!

მაშ ისევ ძილით დრო გაატარეთ!  
 და თუ სხვამ ვინმემ ქორს მიაძახოს,  
 თქვენ მას მისდექით, ქვა მიაყარეთ,  
 რომ ტკბილნი დღენი მან ვეღარ ნახოს.

და თავი ისევ მიეცით სიზმრებს,  
 რომ ვეღარავინ გიფრთხობდეთ ძილსა!  
 ემონეთ მხეცებს!.. ენდვეთ უმეცრებს  
 და საზიაროს ნუ სდევთ წიწილსა!

და მაშინ თქვენცა... აქ, უკაცრავად,  
 უნდა გავაგდო ჩემი კალამი,  
 რადგანაც ცოტად გახლავართ ავად  
 და ექიმს უნდა მივსცე სალამი!

## სიყვარული

მით მომწონდა ჩემი თავი,  
ეს მიმაჩნდა მე საკვეხრად,  
რომ კლდე ვიყავ მაგარ გულით,  
მეტად ძნელი გასატეხად.

მაგრამ შენ კი, უცნაურო,  
მძლავრად მოხვდი ჩემს გულს მეხად:  
ულოდნელად დამარბილე,  
სანთელივით დასაგრეხად!

გულში ცეცხლი გამიჩინე,  
ამიდულე მით ნაღველი,  
უხმოდ ვიწვი, ნელ-ნელ ვსდნები,  
ვით ხატისა წინ სანთელი.

შენ კი შორით მეჩვენები,  
ვით ეშმაკი წამწყმედელი,  
რომელსაცა ეჯავრება  
სიწმინდე და ეს სოფელი!

ვინც ციურს ნიჭს, უფსერულს გრძნობას  
ცივგულობით თვით ვერ იგრძნობს,  
წამდვილს გრძნობას, ტკბილს სიყვარულს  
სხვისას, აბა, ვითლა იცნობს?

მისთვის ყვავიც ბულტულია,  
მისთვის ცრუც კი მართლად უბნობს!  
და რად უნდა სხივი მზისა, –  
მთვარის სხივიც კი დააჭუნობს!

ეს ვიცი და არ გამტყუნებ,  
გეთხოვები, გაძლევ სალამს!  
იმედიც მაქვს, რომ ეს გული  
თავის გრძნობას თვით დამალავს:

ალარც ენას ათქმევინებს,  
არც ენდობა ჩვეულ კალამს,  
თუმცა სხვისი ტრფიალება  
ხელმეორედ ვერ გაალამს!..

## ვისაც ვეტრფი

ვისაც ვეტრფი, ვისაც ვმონებ,  
ვისგანც მიძგერს მარად გული,  
მე რომ ხმასაც ვერ ვაგონებ,  
მისთვის მტანჯავს სიყვარული!..

წუხელისაც მისი სახე  
დამეხატა გულის ფიცარს! –  
მას ვსტირი და ის ვიძახე:  
„დაგავიწყდი დაუვიწყარს!“

ისრით გული დამიკოდა,  
თუმც ვარ მის წინ უცოდველი!  
უცოდველმა არ იცოდა,  
უკუმაგდო, გულს მკრა ხელი.

წინგანძრახვით დაჩრდილებულს  
ველარ მომფენს სხივებს მთვარე,  
სანამ მისის ხატით ამ გულს  
არ დაჰჭარავს თვით სამარე.

და მაშინ კი სინიდისმა  
თუ მას უთხრას საყვედური,  
ეს მაინც სთქვას პირმა მისმა:  
„ტყვილად ვსტანჯე უბედური!“

[1871 ]

## გამოთხოვება

უნებურ ცეცხლის აღმგზნებელო გულში და მწველო,  
ჩემის ცხოვრების ტკბილო საგანო და სანუგეშო!  
როდემდის უნდა მაგრე გჭვრიტო, შენ შეუცვლელო,  
რომ ჩემზედ გული არ მოგიბრუნდეს და მით ვიხენეშო?

ხომ კარგად ჰქედავ, ტრფობის ჯაჭვით გული დამება  
და თავშეწირვა უფიქრალი არს ჩემთვის ტკბილი?  
და მაშა შენცა, ჩემო მფლობო, ჩემო ღვთაება,  
მომმადლე ხოლმე შენს შემვედრეს მცირე ღიმილი.

ის... ის ღიმილი, რომელიცა მაგ სახეს მეტყველს  
გამოუთემელის სილამაზით უფრო აშვენებს.  
და მე კი მიდებს საწყალს გულში ძლიერ ცეცხლს დამწველს,  
და მლელვარესა გულის ძგერით აღარ მასვენებს!

თუმცა კი ვსცდილობ, რომ ის გრძნობა სხვას დავუფარო,  
ხუმრობით სიტყვებს ბაზედ ვაგდებ, მადევს პირბადე,  
მაგრამ გულში კი, არ შემიძლია, არ აღვიარო:  
მე ბედგამწყრალი უნუგეშოდ რად დავიბადე?

რად მინდა გრძნობა, თუ არავის გავუზიარებ?  
რად მინდა ცოდნა, თუ მეგობარს არ მივეც რჩევა?  
რად მსურს სიცოცხლე, თუ სიმწარედ მას აღვიარებ?  
მაშინ დამრჩება მე ამ სოფლად კრულვა და წყევა!..

ოდეს გიხილე, მეგონა თუ მყის დავიბადე!  
ჩვეულებრივად გულმა გრძნობა ვეღარ დაპირარა,  
მით ამეხადა უნებურად ჩემი პირბადე  
და თვის ღვთაებად შენ დაგნიშნა, შენ აღგიარა!

მაგრამ ვაიმე! არ მიმიღე მსხვერპლის მწირველად,  
არ შეინირე მრისხანემან საბრალოს „წვლილი“!..  
მის გამო დაგშთი ასე შმაგად და ასე ხელად,  
ასე საბრალოდ და უდროოდ მე გულმოკლული!

აწ კი მშვიდობით, ჩემო ავო და ჩემო კარგო!..  
გშორდები, მაგრამ შენთან რჩება საბრალო გული!..  
უმჯობესია, ამ სოფლიდგან გარდავიკარგო  
და იქ დავლიო შენს ხსოვნაში საბრალო სული!..

1871

## მ... გ-ს და ან... ბ-ს

საკნიაუნო აულია თქვენი თურმე უცხოსა ტომს,  
მას უქებენ თქვენთან შებმას, იერიშს და უსუსტარს ომს! –  
თქვენც გიქებენ ისრით ნაკრავს და კვირობენ თქვენგან ნახტომს,  
თურმე ქების წიგნსაც გითხზენ, არა ერთსა, გარნა სამ ტომს.

ან შევიტყვეთ, თქვენს დობილსაც საკნიაუნო დაუკარგავს,  
აზნოუშვილს უპოვნია, უტკეპნია და უბარგავს,  
ზედ უცხო რამ დაუმყნია, რომელიცა სხვას არა ჰგავს:  
უცეცხლოდ რომ ალსა უჩენს, უნაკვერცხლოდ წვავს და დაგავს!

ის უცხო ტომის მხედარი არ ვიცით, სადაურია!  
ქართულს ვარდზედ მყნის ასკილსა, მით ჯიშში გადაურია,  
რამდენსაც მოჰკრებს ყვავილსა, უფრო და უფრო სწყურია  
და ჩვენ ამისა მცნობელთა გულში შეგვიდის შურია!..

თუ სიმდიდრეს დაჰკარგვიდით, მართალს გეტყვით, არ გვეგონა!  
ის რომ აზნაურს უბოძეთ, რალა დაგრჩათ მისი წონა?  
ბულბულს თავი დაანებეთ, ყვავს აფურჩქნეთ ვარდის კონა?  
და მაშ ღირსი ხართ, რომ ყოველ დღეს შანს გიგებდესთ თქვენ (...)<sup>1</sup>

იმ საკნიაუნოს პატრონი, ოდეს იხილა მან ანა,  
სიცოცხლეგამწარებულმა იგემა ვითა მანანა!..  
სთქვა: „მაგალითსაც მიიღებს, ხომ იცი, ჩვენგან მანანა!..  
სთქვა და კიდევაც ასრულდა!.. მე მან სიცოცხლე მანანა!..

[1871]

<sup>1</sup> ტექსტი არ იკითხება.

## ხარაბუზა ლენერალს

იარანალ-ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა.  
დაგიკარგავს შენი მუზა!  
ბზზუ, ბზუუ, ბუზა-ბუზა!

სამასხარო მოედანზე  
გამოსულხარ, დგეხარ განზე,  
სქდები კანზე, მღერ საგანზე –  
შენგან უცნობ „ანა-ბანზე“.  
რომ არ არის ეგ შენი გზა?!  
ვაი, ჩვენო ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
გაგფრენია შენი მუზა!  
ბზუუ, ბზუუ, ბუზა-ბუზა!

რას აკეთებ? გიკვირს განა,  
რომ შეამკვე ლოპიანა?  
ჩვენ არ მოგვწონს შენისთანა  
ენა-წმინდა, გულ-სატანა.  
ორპირობამ გაგატუზა?  
ვაი, ჩვენო ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
რად გაჰკიცხე შენი მუზა?  
ბზუუ, ბზუუ, ბუზა-ბუზა!

ჩვენთან ტკბილო, ვით შაქარო,  
ტკბილ ლექსების ფეიქარო!  
აქაცა ხარ, იქაცა ხარ,  
გულფუტურო და თავქარო!  
ირხევი, ვით დამჭკერი ბზა,  
იარანალ-ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
ძაძას იცვამს შენი მუზა!  
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!

პოლიტიკა სპარსეთისა  
გისწავლია, გიკვირს ისა, –  
სხვამაც მიტომ შეგითვისა:  
ჩუმად გატენია ქისა...  
თვით მოლა ხარ ჰავეი-მუსა!  
საცოდაო ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა!..  
ალარა გჰევავს შენი მუზა!..  
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!..

ვაშკაცობა არც შენ გიყვარს,  
ვერც აიღებ, ვგონებ, შენ ყარსს.  
სიტყვით სამსონს, საქმით საპყარს,  
ამ ბოლოს დროს სიტყვაც გიყარს.  
მაგრამ ჩვენც გვაქვს „ის“ შენთვის მზა,  
იარანალ-ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
რად დაჰკარგე შენი მუზა?  
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!

მიბრძანდებით, გატყობთ, ქაბას,  
მიტომ იცვამთ სპარსულ კაბას,  
იქ დერვიშებს ეტყვით ქებას,  
რომ მათ კუდი გამოგებას.  
ეხლა კი მიგიგნია გზა!..  
ბარაქალა, ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
დაგიკარგეს შენი მუზა!  
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!

სადაც შრომობს რიონელი –  
შენ ხომ იქ არა გაქვს ხელი?  
შენებრ ძველი, ჭკუათხელი  
დიდყურაძეს ვაახელი  
და გვერდს დავუყენე გრუზა!  
ასე, ჩემო ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
რად დაჰკარგე შენი მუზა?  
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!

სადაც იყოს გოგიტელა,  
იმას ენაცვალოს ყველა  
შენისთანა ენაბრტყელა,  
უსარგებლო ბელა-ბელა!  
ნუკრის მტკვერი კარკარ-ტუზა  
მოგიხდება ხარაბუზა!  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
დაიკარგა შენი მუზა!  
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!

იმ ლიბერალს, ბურთივით მრგვალს,  
რად უპრანავ მრისხანედ თვალს?  
ის იხდის ვალს და თქვენსა კვალს  
არ აღირსებს თავის ნავალს, –  
თქვენსავით ვერ წაიკუზა,  
იარანალ-ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
ალარა გჰყავს შენი მუზა!  
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!

ნოვლოროდის ლიბერალო,  
ლიპიანას მომღერალო,  
საათნავას ეშით მოვრალო,  
ან კი უნდა შეგიბრალო,  
არ გაგხადო რომ ანდაზა!  
საცოდავო ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
დაგიკარგავს შენი მუზა!  
ბზუუ, ბზუუ, ბუზა-ბუზა!

რადგან ერთ დროს იყავ კაცი  
გულმტკიცი და გულმამაცი,  
აკაკია არას გყადრებს,  
ბაკაკიამ გითხრას: „აცი!“  
რომ მოსძებნო ისევ მუზა,  
იარანალ-ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
დაიბრუნე შენი მუზა!  
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!

[7 თებერვალი, 1872 წ., ქუთაისი]

## პატრიოტის ალსარება

კოლო-ბუზო! ჭიანჭველო!  
ქუდმოხდილო! ფეხშიშველო!  
შენს თავს რომ შენ ვერ არგიხარ,  
როგორ გინდა სხვებს უშველო?!

ეგ ბზუილი შესაზარი  
არავისთვის აღარ არი!  
ერთი სიო სულ გაგფანტავსთ,  
ზღვაში ჩაგყრისთ ზენა ქარი!

აბა, სად გაქვს, გვითხარ, ღონე,  
რომ დაჰფრინავ თავმომწონე!  
გულით გირჩევ, შენცა ჩემებრ  
სდუმენ, ძალას დაემონე!

დაგარიგებ შესაბრალსა,  
მით ვისრულებ ჩემსა ვალსა:  
დამიჯერე, არ გატყუებ  
მიმავალი მომავალსა!

თვარა, ჩემო ჭიანჭველო,  
ქუდმოხდილო, ფეხშიშველო,  
შენს თავს შენ რომ ვერ არგიხარ,  
ვით გინდა, რომ სხვებს უშველო?!

[1872 ]

## კოლო-ბუზების პასუხი

მიმავალო, მშვიდობით!  
ან დრო არის, მოგვშორდე,  
ძველ დროს გამოეთხოვო,  
ახალ დროს გაუსწორდე!

თუ რომ გული წმინდა გაქვს,  
თუ რომ არ გრძნობ რაღაც შიშს  
მომავალთან, ვინა გთხოვს  
ან რჩევას, ან ანგარიშს!

შენ რომ გზა გაგივლია,  
ის ჩვენ აღარ გვარგია,  
და ის ჩვენთვის ცუდია,  
რაც რომ თქვენთვის კარგია!

კოლო ვართ, თქვენ – ბობოლა!  
მაშ ჩვენ ვინ გაგვატოლა?  
ჩვენ ბზუილი შეგვშენის...  
თქვენ – გვერდზე ნამონოლა.

თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა,  
არა გვაქვს რა საერთო  
მის მეტი, რომ ჩვენს კვნესას  
თქვენგან ცილიც დაერთო!

თქვენი გზა თუ კარგია,  
ღმერთმა თქვენ მოგახმაროს  
და ჩვენ კი იმავ გზისგან,  
საწყლები, დაგვიფაროს!

ჩვენ, ქუდმოხდილ-ფეხშიშვლებს,  
არ გვიდრკება გულები,  
სანამ თვალწინ გვიდგიან  
პირველ მოციქულები!

თქვენ კი ფრთხილად იყავით,  
მიჰპაძეთ ფარისევლებს,  
დაგვქოლეთ და დასცინეთ  
გაუსხლეტელს ჩვენს ცრემლებს.

ზღაპრად თქმულა, რომ დიდ ლომს,  
კოლო არ შეუშინდა  
და კიდეც დაამარცხა,  
ცხვირში რომ შეუფრინდა!

და ბობოლას ომი კი  
არვის გაუგონია...  
ის სხვას უქსოვს სამოსელს  
და მით თავმომწონია!

ჩვენ ბუზები გახლავართ,  
თქვენ ბობოლა ბრძანდებით,  
მაგრამ რად იგვიანებთ,  
რატომ არ წაბრძანდებით!

მიმავალნო, მშვიდობით!  
გზა გვიტიეთ მომავალს!  
რად სწუხდებით რჩევისთვის?  
ჩვენ ვპოებთ ჩვენს გზა და კვალს...

[1872]

\* \* \*

I

გამტანია ჩვენი ერი  
გარეგანად მშვენიერი,  
თვალში მცქერი, პირმომფერი,  
ქვეშ-ქვეშ შტერი, ტკბილად მმღერი!

.....

ისე უყვარს ქვრივ-ოხერი,  
რომ ჰსურს, იყოს ჩვენში ბევრი,  
ჰაი გიდი, ჩვენი ერი!..  
ჰერი! ჰერი! ჰერი! ჰერი!..

II

უკაცრავად, მე ჩვენს ხალხზედ  
ცოტა აზრი შემეცვალა,  
რასაც ჰბადავს, თვითონვე ზრდის,  
სხვა არ უნდა ძიძა-ლალა;  
ხომ ზარმაციც არ ყოფილა,  
იხედება თვალდათვალა,  
მკა და თესვა კარგად იცის,  
თუ რომ ბედმაც დააცალა;  
ალმა ხვნენ და დალმა ფარცხვენ,  
ყანებს დაატანეს ძალა!  
მაგრამ პატივს დააყრიან,  
მზად არიან, დღეს თუ ხვალა!  
და აწ თქვენს ადგოკატებსაც  
ერთი გუდა ხიზილალა!

[1872 ]

### ფოთი

ფულით ვერ ძლება დღეს ფოთი,  
ვით დიდმუცელა პოლოზი,  
სულ ოცნებაა იმისი –  
რეინისგზები და ბოლოზი!..

შემწვარი კიბოს სუნით ჰყარს,  
დაბერდა, როგორც პაპია!  
ოჳ! ოჳ! რა დიდი სვავია,  
უზომოდ ფულისყლაპია!

სიცრუით ბევრსა გვპირდება...  
ამბობენ: გვიხვევს თვალსაო,  
შტუკმეისტრებსა ამდიდრებს  
და ხალხს კი ადებს ვალსაო!

ნეტავ რას ჩავცივებივართ  
ამ ბებერს გამომხრჩვალსაო,  
არა სჯობია, კავკაზი  
შეუდგეს სხვა გზა-კვალსაო?

ვით სპილო არ მრნამს სპილოდა,  
თუ აღარა აქვს ხორთუმი, –  
ისე კავკასი – კავკასად,  
თუ არ ექნება ბათუმი!

ჭოროხი ჩვენს ძველ დიდებას  
წაიღებს, შავს ზღვას შერთავსო,  
თუ დაგვეკარგა ის წყალი,  
ჩვენს „ვაის“ „უის“ შერთავსო!

ზედ იალბუზზედ შემდგარი  
ქართლოსი ამბობს ამასო,  
და როს იქნება, შვილებმაც  
ერთხმად მივსძახოთ მამასო!..

ორაზროვანი ღიმილით  
შენც ხომ ყურს უგდებ, აჭარა!  
ძველ დროში ჩვენო ძმა ტკბილო,  
რომელს ძმად გხედავთ ან არა!..

[1872]

## ფარშავანგი

უცხოს წალკოტს და მშვენიერს,  
აღყვავებულს მრავალფერად,  
სადაც იადონი უმღერს  
საამოდ და გულსაძგერად,

ერთი ფარ-შავ-ანგი გვყვანდა,  
მოსაწონი, დახატული,  
კვერცხის დეპა არ იცოდა,  
ჰქონდა მხოლოდ კარგი გული!

საარაკო ფრინველს ჰგავდა,  
მას ვუმღერდით, მას ვაქებდით,  
მაზედ ცუდს ვინც გაბედავდა,  
ბატის ფრთებზედ ავაგებდით!..

დრომ ვერ დასდო მას თვის კვალი,  
დარჩა, როგორც იყო, ტკბილი,  
ახალგაზრდათ წმინდა თვალი  
მისკენ იყო მიპყრობილი!..

ერთ დღეს მოგვესმა ყიყლიყო,  
აღარ გვესმა ტკბილი ჰანგი...  
მიველთ, ვნახეთ, აღარ იყო  
ბალში ჩვენი ფარ-შავ-ანგი!..

ნაცვლად მისა დათვი დაგვხვდა,  
მას თან ჰყავდა ორი ბელი!..  
მაშინ მივხვდით: საქმე წახდა!  
შემოვირტყოთ თავში ხელი!..

მას აქეთ, შეწუხებული,  
ფარ-შავ-ანგს ვეძებთ მწუხარე,  
მას ვიგლოვთ გულდაწყვეტილი  
და ცრემლები გვდის მდუღარე!

გვასწავლეთ, საით გაფრინდა  
ის ჩიტი ღვთით-მადლიანი,  
და მოგვაშორეთ, არ გვინდა  
ეს დათვი ორ-ბელიანი!

[1872 ]

## ალარ გვაქვს გრძნობა

ალარ გვაქვს გრძნობა, დავჰკარგეთ გონი,  
გაგვიქრა სული მამაპაპური!  
ჩინი შეგვექნა ჭკუის საწონი  
და ძმობის ნაცვლად – ბოროტი, შური!

ადგილი იგი, სად ჩვენს წინაპარს  
სისხლი უღვრია თავგანნირულსა,  
შვილთ გვეზიზლება დღეს, ალარ გვიყვარს  
და ვერ გვიხურებს გაყინულს გულსა!..

იქ, სადაც ძველად ქართველი ქართველს  
ხელს მიაწვდენდა ძმურად, საშველად.  
დღეს იქ ქართველი ყელში უჭერს ხელს  
თვის მოძმეს სულის ამოსახდელად!..

ჯერ მოჰკლავს ტანჯვით და დევნით საწყალს,  
მერე მოვა და ზარით იტირებს,  
აასრულებს ის უკანასკნელს ვალს,  
ფარისევლობით მჭვრეტელს აკვირვებს!..

ფარისეველო! გაუტანელო!  
სხვასთან თავმხრელო, შინ ორმოს მთხრელო,  
ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო!  
რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო?!

რისთვის გაჰყიდე?.. მაგრამ კითხვა ღირს?!  
განა ეს ისეც არ შეგვიტყვია:  
მხოლოდ ის ჰკურნებს ქართველისა ჭირს,  
თუ თავის მოძმეს გულში ჰკრა ტყვია!..

დავჰკარგეთ გრძნობა, ალარ გვაქვს გონი,  
გაგვიქრა სული მამაპაპური!  
ჯილდო შეგვექმნა ჭკუის საწონი  
და ძმობის ნაცვლად – შური და შური!..

## განპექრენ უამნი

განპექრენ უამნი ოცნების,  
რაც მრწამდა, აღარ მჯერა!  
ბაგეთ არ ეკოცნების,  
აღარც გულს გააქვს ძგერა!

აწ თვალნიცა სწორმხედნი  
ვარდმიც სჭვრეტენ ეკალსა!  
სოფელო! ვეღარ მხედნი:  
ორგზის ვერ ვიხდი ვალსა!..

გინდა, რომ მომევლინო  
ათასფერ მაღალ ნიჭად,  
ნუ ჰეთიქრობ, შემაცდინო,  
მაინც მექმნები იჭვად!..

თუ მეჩვენე საყვარლად  
და ამიძგერე გული,  
ლიმილით გეტყვი ტკბილად:  
„ბატონო, არ მაქვს ფული!“

არ მომიცდი მაშინა,  
ტყვილად არ დაღალდები!  
ვით რკინისგზის მაშინა,  
სხვისკენ წასრიალდები!

თუ მეჩვენე მეგობრად,  
ნახე სახლის კარები,  
ფულს გთხოვ... გაგიხდი უბრად:  
ვეღარ მომეკარები!

თუ მოდი ნათესავად,  
საწყლობას მოვიგონებ,  
და შენც, რა მნახავ ავად,  
აღარ მომიცდი, ვჰეონებ!..

როგორც გინდა გვეჩვენო,  
ცხადად, გინდ მოლანდებით,  
ერთგზის ნაცნობო ჩვენო,  
გიცნობთ, ვინცა ბრძანდებით!

სიჭაბუკე შორსლა ჰერენს,  
მას გაჰყვა ქარი-მარი,  
და ან ველარ შეგვაცდენს  
შენისთანა სტუმარი!

განჰქრენ უამნი ოცნების,  
რაც მრნამდა, აღარ მჯერა!..  
ბაგეთ არ ეკოცნების  
და აღარც გულს აქვს ძგერა!

[1872 ]

## ჩიტუნიები

ჩიტო! ჩიტუნიებო!  
 შინ ლომის წუნიებო,  
 სხვის სახლში შაქრის ჭამით  
 არ გახდეთ უგუნებო!

ნუ გსურსთ სხვისი ალერსი,  
 პატივი უკეთესი!..  
 ეგ სულ ვაჭრული არის  
 ანგარიში და წესი,

თორემ პირადობითა,  
 საკუთარ მინდობითა,  
 არავინ არ გაგიტანსთ  
 არც ძმობით, არც დობითა!

თავზედ რომ ვარდს გადებენ,  
 ქვეშ ეკალს გიმზადებენ,  
 სულ სტყუიან, იცოდეთ,  
 რასაც რომ გიქადებენ.

ნახავთ ერთ დღეს თქვენც საზარს.  
 ფეხზედ შეგხსნიან ბაწარს,  
 საცინლად აგიგდებენ  
 და გიჩვენებენ თქვენც კარს.

მაშ, სჯობს, ჩიტუნიებო,  
 შინ ლომის წუნიებო,  
 სხვის სახლში შაქრის ჭამით  
 არ გახდეთ უგუნებო!

[1872 ]

## სავლე

როდესაც პირველ ჭეშმარიტებას  
დაქადაგებდენ მოციქულები,  
უარსა ჰყოფდენ უღირს დიდებას,  
სიწმინდით სძგერდა რა მათ გულები.

დაბად და დაბად და ქალაქებად  
ჭეშმარიტებას ხალხს ახარებდენ,  
ავს საგინებლად და კარგს საქებად  
დაუფარავად აღიარებდენ, –

მაშინ კერპებმა განიფრთხეს ძილი,  
რადგანაც ნათელს ერჩიათ ბნელი,  
და მოციქულებს სწამეს რა ცილი,  
მათ სადევნელად ამართეს ხელი!..

მაგრამ ქადაგნი შეუპოვარად  
აღიარებდენ ჭეშმარიტებას,  
თავგანწირულნი მარად და მარად  
შეურაცხჲოფდენ მათს ბოროტებას!..

და მით კერპები გამძვინვებული  
ვეღარ ჰყარავდენ თვის მახინჯობას!..  
უიმედობით უძგერდათ გული,  
სჭვრეტდენ მოციქულთ რა გამარჯვებას!

გასტყდენ კერპები! ერთი მათგანი!  
თავკაცთაგანი, სახელად სავლე,  
გამოიცვალა რა მან საგანი,  
ახალის სჯულის იქმნა მოსწავლე!..

ალიარა რა ჭეშმარიტება,  
ნათელს მიჰმართა, განვიდა ბნელით  
და თვით დაიწყო მან ქადაგება  
მოციქულისა პავლეს სახელით!

საცლეებს ჩვენშიც ბევრს ვეგულები,  
ცრუ აზრი მართლად რომ შეიცვალონ,  
მაგრამ სადა გვყავს მოციქულები,  
ჭეშმარიტება რომ მათ ასწავლონ?

[1872 ]

## ორი სურათი

საფლავებრ პნელი მაისის ღამე  
გადასწოლია მძინარ პუნებას,  
რომელიც თითქმის მთლად გაუმსჭვალავს  
ჯოჯოხეთურსა უცნაურ ვნებას!

ყოვლგან ხელმწიფობს მკვდრული სიჩუმე...  
მხოლოდ ხანდახან ისმის კივილი  
და მას პასუხს სცემს რაღაც ფრთქიალით,  
როგორც ტვინის წვას, გულის ტკივილი!..

ნეტავ, რა ხმაა ეს საზარელი?  
კუდიანებს ხომ არ ეძახიან  
ბრუტისაბძელაზედ და ისინიცა  
ბატონ როკაპთან მიისწრაფიან?

არა! საზარი და შავბედითი  
ეს ხმა ზარნაშოს კივილი არი  
და ნანგრევიდგან მეღამურები  
გამოფრინვიან ამ ხმით დამფრთხარი.

წყევის ბეჭედი აძევს პუნებას!  
მთლად დაუტვირთავს ის შეჩვენებას!  
არარაობა სჯობს ამ არსებას  
და ტანჯვით შფოთვა – ამ მოსვენებას!

მაგრამ უეცრად მთის გადაღმიდან  
გამოჩენდა მთვარე სხივმომფინარე,  
მასთანც მუდამი მისი თანმსრბოლი  
მცირე ვარსკვლავი მოსხივცისკარე!

თვის შუქით ჰკურნებს ტანჯულ ბუნებას,  
მშობლურ ალერსით სჭვრეტს მომცინარე!  
მით მოუბრუნდა ბუნებას მაჯა  
და სულს იბრუნებს მთლად არემარე!

ყოველს სულდგმულსა, ყოველს მცენარეს  
ერთბაშად ტკბილი აქვსთ გულის ძგერა!  
ყვავილი ფშვინვენ სურნელებასა  
და ბულბულთ იწყეს ჩვეულებრ მღერა.

ნიავი უქრის, მცენარე თავს ჰხრის,  
ფოთოლთ საამოდ გააქვთ შრიალი!  
მიკვირს, ბუნება რად იტანჯოდა,  
თუ თვით ჰქონია ამდენი ძალი?!

ვგონებ, მაგალითს გვაძლევს ბუნება:  
ჯერ უნდა ვნახოთ ჩვენ განსაცდელი,  
რომ მით, გვირგვინი გამოცდილების,  
ბოლოს ვიხილოთ ბნელით ნათელი!

მაგრამ ძნელი ხარ შენ, განსაცდელო!  
ვინ გაგიძლოს შენ, თუ არ რჩეულმა?!  
აურაცხელი და უნონელი  
ვით აიტანოს ტანჯვა გლახ-გულმა?!

შენი მებრძოლი, სულით ობოლი,  
ბევრი გვინახავს შვილდებრ ღუნული,  
და რომელიც კი არ მოგლუნვია,  
დაგიმტვრევია, როგორც ყინული!

შემცნეული მაქვს მეც შენი ძალა,  
რასაც მექადის, ვხედავ, მე ბედი,  
მაგრამ დავიმტვრე, არ მოვიღუნვი,  
მსურს მატყუებდეს მისთვის იმედი!

თუმცა კრული მაქვს აწმყო არსება,  
მეხსიერებაც, ყოველს ჩემს წარსულს  
ზარნაშოსავით რა თავს დამძახის,  
ტვინსა მიღულებს, მით მიშფოთებს სულს;

და მის ხმაზედა შავი ფიქრები,  
ვით მეღამურა, თავზედ დამფრენენ  
და, აწმყოს წარსულს რა უერთებენ,  
ბნელზედ ორკეცად უკუნს მაფენენ!

მაგრამ მე მაინც სრულ იმედითა  
ველი იმ მთვარეს და იმ ვარსკვლავსა!  
მოვსტყუვდე, მაინც არ მოვილუნვი  
და ჩავალ სწორი სწორსა საფლავსა!

1872 წ., 15 ოქტომბერი. ქვაშიხორი.

## ახალი სამართალი

კატა და ძალლი

მორბისა კატა, ვით ისარი,—  
ძალლმა გამოუნავარდა!  
ოხ, რა კუდიანი არი:  
არ კი ხეზედ შეუვარდა!

აბუძგული, კუდპრეხილი  
ძალლს მაღლიდამ დაპფხუკურებს,  
ულრენს მურა კბილდრჭენილი,  
კუდის ქნევით რა შეჰყურებს.

კატუნია იმას ჭყავა,  
რომ განსაცდელს თვალით ჰევდავს,  
ძალლი ხეზედ თუმც ვერ გავა,  
მაგრამ ძირს ის ვერ მობედავს.

უცდის მურა მას ხის ძირში,  
თაგვის მტერს, ნივრის წუნიას,  
თუ ჩამოვა, შიგ ცხვირ-პირში  
მიახტება ციცუნიას!

საწყალი ვინ დაიფაროს?  
რა ჰქნას კატამ დატანჯულმა?  
მაგრამ უეცრად იმა დროს  
იქ გაიარა მსაჯულმა!

როგორც ჩვენ გვყავს მსაჯულები,  
პირუტყვთაც ისე ჰყავსთ ვირი,  
ბოქაულად მათაც მგლები,  
ადვოკატად მელა ძვირი!

ვირმა რაკი დაინახა  
ჩხუბი ძალლისა და კატის,  
ბრძანების ხმით მიაძახა  
ორთავ შოვნა ადვოკატის.

უთხრა: „მიკვირს, ჩხუბს ვით ჰქედავთ,  
დაგავიწყდათ მსაჯულიო?  
ახლა მაინც ხომ კი მხედავთ,  
დაიმშვიდეთ ჯერ გულიო!..“

„უკანონდ ნუ ირჯებით,  
საჩივარი მომართვითო,  
თორემ ორნივ დაისჯებით:  
დაგიჭერენ თითო-თვითო!“

რა გზა ჰქონდათ!.. დაუჯერეს,  
ვერ გაუბედეს უარი:  
დროთი ჩხუბი შეაჩერეს  
და მიართვეს საჩივარი!

ეს საქმე რომ განეხილა,  
მართლმსაჯული დაეჩქარა,  
დრო დაუნიშნა „ხვალ დილა“  
და ორივე დაიბარა...“

თვითონ კი დაადგა შარას,  
არავინ არ დაუძრახავს!  
ზოგ-ზოგ მსაჯულს მეტიჩარას  
არ ჰგავს, ჩვენში რომ გვინახავს!

აწ სად იყო და სად არა,  
ეცა სუნი, გაჩნდა მელა!  
ჰქედავს, რომ ჩხუბი ამტყდარა,  
მოცუნცულდა ნელა-ნელა!

ვითომც უეცრად იმ მხარეს  
მან თავისთვის გაიარა,  
მომჩივრებმა გაიხარეს  
და მიმართეს მისკენ ჩქარა.

ორივე დიდის ვედრებით  
მას მივარდენ, როგორც გიუი,  
მაგრამ მელამ შეფერებით  
ჯერ გაიდვა თავპატიუი,

მერე ძალით დაეთანხმა,  
მაგრამ სთხოვა ბევრი ფული!  
მურას არ იამა ეს თქმა  
და დარჩა პირდალებული!

ბოლოს უთხრა: „ეხ, ბატონო,  
საქმე ჰქმენ ღვთის სასიამო...  
ლარიბი ვარ და უღონო,  
მე რა მაქვს, რომ შენ გაჭამო!“

– „არ გაქვს? ჩემი რა ბრალია?  
მლვდელმა ტყვილად ვის უწირა?  
რიგი და სამართალია,  
ადვოკატს რომ მისცე ქირა!“

– „პატრონისგან განაჩენი  
დღეში მაქვს მე თითო მჭადი,  
ნახევარი იყოს თქვენი!“  
მაგრამ მელამ უთხრა: – „წადი!...“

ეგ არის ცხადი დამცრობა  
ჩემისთანა ადვოკატის!..  
სჯობს, მოვისმინო პირობა  
ისევ საცოდავი კატის!“

სთქვა და კატას მიუბრუნდა,  
მურას შეაქცია ზურგი!..  
აბა, ადვოკატს რად უნდა  
მომჩივარი მისი ურგი!?

კატამ დაუწყო: – „ბატონო,  
ახალი სჯულის ჭახრაკო!  
რა მაქვს, რომ შენ მოგაწონო?  
და რა არის საარაკო:

„თქვენის შრომის შესაფერი?  
რაც მაქვს, სულ დასაწუნია!..  
დალარიბდეს თქვენი მტერი,  
ვარ ლარიბი ციცუნია!

„მაგრამ, თუ მექნა იმედი  
თქვენ კრიმანჭულ-შობილების,  
არ დამჩაგრავს ჩემი ბედი,  
შემწე ჩემი პრჭყალ-კბილების:

„კუპატებს, თევზებს და ყველებს  
ჩემს პატრონს ხშირად მოვჰპარავ!  
და ეს არც შენ დაგახველებს,  
მოგართმევ, თუ დამიფარავ!“

მელამ რომ ეს გაიგონა,  
ნამოუდგა ნერწყვი პირში!  
კატას თავი მოუქონა  
და შველაც უქადა ჭირში.

უთხრა: „ყველა ნაქურდალი  
ნახევარი ჩემი იყოს,  
ვერას გიზამს სამართალი,  
არავინ არ გაგაბრიყვოს!

ვერას იზამენ ჩემს საწყენს,  
მსაჯულები მე ხელში მყავს!  
ისინიც რომ იღებენ ძლვენს,  
ორჯელ-სამჯერ ჩვენც გვინახავს!“

ამ სიტყვით დააიმედა,  
კუდი კუდში გაუყარა!  
საწყალმა ძალლმა შექედა  
და ყურები ჩამოჰყარა!

გათენდა დილა თუ არა,  
დაბძანდა მსაჯულად ვირი,  
მომჩივრად წამოდგა მურა,  
მოჰყვა თვისი გასაჭირი:

– „დიდშობილებაო ვირო,  
თავდიდო და ყურებგრძელო,  
ჩვენი მსაჯულების პირო,  
როგორც სხვებრ, გვარითაც ძველო!

„ლარიბი ვარ, თქვენთ ფერხთ მტვერი,  
არავინ მიადვოკატა,  
ამით მჩაგრავს ჩემი მტერი,  
ამას ჰერობს დღეს ეს კატა!..

„თქვენვე იცით, არ გახლავარ  
მელასავით ხერხიანი,  
მაგრამ მოგახსენოთ, მზა ვარ  
მე საწყალი, შავდლიანი!

„არ გახლავარ მჭევრმეტყველი,  
ენა მიხმება მწუხარეს,  
მაგრამ თქვენის სიბრძნით ველი,  
არ დასჩაგრავთ მართალ მხარეს!

„რა ვქნა, თავი შეიწუხე!  
მომისმინე ყურადღებით:  
მე და ჩემი მოპასუხე  
ერთს ბატონს ვემსახურებით.

„ჩემი გვარი ადრევ, ძველად,  
უსამართლო მსაჯულებმა  
დაამტკიცეს ეზოს მცველად:  
– დასჭამა ისინი მგლებმა! –

„მეც ეზო და მთლად სახლ-კარი  
მაბარია, მაქვს ბრძანება,  
ზაფხულია თუ ზამთარი,  
მაინც არ მაქვს მოსვენება!

„მთელი დღე და მთელი ღამე  
ვყეფ მე ყურებდაცქვეტილი!  
სად არის ჩემთვის სიამე!  
ან სად არის ტკბილი ძილი?

„ზაფხულობით სიცხე მაღრჩობს,  
ზამთარ-ზამთარ სიცივე მკლავს!  
ერთგულობით ვერავინ მჯობს,  
ჩემისთანა არვინ ახლავს!

„მაგრამ მაინც უმადური  
პატრონი არაფრად მაგდებს,  
და რომ ვსთხოვო ლუკმა პური,  
ცემით კარში გამომაგდებს.

„ახლა ნახეთ თქვენ ეს კატა,  
ჩემი მტერი, ჩემი მკვლელი!  
ნეტავ, ამან რა შემატა  
და ან მე რა დავაკელი,

„ჩვენს ბატონს რომ ასე უყვარს  
და მე კი მადენს სიმწრის წვენს?  
მე მიკეტავს ყოველთვის კარს  
და ამას საწოლში იწვენს!

„ამას არ ვჩივი ხარბობით:  
როგორც უნდა, ისე ჰყავდეს,  
მაგრამ ამ კატის შარობით  
მე ის რად უნდა მირტყამდეს?

„შარშან ამ დროს, მარტის თვეში,  
როცა კატები ჩხავიან,  
მე ვიწერ კიბეს ქვეშა,  
შუალამის შემდეგ გვიან.

„მომესმა კატის ჩხავილი,  
შევიტყე იყო მამალი,  
რადგან ხმა ჰქონდა მას მსხვილი...  
ალარ გავახილე თვალი.

„ვსთქვი: „ეს კატა გარეული  
ჩვენს ციცასთან სიძედ მოდის,  
იმისათვის უცემს გული,  
ჩემთან რად მოიხდის ბოდიშს?

„ვსთქვი და დავაპირე ძილი,  
მაგრამ უცბად გავიგონე  
ქალბატონის მე ხმა ტკბილი,  
შეფერებით თავმომწონე:

„ჩემო კატუნო, რა არი?  
რას შემომჭყავი გარსაო?  
გვერდს მიწევს მე ჩემი ქმარი,  
შენ ვინ გაგიღებს კარსაო?“

„ამაზედ კატა აყვირდა:  
„მიაუო!“ ვაის ხმითა, –  
ეს მე ცოტა გამიკვირდა  
და როგორლაც არ დამიჯდა.

„ვიფიქრე თუ: ახლა ბნელა, –  
ეს რომ ბატონებს მიწუხებს,  
ვუკბენ, მივეპარვი ნელა,  
ამოვაკვეთინებ ფეხებს!

„რომ წამოვდეგი, მივედი,  
კაცი დამხვდა კანკურაზი!  
ავენთე, როგორც აბედი,  
მომერია მაშინ ბრაზი!

„რბილ ადგილში ვსტაცე კბილი,  
ღვარად სისხლი გავადინე,  
ჩვენი ეზო და ადგილი  
სიმწრით გადავარბენინე!..

„მეორეს დღეს თავმომწონედ  
მე სასახლეში შევედი,  
მაგრამ უცბად ქალბატონმა  
თავზედ მხეთქა დიდი კეტი.

„და ვაუბატონს ასე უთხრა:  
„ამ ძალლმა ის მაწყინაო,  
რომ წუხელი ალარ დასცხრა  
და კატა დამიკბინაო!“

„რა თქმა უნდა, ტკბილ სიტყვითა  
ქმარს შეაცდენს ცოლი ფრახი  
და ვაუბატონმაც რისხვითა  
გადამიჭირა მათრახი.

„ამგვარად კატის შარობით  
მე გადამწყდა განსაცდელი  
და აწიცა ამგვარობით  
ამისგან ბევრს ტანჯვას ველი.

„ეს პირველი საჩივარი!  
ან მეორეს მოგახსენებ...  
მისგანა ვარ მე დამწვარი,  
გული მტკივა, ვერ ვისვენებ:

„საფერისცვალობოდ ბატონს  
ძლვნად მოერთვა ორაგული,  
და მასპინძელსაც თავემომწონს  
სიამით უძგერდა გული!

„სთქვა: „მეზობლებს დავბატიუებ,  
მოვხდი ჩემს ძველის-ძველს ღვინოს,  
სტუმრებს ყველას დავაგიუებ,  
მინდა ყველამ მოილხინოს!“

„თევზის მოხარშვა უბრძანა,  
ხახვ-ნიგოზი ჩაანაყეს,  
და მთლად წვნიან-ფოჩიანა  
ის თახჩაში შეინახეს.

„თევზის სუნმა გაამხეცა  
ჩვენი ციცა... გაიწურა!  
აქეთ ეცა, იქით ეცა,  
როგორც იქმნა, თევზთან შეძვრა.

„და მის ეშიით გაბრუებულს  
ალარ ესმის: „აცხა! აცხა!“  
აბა, კი იჯერებდა გულს:  
რომ უნდოდა, ისე გაძლა!

„იქიდამ ძლივსლა გადმოხტა,  
ღია დარჩა თახჩის კარი,

აჲ, ღმერთო ჩემო, რა მოხდა!..  
მთელს ოჯახს დაეცა ზარი!..

„ვაუბატონი ალრიალდა, –  
ჰყვირის: „ეს ვინ გამიბედა!“  
ეს ქურდობაც მე დამბრალდა  
და მაყვირეს: „ვაი, დედა!..“

„მე რომ ჯოხი მამნარებდა,  
ვწუნუნებდი ცრემლის ღვრითა,  
კატა სეირს მიყურებდა,  
ულვაშების ცმაცურითა!..

„ბევრი რამ მახსოვს ამგვარი,  
უფრო ბევრს ანიც მოველი,  
თავსა თქევნ წინ მისოვის ვიხრი  
და ვარ სამართლის მთხოველი!“

ვირმა რომ ეს ასე ნახა,  
სახეში მიიღო ყველა,  
მოპასუხეს დაუძახა  
და მის ნაცვლად წარსდგა მელა.

თავი დაუკრა მსაჯულსაა,  
გრძელი კუდი გაუქნია!  
ვნახოთ, კატას გატანჯულსა  
რა მოსარჩლე მიუგნია!

ადვოკატმა ჩაახველა,  
ჯერ ვითომ ხმა გაისწორა,  
მერე მოჰყვა: – „ერთად ყველა,  
ერთგვარად და თანასწორა,

„მტყუანი, გინდა მართალი,  
თქვენს სამართალს თხოულობენ!  
ჰსურთ, ერთმანეთს დასდვან ბრალი  
და გამტყუნებას სცდილობენ,

მაგრამ თქვენის სიბრძნის ქება  
სხვა ქვეყნებშიც გასულია!  
ვისაცა ჰსურს მოტყუება,  
მისი საქმე წასულია!

„თქვენ, ბრძენნო, მტყუანს და მართალს  
ერთი შეხედვით შეატყობთ,  
სიცრუით ვინ აგიხვევთ თვალს?  
მტყუანს ანგელოზს დაუფრთხობთ!

„ჩვენ სხვა არავინ გვგონია  
მსაჯულად თქვენი სადარი!  
ჯერ არვის გაუგონია,  
რომ ყოფილიყოთ შემცდარი.

„მაშ, ვერ გვაშინებს შავ-ბედი,  
თუ თქვენ მოგვინეთ სინათლე,  
რადგანც ჩვენა გვაქვს იმედი,  
რომ წინ მიგვიძლვის სიმართლე.

„სიცრუით მაბეზლებელსა  
ძალლს რაზედ მოსვლია გული?  
ამ ჩემსა მარწმუნებელსა  
რა აქვსო დანაშაული?

„ეს რომ უყვარს ამის პატრონს,  
სულ ყოველდღე ეფერება:  
ხან ყველს აჭმევს და ხან მაწონს, –  
მურა მისთვის ემტერება?

„სწორედ ახირებულია!  
ტყვილა ხომ არ უგდებენ ყურს:  
ესეც მათი ერთგულია,  
ესეც იჩენს მათს სამსახურს!

„ეგ ძალლი თუ ეზოს იცავს,  
ეს შინ იცავს სახლების ჭერს  
და დაუძინებლად სისხლს სვამს  
თაგვებისას... ვით მტრებს, იჭერს!

„დამლამობით ფეხთით უწევს  
ქალბატონს და შეჰერუტუნობს,  
არც ბრჭყალავს, არც რამესა ხევს  
და არც მოსაკითხსა სწუნობს.

„თვითონც დახატული არი,  
სუყველას თავს მოაწონებს,  
დროზედ მარდი, დროზედ წყნარი...  
მისთვის უყვარს მის ბატონებს!

„და სხვა, რაც კი შეეხება  
ძალლთან ამის პირადობას,  
მურა უსაფუძვლოდ სწყრება,  
ეწამება ღალატობას.

„სხვამ რომ კატის ხმით იძახა,  
ჩვენც ვიტყვით, რომ მართალია,  
ბატონმაც ძალლი გალახა,  
მაგრამ კატის რა ბრალია?

„საყვარლისთვის უკბენია,  
ქალბატონიც დაემდურა!  
ხომ არვის დაუსმენია  
და კატას რას ერჩის მურა?

„თევზი რომ შესანახავად  
ბატონმა სხვას მიაბარა,  
და კატა მოიქცა ავად,  
რომ ის თევზი მოიპარა,

„მისთვისაც მურა გალახეს,  
კინაღამ სული გალია?  
ხომ არვის სდომებია ეს, –  
და მაშ კატის რა ბრალია?“

„პატრონების არის ნება  
გალახვაც და მოფერება!  
ძალობა ხომ არ იქნება?  
კატას რისთვის ემტერება?!“

„ეს გახლავსთ, თუ მოიხსენებთ,  
სულ კატის დანაშაული,  
და თუ მაინც გაამტყუნებთ,  
თქვენი ნება იყოს სრული!“

ვირმა ესეც მოისმინა,  
შეიფერა, რა თქმა უნდა!  
გუნებაში ჩაიცინა  
და ორივეს მიუბრუნდა:

„თქვენში ვინ არის მტყუანი  
და ან მართალი, არ ვიცი!  
გყავსთ მოწმები მოსაყვანი,  
რომ მიიღონ იმათ ფიცი,

„და ისე სიმართლე თქვენი  
თვითონეულად ამიხსნან,  
რადგანც განჩინება ჩვენი,  
მსურს, რომ სხვაგანაც მართლად სცნან!“

კატა მარდად დაეთანხმა  
და დანიშნა მოწმედ ტურა,  
მაგრამ რა უნდა ჰქნას ძალლმა?  
დაფიქრდა საწყალი მურა

და მოახსენა ბატონ ვირს:  
მელა ნიშნავს თვის მოძმებსო,  
თორემ შინაურს, ეს მიკვირს,  
ტურა როგორ უმოწმებსო?!

და სთხოვა გადაყენება,  
მაგრამ ვირი ვერ მოიმხრო,  
რადგანაც იმან ინება  
დაენიშნა ახალი დრო...

ეს დრო დიდხანს გაგრძელდება? –  
როგორც ჩვენში, ერთის წლობით!  
და საქმე რით გათავდება? –  
კოცნითა და მასპინძლობით...

1872 წ., 3 ნოემბერს.

## მუხანბაზი

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,  
სიტყბოზედა მწარე მეტი დავლიე.

არ მშორდება მწუხარება და ჭირი,  
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი.

რას მიქვიან პირადი მწუხარება?  
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!

ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი,  
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?  
– ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი!

ფეხშიშველა და თავლეჩაქმოხდილი,  
უგრძნობლათ ჰედის საწყალს საღათას ძილი!

თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი,  
თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი,

მაგრამ მაინც ვიცინი სხვანაირად  
და მჭვრეტელთაც ესა აქვთ გასაკვირად:

„ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო!  
ეს იცინის!.. როგორ არა რცხვენისო?!”

რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!  
რომ სიცილი ბევრჯელ ცრემლზედ მწარია!

[1872 ]

## სხვაგვარი ტრუობა

ქალო, ნუ იცხებ ფერ-უმარილსა,  
ნურც იხუჭუჭებ შენ კეკლუცად თმას:  
ვერ მომიმატებ მით სიყვარულსა,  
ვერც გაადიდებ ამ ჩემს გულისთქმას.

დრო გადაგსვლია! არ ხარ ყმაწვილი!  
გამოგიტყდები, ვერ დაგიფარავ...  
გაკლია კიდეც საძირის კბილი...  
ნუღარ ყმაწვილობ, წლებს ნუ იპარავ.

რა საჭიროა? რომ კარგათ იცი,  
ისეც მიყვარხარ გულალელვებულს!  
თუ შენც გიყვარგარ, რათ გინდა ფიცი?  
სცნობს საყვარელი საყვარლისა გულს!

საქვეყნოთ გეტყვი, რომ დაიჯერო:  
შემსჭვალული ვარ მე სიყვარულით!  
მსურს, გული მხოლოდ შენთვის ვაძგერო  
და გეტრფო მარად სულით და გულით!

მისთვის მიყვარხარ, რომ შენ ხარ ქალი,  
ჭეშმარიტების გრძნობით აღვსილი,  
რომ აასრულე მშობლობის ვალი  
და გამოზარდე მამულის შვილი!

რომ „ნანინაში“ შენს პატარა შვილს  
არ უმდეროდი მრუდე მაღლობას  
და სიყრმიდგანვე იმ უმანკო ჩჩვილს, რომ არ აჩვევდი  
მით საძაგლობას!

ეტყოდი: „თუმც ხარ შენ ჩემი შვილი,  
მაგრამ ეკუთვნი პირველ სამშობლოს!  
შენ კი მიიღე ღირსი სიკვდილი  
და დედაშენმა, დეე, იობლოს!

უცხო ხალხთაგან დამონებული  
ვართ, შვილო! არ გვაქვს ჩვენში ჩვენ ბინა,  
და შენ აივსე მათ შურით გული, –  
ეს არის, შვილო, ჩემი „ნანინა!“

წვრთნიდი რა შენ შვილს, აი, ამგვარად  
პატიოსნების გზა მოუპოვე  
და სიყვარული მამულის მარად  
დედის რძესთანა თან შეაწოვე.

მაშ, მომეც ხელი, გული მაქვს ცხელი!  
რომ მოგეხვიო, მომეცი ნება!  
შენ გენაცვალოს კეკლუც ყოველი,  
ოხერიც იყოს მათი შვენება!

მე შენ არ გეტრფი შვენებისათვის,  
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი!  
მე გიამბორებ ხელზედ მისათვის,  
რომ მაგით გეპყრა მამულის შვილი!

შენს მკერდს ვემთხვიო, მაქვს მე სურვილი,  
თეთრი რომ არის – მისთვის კი არა!  
არა... მისთვის, რომ მამულის შვილი  
ჭემმარიტ დედას მაგ გულში გეპყრა.

მაშ, ნულა იცხებ ფერ-უმარილსა!  
ნურც იხუჭუჭებ შენ კეკლუცად თმას!  
ვერ მომიმატებ მით სიყვარულსა,  
ვერც გაადიდებ მით ჩემს გულისთქმას.

1872 წ.

## გამოსალმება

ჩემო ჩანგო, ობოლ-მწირო,  
ჩემის უბედობის ძირო,  
მტრებისაგან ქვებ-ნასროლო,  
მოყვრებისგან განაწირო!

გეთხოვები შენი მონა...  
ვერ მოგიმკე ვარდის კონა!  
ნაცვლად ეკლის თაიგული  
გიძღვენ მწარ სიცოცხლის წონა!

ვის ვსტიროდით ჩვენს არეში  
ან დღე, ან ღამე – მთვარეში?  
უპასუხოდ რად მივდივართ,  
მეგობარო, სამარეში!

რას ვკითხულობთ? შორს არ არი,  
ნავიდეთ, სამარის კარი!  
უკანასკნელად იქლერონ  
სიმებმა სიკვდილის ზარი,

რომ დამშიდდეს გულის ვნება:  
ერთს წამს ვნახო განსვენება  
და ოცნებით დამეხატოს  
მე ამგვარი მოჩვენება:

გამოჩნდეს ქართველი ქალი,  
რომ ქმოსოს კაცის ძალი  
და მამულის სიყვარულის  
გულში ედვას ტრფობის ალი!

მას ჭაბუკი აძლევდეს ხელს,  
ვით თანამგრძნობს მის სასურველს,  
და ორკეცის სიყვარულით  
გადიოდენ ბრძოლისა ველს!

რომ მათ ჰქონდეთ ერთი პირი,  
ერთი ლხინი, ერთი ჭირი  
და ერთად გამოეზარდოსთ  
მამულისთვის შვილი გმირი!

მაგრამ, ვაი, რასა ვჰქონი?  
თითქო ვიყო უსუსური!  
რად ვერ ვგრძნობ, რომ ოცნებითაც  
ვერ იხარებს უბედური!

ეჸ! გაჩუმდი, ჩანგო კრულო!  
სუ! ნულა სძგერ, გულო წყლულო!..  
და რაც მტანჯე, ის მაკმარე...  
უშფოთველად გაქრი, სულო!

1872 წ.

## მრისხანეს

მითხარ, ჩემზე რას მრისხანებ?  
 რა შეგცოდე, რომ მაწამე?  
 გლახ-სიცოცხლეს რად მანანებ?  
 დღე ნათელი დამიღამე!

ეგებ მისთვის, რომ გავტედე  
 და შენს ტრფობას ვუძღვენ თავი?  
 შენ დამწვი, შენ მააბედე  
 და დამკვესიც შენ იყავი.

მაშ მე, ტურფავ, რას მემდური?  
 უნებურად იშვა ნება!  
 მიკვირს, ღმერთო, ჩვენებური  
 დატკბობაც და მრისხანება.

ან რათ მიკვირს?! არ გაქვს ბრალი:  
 – ვინ ამტკიცოს დაუმტკიცი?  
 შენ ხარ იმერელი ქალი,  
 ტრფობაც იმერული იცი:

ესე იგი, კრიმანჭული,  
 უგრძნობონ და გულსაკლავი,  
 სადაც თავობს მტკიცედ გული  
 და გულობას ჩემობს თავი.

მე ამ ჩემ ჭკუასა და გულს  
 მით ვაფასებ, რომ სხვაგვარ ვგრძნობ...  
 და, მაშა, შენ ჩემ სიყვარულს  
 ვერც ფასს დასდებ! ვერ გამოსცნობ!

მაგრამ მაინც მრისხანებას  
მისთვის შენ არ მემართლები,  
რომ არ ვითხოვ შენგან ნებას  
და ისედაც თავს გევლები!

გმონებ, გეტრფი, არ გთხოვ პასუხს,  
რაგინდ ბეჭმაც გამანვალოს!  
მიკვირს, ღმერთო, ის რაღას სწუხს,  
ვინც შენ თავი განაცვალოს?!

[1872 ]

\* \* \*

წარმოდგენავ შენ ოცნების,  
გულთ მადარო, ზესთ სადარო!  
ამპარტავნებავ შვენების,  
უკვდავების ტკბილო წყარო!

შენის ჭვრეტით ვერ-გამაძლარს  
გული მტკივა ხშირის ძგერით!  
ვაი, ვისაც ჩემებრ უყვარს  
უნუგეშოდ, შორს სიმღერით!

თუ ახლოს ვარ, შენ მიმონებ  
და ხარკად გაქვს მდუმარება!  
თუ მოგშორდი, მე გიგონებ  
და მდის ცრემლი – მდუღარება!

და თუ ვიწყებ შორით წერას  
შენთან, ხელი მიკანკალებს,  
და მიხშირებს გულის ძგერას,  
რა შიგ ცეცხლი გამიალებს!

ვეცადე, ეს სიყვარული  
დამეფარა და გამექრო:  
მაგრამ რა ვჰქნა, – სუსტი გული  
ხან-მსვლელობით მეწვის უფრო!

ვიცი, მაგ ცივს ამაყს გულში  
ვერვინ ჰნახავს ცეცხლმოდებას,  
მაგრამ მე შენ სიყვარულში  
მაინც ვჰპოვებ ნეტარებას!

დაე, გულმა ნუ იხაროს,  
შენი ეშხით დავიდაგო!  
მაგრამ მიკვირს – განკითხვის დროს  
რა პასუხი უნდა მაგო?!

[1872 ]

## სხვადასხვაგვარი სიყვარული

ქართლელ ქალმა სიყვარული  
 ტრფიალებით გამოხატა,  
 კაცის გული რკინათ სახა,  
 თვისი მასზედ ანდამატა.  
 იმერელმა კი ამ გრძნობას  
 ანგარიშიც დაუმატა, —  
 სთქვა: „თუ კაცი თაგვი არის,  
 ქალი უნდა იყოს კატა,

„რომ კუდქნევით და კრუტუნით  
 შეაცდინოს, დაიჭიროს,  
 ხან შეიპყრას, ხან გაუშვას,  
 ხან აცინოს, ხან ატიროს;  
 არც მოკლას და არც არჩინოს,  
 მის მჯვრეტელი გააკვიროს,  
 და მსხვერპლი რომ დაუჭლექდეს,  
 მერმე სხვებზედ ინაღიროს!“

მეგრელმა სთქვა: „სიყვარული  
 უნდა იყოს დაფარული, —  
 ტურასავით ფაცხაში ძვრეს,  
 თუ დაუხვდეს კარ-ხურული;  
 მაჟვაბელად თავს დამაწვეს,  
 მით დამიფრთხოს ტკბილი რული,  
 და მთელ ლამეს მაცოდვილოს,  
 ქმარმა ხვრინვით სთქვას მაყრული!“

გურულმა სთქვა: „სიყვარული  
რას მიქვია დაფარული?!”  
გაბეჭული უნდა იყოს,  
პირდაპირი, ვით შურდული!  
გაუწყვეტის კავშირითა  
გადააბას ორი გული,  
შიგ ყვავილი ჩამისახოს  
და მუდამი გაზაფხული.

„კაცი უნდა ლომი იყოს,  
დედალ ვეფხვად მე დამსახოს,  
მე ჩიტივით მეჭიკჭიკოს,  
სხვებს ზარის ხმით შეუძახოს,  
რომ მის შიშით ყველა ძრწოდეს,  
ხელი ვერვინ ვერ შემახოს,  
და ის ღმერთმა შეარცხვინოს,  
ვინც ამგვარი ტრფობა სძრახოს!“

## მწუხარება

გაქვავდი, გულო!  
დაები, ენა!  
მთვარეს არა ჰსურს  
ჩემი სხივთ ფენა!..

ის სხვას უნათებს,  
მე მიჩენს ბნელსა:  
განძრახვით ჩემთან  
იდებს ღრუბელსა!

ვით ქარიშხლისა  
ბერვა საზარი,  
განფანტავს ღრუბელს,  
ზღვისა მმღელვარი,

ისე ის სცდილობს,  
რომ ჩემი გრძნობა  
რისხვით განფანტოს,  
მიმხადოს ცნობა.

შორით ტანჯული  
გამკიცხოს მარად  
და მიმიყვანოს  
საფლავის კარად!..

მიგხვდი, საბრალო,  
მაგრამ უძლურსა,  
ვინ დაუჯერებს?  
ვინ უგდებს ყურსა?..

ამაყობს გული,  
თამამობს ენა  
და უნებურად  
ვიწყე მეც სტვენა!

[1872 ]

## ხსოვნა

სიკვდილი თუა არარაობა,  
 რა საშიშოა სიცოცხლის გაყრა?!  
 მაგრამ სულ სხვაა სულთ-მოძრაობა,  
 თუ სატრფო გულის კაცს მოეშორა!

სიცოცხლის ძაფი მაშინ მით წყდება,  
 რომ გულს ესობა ფინთიხ-ისარი!..  
 სიშორით სატრფო არ ავიწყდება...  
 ნაღვლით ზდის ხსოვნას ის ცოცხალ-მკვდარი.

და ოდეს ჟამი ალსასრულისა  
 მოუვა ტანჯულს ვით განსვენება,  
 უკანასკნელი მისის სულისა  
 კვეთება არის სატრფოს ხსენება.

ასე ამგვარად მწირი, ობოლი  
 ოცნების საგანს ვერ გაეყრება,  
 ელანდება რა თვის სულის ტოლი,  
 სანამ მას მიწა არ დაეყრება!..

მაშ თუ მეც მერგოს ამგვარი მხვედრი  
 და ჩემი სატრფო მე გამეყაროს,  
 ლმერთო, ძლიერო, მხოლოდ მას გვედრი,  
 რომ მყისვე მიწა მე დამეყაროს.

[1872 ]

## ჩემს მეგობარს

ხელში მიჭირავს შენი უსტარი,  
ნუგეშად, სატრფოდ მონაწერია,  
ბრძნულის აზრისა, გრძნობით დამტკბარი,  
და მით ამ გულის ამაძგერია!..

მოგიწერია, ყველაზედ მეტო,  
ჩემი წყლულების ტკბილო მაღამო:  
„გრძნობით აღვსილო, ჩემო პოეტო,  
შენსა სევდასა ნუ მიმალამო!“

შენ არ მოსტყუუდი ჩემის ღიმილით,  
სჩანს, გეყურება ამ გულის ძერა!..  
და მეგობრულის თანგრძნობით ტკბილით  
გსურს მომისმინო მე აღსარება,

რომ ჩემი მჭკნობი, ჩემი მღალავი,  
გლახ ჩემი ტვირთი გაიზიარო?  
მაშ, მოამზადე, თანმგრძნობო, თავი,  
რომ შენცა ჩემთან ცრემლები ჰლვარო!..

წარსული, აწყო და მომავალი  
ჩემი არს ბრძოლა ჩემივე ბედის!  
მით სისხლის ცრემლით მომერწყო კვალი  
და სურვილიცა განქრა იმედის!

ძმათ სიყვარულით აღმევსო გული,  
რა რომ შევიძელ ავ-კარგის ცნობა,  
ვშრომობდი მათთვის თავგანწირული,  
მაგრამ ვერ ვჰპოვე მათში თანგრძნობა!

ვიდოდი ხალხში შეუპოვარად  
პირბადიანი და მომლიმარი,  
მაგრამ ჩუმად კი მინურავს ღვარად  
ოხვრით ნართავი ცრემლები მწარი!..

სულით და გულით ობოლი, მწირი,  
ჩემთ დღეთა ასე ვათენ-ვალამებ,  
რომ სისუსტისგან თავს მაინც არ ვხრი  
და უგუნურს მტრებს მით არ ვახარებ.

მაგრამ კაცი ვარ მეც ხორცშესხმული,  
უბედურს წამებს მეც ხშირად ვმონებ,  
და მაშინ, რომ კვლავ გამემხნეს გული,  
სიმხნის მალამოდ მე შენ გიგონებ...

გიგონებ და კვლავ ისევ ხალისით  
ჩემს მწარე მიზანს ვემსახურები,  
და განწმენდილის მე სინიდისით  
საფლავისაკენ მივემურები...

რადგანც ვიზილავ მე განსვენებას  
უგრძნობლობითა იმ უმწარ-ტკბილით,  
ბოლოს მოვულებ რა მოთმინებას  
საუკუნოსა უფსკრულის ძილით!

სადაც სიცოცხლით გაჭირვებული  
გავხდები მე მყის მდიდარი მკვდარი,  
რადგანც ჩემ ცრემლით დასოვლებული  
იქ თან ჩამყვება შენი უსტარი!

უსტარი ტკბილი, ცოცხლის ნუგეში,  
უსტარი, ცივის მკვდრისა სიმდიდრე,  
უსტარი, მყოფი ამ ჩემს უბეში,  
რომლითც გიგონებ, ცოცხალ ვარ ვიდრე!..

[1873 ]

## სიმღერა

დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვურა,  
ტკბილ-ტაროსი შეგვეცვალა  
და უწყალო ქარიშხალმაც  
აორკეცა თვისი ძალა!

ვინც თვისტომის ტყავისაგან  
შეიკერა ქურქი თბილი,  
მას სიცივე ვერას ავნებს  
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.

მაგრამ რა ქნას, ვისაც ამ გზით  
არ უკერავს სამოსელი,  
სიცივე რომ მიადგება  
და შიმშილი, კუჭის მწველი?!

სჯობს, მიპბაძოს იმან მერცხალს:  
სიცივეს თუ შეუშინდეს,  
გაეშუროს დასავლეთით,  
ფრთა გაშალოს, გადაფრინდეს;

საზრდო მისცეს სულსა და გულს,  
მით სურვილი დაიმნიფოს,  
და რომ ზამთრის შეუპოვრად  
თვისი ღონე მოიკრიფოს,

მაშინ ისევ გადმოფრინდეს,  
აჭიკიკიდეს, ვით მერცხალი,  
რომ სხვებმაც სთქვან: „გაზაფხული  
ახლო არის მომავალი!“

დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვურას,  
ქარიშხალმაც გვბეროს ველით, –  
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,  
თუ გაზაფხულს კი მოველით!

[1873 ]

## სიჭაბუკე

სიჭაბუკევ, კეთილ-მტკბარო,  
სასუფევლის საიდუმლო,  
უკვდავების წმინდა წყარო,  
სად ხარ, ჩემთვის დაკარგულო?

ცეცხლის ოხვრით შენი მგონე  
თავს ვამონებ ოცნებას ტკბილს,  
და, წარსულით თავმომწონე,  
წამთა ვპარავ გულის ტკივილს!

ვცდილობ, ის დრო, ან გამქრალი,  
დავიბრუნო, მით ვიხარო,  
კვლავ აღვიგზნო გულში ალი,  
ნეტარების ცრემლი ვღვარო.

მაგრამ ვაი, ჩემსა ჩანგსა  
დავიწყნია ტკბილი ჟღერა,  
და ჩვეულებრ მისსა ჰანგსა  
ხარკად არ აქვს გულის ძგერა!

ტკბილისა წილ ხმასა მწარეს  
ნაღვლით სავსე ნაღვლად ვისმენ,  
ნაღველს ცრემლად ვღვრი მდუღარეს  
და მას ხარბად სიმნი ისმენ!

ვეღარ გპოებ ვერც ოცნებით,  
დროვო, ერთგზის დაკარგულო!  
მაშ სჯობს, იყო მოსვენებით,  
ნაღვლით სავსე, წყლულო გულო!

და შენ კი, ერთგულო ჩანგო,  
მსურს, რომ ისევ ხელი გახო,  
გაუყრელო ამხანაგო,  
და გულმკვლელად შემოვსძახო:

„სიჭაბუებ, კეთილ-მტკბარო,  
სასუფევლის საიდუმლო!  
უკვდავების წმინდა წყარო,  
სად ხარ, ჩემთვის დაკარგულო?!”

1873 წ.

## გაუბედავი სიყვარული

ათი წელი,  
მწარედ მწველი,  
გულს მიდაგავს ტრფიალება,  
და უბრალოდ  
სავალალოდ  
ჩემს გულშივე იმალება!

მიძგერს გული  
აგზნებული,  
მაგრამ გონი მიპამს ენას,  
მისი სხივით  
სანთელივით  
ვსდნები და თანც ვმადლობ ზენას!..

თუ ისიც მცნობს  
და ისიც გრძნობს,  
ჩემებრ იწვის უხმოდ, ერთი...  
მაშ, ოხ, ღმერთო,  
რად წაგვერთო  
ჩვენ კავშირი შემაერთი?!

ვიცი, გზნობის,  
ნამდვილ გრძნობის  
ნიშანია მდუმარება,  
ცხადად ტკბილი  
რამ ღიმილი,  
ჩუმად ცრემლი, მდულარება.

მაგრამ მაინც,  
მეტრფის მე ვინც,  
მსურს, რომ ერთხელ გამაგონოს:  
„შენ ჩემი ხარ!  
გულს მიზიხარ!“  
მითხრას ეშხით... დამაღონოს!

ორთავ ვიცით,  
 ფიცით მტკიცით  
 გრძნობა ჩვენი შეგვიტყვია!  
 თუმც კი ვხედავთ,  
 თქმას ვერ ვბედავთ,  
 გულზედ გვაწევს, როგორც ტყვია!

ათი წელი,  
 მეტად მწველი,  
 გულში გვაქვს ეს ნეტარება!  
 ვუგდებთ რა ყურს,  
 ორივეს გვსურს  
 და ვერ გვითქვამს აღსარება!

1873 წ.

## მეგრული ჰარალალო

გუშინ ვნახე  
მისი სახე,  
ვინც დაუგო  
ჩემს გულს მახე!

არ სიმღერით...  
გულის ძგერით,  
მივედი... და –  
მიხდილ-ფერით!

ვინც მიყვარდა,  
არ გახარდა,  
მეც მით ენა  
ჩამივარდა.

და მწუხარე,  
ვჯექ მდუმარე,  
ხმას არ მცემდა  
არც ის მთვარე!

კუშტად მნახა!  
სჩანს, დამძრახა,  
რომ ამგვარად  
მომაძახა:

„შემიტყვია,  
რაც გატყვია!  
ტყვილად გიკრავს  
გულში ტყვია!

შენი ბედი  
და იმედი  
რისთვის იწვის,  
ვით აბედი?

სხვისი მშვენი  
არ ვარ შენი,  
გირჩევ, შენით  
დამეხსენი!“

ეს რომ მითხრა,  
დამაფიქრა, –  
გულს საკლავად  
ისარი მკრა!

დამალონა  
მისი მონა,  
მნარე სიტყვა  
გამაგონა!

შემიბრალა;  
დამავალა,  
მაგრამ მით მე  
მთლად შემსცვალა!

რაღათ მინდა  
გრძნობა წმინდა,  
ჩემს გულს რა ის  
გაუფრინდა?..

რაღა არი  
ცოცხალ-მკვდარი,  
ან სიცოცხლე  
ჩემი მწარი,

თუ არ წყენა,  
ცრემლთა დენა,  
მაგრამ ცხადათ  
კი მოლხენა?

რომ არ ვღვარო  
ცრემლთა წყარო  
და მით მტრები  
არ ვახარო!

სჯობს, დაგმალო,  
გულის ალო!..  
და ვიმლერო  
„ჰარალალო!“

[1873 ]

## სიყვარული

სიყვარულო, ნიჭო სრულო!  
 ვის აგდებ და ვისკენა ჰეთენ?!

ბრმად დახვალ რა უგზო-უკვლოდ,  
 ძველ ბანაკსა ეკლებით ჰეთენ.  
 გულსა, შენგან დახაზულსა,  
 ველარ ჰკურნებს დრო და უამი:  
 თან იტაცებ სიხარულსა,  
 თან გდევს ოცნებისა წამი.

ან რად მოხვალ? რისთვის ალგვძრავ?  
 და თუ ალგვძრავ, რალად გვტოვებ?  
 სიჭაბუკის ვარდსა გვიზრავ,  
 გვაობლებ და გვამარტოვებ!  
 და გვაობლებ განა გვამით?!

გვამი ჰპოებს მალე თვის ტოლს!  
 მაგრამ შენ კი გვტანჯავ ამით,  
 რომ სულს სტოვებ საწყლად ობოლს!  
 და ობლობის სამკურნალო  
 ერთი მხოლოდ საფლავი!  
 უშენოდ, სამოთხის ძალო,  
 ტრფობავ, სიცოცხლე ავია!

სიყვარულო! სიყვარულო!  
 წამ ტკბილო და ხანგრძლივ მწარე!  
 დროა, ტანჯვა დამისრულო:  
 გულზედ მიწა დამაყარე.

1873 წ.

## ახალგაზრდა ქალს

(სურათი რომ გავუგზავნე)

აპა, სახე მოლრუბლული,  
უპირბადო, სწორმხატველი  
მისის გრძნობის, ვისიც გული  
არს კეთილის გამძრახველი.

მაგრამ ძრახვა ხელუხლებლად  
რად მინდა მე გულის მკვლელი,  
რომ სიცოცხლე ჩემი ბნელად  
მირბის, კვალის ვერმსახველი.

ან კი რა ვქნა, არ მაქვს ბრალი!  
დრო მეფობს და დრო მტარვალობს,  
არ გაქრება სუნთქმით ალი,  
იქ, სადაც კი ცეცხლი მძლავრობს,

მაგრამ მაინც ამ ჩემ სურვილს  
არ მოვიკლავ გულში ჩემით,  
და როს ვნახავ მამულის შვილს,  
თანავუგრძნობ თაყვან-ცემით.

თუ ამ ჰაბრებს შენცა უგრძნობ,  
მაშინ გქონდეს ჩემი სახე,  
და თუ არა, – ვერც მე გიცნობ,  
და გთხოვ, ცეცხლში ჩაუძახე!

[1873]

## ახალი წელი

მას უხაროდეს ახალი წელი,  
ვინც კი ცხოვრებით კმაყოფილია,  
ვისიც წარსული არ იყო მწველი  
და მომავალი ვისიც ტკბილია;

ვინც შარშან გულით ვარდი ატარა  
და წელსაც ჰყიქრობს, მომკის იასა,  
და თვისი გული მან მით ადარა  
სამოთხის კარსა, შვებით ღიასა;

ვინც ტრფობის ტახტად შეიმკო გული  
და ზედ ხელმწიფედ დასვა იმედი,  
და ვისაც ეშხით, ვითა ბულბული,  
განუწყვეტელად უმღერდა ბედი!

მას უხაროდეს... თორემ ნაღველი  
ვინც შესვა ჩემებრ და სცნო მწარ-ძალა,  
მას რაღად უნდა ახალი წელი?  
მისთვის ერთია „დღესა“ თუ „ხვალა“!

სამივეც ერთად შეზავებული –  
წარსული, აწმყო და მომავალი –  
ველარას არგებს! ბნელი უფსკრული  
და საფლავია მისი წამალი!

მაშ ნუ მილოცავთ მე ახალსა წელს!  
ჩემთვის ერთია – „ახალი“, „ძველი“!  
თუ შარშან ვსვამდი მწარესა ნაღველს,  
ამ სასმელს წელსაც ველი და ველი!

[1874 ]

## ენების გასამართლება

(ვუხძვნი გ. მუხრან-ბატონს)

მუხრანიდან ჯარი მოდის,  
 წყალივითა იწყო დენა,  
 მუხრან-ბატონი სარდლად ჰყავს,  
 უნდა თავის გამოჩენა.  
 ქართლ-ბატონს შემოსწყომია,  
 უფიცნია მაღლა ზენა,  
 რომ მოყვრობით არ დაზოგავს,  
 უნდა ამოჰელივოს ენა!  
 მისი რისხვა და მუქარა  
 ქართველ-ბატონს მოეხსენა, –  
 გაჯავრდა და თან გაჰკვირდა:  
 „რა გვაქვს საჩხუბარი ჩვენა?  
 თავის გვარი როგორ დაჰმო,  
 სჯული როგორ შეაჩვენა?  
 რა ფათერაკს შეხვდომია!  
 რა ეშმაკი მოეჩვენა,  
 რომ სულ უმიზეზოდ შფოთავს  
 და ალარც ჩვენ მოგვასვენა!  
 შემიგროვეთ, რაც მყავს ჯარი,  
 მივეგებო ცხენდაცხენა,  
 რომ გავჩუმდეთ, არ ივარგებს,  
 რადგანც უნდა ჩვენი წყენა!“  
 ასე ბრძანა ქართლ-ბატონმა  
 და ზედ ცხენი მიაჭენა!

მიეგება მომავალსა,  
 თავს უჩვენებს ან დამხვდურად,  
 მიაძახა: „მოღალატევ,  
 ფუ, ვერ გხედავ ძმასა ძმურად:  
 გული გესლით აგივსია,  
 ნათესავის დასამდურად!  
 მოძმის სისხლში ხელს თუ ისვრი,  
 მაშ დაგხვდები მეც მეფურად,  
 სასიკვდილოდ გაგიმეტებ,

ნულა გიკვირს ჩვენგან ნურად.  
 ერთს ანდაზას მოგაგონებ,  
 საგულისხმოდ იხვენ ყურად:  
 ძმის გაწირვა, მტრის მიღგომა  
 არ გეთვლება სამსახურად.  
 ტყუილად ნუ ვსწყვეტთ მაგდენ ჯარს  
 ცუდად, სისხლის მოსაწყურად:  
 თუ გულს გერჩის, ჩვენ შევებათ  
 ერთმანეთსა, სჯობს, „კახურად“.

მუხრან-ბატონს გაეცინა  
 და უთხრა: „ეგ რა სჩმახეო!  
 კაცი ვარ მე ქვეყნის ტოლი  
 და სუსტად ვით დამძრახეო?  
 რაც შენ დღეს ჭირი მოგადგეს,  
 ის შენს თავსვე დასახეო.  
 რად მაგზავნიდი სხვა ქვეყნად,  
 რად შემიცვალე სახეო?  
 იქ მე მასწავლეს ხერხები  
 და ათასგვარი მახეო, —  
 ვერ შემაშინებ მუქარით,  
 გირჩევ, სხვა ვინმე ჰფახეო,  
 თორემ ვერ მომაშლევინებ,  
 რაც გულით განვიზრახეო.  
 სასაცილოა ეგ თქვენი  
 რალაც სიტყვები მკვახეო...  
 უმჯობესია, რომ დამრჩე...  
 სხვა ენით დაიძახეო!“

ქართლ-ბატონს ფერი ეცვალა,  
 შეიქნა დაღონებული!  
 რა ექნა, ჯარი არ ჰყვანდა;  
 მან დაუჩაგრა მას გული,  
 რომ მომხრედ ვერვის ხედავდა,  
 ყველასგან დავიწყებული!  
 დაკვდა, საკინძი შეიხსნა,  
 მოსთქვამდა გამწარებული:

„ვაი, გავკოტრდი, კრეზივით  
მე ერთ დღეს გამდიდრებული!  
და ან სიცოცხლე რად მინდა,  
დამმარხეთ გამავდლებული!“

ამ მოთქმაზედ მთლად შეიძრა  
ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
მოვიდენ და მოახსენეს:  
„ბატონო, დაგვეცა რეტი, –  
მართალია, თქვენ მომხრედ დღეს  
არ ვარგივართ ჩვენ არც ერთი,  
მაგრამ შვილებს გამოგიზრდით,  
თუ ხელს მოგვიმართავს ღმერთი.  
მანამდი კი მოითმინეთ,  
ჭირს როგორმე გაუძელით,  
თორემ ჩვენ ყველას ყელს დაგვჭრით  
და თქვენც გამოიჭრით ხელით;  
სჯობს, ჯერეთ ცოტას დასჯერდით,  
იმერლები იახელით!  
მართალია, მათგან შველას  
და კურნებას მთლად ნუ ელით,  
მაგრამ არაობას ხომ სჯობს,  
რომ დავრჩებით ცალ-უდელით?!“

[1874 ]

\* \* \*

ერთხელ ვნახე, მეტად ვერა,  
ვინც მე გული ამიძგერა,  
ვისიც სახე და სახელი  
გულის ფიცარს დამეწერა.

სევდავ, ხელი მით შეგახე,  
რომ მეორედ ვერსად ვნახე  
ცხადად!.. მაგრამ ოცნებით კი  
თვალწინ მიდგა მისი სახე:

პირ-ეთერი, ტანად სარო,  
სათაყვანო, სანეტარო,  
ჭმუნვილისთვის სამკურნალო,  
უკვდავების ვითა წყარო.

ბროლ-ფიქალზედ ვარდ-ლაწვები  
– გულო, რად არ დაიწვები? –  
ბროლ-ბალახში, ბაგე-ლალი,  
ბაგეთ ტკბილად დასაანები.

შავ-ხუჭუჭ-თმა, ნაწნავ-ბევრი,  
წამწამ-ხშირი, წარბებ-ტევრი...  
კერძოდ ყველა – სიყვარული,  
ერთად – სიყვარულის წევრი.

ხალ-ნასობი, ყელი ბროლი,  
სიამითა ამაურული,  
უყირჭებლად სურვილისა  
სამარეში თანჩამყოლი!

მოციმციმე, თვალმაყვალა,  
პირნათელი, მხიარული,  
უძლეველი რამე ძალა,  
ყოვლით სრული სიყვარული!

ამაურულა, ხმანარნარი  
ერთხელ ვნახე, მეტად ვერა,  
მაგრამ მაინც მოვრთე ქნარი  
და მის ეშხზედ ვიწყე მღერა!

ვით ბულბული ტურფა ვარდსა  
შორით უყეფს, ბედზედ მწყრალი,  
მეც ისე ჩემს გულის დარდსა  
შორით ვუმღერ, ეშხით მთვრალი.

მიხდილ ფერით, გულის ძგერით,  
აღშფოთებით ვიფრთხობ ძილსა,  
და სურვილს ვკლავ, რა სიმღერით  
ოცნებასა ვმონებ ტკბილსა...

1874 წ.

## ტასოს ხაურ

ჩვენს მშვენიერ საქებ ტასოს,  
ნარნარსა და უკაპასოს,  
დღეს რაც ჭირი დადგომია,  
თქვენმა მტერმა დააფასოს:

ხაურ ჰყავდა მშვენიერი,  
ბუზ-პეპლების დიდი მტერი!  
ქალბატონის სატრფიალო  
და ალერსით გულ-მაძგერი!

ერთს ოთახში გაუყრელად,  
ერთმანეთის ეშნით მწველად,  
ერთი ნესტნად თავს სახავდა  
და მეორე ტარიელად!

მაგრამ დიდხანს ვერ იხარებს,  
ვინც დროს ასე გაატარებს,  
რადგანც ბედი ამა სოფლად  
უხშავს სიხარულის კარებს.

ერთ დღეს ეშმაქმა აცდინა  
ტასო, ცხენზედ შეაჯდინა,  
სატირალში წაიყვანა  
და ბევრი ცრემლიც ადინა.

რომ განსხვავდეს ყოველ ქალში,  
ტასომ ხახვი იცხო თვალში  
და დიდი სახელიც ნახა  
ცრემლების ღვრით სატირალში.

მომტირლები გააკვირა,  
მშვენიერად რა იტირა,  
და ბოლოს, როგორც რიგია,  
შინ წამოსვლა დააპირა!

თავმომწონედ გამობრუნდა,  
ვიღას ჰკადრობს? ვინდა უნდა?

მხოლოდ მის ხაუზედ ჰეთიქრობს,  
მაგრამ ბედი გაუბრუნდა:

რომ გააღო სახლის კარი,  
თავს დაეცა ტასოს ზარი:  
მკვდარი დახვდა მისი ხაუზო,  
გულში სევდამ ჰკრა ისარი...

მოსთქვამს: „ჩემო მშვენიერო,  
ან მე ვიღას მოვეფერო!..  
ჩემმა ტანჯვამ სევდით მოგკლა!  
უნდა ჩემს თავს დავემტერო!

ჩემო კაჭო! არ ვიცოდი,  
თუ რომ ჩემთვის დაიწოდი,  
თორემ მე სხვის სატირალში  
რა მინდოდა? რად მივრბოდი?

არ კი იყავ შენ ჭკვიანი,  
რაზედ გახდი იჭვიანი?  
შენ გეგონა, თუ მე ტრფობის  
გამოვიცვალე საგანი

და შენზედ ავიღე ხელი?  
რათ გეგონე მანგრე ხელი?  
ეხლა ვინდა მანუგეშოს,  
როს ცრემლები მსდიან ცხელი?

ან მე შენს მეტი სააჯო  
თუ სხვა ვინმე მივისაჯო,  
ამ სოფელში ლმერთმა მკითხოს...  
საიქიოს განვისაჯო“.

ასე მოსთქვამს თურმე ტასო,  
პირს იხოკავს, იგლეჯს თმასო  
და სამძიმრის მოხსენებას  
ვეღარავინ უბედავსო!

## ძველი და ახალი წელი

პიიპუ! პიპუ! პუუუ!  
 ხელში მიჭირავს ქამანჩა;  
 მსურს გავბერო სტვირის გუდა,  
 რომ ლექსებით ძველ ბატონსა  
 მივაყაროთ ქვა და გუნდა!  
 რაც რომ იმან ჩვენ გვაკვნესა,  
 კმარა!.. მეტი აღარ უნდა!  
 მტარვალობდა, მაგრამ ბოლოს  
 მასაც ფერი გაუხუნდა  
 და ახლისა მოსვლის წინად  
 უსირცხვილოდ წალაყუნდა!  
 ზოგიერთი პირუტყვები  
 შეიკრიბენ გუნდა-გუნდა,  
 გაპყვნენ, ცრემლით გააცილეს,  
 წინ უძლოდათ მელა-კუდა.

თავს სტირიან: „რაღა ვქნათო?  
 ჩვენს ბუმბერაზს ვშორდებითო,  
 იმის ხელში აღმა მსვლელი,  
 ან თავდაღმა ვგორდებითო,  
 და წმინდასა ანგარიშში  
 ვერვის გაუსწორდებითო!“

ტირიან და ქვითინებენ,  
 ცრემლმორეულს ხუჭვენ თვალსა...  
 დახეთ!.. დახეთ თვალთმაქცებსა!  
 ამადლიან მომავალსა.  
 მაგრამ გულში სულ სხვას ჰერძნობენ,  
 იწყევლიან გზა და კვალსა,  
 რომ შიშის ქრად ისახავენ  
 ახალ-ბატონს მომავალსა,  
 რომელიცა კარგად არჩევს,  
 თურმე ვარდსა და ეკალსა!  
 ჩვეულებრივ თვალთმაქცებით  
 მას ვერ აუხვევენ თვალსა!

არ აჰყვება მოენებს,  
 არც კიკოებს, არც იმ ქალსა,  
 რომელიცა საქნიელზედ  
 მიმინოებს უქნევს თვალსა!  
 როგორც მისი ჭკუა ურჩევს,  
 ისე აჩენს სამართალსა!  
 ერთის სიტყვით, სულ არა ჰგავს  
 თურმე იმ ძველ ბატონს მთვრალსა!  
 ხალხიც მისგან სამკურნალოდ  
 მიტომ ელის დღეს წამალსა,  
 რომ ან წყლული მოუშუშოს  
 ერთგულსა და შესაბრალსა,  
 და ჩვენც ვფიქრობთ, რომ ამ იმედს  
 აგვისრულებს, ვითა ვალსა.

მაგრამ უნდა გავიხსენოთ  
 ჯერ რუსთველის ნაუბარი:  
 „მას მკურნალმა ვითა არგოს,  
 ვინც არ სთქვასო სატკივარი?“  
 და თვითონ ჩვენ უნდა ვუთხრათ  
 ჩვენი წყლული-საჩივარი,  
 თუ ვით დღემდის მართალს სიტყვას  
 დახურული ჰქონდა კარი,  
 და მძარცველებს ჰქონდათ ხელში  
 ბურთ-მოედან, მთა და ბარი...  
 დროა, იმათ ბრელ საქმეებს  
 მიენათოს დღეს ლამპარი,  
 რომ გამოჩნდეს ნათლად და მთლად  
 საქმე მათი შესაზარი,  
 და შენც, ჩვენო ახალ-კოჩო,  
 სმენად ყური მოგვაპყარი!

რა გამრავლდენ ტურა, მელა  
 და ძალლები შინაური,  
 გაწყვა ჩვენში საქონელი,  
 ქათამი და ინდაური,  
 სულ საპნობით მიდის ღვინო

და ტომრებით მისდევს პური!  
 ბატონ მელებს გაუმარჯოსთ!  
 მოგვწონს მათი სამსახური,  
 კუდის ქნევა, ფეხის სლაქვა  
 და ცქვიტინა მათი ყური:  
 არც იქით მხრით, არც აქეთ მხრით  
 არავინ ჰყავსთ უმადური.  
 აზნაურსა გლეხი ჰნატრის,  
 გლეხს შენატრის აზნაური,  
 და ერთად კი ორივესა  
 აქეს მაძლარი ძალლის შური...

ამ ჩიტების გუნდში ვიცნობთ  
 ჩვენ მხოლოდ სამს შუამავალს,  
 რომელნიცა საზოგადოდ  
 ჯერ არ შესდგომიან სხვის კვალს:  
 ხელქვეითებს ტყავს არ ხდიან,  
 არ აგლეჯენ რბილსა და ძვალს  
 და მით ახალ ქურქს არ ჰყერვენ,  
 სჯერდებიან გამონაცვალს!..

შვიდი მგელი კიდევ სხვა გვყავს,  
 თითო თითოს მაზრებშია,  
 ყველა ერთად ბოდიშს იხდის  
 ჭკუასა და აზრებშია!..  
 მათი ნაშრომ-ნაღვანევი  
 ბევრჯელ ვნახეთ ბაზრებშია,  
 ერთი მათშიც ურევია  
 კარგი, როგორც ფაზრებშია!..

გავჩუმდებით, არას ვიტყვით  
 იმ ერთს დათვის ნახლებზედა,  
 რომელსაცა იმედი აქვს  
 დღესაც კარის ძალლებზედა,  
 და უძახის: „გეში! გეში!“  
 თითს უშვერს მათ სახლებზედა,  
 და ძველებთან გადასული

კბილს ილესავს ახლებზედა!  
 ერთიც არის... მაგრამ არა,  
 სჯობს, იმაზედ არა ვსთქვათ რა,  
 თორემ, ვიცი, არ დაგვზოგავს,  
 გიუია და მეტიჩარა...  
 ცულლუტი და გაიძვერა  
 დატრიალობს, როგორც ჯარა,  
 ვინც რომ კი დაუკვირდება,  
 უჩემოდაც იცნობს ჩქარა!  
 და ეს ჩემი მესტვირობაც,  
 მე მგონია, ან კი კმარა!  
 ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან,  
 გავჩუმდებით სწორედ, თვარა  
 სტვირის გუდა დაიჩუტა,  
 ყელში სული გაეპარა!  
 პიპუ! პიპუ! პუუუ!

[1874 ]

### ეპიტაფია

ნათესავთ ცეცხლთა მოდებით,  
სოფლის გაყრილი გოდებით,  
ილარიონ გიორგის ძე  
გოგიჯანოვი წოდებით.

კეთილი მუშა სოფლისა,  
ორმოცდა ხუთისა წლისა,  
უდროვოდ მკვდარი აქა ძევს,  
მართალი მონა უფლისა.

მკითხველო, მჭვრეტო ამისა,  
იყავ შემვედრე მამისა,  
რომ განუსვენოს მარადის  
წიაღსა აბრაამისა.

[1875 წლამდე]

ქალიშვილის ჩივილი

ჭაბუკმა რომ მიხილა,  
მითხვა: „გული შენია!“  
მიყნოსა და მიხილა,  
სთქვა: „ვარდი ვარ! შენ – ია!“

ჩემთან ჩემით იხარა...  
შემაქცია მე ფურად...  
იხარა, რაც იხარა  
განცხრომაში მეფურად!

მიღალატ! გამხადა!..  
ჩემი მკვლელი ის არი!  
გასახდელათ გამხადა,  
ისე მირტყა ისარი!..

რა ისარი შემასო,  
მიმეორა, მეახლა!..  
სიტკბო ნალვლათ შემასო,  
დამამძიმა მე ახლა!

ვინც კი მიხილავს მეცა,  
გამკიცხავს!. და მას უქებს!!  
უთუოდ თვალი მეცა,  
რომ უდროვოთ მასუქებს!!

ცოცხალდა ვარ მე, ოჳ, რად?  
გასაკიცხავი ვხდები!  
ერთი შევქმნილვარ ორად  
მსუქანი, პირზედ ვხდები!..

მაშ, ისევ მან მიფაროს  
მოშურნეთგან!.. მალამოს!..  
მან მხადა... მან მიფაროს,  
მისგან ველი მალამოს.

## ქართული ანბანი

ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს  
შენი სამშობლო ძალიან,  
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო...  
პირველი ასო არის: **ა.**

თუ სწავლით თვით ვერ ამაღლდი,  
მამულს ჩირქს ისე ვერ მოჰბან,  
ჩირქს, მოდებულსა მტრისაგან...  
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: **ბ.**

სამშობლო შვილსა ერთგულსა  
ითხოვს ყოველთვის, ყოველგან,  
და ნუ უმტყუნებ შენს მშობელს...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **გ.**

შენს ვალსა აასრულებდე,  
ერთგულად, რაც კი მოგანდონ!  
ნუ შეგაშინებს სიკვდილი...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **დ.**

პირადი სარგებლობისა,  
იცოდე, ძებნას დაეხსენ!  
იყავ შენ მუშა ქვეყნისა...  
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: **ე.**

თავგანწირულსა მუშასა  
ვერ შეაშინებს ვერავინ,  
ვერც ცეცხლი, წყალი, ვერც ტყვია...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **ვ.**

ვით მაღლით ჩაგონებული,  
საქმეს რომ მისდგე, აღეგზენ,  
რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **ზ.**

სხვებიცა შენის მიხედვით  
გამრავლდებიან თანდათან  
მამულის წყლულის მკურნალად...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **თ.**

მიჰპაძე იმას, ვისაცა  
თავს ედგა ეკლის გვირგვინი,  
გვირგვინი ახლის ალთქმისა...  
მაგრამ ისწავლე ჯერ: **ი.**

წინ სწორედ წადი, რომ კვალი  
მრუდედ არ დარჩეს შენს უკან!  
მაშ, გახდი ჯერ სწორმხედველი...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **კ.**

ეცადე, სოფლის ბრუნვამა  
ეგ შენი გული არ მოჰკლას!  
გამაგრდი, როგორც სამსონი...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **ლ.**

რომ ვეღარ შესძლოს მტარვლობა  
სუსტის მჩაგვრელმა ძალამან,  
შესძარი სვეტი ბომონის...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **მ.**

ვით დიოგენი, კეთილ კაცს  
ეძებდე, გეპყრას ფანარი,  
რა ნახო, დაეძმობილე...  
მაგრამ ისწავლე ჯერ: **ნ.**

რომ შენით შენმა მოძმებმა  
ცოტა რამ შვება იპოვონ,  
სხვას რაღას ეძებ ამქვეყნად...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **ო.**

და მაშინ შენი სახელი  
იბრწყინებს, ვითა ლამპარი,  
მარადის გაუქრობელი...  
მაგრამ ისწავლე ჯერ: პ.

ზლაპრად ხომ იცი, მტრის ღალატს  
არ შეუშინდა არც ბეჟან,  
თუ შეგხვდეს, ნურც შენ შეკრთები,  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ჟ.

ჭირში და ლხინში ყოველთვის  
შენს მოძმებზედ იფიქრე,  
რომ არ გიკვირდეს არც ერთი...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: რ.

რა სჯობს, რომ შენსა ნაღვანსა  
ჩანგზედ დამდერდეს მგოსანი  
და იმ ხმით სძგერდენ გულები...  
მაგრამ ისწავლე ჯერ: ს.

ვისაც ეს წილად რგებია,  
ბედისგან ის არს ნეტარი,  
სახარბი, სამაგალითო...  
მაგრამ ისწავლე ჯერ: ტ.

და, ვაი, კაცსა ურგებსა:  
მას ბნელი ადევს უკუნი  
და წყევა საშვილიშვილო...  
მაგრამ ისწავლე ჯერ: ჟ.

მას ვეღარ იხსნის წყევისგან  
ვერცა დიპლომი, ვერც ფარი,  
ვერც მოჭედილი საყელო...  
მაგრამ ისწავლე ჯერ: ფ.

ხალხის მართლ-განჩინებასა  
ხელს ვერ შეუშლის მანქანი,  
მანქანი ხრიკით ნაჭედი...  
მაგრამ ისწავლე ჯერ: **ქ.**

ნუ დაივიწყებ ნურც იმას,  
რაც ზემოდ გითხარ მე წელან,  
თავიდამ გაიმეორე...  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: **ლ.**

რაც წაიკითხო, იფიქრე,  
ბეჯითად გული მიაპყარ,  
და მერე კიდევ განვაგრძოთ...  
შემდეგი ასო არის: **ყ.**

თუ დაიღალე, მითხარი,  
ხვალამდინ გაგიშვებ შენ შინ,  
და ხვალ რომ მოხვალ, შეიტყობ,  
რომ ყარის შემდეგ არის: **შ.**

რა ამდენს ასოს ისწავლი,  
მერე არ გინდა ჩიჩინი,  
შენ უჩემოდაც მიხვდები,  
თუ რა ასოა ის: **ჩ.**

ხომ ხედავ, გაგიადვილდა,  
ჩინი უჩემოდ გამოსცან!  
თუ სცანი, კიდეც მოშორდი  
და გაიკვეთე ეხლა: **ც.**

შენს გაზრდას, თუ მოგეწყინოს,  
ან მოგივიდეს ან ძილი,  
კითხვა ხვალამდე გადავსდოთ,  
მაშინ ვისწავლოთ ეს: **ძ.**

მაგრამ არ გირჩევ, რადგანაც  
მცირელა დაგვრჩა წაწილი  
ამ ჩვენის „ანა-ბანისა“...  
მაშ, წაიკითხე აწ: ნ.

გამოიფხიზლე, ადუღდი,  
გაცხარდი, როგორც მაქარი,  
და უფრო მევირცხლად ისწავლი,  
თუ რა ასოა ეს: ჭ.

თუ დაიღალე, მითხარი,  
სჯობს შეისვენო ხანდახან,  
რომ მერე შესვენებულზედ  
უფრო გამოსცნო შენ ეს: ხ.

ხვალ ამოსალებს დაიწყებ,  
რადგან გემატა დღეს ჯანი  
მთლად „ანა-ბანის“ დასწავლით  
მაგრამ, ოჰ, დაგვრჩა ეს: ჯ.

და ვინც სულ არასა სწავლობს,  
მათ უნდა ვუთხრათ ხომ „ჰაი“,  
რადგანაც გამოუცნობი  
დარჩებათ იმათ ეს: ჰ.

1875 ნ.

## სიმღერა

ბულბული ვარდს მაშინ დაჰყეფს,  
 როცა ეშხით მთვრალია!  
 მერცხლის ტკბილი ჭიკვიკიცა  
 გაზაფხულის ბრალია!

თუ მე გიმღერ, მშვენიერო,  
 ეს სულ შენი ბრალია,  
 და ის სცდება, ვინც რომ ჩემზედ  
 ამ მღერისთვის მწყრალია.

არ დაჭენება მითი ვარდი,  
 რომ დააფრთხო ბულბული,  
 მერცხალი რომ კიდეც მოჰკლა,  
 მაინც მოვა ზაფხული!

მე რომ კიდეც გამაჩუმოთ,  
 მითი შენ რა გაკლდება:  
 ჩემს ადგილზედ სხვა მღერალი  
 ათასი სხვა გაჩნდება...

მსურს მოვფინო, მშვენიერო,  
 შენი ქება ცის კიდეს!  
 ვფიცავ, ლხინად მიმაჩნია  
 ჭირი, შენს გადამკიდეს!

რომ დამიბან კიდეც ენა,  
 გულს ხომ მაინც ვიძგერებ!  
 ტურფავ, შენის გულისათვის  
 ქვეყანას დავიმტერებ.

ნათესავებს და მეგობრებს  
შენთვის ყველას ვეყრები!  
უსასყიდლოდ გმისახურებ და  
მძიმე ტვირთს ქვეშ ვიხრები!

და თუ ბედმა უნებურად  
მომაშორა ეგ სახე,  
მაშინ, ტურფავ, შორს მყოფიცა  
ერთგულ მონად დამსახე.

თვითონაც ვგრძნობ, რომ ეს ჟინი,  
ტურფავ, შენი ბრალია,  
და ბრიყვი კი უსამართლოდ  
დღეს ჩემზედ გამწყრალია.

[1875 ]

\* \* \*

ახალგაზრდა ქალი ბროლობს და ლალობს,  
სიბერეში დამაჭანკლობს, დალალობს,  
სუყოველდღე ჩამოივლის დუქნებსა,  
მით იქარვებს სიყმაწვილის ბუქნებსა!

რომ შეხვდება ახალგაზრდა ქალ-ვაჟსა,  
გულში ამბობს: „ვინა მთხოვდა მე ბაჟსა!  
სხვისი რჩევა რისთვის დავიჯერეო  
და ტრფიალით გული არ ვიჯერეო?“

გულდაწყვეტით ამას ამბობს ბებერი,  
ვეღარ შველის უმარილი და ფერი,  
ვერ იბრუნებს დაკარგულს დროს ადრინდელს,  
რაღა რჩება? მაჭანკლობას ჰკიდებს ხელს.

და იმისთვის, ვინცა ბროლობს და ლალობს,  
სიხარულით დამაჭანკლობს, დალალობს,  
გულმოდგინედ ჩამოივლის დუქნებსა  
და იქარვებს სიყმაწვილის ბუქნებსა!..

[1875 ]

## ახლანდელ ქალებზე

(მუხამბაზი)

სილამაზით პეპელა ხარ ხატისა,  
მიხვრა-მოხვრა და ქცევა გაქვს კატისა,  
დღეში ასჯერ შეიცვლები მარტივით,  
რომ მოხიბლო გული ანდამატისა!

დრო და უამის ნარნარი ხარ ქმნილება,  
„პოჟოლუსტაც“ მიტომ გეადვილება,  
არ შეგშვენის მშობლიური არა რა,  
გიხარია ეგ სკვითური ცვლილება!

„მოდებს“ დასდევ, იმაში ხარ გართული,  
წერა-კითხვა გეზარება ქართული;  
შენი ღმერთი დაგავინყდა, აღარ გწამს,  
კერპადა გჰყავს თვით დათვი ამართული;

უსაქმურად ცარიელი ჭამა ხარ,  
„ქალბატონი“ აღარა ხარ, „დამა“ ხარ,  
ლეჩაქს იხდი, გიყვარს „შლაპა-შლუპები“,  
მაგრამ მაინც სატრფიალო რამა ხარ.

სილამაზით პეპელა ხარ ხატისა,  
მიხვრა-მოხვრა და ქცევა გაქვს კატისა.  
კუდის ქნევა და კრუტუნი მისივე,  
რომ მოხიბლო გული ანდამატისა!

[1875 ]

\* \* \*

ციცუნია კატაო,  
მაგრე რამ დაგხატაო?  
ნუ ხარ ჩვენზედ გაბუტვით:  
სევდა მოგვემატაო.

კოხტავ, თავმომწონეო,  
„მიაუ“ გაგვაგონეო!  
თორემ შენის უბრობით,  
ხედავ, დაგვალონეო!

ეს არს გასაკვირიო:  
დაგილია პირიო,  
კბილებიც გიკრეჭია,  
დაგდგომია ჭირიო!

მეტად არ გამნარდეო,  
შენ ჩვენ არ გვიყვარდეო!  
თუ გულს გერჩის, წამოხტი,  
აბა, ინავარდეო!

[1875 ]

\* \* \*

კუდი ბუძგვით აიპრიხა,  
დააბრიალა თვალები,  
შეჰქმდა და შეინავარდა,  
გაჰკრა-გამოჰკრა ბრჭყალები!

თაგვებო, დედას გიტირებთ,  
ვერავინ დამემალებით!  
უმწვარად ჩაგაურახუნებთ,  
მინდა, გიმტვრიოთ ძვალები!

თქვე წუნკო, ქონისპარიავ,  
არა ხართ შესაბრალები, –  
ეს მიაყვირა ციცუნამ  
და ომი იწყო მალები.

[1875 ]

## ლეგენდიდან „გარდი და ეკალი“

საფლავის ქვაზე

ვით ამ წყვდიადსა და ბნელსა ღამეს  
ანათებს მთვარე, სხივმომფინარე,  
ისე აბრწყენდა ქველმოქმედებით  
ცხოვრების ბნელ გზას აქა მდებარე,

ვით ლაჟვარდოვან ცაზედ კაშკაშით  
სჩნდება თანდათან ვარსკვლავთა კრება,  
ისე ბრწყინვადა მისი აზრები,  
ვინც ამ ბნელ საფლავ ქვეშ იფარება,

და ვით ეს ვარდი, ნორჩი, კოკობი,  
ამო საჭვრეტი, წმინდა, სუნნელი,  
ისე რჩეული იყო მის გრძნობა,  
ვისაც აქ იცავს საფლავი ბნელი;

ვითა ბულბული სტვენს მრავალგვარად  
და შორს გაისმის მისი გალობა,  
ისე უმღერებს ჩანგმომართვითა  
ამგვარ კაცებსა ჩამომავლობა!

ვინც თვის მამულზედ მარად პფიქრობდა  
და სამშობლოსთვის უძგერდა გული,  
მისი სახელი უკუნისამდე  
იყოს მაღალი და კურთხეული!

მეორე ქვაზე

გველ-ბაყაყის ბუდე იყო  
სიცოცხლეში მისი გული,  
ვისიც გვამი დაწყევლილი  
დღეს აქ არის დამარხული.

ქვრივ-ობლების დამჩაგვრელმა  
არ იცოდა ქვეყნად მადლი  
და სამშობლოს ისე ჰერავდა,  
ვით საფლავის მას ჰერავს მატლი.

აზრებით მტრელს, ძმის დამჩაგვრელს  
მრუდე ჰქონდა გზა და კვალი  
და, რაც სთესა სიცოცხლეში,  
ამოვიდა, ვით ეკალი.

და ვაი მას, ვინც ამგვარად  
საუკუნოდ დაიძინა:  
მის საფლავში გველ-ბაყაყებს  
და მატლებს აქვთ მხოლოდ ბინა!

იმას დაჰჭმობს შემდეგი დგმა,  
შეაჩვენებს და დასცინებს,  
და სახსოვრად საუკუნოდ  
მას ბაყაყი უყიყინებს!

[1875 ]

## ლეგენდიდან „გოგია მეჩანგურე“

ჩემს სამშობლოსა ლალატი  
შავ ნისლივით ჩამოაწვა:  
ძმამ ძმას საფრთხე გაუთხარა,  
შვილმა მამა ჯვარზედ აცვა!..

ისარგებლა მით სტუმარმა,  
ჩემგანავე მოწვეულმა,  
და სტუმრობა არ იქმარა:  
მასპინძლობა უთხრა გულმა.

მაგრამ იმის მასპინძლობას  
ჩვენ ქვეყნისთვის არ აქვს მადლი:  
უცხო სენი თვალთმაქცური  
გულ-ლვიძლს უხრავს, ვითა მატლი!

და მის შემდეგ ჩემს სამშობლოს  
თვისი ფერი შეიცვალა,  
და ნაყოფის მოცემაში  
დაეკარგა ძველი ძალა!

ვარდი ეკლად შეიცვალა,  
საპატიო გახდა ანწლი  
და პურის წილ ითესება  
მგორვალა და მავნე ლვარძლი!..

მაგრამ, ძმებო, ნუ შევკრთებით!  
სასხლავს მივჰყოთ ყველამ ხელი;  
ეკალს ძირი ამოუგდოთ,  
სისხლით ვღებოთ მთა და ველი!..

ეკლნარშია მწარ სიცოცხლეს  
ვარდნარშია სჯობს სიკვდილი!..  
ამ აზრით უნდ იმსჭვალოდეს  
მამულისა ვარგი შვილი!..

უსამართლო ძლიერებას  
საუკუნო არ აქვს ძალი!..  
უძლეველი საბოლოოდ  
არის მხოლოდ სამართალი.

და მაშ ძმებო, დრო ძვირად ღირს...  
ნუ დავჰკარგავთ, დავეშუროთ,  
და ჩვენისა თავგანწირვით  
შვილებს ქუდი დავახუროთ,

რომ ჩვენისა თავშეწირვით  
ალარ ექმნესთ მონებით წვა,  
და ალარც სთქვან, რომ ღალატი  
მათაც უღლად ზე დააწვა!

[1875]

## დედის სიმღერა

ცხრა თვეს მუცლით გატარებდი,  
 „ვაით“ გშობე, „უით“ გზარდე,  
 და რად გიკვირს, ყოველს ქალზედ  
 უფრო დედას რომ უყვარდე?

ქალი მამას ქმარში გასცვლის,  
 ცოლი ქვრივი სხვას წაჰყვება;  
 მაგრამ დედას შვილის ტრფობა  
 სამარეში თან ჩაჰყვება!

ახლოს გული მისთვის უძგერს,  
 შორს მყოფს ფიქრით თავს ევლება:  
 უფიქრელად თავს შესწირავს, –  
 დედა თვის შვილს ენაცვლება!..

მაგრამ შვილი ხშირად დედას  
 გასცვლის ხოლმე საყვარელში!..  
 არ იცის, რომ მოტყუებულს  
 სხვისი სატრფო რჩება ხელში!..

მაგრამ ნება ბუნებისა  
 ეს არის და ასე იყოს:  
 დედამ უნდა შვილისათვის  
 თავისთავი დაივიწყოს!..

რა მოგშორდი, შვილო, შემდეგ  
 შავი ფიქრი გულს მიბურავს...  
 ვაჲ, თუ გშია! ან გწყურია!  
 ან გცივა და არა გხურავს!

ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზედ,  
გულს გასვია მტრის ისარი  
და რომ წყლული შეგიხვიოს,  
დედაშენი არსად არი!..

ვაი, თუ შენს ლამაზ თვალებს  
ყვავი ჰკორტნის და ყორანი,  
და უნაგრით უპატრონოდ  
დაგხვიხვინებს თავს მერანი!..

ვაჲ, თუ შენსა ხუჭუჭ თმასა  
ჩიტი ბუდეს შიგ უფენდეს?  
მაშინ დედაშენიც ჩიტად  
გადაიქცეს, შენსკენ ჰფრენდეს!..

[1875 ]

## დის სიმღერა

ძმა კარგი და რიგიანი  
დისთვის არის საქებარი,  
თუ მასთანაც იმავე დროს  
არის მისი მეგობარი.

მეგობრობა არის გრძნობის  
და აზრების შეთანხმება,  
თვარა უამათოდ არის  
ანგარიში, და გაქრება!..

მე გოგია მისთვის მიყვარს,  
რომ ძმაა და მეგობარი,  
და მისთვის მსურს მისი ხილვა,  
მასთან ხშირი საუბარი,

რომ თავიდან ფეხებამდე  
ის მამულისშვილი არი!..  
თვის მარჯვენას მისთვის ხმარობს  
და მისთვის ჟღერს მისი ქნარი.

ღმერთო, მიეც გამარჯვება,  
განსაცდლისგან დაიხსენი!  
დაგვიბრუნე შინ მშვიდობით,  
გევედრები მონა შენი!

და თუ მოკვდეს ბრძოლის ველზედ,  
გაემსჭვალოს ისრით გული,  
მაშინ ჩიტად გადამქმენი!  
მსურს, შევიქნე მე ბულბული,

რომ მის საფლავს მარტოხელსა  
მე ვუსტვენდე გრძნობამტკბარი,  
და იმ ხმასაც ყურს უგდებდენ  
არემარე, მთა და ბარი...

## ცოლის სიმღერა

მითხარით, ლამაზ ცოლისთვის  
ნეტა რა არის ქმარიო?  
ადვილად გამოსაცვალი  
ვერცხლისა რამ ქამარიო!

დღეს ერთს მოირტყავს, მეორით  
ხვალ დაიშვენებს წელსაო,  
თუ დაეკარგა, იტირებს,  
მაგრამ გაუძლებს სენსაო!

ლამაზი ქვრივი ცრემლებსა  
დაშვენებისთვის დაპლვრისო,  
და რომ შენიშნავს ლამაზს ვაჟს,  
კეკლუცად თავს ძირს დაპხრისო.

და ქვეშ-ქვეშ იწყებს ჭვრეტასა,  
მორცხვობით თვალებს ნაბავსო,  
მაგრამ ამ ხერხით საქმროსა  
უცბად მახეში აბამსო!

ერთხელ ნაცადი ცოლობის,  
ხელში დაიჭერს ქმარსაო  
და თუ არ იქმნა მორჩილი,  
ცხვირიდან ადენს ძმარსაო!

გაბატონდება ოჯახში,  
განზედ გაიჩენს კუროსო,  
და ქმარი ვერას გააწყობს,  
ბევრიც რომ იფხაკუროსო!..

ჭკვიან ქალს ვერ შეაშინებს  
ქვრივობა, ქმრის სიკვდილიო,  
შავს იცვამს, მაგრამ იმედი  
გულში უჩინდება ტკბილო!

მითხარით, ლამაზ ცოლისთვის  
აბა რა არის ქმარიო,  
თუ არ ადვილად საცვალი  
უბრალო რამ ქამარიო?

[1875 ]

\* \* \*

ალმართ-ალმართ მივდიოდი მე ნელა,  
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა.

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,  
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

შემიდუღდა მაშინ სული და გული,  
იმ ნადულში თვით მე ვიყავ დაგული.

გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,  
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,  
ან იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა.

ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე,  
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“

და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?  
ნისლი ჰპურავს თუ დღე უდგას სადარი?“

გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!  
გამიკვირდა! ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა?“

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!..  
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“

მივაძახე: ჭინჭარში ნუ ვარდები!..  
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!

შეიბრალე თავი შენი, იცოდე!  
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!“

არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,  
მით დამასო საუკუნოდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,  
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?

ჩემო თავო! ვეღარ გყურნვენ წამალით!  
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,  
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის!  
ხელდაკრებით განისვენე მარადის!

[1875 წ., 7 სექტემბერი]

## სიმღერა

გუშინდამ მთვარე,  
სხივმომფინარე,  
ვნახე, ლურჯ ცაზედ მონარნარებდა;  
ეშხით მგზნებარე,  
ის შევადარე  
ჩემს საყვარელსა... გული ხარობდა!

დიდხანს და დიდხანს  
იმ წათელ საგანს  
მე შევყურებდი სულგანაბული;  
ამ სულს და ამ ტანს,  
ურჟოლის თან ამტანს,  
ათამაშებდა ძგერითა გული...

გრძნობით გამსჭვალულს,  
ფიქრით მოხიბლულს,  
არ მეტყობიდა ქვეყნიურება;  
უკვდავსა და სრულს  
ვგრძნობდი სიყვარულს,  
ჭეშმარიტებად მჩნდა მაცდურება!

მაგრამ ბოლოს უამს,  
სიტკბოების წამს  
იგივ მნათობი მენალველძმარა;  
სულს აწვეთებს შხამს  
და გულს მით მიწვამს,  
რომ ჩემგან მარად ან მიეფარა.

განქრა ოცნება,  
აშხამდა ვნება,  
სიცოცხლეც გაქრეს!.. რაღას მოველი,  
თუ მოსვენება  
აღარ მექნება,  
შიგნივ და გარეთ მედება ბნელი!

\* \* \*

ნაღვლიან გულისა ვნებამ  
დამაწყევია შავბედი!  
ფრთებდაკვეცილმა ოცნებამ  
მთლად წამიწყმიდა იმედი!

სიცოცხლეგამნარებულსა  
მით შემეცვალა გუნება:  
ნდობა აღარ აქვს გლახ-გულსა,  
სულმაც დაჰკარგა რწმუნება!..

და ასე ამბობს გონება:  
„დააცხრე გულის ვნებაო!  
სიცოცხლე არის მონება,  
სიკვდილი – განსვენებაო!“

1875 წ.

## კოლხიდელს

მებოძა თქვენი ბრძნული წერილი,  
მაგრამ პირადად მე არ მეხება:  
გაურჩეველად ხნოვანებისა,  
კარგის ყოველთვის მჩვევა ქება!

თუ საფუძველი კარგია ძველი,  
წუნს როგორ დასდებს ხუროთმოძღვარი?  
ეცდება კიდეც, რომ ზედ ააგოს  
საშვილიშვილო წმინდა ტაძარი!..

თუ ეს არ მესმის, რაღა მსმენია?  
რა საჭიროა ამის მოძღვრება?!  
მთვარე მაშინაც კიდევ ანათებს,  
როცა ილევა, ნელ-ნელა ცხრება.

მათუსალადაც რომ გადაიქცეს  
მეტის სიბერით ან „კოლხიდელი“,  
მაინც დარჩება კიდევ იმასში  
ოჯახისშვილი... ძველი ქართველი,

ვისთანაც მისვლა და ვისიც ნახვა  
სულით და გულით მე მენატრება!..  
მაგრამ ერთი რამ გარემოება  
წინ მელობება და მეფარება:

არ ვიცი, როგორ უნდა ვეახლო:  
როგორც მორჩილი? თუ ამხანაგი?  
როგორც დადიანს წერეთელი თუ  
როგორც „კოლხიდელს“ მხოლოდ აკაკი?

1875 წ.

## ლამურა

ზღაპარი

ერთმა უგნურმა თაგუნამ  
იუკადრისა თაგვობა,  
დასწყევლა თვისი გაჩენა,  
ბუნების იწყო მან გმობა:

„იმ უსამართლო ბუნებამ  
თაგვად რად გამაჩინაო?  
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,  
მან ჭერქვეშ მომცა ბინაო!

„ვის ეკადრება თაგვებთან  
კუდის ბზეკა და ლხენაო?  
მე შემშვენოდა ჩიტობა,  
რომ მეწყო აღმა ფრენაო.

„რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს,  
გამომაბამდეს ფრთებსაო,  
გავფრინდებოდი, ერთს წამსა  
გადავივლიდი მთებსაო!“

რომ დაასრულა ეს ნატვრა,  
ნახა, რომ ფრთები ესხმება  
და მეტის სიხარულითა  
საბრალოს თავბრუ ესხმება...

ზიზლით შეხედა თვის ტოლებს,  
დაუყონებლივ ავარდა,  
ჩიტებში გამოერია,  
იმანაც გაინავარდა...

ჩიტებმა ახედ-დახედეს,  
სთქვეს: „ვინ მოსულა ესაო?  
რა სჯულის ცხოველი არის?  
ჩვენთან ვინ გააწესაო?

„თვალტანადობა თაგვს უგავს,  
ფრთები ასხია ჩვენიო!  
როგორლაც კეთილ სულს არ ჰგავს...  
ჭირი არის და სენიო!

„ეგება მტრებმა მოგზავნეს,  
შემოჩენილი იყოსო!  
არიქა, ფრთხილად იყავით,  
არავინ გაგვაბრიყვოსო!..“

დაპულივლეს, ჩაუნისკარტეს,  
გაპერეს-გამოპერეს ბრჭყალები,  
სისხლი ადინეს ლამურას,  
გამოუბნელეს თვალები!

დაღმა დაეშვა ლამურა,  
მიმართა ისევ ძველ სადგურს...  
მაგრამ იქ უფრო შავი დღე  
დაუდგა მაშინ უბედურს:

თაგვებმა აითვალწუნეს,  
აღარ მიიღეს, რომ ნახეს,  
მივარდენ ერთად საკბენად,  
„ჰკა მაგასაო!“ დასძახეს...

მაშინ კი მიხვდა ლამურა,  
რომ ანგარიში წაუხდა  
და მისი ნატვრა უგნური  
საჭირბოროტოდ აუხდა!

გვიანდა იყო! გაფრინდა  
გაკიცხულ-თავლაფდასხმული,  
ერთ ძველ ნანგრევში შეფრინდა  
და მოიბრუნა იქ გული.

მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს,  
დღე-დღე ვერ ჩნდება სირცხვილით,  
და მუდამ ამას წრიპინობს  
კვერცხით და გულის ტკივილით:

„კრულ იყოს მისი სახელი,  
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!  
თვის ტომის დამწუნებელსა  
ჭირი მიუვა კარზედა!

„ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა  
და ნუ სცვლის თვისსა ენასა,  
თორემ ბოლოს დროს მოიმკის  
ჩემსავით ცრემლთა დენასა!

„გადაგვარების მოსურნე  
ბუნებისაგან კრულია!  
მისი პირადი ლირსება  
ყოველგან დაჩაგრულია!

„ძველ ტომში გამოსხლეტილსა  
არ მოუშლიან კბენასა  
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:  
დაუნუნებენ ფრენასა!

„კრულია მისი ხსენება,  
ვინც დაჲგმობს დედაენასა,  
თვის ტომს ჰლალატობს და მითი  
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!..“

[1875, 1880]

### ალბომში

ხ... გან

ლამპარო სიხარულისა,  
იადონო ტკბილ-მღერალო,  
ზავთო ამ ჩემის გულისა,  
აღარ მრისხავ, ტურფა ქალო!

მაშ შევრიგდეთ! დაჲყა ხელი!  
ერთი „ჰო“ სჯობს ათასს „არას“!  
სხვას რას ჰყიქრობ? რაღას ელი?  
ხომ არ ჰბაძავ მეტიჩარას?

იცინე და ჩვენც ვიცინოთ,  
ეს სოფელი სულ ასეა!  
ვითომ სხვა რა შევიძინოთ,  
სადაც ტანჯვა ათასია!...

[1876 წლამდე]

\* \* \*

ვით მზესუმზირე მზეს უჭვრეტს,  
ისე შეგყურებ, ლამაზო!  
რაგინდ მასხამდე მით თავრეტს...  
გინდ გულს მახვილიც დამასო!

მაგრამ როდემდის?.. მიდიხარ,  
შენსა ნათელსა მით მაკლებ...  
თუმც მარად გულში მიზიხარ,  
უშენოდ მაინც ვერ გავძლებ!

და როს სცნო ჩემი ამბავი,  
ტანჯვისგან გულმოკლულისა,  
ასე სთქვი: – „მსხვერპლი შექმნილა,  
საბრალო, სიყვარულისა!..“

ეს სთქვი და მიწით დაფარულს  
მიუძლვენ ვარდისა კონა...  
ვინც შენსა ჩუმსა სიყვარულს  
ესე სოფელი უწონა!

[1876 წლამდე]

## მეგობარს

გაუქმებული, პირუმთნეველი, –  
კვალად ავიღე ხელში კალამი,  
მხოლოდ მისთვის, რომ სიმდაბლით წრფელი  
გულით მოგიძლვნო, ძმაო, სალამი!

აბა, გვაცნობე, გასაჯე თავი:  
როგორ მშვიდობით ხარ, მეგობარო?  
ისე გვწყურია შენი ამბავი,  
როგორც დაკოდილს ირემსა წყარო!

გვინდა ვიცოდეთ (ხარ მეგობარი):  
ვით შეეთვისე მაგ უცხო მხარეს,  
სადაც სიბნელე სხვადასხვაგვარი  
სქელად მოსდებია გულბნელსა მხარეს;

შეხორცებია ჯაჭვსა მონების,  
სულსა აშფოთებს, გულსაც აბნელებს  
და მით სიცოცხლეს ჭუა-გონების  
აცოცხალმკვდარებს, ისე აძნელებს!

ხომ არ შეგიფრთხა, ჩემო გიორგი,  
მით ეგ უმანკო ჭაბუკი გული,  
და შეგაპარა მან შიგ აღმბორგი  
სისუსტის თესლი, ცრუ სინანული

შენი წარსულის, წინა-ცხოვრების,  
იმ საქებისა და უცოდველის,  
რომელიც თვისის ნამდვილ ღირსების  
მართლდაფასებას ბოლოს მოელის?

ეგებ შენუხდი, ვითა გულჩჩვილი,  
და სისუსტისგან თავსაც დაბლა ჰერი,  
რომ გაგონდება ბუნებით ტკბილი,  
ტკბილმოლიმარი შავი ზღვის პირი?

თუ, ვით მამაცი, გამოცდით ბრძენი,  
გულკლდოვანი და შეურყეველი,  
შენს ბედის დევნას შენვე დასცინი  
და მოთმინებით სულ სხვა ბედს ელი?

გაგონდებიან, როს გული გინუხს,  
შენი აქ მყოფი შენ მეგობრები,  
და ოცნებითა შენს გულის პასუხს  
იმათ უმჟღავნებ, ესაუბრები?

და მითი უფრო მოუსვენარად  
შენი სურვილი გულში მნიშვდება  
და იმ ნეტარს დღეს მოელი მარად,  
როს ჩვენი აზრიც გახელმწიფდება.

მაშინ ჩვენც, ძმაო, რომ დავინახავთ  
შენის ვარსკვლავის საამო კაშკაშს,  
ბედნიერებად ჩვენს თავს დაესახავთ  
და აღტაცებით დავჰქრავთ ხმოვანს ტაშს.

კმარა, რაც დღემდის ახლად და ძველად  
გადაგვხდომია დიდი საბრიყვო!  
ან კი დრო არის, რომ დროს შემცვლელად  
მოგვესმას ჩვენში ერთი: „ყიყლიყო!“

[1876 წლამდე]

### კიდევ სურათზედ

როცა ამ სურათს დაჰჭედავ,  
რომ შეეძლოს გაგცეს მან ხმა,  
ამას გეტყვის: „ჩემო დაო,  
რად არა ვარ მე შენი ძმა?“

და მით მაგ შენს სახეს ჭკვიანს  
თუ დასტყუებს მაშინ ღიმილს,  
გულს დაიტკბობს მით სევდიანს  
და ოცნებას ჰმონებს რა ტკბილს, –

პოეტურად აეგზნება  
შენის ეშხით, შენზედ გზნობით  
და შენ წინვე ის დასდნება  
სანთელივით წმინდის გრძნობით!

[1876 წლამდე]

### ექსპრომტი

გრიგოლ, გარწმუნებთ, რომ იტყვის, უთუოდ ჭეშმარიტია;  
მართლა ამტკიცებს, რომ ჩიტში ყველაზე კარგი გვრიტია:  
ბუნებით ტურფად შექმნილი, მშვიდი სინაზით, ცქვიტია,  
და ვენერას იუნონასთან შემმაერთები ხიდია.

[1876 წლამდე]

## იმერული ლექსი

პატარა საყვარელო,  
რისთვის მომიკალ გული?  
გალიაში გაგზარდე,  
ვით მაისის ბულბული.

შაქრით მყავდი გაზრდილი,  
შენთვის ვლე კიდის-კიდე!  
პატარა საყვარელო,  
ცეცხლი რად მომიკიდე?

გული შენ მოგიძლვენი,  
სულიც ხომ შემოგწირე!  
პატარა საყვარელო,  
შენ რაღად დამამცირე?

რომ დამგმე უმიზეზოდ  
და გამცვალე სხვაშია,  
მიჯობს დამწვა ცეცხლითა,  
ან ჩამაგდო ზღვაშია!

პატარა საყვარელო,  
ჩემო მკვლელო, უგულო,  
გალიაში გაზრდილო,  
გაზაფხულის ბულბულო!

[1876 ]

\* \* \*

ღმერთმა მტერსაც ააშოროს  
მეგობარი შენისთანა:  
დილას სხვა ხარ, საღამოს – სხვა,  
ავკარგობის გამოცანა.

შენს მეგობარს, ტკბილმოუბარს  
მითი უბნევ გზა და კვალსა,  
რომ ხან მასთან გულს იყინვებ,  
ხან იკიდებ ტრფობის ალსა.

ხან სიცოცხლეს სრულად სწირავ,  
ხან უდგები განდაგანა,  
მაგრამ რადგანც პოეტი ხარ,  
უნდა იყო გამოცანა!

[1876 ]

## მუხამბაზი

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები!  
ცაზედ მზეა, ქვეყანაზედ შენა ხარ!  
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ.  
შაქრის გულო, ბულბულისა ენა ხარ.  
სიხარულო, ჩემის ცრემლის დენა ხარ!  
ეკლით ნუ მჩხვლეტ... დამიბრუნე ვარდები!  
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია:  
საუკუნო მეგობრობის მცველია!  
ახალი კი დროებითად მწველია  
და ყმაწვილთა მხოლოდ სანატრელია.  
შენ ერიდე!.. მოიფარე ფარდები!  
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
გეფიცები, ქალო, შეგიყვარდები!

ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?  
ვინ გაღმერთოს ციურად მომცინარი,  
თუ არ მევე?.. გინდა ვიყო მძინარი,  
შენი სახე მაინც ჩემ თვალთწინ არი,  
თუ გამიქრა, კლდეზედ გადავვარდები!  
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

ან რაღა ვარ, შენგან ტრფობას ჩვეული?  
ვეხეტები გზადაკვალდაბნეული!  
ლხინს ვშორდები, ჭირისაგან წვეული!  
გაყრის წამი ჩვენი იყოს წყეული!..  
სჯობს, შევრიგდეთ! ფეხთქეშ დაგივარდები!  
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

## საწყალი და დარბაისელი

ვინც ტიკივით იბერება,  
ისე დადის ამ სოფელში,  
იმას რჩება მოედანი,  
ბურთიც მას უჭირავს ხელში.

თორემ ამისთანა საწყალს  
ვინ მიაქცევს ყურადღებას?  
უპირბადო მანანნალა  
თავს აძლევს თვით დავიწყებას.

ვინცა მხოლოდ გარეგნობით  
თავს იწონებს ხალხის თვალში,  
ის მოსწონთ და მის ზნეობას  
არვინ ჩაუდგება კვალში!

თორემ ამისთანა ვინმე,  
გინდა იყოს კაცი სრული,  
გარეგანის უხერხობით  
აქვს ღირსება დაფარული!..

გამჭრიახი ჩვენი ხალხი  
თვალს იხუჭავს სიმართლეზედ:  
დიდებულ ქურდს ვერას ჰყადრებს,  
მართალ საწყალს იჭერს თხლეზედ!

მაგალითად, ეს საწყალი  
ამ დიდყაცასა შევადაროთ,  
აკწონოთ და დავაფასოთ,  
ისე, მხოლოდ სამასხაროდ!

დიდი-კაცი მსუქანია,  
თავმსხვილი და მუცელდიდა,  
და თუ კარგის ზნის არ იყოს,  
კოლოტივით რა გაზრდიდა?

ეს საბრალო კატის შაშხს ჰგავს,  
ძლივს დალოლავს ცოცხალ-მკვდარი,

და თუ არ უზნეურობით,  
რისგან არი, მაშ, გამხდარი?

დიდი-კაცი მდიდარია,  
საწყალი კი დღიურ მუშა,  
და თუ ეს ჭკვიანი იყოს,  
ამის საქმე რამ დაფუშა?

დიდი-კაცი ანგარიშით  
იცინის და იჭყანება,  
შიგნით სხვაა, გარეთ სულ სხვა,  
გაწვრთნილი აქვს გულის ნება!..

საწყალს კი ეს ანგარიში  
აროდეს არ ეყურება:  
სიცილის დროს სულ ხარხარობს  
და ტირის, თუ ეტირება!

დიდკაცი იქ იტყვის „დიახ“,  
სადაც „არ“ არ შეიძლება,  
და ამისთვის ასი რომ სთქვას,  
ერთხელაც არ შეეშლება.

საწყალი კი სულ ტიკტიკობს,  
საეჭვოც კი ჰსურს, რომ ახსნას,  
და ამგვარად ასზედ ათჯერ  
რომ არ შესცდეს. რა უნდა ქნას!

აი, დიდკაცს ზნეობითი  
ამაღლება რით ატყვია!  
მაგრამ ამ ჩვენს დღიურ მუშას  
საწყალს ჯერ ვერ შეუტყვია,

რომ ვინც მხოლოდ იბერება  
კოლოტივით ამ სოფელში,  
იმას რჩება მოედანი  
და ბურთიცა მას აქვს ხელში!

## გაზაფხულის სიმღერა

მზის სხივებით შემოსილი  
ქვეყნად მოვალ პატარძალი,  
ბუნებაო, კმარა ძილი,  
შენთვის მომაქვს ჩემი ძალი!

აჰყვავდი და აბიბინდი,  
ძალა შენი თვით იჩინე,  
მთლად გაჰყანტე შენი ბინდი,  
გარს ნათელი მოიფინე.

შეიმოსე საქორწინოდ,  
მომეგებე მომავალსა,  
და მერმისთვის მეც სალხინოდ  
შეწედ დავსდებ ჩემსა კვალსა,

კვალს კეთილს და ნაყოფიერს,  
საბოლოოდ მოსამკელსა,  
და მისათვის ვიცვლი მე ფერს,  
გაცმევ მდიდრულ სამოსელსა.

მზის სხივებით შემოსილი  
ქვეყნად მოველ პატარძალი,  
და, ბუნებავ, შენ ქორწილი  
გამიმართე მე ახალი...

[1876 ]

## ზაფხულის სიმღერა

ტვირთი, ბოლოს სასარგებლო,  
მძიმეც მჩატედ გვეჩვენება!..  
ვისაც მწარე უჭამია,  
იცის სიტკბოს გემოვნება!

ეს სიცხე და მხურვალება  
ჩემს ტვირთს ზდის და ამაგრებსა!..  
ვისაც ჭირით არ უთესავს,  
ის ლხინით რას მოიკრებსა?

გულგახსნილი, სიცხიანი  
ვემონები დღეს ჩემს ბედსა,  
და მძიმე ტვირთს სიხარულით  
ვითმენ, როგორც დიდს იმედსა.

ბუნებავ, შენცა წამბაძე,  
მე ამიღე მაგალითად,  
და ნაყოფი, ქვეყნის საზრდო,  
აიკიდე ზურგზედ ტვირთად.

მზის სხივი და მხურვალება  
ტვირთს ზდის და თანც ამაგრებსა,  
ვისაც ოფლით არ უთესავს,  
ის ვერაფერს მოიკრებსა.

[1876 ]

## შემოდგომის სიმღერა

ძუძუ მევსება ტკბილი რძით  
და შენც კი გშიან განაო?  
მოსწოვე, შენი სარჩოა,  
შვილო! ნანინა-ნანაო!

მხოლოდ ძუძუთი იზრდება  
ბევრი სხვაც შენისთანაო;  
სანამ არ გაძლე, ეს ძუძუ  
სულ პირში გედვას!.. ნანაო!..

თან სწოვე, თანაც იზარდე,  
რომ ქვეყნის გამოცანაო  
ერთ დროში შენვე გაიგო,  
ნანინა, ნანა-ნანაო!

რომ რძე დაგაკლდეს, მაშინ ხომ  
სჯობს გაგიყარო დანაო,  
მაგრამ ეს ღმერთმა გვაშოროს,  
ნანინა, ნანა-ნანაო!

ამ თვეებს მისაბაძავი  
არვინ ჰემისთანაო,  
ქვეყანას ძუძუ აწოვეთ,  
უძახეთ: „ნანი-ნანაო!“...

ძუძუს მოადგა ტკბილი რძე,  
აწვება თანდათანაო,  
შვილო, მიშველე, მოწოვე!..  
ნანინა, ნანა-ნანაო!

[1876 ]

## ზამთრის სიმღერა

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით  
მოვალ, ყინვაც თან დამყვება!  
ჩემის სუსტით დამსჭვალული  
საქონელიც ხშირად სწყვება!..

ქვრივ-ობლისა და ღარიბის  
მე არა მაქვს სიბრალული,  
ვაი, ვინც არ დამიხვდება  
თბილს ოთახში!.. ქურქმოსხმული!..

ბოქაულად შევუგზავნი  
ანთებაებს, სურდოს და მჭვალს,  
და თუ მარჯვედ არ დამიხვდა,  
საუკუნოდ დახუჭავს თვალს.

არემარეს გავაბრუებ,  
წყლებსაც შევუყენებ დენას,  
ქვეწარმავალს გავაშეშებ  
და ავუბამ ფრინველს ენას.

ხმელ შეშას ფასს მოვუმატებ,  
ცეცხლსაც გავაგემრიელებ,  
ყველას დავაძახებ: „მცირა!“  
არვის მოვიმადლიერებ!

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით  
მოვალ, სუსტიც თან მეხლება,  
და ვაი მას, ვისაც ჩემი  
ისარი გულს მიეხლება!

\* \* \*

თქვენ უნდა იქნეთ სწორედ  
ჩვენი თავსმჯდომარეო,  
რადგანაც გაგიცვნიათ  
ვარსკვლავი და მთვარეო!

ისევ თქვენ უნდა იქნეთ  
ჩვენი თავსმჯდომარეო,  
რადგანაც გვეხვეწებით  
ჩუმად: „მოგვეხმარეო!“

თქვენ მეტი არვინ გვინდა  
სწორედ თავსმჯდომარეო,  
რადგანაც ბებერი ხართ  
და გელისთ სამარეო!

ეს უნდა ავირჩიოთ  
ბანკის დირექტორადო,  
რადგანაც მაგის ქება  
თქვენგან გვესმის ჭორადო!

მეორედ ესა გვყავდეს  
ბანკის დირექტორადო,  
რადგანაც ბანკის ფულებს  
მოგვცემს ერთიორადო!

და ან ეს უნდა იყოს  
ბანკის დირექტორადო,  
რადგანაც ჩვენი კენჭი  
მივჰყიდეთ ერთ ღორადო!

აი, ეს უნდა იქნეს  
ბანკის ზედ-დამხედველი,  
რადგანც მაგის წყალობით  
„დამფასებლობას“ ველი.

სწორედ ეგ უნდა იქნეს  
ბანკის ზედამხედველი,  
რადგანც თავში ბაყაყი  
და გულშიდა ჰყავს გველი!

და ან ეს უნდა იქნეს  
ბანკის ზედამხედველი,  
რადგანც სიბერით ყრუა  
და თვალით ვერმხედველი.

[1876 ]

## თაგვების ლათაია

„დავკარგე ფერის“ ხმაზედ.

შეყრილან თაგვები,  
რჩევა ჰქონიათ,  
როცა კატის ხმა  
გაუგონიათ.

უთქვამს ვირთაგვას,  
უკუდოს და ხმელს:  
„რატომ ერთმანეთს  
ჩვენ არ მივსცემთ ხელს?

ნუთუ არ გესმით  
კატის ჭყავილი,  
რომლისგანაც გვაქვს  
ზურგის ქავილი?

თქვენ ჯერ არა ხართ  
გამოცდილები  
და მე კი მახსოვს  
მათ ბრჭყალ-კბილები!

თუ არ გსმენიათ,  
ან მომისმინეთ,  
თუ მე რა მიყვეს  
სამის წლის წინეთ:

გამინავარდეს,  
წინ გამიხტუნეს,  
საქმე და ქცევა  
რომ დამიწუნეს.

ბრჭყალები გამკრეს,  
ამანრიპინეს,  
მაგრამ ხელი ვერ  
ამაღებინეს

იმ თაროზედა,  
სითკენც მე მარად  
მივიპაროდი  
ჩუმად, მშიშარად!

ახლა მე იქ ვარ  
სრული პატრონი  
და იმედიც მაქვს  
მომეცხოს ქონი,

თუ ეს კატები  
არ იქნებიან,  
თორემ, იცოდეთ,  
ადრე თუ გვიან,

თქვენ არ დაგზოგვენ  
გაუტანლები!  
მე კარგად ვიცი  
მათი ბრჭყალები!“

მათს რიცხვში თურმე  
იყო თრითინა,  
რომ გაიგონა  
ეს, გაიცინა.

ადგა და უთხრა  
ზოგ-ზოგ თაგვებსა:  
„თქვენ ვერ მოარტყამთ  
იმ კატებს ქვებსა.

თქვენგანი ეუვანს  
ვერვინ შეაბამს!  
და რასაც ჰყიქრობთ,  
ის დაგიშაბამს“.

დალონდა ამით  
ჩვენი ვირთაგვა,  
სევდა მოედვა,  
აქვს წვა და დაგვა!

და ალარ იცის,  
ვის მიეკედლოს?  
სიყვითლეს კიდევ  
როგორ გაუძლოს!

[1876 ტ.]

\* \* \*

დიდხანს ვსძებნე იდეალი,  
მაგრამ არსად მოინახა!  
დღეს ავალე ყველას თვალი  
და ვიცინი: ხა, ხა, ხა, ხა!

ჩვენი ცხოვრების სარკეში  
თვალთმაქცობა ჩაისახა!  
რა იმედი! რის ნუგეში!  
მეცინება: ხა, ხა, ხა, ხა!

ბევრი ვნახე ჩამოსული,  
ჩვენში ბრძოლა განეზრახა,  
მაგრამ გადუბრუნდათ გული  
სასაცილოდ: ხა, ხა, ხა, ხა!

მოიშალა რა ფაფხური,  
ცხოვრებით რა შეილახა,  
მტერს დაუწყო სამსახური  
და შესცინის: ხა, ხა, ხა, ხა!

ადრე დასცინოდა ტუზებს,  
დღეს თვით დაუღია ხახა,  
და უსაქმოდ ჰყლაპაეს ბუზებს  
და იცინის: ხა, ხა, ხა, ხა!

კაცი იყოს, გინდა ქალი,  
ჩვენში ყველა არის გლახა,  
და რად ვსძებნოთ იდეალი?  
სჯობს, ვიცინოთ: ხა, ხა, ხა, ხა!

[1876 ]

\* \* \*

პირადად ხმას არვის გავსცემ,  
გინდა მლანძლოს, გინდა მაქოს!  
უსამართლოდ თუ რამე სთქვეს,  
მე გავაგდებ მაშინ მაქოს!

რომ მეტყვიან: „ჰა, ვკეთდებით,  
ჩვენი ბანები გაუხსნიათ!“  
მე გავაგდებ მაშინ მაქოს,  
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!“

რომ მეტყვიან: „იმ კაცებსა  
კარგი საქმე დაუწყიათ!“  
მე გავაგდებ ჩემსა მაქოს,  
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!“

რასაც კი რომ გავიგონებ  
ჭკუაში არმოსასვლელსა,  
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!“  
და ჩემს მაქოს ვსტაცებ ხელსა.

მაგრამ როცა გაიგებენ  
და მოხვდებათ გულში ტყვიად,  
მაშინ მაქოს გამოვაგდებ,  
ვიტყვი: „ახლა შეუტყვიათ!“

[1876 ]

## ფარეშების სიმღერა

ამან ეს სთქვა... იმან ის სთქვა!  
 ეს ეს არი!.. ის ის არი!  
 ამას ეს ქვა! იმას ის ქვა!  
 ეს ისარი!.. ის ისარი!..

ვიცით, გვითხრეს სხვებმა სხვისი,  
 რომ უქმნია ვინცლას რაცლა!..  
 გაჩნდეს კბენა!.. ნძგა მაგას!.. სასი!  
 მიაგ! მიაგ! აცხა! აცხა!..

ძალლი კატას ემუქრება,  
 კატა მტრულად ძალლს უყურებს!  
 მოედანი კი ვირს რჩება!..  
 მღერის, აპანტურებს ყურებს!

ამან ეს სთქვა!.. იმან ის სთქვა!  
 ეს ეს არი!.. ის ის არი!  
 ამას ეს ქვა!.. იმას ის ქვა!  
 ეს ისარი!.. ის ისარი!

[1877 ]

## აკაკისგან თ-დ ილია ჭავჭავაძეს

მიკვირს, ჩვენს ხალხს რათ ვგონივართ  
პოეტები მე და შენა?  
„ანა-ბანა“ სწავლააო –  
ჭკუათ ჩაგვითვალეს ესა?

ღმერთმა იცის და ჩვენცა ვგრძნობთ,  
რომ არ ვლირვართ არცერთ ფარად,  
ჩვენს სამშობლოს არ ვარგივართ,  
არც ისრად და არცა ფარად.

შენ რა გიჭირს, მე ვიკითხო!  
გზა დამებნა, დავიკარგე,  
მამულისამ ვერას შემწემ  
კერძოთ თავსაც ვერრა ვარგე!

ქვეყნის მტერს რომ შევნიშნავდი,  
დავუყეფდი უშიშარად!  
თუ შინიდამ, თუ გარედამ  
გამომყავდა მტრები შარად.

ისინიც ჩემ საპასუხოდ  
აკრცელებდენ მხოლოდ ჭორებს,  
მაგრამ მე მათ ვამშვიდებდი,  
როგორც ამშვიდებენ ღორებს.

შენ კი უფრო ხერხიანათ  
ტკბილ-ლექსები განძრახვ წერე,  
თავკოლოტა ყმარწვილები  
შენის სულით გამობერე.

გამოზდილი შენი ლექსით,  
შეაპარე ვითა ბანგი  
და მძინარ ხალხს გამოლალე  
თვალთმაქცურად მისი ბანკი.

მაგრამ ბევრი მაინც ვერ გცნობს,  
იძახიან: „ოხ, ილია“!  
სჩანს, რომ ჯერ არ შეუტყვიათ  
იმათ, ხურმა რა ხილია.

[3 ენკენისთვე, 1877 წ.]

## თვალის ახილვა

მადლობა ღმერთს, აღარა მაქვს  
სიჭაბუკის ან სათვალე!  
რაც მე იმან შემაცდინა,  
ის, მკითხველო, შენ დათვალე!

სადაც მივიხ-მოვიხედე,  
მომეჩვენა ია-ვარდი,  
და მოკრება რომ მინდოდა,  
შიგ ჭინჭარში გადავვარდი!

დავიშუშე და მკურნალად  
გამოვძებნე მეგობარი,  
მაგრამ წყლულზედ გადამავლო  
იმ წყეულმა ცხარე ძმარი.

ამ უგულო გამეტებამ  
წყლული უფრო გამიმწარა:  
გაჭირვების ტალ-კვესზედა  
საყვარლისკენ გამაჩქარა.

სატრფო დამხვდა უსიამოდ,  
გამილესა მე ნალველი,  
თვით ფერხულში გაერია,  
გადახვია მან სხვას ხელი...

გულში ცეცხლი მომეკიდა...  
ვაი ჩემს თავს, ამის მნახველს!  
ნათესავებს მივაშურე,  
ვსთქვი: „საშველად მომცემენ ხელს!“

მაგრამ სახლში რომ მივედი,  
კარი დამხვდა დაკეტილი!  
ვარახუნე... ხმაც არ გამცეს,  
მოიგონეს თურმე ძილი!

გულმოკლული გამოვბრუნდი,  
მსაჯულს ვსთხოვე სამართალი,

მაგრამ საწყლად რომ წავდეგი,  
ამარიდა მანცა თვალი!..

ზნეობითად დაჩაგრულსა  
მომაგონდა მე მოძღვარი!  
მიველ... ისიც მომეგება,  
გადამსახა ლოცვით ჯვარი.

ჩემი ტანჯვა მოისმინა,  
აუჩჩვილდა მასაც გული,  
მკითხა: „შვილო, დაცემის დროს  
ხომ არ დაგუარგვია ფული?“

მოვახსენე: „როგორ არა!..  
დამეკარგა... თანც სათვალე...“  
არ იამა... ზე წამოდგა  
და მიჩვენა კარი მალე...“

მაშინ მივხვდი, რომ წაქცევამ  
საქმე მიყო მეგობრული!..  
სოფელს თავი დავანებე,  
ტყე-ტყე ვიწყე სიარული.

ჩემი ჩანგიც თან წავიდე,  
მით ვიქარვებ გულის ვებას,  
და მხეცებს რომ შევეყრები,  
წმინდის გულით ვამკობ ქებას:

„დიდო მგელო, შენ სჯობიხარ  
ნათესავს და მეგობარსა:  
შენ, თუ გშიან, მოიტაცებ  
მთელ ჯოგიდან ერთსა ცხვარსა;

„ისინი კი, გამაძლრებიც  
არ დაზოგვენ არცა ერთსა!..  
თვალთმაქცობით ატყუებენ  
დაბლა კაცს და მალლა ღმერთსა!

„სჯობს მსაჯულის განაჩენსა,  
დათვო, შენი სამართალი:  
ისე შენი არ იბნევა,  
როგორც მისი გზა და კვალი!

„მსუქნებს სტყავებს სიცოცხლითვე,  
ხელს არ ჰყიდებს მჭლეს და მძორსა  
და, მერწმუნე, ბევრად მეტობს  
მისი ტორი შენსა ტორსა.

„მოძღვრები და სულის კაცი  
გავიცანი სოფლად ყველა...  
სიწმინდით და უმანკობით  
შენ სჯობიხარ იმათ, მელა:

„შენ იპარავ ქათმებს, ბატებს,  
იხვებსა და ინდაურებს...  
ისინი კი ყველაფერზედ  
თვალს ჭყეტენ და ცქვეტენ ყურებს...

„კბილბასრო და ბრჭყალმახვილო  
გარეულო კატუნია!..  
ვინც რომ შენ არ გამჯობინებს  
საყვარელსა... ვერ უცვნია!

„შენ არავის მიიკარებ,  
არც რისხვით და არცა თნევით,  
ის კი აცდენს მამაკაცსა  
კრუტუნით და კუდის ქნევით!

„მხეცებო და პირუტყვებო!  
გაგიცანით ყველა კარგა...  
და ღმერთს ვმადლობ, რომ მაცდური  
მე სათვალე დამეკარგა!“

[1878]

## სხვადასხვა ერი<sup>1</sup>

მალალმა ღმერთმა ხელახლა  
კაცს დაუბრუნა ედემი,  
სადაც სცხოვრობდა ცოდვამდის  
პირველი მამა ადამი.

ყოველის მხრიდამ მოატყდა  
ადამის ტომი სამოთხეს!  
გაიყვეს, გაინაწილეს,  
დასახლდენ თავ-თავის კუთხეს.

და მაშინ ბრძანა უფალმა:  
„თქვენია მთლად ეს ქონება!..  
მე ხელს არ გიშლით... იხმარეთ!  
გამოიჩინეთ გონება!“

ის ანგელოზიც გაფრინდა,  
კარზედ რომ იდგა მცველადა,  
და ხილულ იქმნა სამოთხე  
ისევე, როგორც ძველადა.

ყოველმა ერმა თვის კუთხეს  
უნდა სდგას კილო და კვალი,  
და ვინც აჯობებს იმათძი,  
იმას აკურთხებს უფალი.

### ინგლისელები

ინგლისელებმა შვენებას  
არ მიაქციეს იქ ყური!..  
აჰკაფეს ვარდი და ია,  
ნაცვლად დათესეს ზედ პური.

<sup>1</sup> აქ ბევრი სხვა ერებიც იყნენ მოხსენებული, მაგალითად: ისპანელები, თათრები, სომხები, რუსები და სხვანი. მაგრამ ცენზურამ არ გაუშვა, დაიჭირა და მე კი აღდგენა ველარ მოვახერხე... (ავტორის შენიშვნა)

მთები გახვრიტეს, კლდე აპეს,  
ზღვა ზღვას შეურთეს არხითა,  
და ააბრუნეს ქარხნები  
სხვადასხვაგვარის ჩარხითა.

ამართეს დროშა მუდამი,  
ზედ ეს დასწერეს სიტყვები:  
„მხოლოდ შრომა და ვაჭრობა,  
სხვას ქვეყნად არას მივყვები!“

და თავმომწონედ, ამაყად  
ის დროშა ხელში იჭირეს,  
სხვის თვალში ბეწვსა სწუნობენ,  
თვისაში იქცებენ დირეს.

### ნემცები

მეორე დროშა ამართეს  
ნემცებმა, ზედ ეს ენერა:  
„ჩვენი თავი და ოჯახი,  
ამ ქვეყნად სხვა არრა გვჯერა!

სანამ გვექნება სიგარი,  
კუპატი, ლუდი, პურიო,  
არას დავეძებთ!.. ჩვენ სხვების  
არ გვმართუს სამსახურიო!“

ამ განზრახვითა შეუდგნენ  
მეცნიერება-სწავლასა,  
და ერთნაირად იკვლევენ  
დარბაზებსა და თავლასა.

საპირისგემო ქარხნები  
ააგეს ფერად-ფერადი,  
და ზედაც დალი დაასვეს  
სასაკუთრო და პირადი.

მერე დაიწყეს ოცნება,  
როგორც მაძლარის წესია,  
და იქ ჰუკურობენ მოიმკონ,  
სადაც მათ არ უთესია.

### იტალიელები

იტალიელთა რომ ნახეს  
ის მშვენიერი ბუნება,  
აიგზნეს სიყვარულითა,  
გაუორკეცდათ გუნება.

ღროშაზედ ასე მოქარგეს:  
„ეს არის ჩვენი მცნებაო:  
სიყვარული და ოცნება,  
სხვადასხვა ხელოვნებაო!“

ჰეთატვენ, უკვრენ და მღერიან,  
ბუნებას ეჯიბრებიან,  
სხვებს მაგალითებს აძლევენ,  
ქვეყანას ემოძლვრებიან.

თვალს სდევენ, გულსა ჰყვებიან,  
კუჭს ივიწყებენ ხშირადა,  
და მის ბრალია, თუ ზოგჯერ  
თავი უჯდებათ ძვირადა.

### ფრანგები

ფრანგებმა თავის წილ-ზვედრი  
სხვადასხვარიგად გამართეს,  
ბევრიც იშფოთეს და შემდეგ  
წითელი დროშა ამართეს...

დასწერეს: „თავისუფლება,  
ძმობა და სიყვარულიო,  
ვისაც არ ჰსურდეს ქვეყნისთვის,  
ღვთისაგან იყოს კრულიო!“

სწავლა და ხელოვანება,  
სიპრძნე და მეცნიერება  
მისათვის უნდათ, რომ სხვებსაც  
მისცენ მით ბეჭნიერება!

შრომობენ შესანიშნავად,  
გულგახსნით, პირმომცინარად  
და ჯერ არავის უნახავს  
უსაქმურად და მძინარად.

ჭირში და ლხინში ერთგვარად  
მაღალსულობით ქებულან,  
ბევრჯერც ჰქონიათ შავი დღე,  
მაგრამ არ შეშინებულან!

სითკენაც უნდა ისროლოთ,  
ვით კატა, ფეხზედ სდგებიან!  
რა ჭირიც უნდა მიადგესთ,  
სხვის შემწედ ემზადებიან.

კისრულიც ბევრჯერ უქნიათ,  
არ დამტვრევიათ ფეხები...  
და სჩანს, რომ ვერას დააკლებს  
მათ, გინდ ანვიმოს მეხები.

### ქართველები

ქართველნი როცა შევიდენ  
და თავის კუთხე მონახეს,  
ყურთმაჯა მაღლა შეიგდეს  
და აღტაცებით დასძახეს:

„შენი გამჩენის ჭირიმე!..  
ცხონება ეს ყოფილაო:  
ზაფხულში საამოდ გრილა,  
ზამთარში კარგად თბილაო.

„რასაც კი თვალი ისურვებს,  
ან გული მოინატრებსო,  
სულ აქ ყოფილა, ღვთის მადლით,  
სრულად ვერავინ აკრებსო!..“

„და რაღა უნდა ამ ქვეყნად  
ადამის შვილსა მეტიო?  
ვინც ამას არ დასჯერდება,  
გიუ იქნება, რეტიო!“

„ამა სამოთხის კუნძულსა  
რაღა აკლია ერთიო?!

დავჯდეთ და ლხინი გავწიოთ,  
ვახსენოთ მაღლა ღმერთიო!“

დაჲკრეს ზურნა და ნაღარა,  
დასძახეს „ჰარი-ჰარალი!“  
წითელ ნუნუას ეწაფნენ,  
სთქვეს: „კუპრიელსო ზარალი!“

ამართეს დროშა მაღალი,  
ოქრომკედითა ნაკერი!  
გამოეხატათ ზედ ჯვარი  
და ქვეშ ეს იყო ნაწერი:

„ენა და სარწმუნოება,  
ზნეობა საამურიო;  
ამქვეყნად ყველას პატივი,  
მაღლა ღვთის სამსახურიო!“

მოყვრისთვის თავის გაწირვა  
და მეგობრული ვალიო!  
მტრისათვის მოსაგერებლად  
ბასრი შიშველი ხმალიო!..“

ასე დასწერეს, მაგრამ კი  
ისინი ძილმა წაიღო,  
და მათი კარგი ყოველი  
ჩხიკვმა და ყვავმა გაიყო!

ჯერ ცუდი სანახავია  
იმათი მხარე მძინარი,  
მაგრამ, თუ გამოიღვიძეს,  
ბეჭი იმათი წინ არი...

### ბერძნები

წინდახედულად, ხერხითა,  
საწყლად შევიდა ბერძენი,  
ოდესმე გამოჩენილი,  
ქვეყნისთვის ბევრის შემძენი.

შეხედა სხვების შენობას,.  
გულდაგულ ათვალიერა,  
მერე დროშაზედ ქარაგმით  
ტკბილის იმედით დასწერა:

„სჯობს მაშინ ხერხი ვიხმარო,  
როცა აღარ სჭრის ხმალიო,  
და ვიეშმაჟო იქ, სადაც  
არ გადის სამართალიო,

რომ დავიბრუნო ოდესმე  
ჩემი დიდება ძველიო!..  
და ნურვინ სცდილობს უბრალოდ  
შემაშლევინოს ხელიო!

არ ვკითხავ სლოვიანებსა,  
დედას ვუტირებ თათრებსო,  
და ინგლისელებს – მათ მომხრებს –  
დავაკარგვინებ დავთრებსო!“

ედემში სხვებიც შევიდენ,  
მაგრამ არ მოვიხსენიებთ,  
რადგანც მიღებით ვერ ვაქებთ  
და მართლით კი ვაწყენიებთ...

როცა ყველანი დასახლდენ,  
მობრძანდა მაღლით უფალი  
და გადაავლო ედემსა  
მამობრივ წყალობის თვალი.

ბრძანა: „მსურს ყველას ვუჩვენო  
მე ორი მაგალითიო,  
და ერთს კარგზედ და ერთს ცუდზედ  
მათ მივუშვირო თითიო!“

ჯერ ფრანცუზებზედ უჩვენა:  
„მისდიეთ იმათ კვალსაო,  
და მაშინ მაღლით ვაკურთხებ  
თქვენს ბედს და მომავალსაო!“

მერე სკვითებსაც შეხედა:  
„ამას ხომ ხედავთ თქვენაო?  
არ მიჰყეთ მაგის გზა და კვალს,  
არ გაირისხოთ ზენაო!“

ბრძანა და ნათლით ამაღლდა  
ზეცასვე ღმერთი უფალი...  
და ვისაც არ სწამს ღვთის სიტყვა,  
დაუბნელდება მას თვალი!..

[1878 ]

### უცხო მხარე

წავალ, სადაც სილარიბეს  
ბოროტებად არა სთვლიან,  
სადაც პირად ღირსებაებს  
ნაბოძვარში არა სცვლიან!

სადაც ყველა თანამორია,  
ერთს მეორის არ აქვს შიში,  
სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ  
ფარისევლის ანგარიში!

ამისთანა უცხო მხარე  
ვიცი მხოლოდ ერთადერთი:  
ოცნებისა სამთავროში, —  
იმას ჰქვია... სიზმარეთი!..

1878 წ.

## სიყვარული

მინდა რომ ვსთქვა, მაგრამ თევზი  
მაგონდება მის ანდაზით,  
და რა გითხრა გაცხადებით  
შენ, გათქმულო სილამაზით?

პირველ ყოვლის მოგაგონებ  
შენს ცხოვრებას წმინდას, წასულს...  
არ დავთარავ!.. დაგალონებ  
და ვაშფოთებ ამით შენს გულს!

გახსოვს, ოდეს ცხრაკლიტულში  
შენ სცხოვრობდი დედოფლურად?..  
სიმხნე გედვა მაგ კლდე-გულში  
და ვერ გპოვეს მით უძლურად?..

იმ დროებში შენი შოვნა  
ბევრს უნდოდა ანგარიშით,  
მაგრამ ვერვინ დაგიმონა  
ვერც შეცდენით, ვერცა შიშით!

სხვადასხვა ტომის პირებსა  
არ ჩაუგდე თავი ხელში,  
გულით მტრედს და სულით ბრძენსა  
ვინ გჩაგრავდა ამ სოფელში?

თავშეხვეულს შენს მოტრფიალს  
უგზავნიდი ხშირ შერცხვენას,  
არ დასდევდი შენ მისსა გულს  
და არცა რას იმის წყენას!..

მხოლოდ ერთი მე გიყვარდი!..  
 ჩემიც გსურდა სიყვარული!..  
 შენ ჰყვაოდი, ვითა ვარდი,  
 მეც გეტრფოდი, ვით ბულბული!..

მაგრამ ბოლოს მიღალატე  
 ულოდნელად, დიაცურად!..  
 გულში ცეცხლი მომიმატე,  
 გამაშმაგე არკაცურად!

მოხიბლულმა, ვითა ჩერო,  
 მე დამაგდე ცოცხალ-მკვდარი,  
 და ხომ გახსოვს, მშვენიერო,  
 თუ მე მაშინ რა გითხარი?

„ნუ სტყუვდები, თავის მტერო!..  
 მე მაგდებ და სხვასთან მიხვალ?!  
 მაგრამ, დღეს კი ბედნიერო,  
 რად არ ჰყიქრობ, რა გელის ხვალ?

მონის ფასად დაგიჯდება  
 დღევანდელი ეგ ალერსი!..  
 ხასისათვის ვინ გიჟდება?  
 რად არ იცი შენ ეგ წესი?!

ბევრის ალთქმით, დიდის ხერხით  
 რომ ჩაგითრევს და შეგაცდენს,  
 მერე ზედ შეგდგება ფეხით,  
 დაგიმონებს, ცრემლებს გადენს!..

ლეჩაქს მოგხდის, გაგაშიშვლებს,  
 ბანგს შეგასმევს, დაგაძინებს,  
 გამოგიზრდის მონად შვილებს  
 და თვითონვე შენ დაგცინებს!

ამთავითვე იჭკვიანე!  
 ნუ ენდობი გამრყვნელს მაგ ავს!  
 და მაშინ მეც, გეთაყვანე,  
 მსხვერპლად შემოგწირავ ჩემ თავს!..

მაგრამ, ვაი, ყურს არ მიგდებ,  
 მაცდურისკენ თვალს აძტერებ!..  
 მისთვის გულში მწველ ცეცხლს იდებ!..  
 მისთვის მხოლოდ გულს აძგერებ!..

მიკვირს, მიკვირს, რად არ გრცხვენის?  
 ჰედავ, როგორ გიშვერენ თითს?!  
 და „ივდითის ონოფრესთან“  
 რად არ ჰბაძავ შენც მაგალითს?“

ეს გითხარი, მაგრამ შენ კი  
 ჩემი აღარ დაიჯერე:  
 შეიყვარე ის გულმანკი,  
 გულიც მისთვის აიძგერე!..

აიძგერე და ახლა კი,  
 რაც გირჩიე მაშინ, ყველა  
 გაგონდება, ვით არაკი,  
 და აღარ გაქვს მაინც შველა!..

მაგრამ იცი, მე რას გირჩევ,  
 ვით სწეულსა და ავადმყოფს?  
 თუ ორს ჭირში ერთს აირჩევ, –  
 გარყვნას ისევ სიკვდილი სჯობს!..

სხვასაც გირჩევ, მაგრამ თევზი  
 მაგონდება მის ანდაზით  
 და სიტყვებსა ეს მიზეზი  
 გულში მიკლავს უხმოდ, ბრაზით!..

## დედა და შვილები

ქვრივ-ოხრობის განაცადმა,  
სიმწრის ლუკმით გამოზდილებს,  
ცოტა იმედოცემულმა,  
ერთხელ დედამ უთხრა შვილებს:

„სხვის ეზოში მელა არის,  
ჩვენსაში კი დიდი მგელი,  
და, შვილებო, მასახელეთ:  
თოფ-იარალს სტაცეთ ხელა!“

უფროსმა სთქვა: „მე რას დავდევ?  
რისთვის უნდა ვიჩერჩეტო,  
რომ მივიდე და შავება?!  
თავი როგორ გავიმეტო?!”

მეორემ სთქვა: „მეზობლისას  
გვიჯობს თავი მოვიყაროთ:  
მოვკლათ მელა და ისინიც  
მერე მგელზედ მოვიხმაროთ!“

უმცროსმა სთქვა: „აჟ! მეზობლის  
მოხმარება ვეღარ გვარგებს:  
სანამ თქვენ აქ მოხვიდოდეთ,  
მგელი სრულად ამოგვაგდებს!“

ვერ დათანხმდენ კერპობითა,  
მოუვიდათ დიდი ჩხუბი!..  
სასიკედილიდ მოულირეს  
ერთმანეთსა ძმებმა შუბი...

სანამ უგნურ მაჩხუბრებსა  
ვაი ჰქონდათ და ვაგლახი,  
დიდმა მგელმა შეუპოვრად  
ამოაგდო მთლად ოჯახი.

ქვრივ-ოხრობის განაცადმა  
დედამ რომ ეს დაინახა,  
ცხელი ცრემლი გადმოღვარა...  
მწუხარებით დაიძახა:

„ლმერთო ჩემო! რადგან ბედმა  
მე შვილებში მომატყუა,  
შვილის შვილებს მაინც მიეც  
შეძლება და მეტი ჭკუა!“

[1879 ]

## კითხვა-მიგება

### კითხვა

ჩემს ძარღვებში სისხლი ჰპრუნავს,  
პილპილითა შეკაზმული,  
ხან ჯოჯოხეთს, ხან სამოთხეს  
ნამდაუწუმ იცვლის გული.

ზოგჯერ ჩემს ბედს არვინ ღირსა,  
ზოგჯერ ვრჩები შესაბრალი,  
ხან კოლო ვარ სისუსტითა,  
ხან გულში მაქვს ლომის ძალი.

ეს შარბათი, მე რომა ვსვამ,  
ხან მწარეა და ხან ტკბილი,  
და არ ვიცი – რა ვარჩიო  
მე: სიცოცხლე თუ სიკვდილი?

### პასუხი

თუ მაგ შენის გრძნობის ცვლისა  
ბრალი იყო ტურფა ქალი,  
ტკბილ შარბათსა დაეწაფე,  
მწარეს აარიდე თვალი!

სადაც ვარდი აკოკრდება,  
იქ ეკალიც ხომ იჩენს პირს,  
მაგრამ ბრძენი მხოლოდ ვარდს ჰერეფს,  
ეკალზედ კი არ ახევს ცხვირს.

ქალიც ვარდის ჯაგი არის:  
ეკალთან აქვს ყვავილები!..  
ორში ერთი აირჩიე, –  
თვითონ ჯაგს თავს რად ევლები?!

[1879 ]

## მზრუნველებს

მამის სული გაუშვიათ,  
პაპისას კი იგონებენ,  
დედას დედინაცვალზედა  
სცვლიან და თავს იწონებენ!

ნუთუ შინ ვერ მოუნახავსთ  
ვერც ცოცხალი, ვერცა მკვდარი,  
ღირსი მათის ყურადღების,  
სახსოვი და საქებარი?

მაგრამ ამ ჩვენს სნეულ დროში,  
როცა მეფობს ანგარიში,  
რომელსაც ჰყავს დიდ-ვეზირად  
ორგულობა ანუ შიში,

ვის რად უკვირს, რომ მშობელი  
მის ნაშობსა თვითვე ჰყიდის...  
რომ შობილი თვის მშობლისვე  
მოსაკლავად მარჯვედ მიდის?!

ხა! ხა! ხა! ხა! ქების ტაში  
დაჲკარ!.. ბუქნაც დაუარეთ!..  
შინაურებს შიმშილით ჰყვლენ,  
მდიდრებს უდგმენ ტაბლას გარეთ!..

[1879 ]

## გ . . . . ს

ახალთაობის კაცია  
და გულით კარგი სწადია,  
მაგრამ ბევრისა ვერ შემძლე  
ტრიალობს, როგორც გადია,

რომელსაც უნდა გულითა  
თვით გამოზარდოს ყოველი:  
ბატონის შვილი, სხვის შვილი  
და მრავალგვარი ცხოველი!

ხან ცხვრებსა დასდევს მინდვრებში,  
ხან მივარდება წინილებს,  
ძროხებსაც სწველის, ხბოს უვლის,  
ღორს სდევნის, გოჭებს აჭყივლებს.

რა საქმეც უნდა გამოჩნდეს,  
სუყველას ეპოტინება,  
და თუ სხვა ნახა უსაქმოდ,  
იცის პირდაპირ გინება.

ხანდახან კიდეც დასწყევლის,  
მაგრამ უგულოდ... ენითა!..  
ლმერთმან ხომ იცის, არ შვრება  
ამას ის თავის ჩენითა?!

ხედავს, რომ თავს ვერ გაართმევს  
მარტო ის ამდენ საქმეებს,  
და ვინც ზარმაცობს ოჯახში,  
მის გამო ულრენს და უყეფს.

მაგრამ ამგვარად მშრომელი  
და გადამხდელი ომისა,  
ბოლოს სიძულვილს მოიმკის  
ნაყოფად თვისის შრომისა.

და გაკიცხულსა, საბრალოს,  
თუმცა ხელს კი ვერ ახებენ,  
მაგრამ გახეთქენ გულზედა...  
მიწაში ჩაუძახებენ!..

[1879 ]

## ჩემს მეგობარს

რაღა დროს შენი მღერაა,  
ჭიანური და ნაღარა:  
მუხლებში ღონემ გისუსტა,  
თმაში გერევა ჭალარა?!

მაგრამ ჩვენს ძველებს რომ უთქვამთ:  
„არ დაბერდება გულიო,  
თუ არ ყოფილა ზნეობით  
ვაგლახად შელახულიო;

და გვამიც, რაც უნდ დასუსტდეს,  
მაინც ძლიერობს სულიო,  
როგორც ძველ, ნახმარ ჭურჭელში  
კახური შენახულიო,“ –

თურმე მართალი ყოფილა!..  
მაგალითს ვხედავ შენითა:  
სული და გული მრთელი გაქვს,  
ხორცი თუმც გჭვალავს სენითა!

მაგრამ შენ შენთვის არ ფიქრობ:  
ჭირი რომ გადგას კარზედა,  
შენ მაშინ სტირი და ჩივი  
სამშობლოს სატკივარზედა...

ამით ირისხებ უფროსებს,  
იმდურებ ამხანაგებსა...  
ფრთხილად!.. ერიდე ხაფანგსა,  
ყოველის კუთხით ნაგებსა!..

თავს ნუ იმეტებ, სანამდი  
შენს სამშობლოსა არგიხარ,  
და სანამ თითონ არ იგრძნო,  
რომ ქვეყნის ურგო ბარგი ხარ!

ვინც რა უნდა სთქვას, ნუ დასდევ!  
შენვე ხარ შენი მსაჯული!  
და მაგალითად ის გყავდეს,  
ვინც ჩვენთვის იყო ტანჯული!

[1879 ]

## ნატვრა

ნეტავი ჩიტი ვიყო, ჩიტუნია პატარა,  
ტკბილის ხმით მოჭიკჭიკე, სიამით მონავარდე,  
რომ გავგოგდე... ავფრინდე... ფრთები გავშალო ჩქარა  
და ცისკენ თავისუფლად ისარივით ავვარდე!

მივფრინდები იმ არეს, სად ვარსკვლავნი კრთებიან,  
სადაც ხშირად კაშაში გააქვს მოწმენდილ მთვარეს,  
იქ, სადაც მტრის ისრები მე ვეღარ მომწვდებიან,  
იქიდან გადმოვხედავ ჩემსა სამშობლო მხარეს!

მხარეს, მაგრამ რა მხარეს? ოდესმე ბედნიერსა,  
დღეს კი ჭირში ჩავარდნილს, დღეს კი ცოცხალ-მკვდარ მხარეს,  
სადაც ის აღარ არის, რაც რომ ძველად ყოფილა,  
სადაცა ძმა ძმასავე მხოლოდ უთხრის სამარეს.

ვნახავ იმ ბრძოლის ველებს, სადაც ბედი სწყდებოდა,  
მტერი მგონი შემუსვრის ანგარიშში სცდებოდა,  
რადგანც ქართველს იმა დროს თავი ავიწყდებოდა...  
ბრძოლა!... სჯული და ენა კი მითი მტკიცდებოდა.

დავეცემი გულ-მკერდით... იმ ველზედ დავეშვები,  
ნისკარტით ვუამბორებ წმინდას სახსოვარს მიწას!  
წინაპრების სახსოვრად კვნესით ჭიკჭიკს მოვჰყვები:  
ქვეყანას შევაბრალებ... შევავედრებ მათ ზეცას.

მაგრამ ვით გავარჩიო ჩვენი მკვდარი და მტერი?  
ხომ სულ ერთადა ჰყურიან არეულ-დარეული?  
წმინდა ბრე წინაპრების და მტრების ბილწი მტვერი  
რატომ არ არის ნეტავ გარჩეულ-გასაზღვრული?

არ დავსდევთ, მაგრამ ის კი თვით ბუნებამ გასაზღვრა:  
 იქ ეკალი ამოდის, სადაც მტერი მარხია,  
 და სადაც ჩვენმა ძველმა წმინდა სისხლი დაჰლვარა,  
 იქ მოდის ყვავილები და ზოგანც ვარდის ხეა.

ეკალს და ბალახ-ბულახს, მტრის გულზედ ამოსულსა,  
 მივანებებ ბაყაყებს... დეე, მათ უყიყინონ!  
 მე ვარდის ყვავილებზედ ავიღელვებ ამ გულსა,  
 ვიჭიკვიკებ... და მკვდრებმა საუკუნოდ იძინონ.

ნეტავი ჩიტი ვიყო, ჩიტუნია პატარა,  
 რომ ჭიკჭიკით გამოვსთქვა ვნება ჩემის გულისა!  
 ვნახო ჩემი სამშობლოს ბედნიერება ჩქარა  
 და ვიმღერო სიმღერა შორის გაზაფხულისა.

[1879]

## უ-ს

საბრალო არის დატვირთული უზომოდ ვირი:  
 ფეხებარევით, თავქინდრული მოდის თავდაღმა;  
 ვეღარ ახერხებს საყროყინოდ გააღოს პირი  
 და უწკეპლოდაც აღარ ესმის აღარც „აცის“ ხმა.

მაგრამ იგივე რომ ავკიდოთ ტვირთი ბედაურს,  
 არად შეიმჩნევს, ვითომ ვერც გრძნობს: არი თუ არა,  
 კუნტრუშ-ხვიხვინით მონავარდობს, წაიცქვეტს რა ყურს,  
 და ვირის სავლელ გზას გაივლის თორმეტჯერ ჩქარა.

ვირს კი ჰგონია, თუ მშრომელი მხოლოდ ის არი,  
 და, ვინც მისსავით არ იტანჯვის ტვირთმოდებული,  
 არ ეკადრება მის ვირობას! არ არს სადარი!..  
 და ვირულ სიბრძნით იბერება შეფერებული.

საბრალო ვირო! ჭკუაძვირო! ვინ გააკვირო?  
 ყურპანტურობა და ყროყინი შენი წესია!..  
 მაგით ნუ ფიქრობ ბედაური გააშავირო!  
 ყველა მას მომკის, რაც რომ თვითონ დაუთესია!

და თუ ვერ მიხვდი უბრალო აზრს მაგ დიდის თავით,  
 რატომ არ გესმის, აბა, რად გაქვს დიდი ყურები?  
 „ვირები რაგინდ ტვირთქვეშ მოჰკვდენ, ისრისონ ზვავით,  
 მაინც არ ეთქმისთ უბედურებს ბედაურები!“

[1879 ]

## 6 . . . ს

ახალთაობას ჩემულობს  
 და ვითომც კარგი სწადია, –  
 და რომ საქმესაც არიგებს,  
 ვით მოურავი!.. ცხადია!..

ის მოურავი, რომელიც  
 დარბაისლურად ირჯება,  
 და ორგულს ნახავს თუ ერთგულს,  
 ერთგვარად გაეკრიჭება...

ვაჟბატონს ქალებს ურიგებს,  
 ქალბატონს მოპევრის კუროსა,  
 არც ბატონის შვილს დააგდებს  
 უერთგულ-უმსახუროსა.

პირში ყველასთვის ვარდია!..  
 თაყვანს სცემს უმეტესობა,  
 მაგრამ ზურგს უკან კი ყველას  
 ის ეკალიგით ესობა!

თუ არჩევანშიც ჩავარდა,  
 არჩევა არ აშორდება!..  
 ვაი ხალხს, მისგან მოხიბლულს,  
 რა სასაცილოდ ღორდება!..

[1879 ]

## მესტვირული

აჭრელდა ჩვენი ქვეყანა,  
 ხალხიც აირ-დაირია:  
 მათი საქმე და ხელობა  
 სულ სხვადასხვანირია!  
 მართალ-მტყუანის გარჩევა  
 სწორედ რომ გასაჭირია:  
 ვის თვალშიც ბეწვი არა ძევს,  
 მისაში თურმე დვირია;  
 ვინც რომ სპეტაკად მიგვაჩნდა,  
 ის თურმე სულ შავპირია.  
 ზურგს უკან ყველა ღალადებს,  
 პირში კი მთემელი ძვირია,  
 მაგრამ მე ვბერავ გუდასა,  
 ხელში ავიღე სტვირია,  
 მსურს ყველა ღირსად შევამკო,  
 მათ ვუთხრა ეგ შაირია,  
 ვინც უნდა იყოს, რა მგამა,  
 გინდ დიდი, გინდა მცირია,  
 გამოჩნდეს, ვინც კი დასჩაგრა  
 ქვრივ-ობოლი და მწირია,  
 გავსინჯოთ მათნი საქმენი,  
 გამოუჩხრიკოთ ძირია  
 და შეუმუროთ საქვეყნოდ  
 იმათ ცხვირი და პირია;  
 მაგრამ ჯერ ქებით დავიწყოთ,  
 თუმც კი ნაქები ძვირია,  
 პიპუ! პიპუ! პიპუ! პიპუუუ... .

ახალ წელიწადს გილოცავ,  
 ჩვენო კარგო დიმიტრიო,  
 ძველებში შენ რჩეული ხარ,  
 ვერავის ვერ შეგადრიო.  
 დაგვიბერდი, მაგრამ მაინც  
 შრომობ, ჩუმად ოფლსა ჰლვრიო!  
 ლხინში მალლა თავს არ იღებ,

ჭირში დაბლა არა ჰერიო,  
 შენს სახსოვარს ხალხის გულში,  
 ვით ბეჭედსა, ამოსჭრიო,  
 მაგრამ იმ ერთ ბატონივით  
 ბოლოს კი არ აურიო,  
 შენი წმინდა საქმეები  
 უეცრად არ აიმღვრიო.  
 თორემ შენსა სიყვარულსა  
 ჩვენ გულიდამ ამოფხვრიო, —  
 ამ შაირით თუ გაწყინეთ,  
 მოგვიტევეთ მამობრიო!  
 პიპუ! პიპუ! პიპუუუ!..

კონსტანტინეს თუმც არა აქვს  
 ნიჭიერებთან ცილობა,  
 მაგრამ მამულის საქმეში  
 ყველგან აქვს მონაწილობა,  
 მით ქართველობა ეტყობა,  
 შვენის მამულისშვილობა,  
 მაგრამ რას იზამს ალმართში  
 იმისი გულკეთილობა?  
 სხვის გულგრილობას რომ ხედავს,  
 მისგან აქვს გულში ჭრილობა!  
 ღმერთმა აკურთხოს ჩვენ შორის  
 ეს ტკბილი მამაშვილობა!  
 პიპუ! პიპუ! პიპუ! პიპუუუ!..

საჯირითო მოედანზედ  
 ნიკო პირველი რაშია!  
 გინდათ გითხრათ, რასა შვება  
 და ან საქები რაშია?  
 შორსგამჭვრეტელი, მამაცი,  
 წინდახედული ვაჟია,  
 სადაც კი ჭკუა არ გადის,  
 იქ ცეტი და გიუმაჟია.  
 ხანდახან ბამბის ქულაა,  
 ხანდახან მტკიცე კაჟია...

მისგან ბევრს რამეს მოველით.  
თუ არ გარდაპედა ბაჟია!  
პიპუ! პიპუ! პიპუუუ!..

ერთხმად აქებენ ყველანი:  
კარგი არის ლევანიო,  
ქართული ყურძნის ვაზია...  
სანაქებო მტევანიო,  
მხოლოდ იმას აშორდება  
ქვრივ-ობლების წყევანიო,  
თვით ბრძენია, რაღად უნდა  
იმას ჩვენი რჩევანიო?..

. . . . .

პიპუ! პიპუ! პიპუ! პიპუუუ!..

ივანე ბევრს კარგს გვპირდება,  
თუ რომ არ მოაჭორაო,  
ამბობენ, სიბერის დროს მან  
საქმე სულ გაასწორაო,  
თავს სდებს, თუ ქართველს სომეხი  
როგორმე მოაშორაო,  
ჩვენ სასიკეთოდ გამართა  
ერთი რაღაც კონტორაო,  
ღმერთმა ხელი მოუმართოს,  
თუ ბოლოს არ დაგვტორაო!  
პიპუ! პიპუ! პიპუ! პიპუუუ!..

ან ახლებზედ გადავიდეთ,  
ვახსენოთ ჩვენი ილია,  
იმისი გემო ხომ ვნახეთ,  
ცოტა მოძველო ხილია!  
ქვეყნის ერთგული, გულწრფელი,  
კარგი მამულისშვილია,  
გულშია მეტად გულადი,  
სიტყვით კი ცოტა ფრთხილია,  
მე ვფიქრობ, ეს მისგან არის,

რომ დარბაისლად ზრდილია!  
 ცოტა უდროოდ გასუქდა  
 და ბედით კმაყოფილია,  
 და არას აწყენს, ხანდახან  
 რომ მას დავუფრთხოთ ძილია!  
 პიპუ! პიპუ! პიპუ! პიპუუუ!

გიორგი ჩვენში ყველაზე  
 უფრო შრომისმოყვარეა,  
 მაგრამ მისი ნაწერები  
 სხვადასხვაა, ორგვარია:  
 ერთი ნიჭიერი არის,  
 მეორე კი ზღაპარია!  
 მგონია, თუ იმ ერთს კაცსა  
 ორი თავი აბარია,  
 როცა ერთი გამოჩენდება,  
 მეორე ჩრდილს აფარია,  
 საზოგადოდ კი ის კაცი  
 ჩვენში კარგი ლამპარია.  
 პიპუ! პიპუ! პიპუ! პიპუუუ!

ახლა შენთან ალლავერდი,  
 კარგო მუშა, ჩვენო სერგო,  
 „ივერიის“ და „დროების“  
 შემაერთებელო გვერგვო!  
 უმადური ჯაფა, შრომა  
 არჩევანში წილად გერგო,  
 და დრო არ გაქვს ხელოვნურად  
 რომ ჩვენ რამე დაგვინერგო.  
 პიპუ! პიპუ! პიპუ! პიპუუუ!

პეტრეზედაც ცოტა რამ ვსთქვათ,  
 მაგრამ კარგად მოვიხსენოთ,  
 ჩვენ უმისოდ არ ვარგივართ  
 და არც ვარგა ის უჩვენოთ,  
 ახლოს კარგი სახმარია,  
 შორს არ უნდა გავაჭენოთ,

უნდა ერთი თვე ვაშრომოთ  
და თერთმეტი მოვასვენოთ.  
პიპუ! პიპუ! პიპუ!..

სათვალავში, რა თქმა უნდა,  
რომ ნიკოც არ მავიწყდება,  
მაგრამ რა ვქნა, რომ იმაზედ  
ამ ბოლოს დროს გული გვწყდება:  
შინაურებს წიხლებს ესვრის,  
გარეულებს ვეღარ სწვდება,  
აქაც ფეხი აუსხლტება,  
იქ ყინულზედ გაცურდება,  
ცოტა გვიან კი მოუვა,  
მაგრამ მაშინ გაოცდება!  
პიპუ! პიპუ! პიპუ!..

დათიკო კარგად დასტოვა  
სახელგანთქმულმა მამამა,  
შვილსაც კი ერგო ის ქება,  
ცოტა მან გაათამამა;  
ამ ბოლოს კი გაგვისუქდა,  
აწყინა მუქთად ჭამამა,  
და ეჲ, ვითა ჰქნას ვარდობა  
ასკილმა ანუ კამამა!  
პიპუ! პიპუ! პიპუ!..

ოცი წელი შეუსრულდა,  
რაც რომ მწერლობს აკაკიო,  
ბევრი გვითხრა შაირები,  
ზღაპრები და არაკიო,  
დაგვანახვა, სადაც იყო  
ან მგლები, ან ზვარაკიო,  
და ძალიან კარგს იზამდა,  
რომ დაგვეხსნას ახლა-კიო...

[1879 ]

## კინტოს სიმღერა

საყვარლისა ეშხზედა  
ღვინო დამილევია,  
მის ხსოვნა-სიყვარულში  
სულიც დამილევია!..

მისმა შუქმა დამადნო,  
სიცოცხლეც დამწვარია,  
დღედღეობით მზე არის,  
დამღამობით მთვარეა!

მისი ცეცხლი ამ გულსა  
აროდეს არ ნელდება:  
თუ იმას არ ვუყურებ,  
დღე ნათელი ბნელდება.

მაშინ ვკვდები სევდითა,  
სისხლის ცრემლით ვსტირი მე,  
სანამ არ მანუგეშებს,  
იმისი კი ჭირიმე!..

საყვარლისა ეშხზედა  
ღვინო დამილევია,  
მის ხსოვნა-სიყვარულში  
სულიც დამილევია!..

[1879 ]

## სურვილი

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა  
ვხედავდე თავისუფალსა,  
რომ ძალით ვერ აშინებდენ,  
ვერც ნებით უხვევდენ თვალსა!

მინდა, რომ მისი სახელი  
გაითქვას ძველებურადა  
და მისიანი ყველანი  
ერთად ცხოვრებდენ ძმურადა!

მინდა, რომ მისსა დიდებას  
დამღერდეს რუსთველის ქნარი  
და იღვიძებდეს იმ ხმაზე  
ტაშისკვრით ხალხი მძინარი!..

მინდა, რომ... მაგრამ, ეჲ, კმარა,  
ფრთა შევაკვეცოთ სურვილსა,  
თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა  
მამულისშვილის წყურვილსა?!

[1880 ]

## დედა და შვილი

შავით მოსილსა დედასა  
შენიშნა მწარე ღიმილი,  
და ტიტინითა მივარდა  
პატარა იმისი შვილი:

– „დედილო, რას მოგწყენია?  
რად დაგიხრია თავიო?  
ქვრივი არა ხარ, რას ეძებ,  
და რად გაცვია შავიო?

ბევრჯელ მინახავს კურცხალი  
წამწამზედ მოდებულიო,  
და, გულში ჩაკრულს, მსმენია,  
რომ სხვებრ გიძგერდა გულიო.

და ეგ ღიმილი რას ნიშნავს,  
ან ეგ ამოხვრა მწარიო,  
ან წამწამებზედ კურცხალი,  
ან გულისძგერა ჩქარიო?

შენსა პატარა გიორგის  
მითხარი, ნუღარ ჰმალავო...  
რომ მოგიძებნო როდისმე  
მაგ წყლულის გულის მალამო!“

– „შვილო, შენ კი გენაცვალოს  
საბრალო დედაშენიო!  
ნუ ჰფიქრობ, მარტო განკურნო  
ჩემი მტანჯავი სენიო!..

კურცხალი, უცებ ამოხვრა  
 და ეს ღიმილი წყნარიო,  
 სულ ყველა იმ დიდ მიზეზის  
 ნანარმოები არიო!

ეს არის, შვილო, მიზეზი  
 იმ ჩემის გულის ძგერისო  
 და ნუ გშურს მუშა შეიქმნე  
 ჩვენი საბრალო ერისო!“

- „დედილო, მომეც ფარ-ხმალი,  
 რომ ავასრულო ვალიო!“
- „ადრეა, შვილო, ჯერ კიდევ  
 წიგნია შენი ხრმალიო!“

წიგნი მოსთხოვა დედასა  
 ალელვებულმა ყმაწვილმა  
 და მშობლის სახეც ალბეჭდა  
 რაღაც იმედის ღიმილმა.

[1880 ]

## ავადმყოფი

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს  
და ისევე გაიღვიძებს!..  
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,  
უმალ მასვე დაამინებს!

ბევრის ბრძოლით დაღალულსა  
ეჭირვება მოსვენება!  
შემცდარია, ვინც გულს იტეხს:  
წესი არის და ბუნება!

ჩვენ კი ჩვენდათავად გეტყვით:  
გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,  
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა  
მომავალი ბედისწერა!

მისთვის, რომ დღეს ვეღარ გვარჩენს,  
არ გვიმართებს ორგულობა!  
ჩვენს წინაპრებს თუ ჰქონიათ,  
ჩვენცა გვქონდეს დიდსულობა!

დე, მისთვის გავლარიბდეთ,  
ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა:  
პატიოსანს ლარიბს რით სჯობს  
გამდიდრებული იუდა?

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს  
და როდესაც გაიღვიძებს,  
მოიგონებს იმათ სახელს,  
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!..

[1880 ]

## მუშებს

მუშებო, თქვენი მარჯვენა  
იყურთხოს, ოფლით ნაბანი!  
მინაა თქვენი ლოგინი  
და ლაუგარდი ცა – საბანი!

უდროვოდ გცივათ და გცხელათ,  
ბევრჯელაც რჩებით მშიერი;  
მაგრამ ყველაფერს აიტანს  
თქვენი ბუნება ძლიერი?

მიმხვდარი არის ეგ თქვენი  
შეუბლალავი გონება,  
რომ პირუტყვსავით არ შვენის  
მშრომელ კაცს სხვისი მონება!

მაგრამ ჭირს ჰქონდავთ საოცრად  
და დახვალთ უსაყვედურო!  
არ გინდათ, რომ სხვამ შეგნიშნოსთ  
და გითხრასთ: „თქვე უბედურო!“

ამგვარი ამპარტავნება  
ძლიერებაა სულისა,  
დიდება კაცად-კაცადის,  
დამატებობელი გულისა

იმ უკვდავების წყაროთი,  
რომელსაც ჰქვიან იმედი  
და რომლის მოლოდინშია  
კაცს ვერ ერევა შავბედი!

დიალ!.. იმედი გირჩევსთ თქვენ:  
„ჯერ გქონდესთ მოთმინებაო,  
და, რომ საერთოდ, თანსწორად  
სურვილი აღიგზნებაო,

.....  
.....  
.....  
.....!“

ნუ გამოილევთ მაგ იმედს,  
ეგ იყოს თქვენი საგანი...  
მუშებო, თქვენი მარჯვენა  
იკურთხოს, ოფლით ნაბანი!..

[1880 ]

\* \* \*

ერთი ქალისას ამბობდენ:  
 „მშვენიერება არიო!..  
 ნეტავ მას, ვინც კი გახდება  
 იმისი მეგობარიო!..

„ამ დროში საქართველოში  
 არავინა ჰყავს ტოლიო,  
 მაგრამ ვინ ღირსა, რომ ჰყავდეს  
 მისებრ ლამაზი ცოლიო?

„ტაძარი არის ტრფობისა  
 მისი უმანკო გულიო;  
 ბევრი ჭაბუკი გვინახავს  
 მის გამო გალახულიო!

„ვითა ბულბული კოკობ ვარდს,  
 დასტრფიან ყმაწვილებიო;  
 ეხეთქებიან ერთმანეთს  
 უსაქმო ცულლუტებიო!

„მაგრამ ამ ლამაზ ქმნილებას  
 სხვა მხრით უჭირავს თვალიო...  
 მოდით და ნახეთ საქები  
 ჩვენი ქართველი ქალიო!“

წაველ და ვნახე ლამაზი:  
 მართლა რომ მოსაწონია!  
 მაგრამ შემცდარი ბრძანდება,  
 ვისაც ქართველი ჰგონია!

სახელად ერქვა მაშინკა;  
 ვსთქვი თუ: რა არის მოდა-თქო?  
 ძველი დრო რომ ყოფილიყო,  
 მარიამ ერქმეოდა-თქო!

თავმოხდილს, საკუთარ თმებში  
სხვებისაც ჰქონდა ჩართული!  
სხვა ენით ამისულურტულდა,  
ეზარქბოდა ქართული!

ამბობდა: „როგორ ვიკადრებ  
ქართულად ჩაცმა-ხურვასო!“  
ნახევრად იყო ტიტველი...  
თითქო აპირებს ცურვასო!

კაჭკაჭივითა მეტყველი,  
დახტოდა, როგორც კალია,  
ის ტუტუცების დამწველი  
და მათი გულისკალია!

მხოლოდ ეს იხატებოდა  
იმის ჟუჟუნა თვალებში:  
„მე ჩემი დღე და სოფელი  
უნდა დავლიო ბალებში!“

და ეს სიტყვები ეწერა  
იმის მშვენიერ სახესა:  
„სხვა საქმე არ მაქვს, მე მხოლოდ  
აშიყებს ვუგებ მახესა.

მომწონს კალინა, მალინა,  
მძულს ვარდები და იაო!  
სამშობლო რასა მიქვიან,  
მეწყერსაც წაულია!“

[1880 ]

## გამოცვლილი დრო

გამოიცვალა ქვეყანა,  
ჩარხი უკულმა ტრიალებს:  
ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს,  
ბულბული ვირებ ჰლორიალებს!

ზამთარში სიცხე გვაწუხებს,  
ზაფხულში დგება ზამთარი;  
სომეხმა ხრმალი აიღო,  
ქართველმა – სომხის დავთარი!

ქურდები სჭრიან სამართალს,  
მართლებს უყრიან ბორკილსა  
და ქვეყნის მტერი იუდა  
დასცინის მამულის შვილსა!

ბრიყვი და უსწავლელები  
თავში უდგია ჭკვიანებს...  
გაჰქრეს ეს უამი ბარემლა,  
ნეტავი, რას იგვიანებს?!

[1880 ]

## ახალი გზა

ნუ იფიქრებ, დაგაყვედრო,  
შე მაცდურო, ჩემო მუზა,  
იმისთვის, რომ შენის რჩევით  
ეკლიანი შემხვდა მე გზა!

გმადლობ კიდეც მისთვის, რომ შენ  
ამიხილე ბრმასა თვალი,  
თუმც კი ჩვენში ცხოვრებისთვის  
მწარე არის ეგ წამალი:

სად ვერც იტყვი, ვერცა ისმენ,  
ვერც რას ნახავ საამურსა,  
იქ რად უნდა ბაგეთ სიტყვა,  
თვალთ ხილვა და სმენა ყურსა?!

ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ,  
მომივლია კიდით კიდე;  
მართლის თქმით და გულწრფელობით  
ჭირი ჭირზედ გადვიკიდე!

აქ მონება ჭკუა არის,  
ორპირობა – სიბრძნე დიდი  
და მას რჩება მოედანი,  
ვინც კი არის მეტად ფლიდი!

ცოტა მაღლა ასავლელად  
ძმა ძმას იხდის კიბე-ხიდად,  
მშობელს შვილი, შვილს მშობელი,  
ქმარს ცოლი ჰსურს გასასყიდად.

აქ თვით სჯული ფარისევლებს  
ხელთ უპყრიათ ბადე-ქსელად,  
ძლიერების საპირფეროდ,  
უძლურების მოსაწველად!

. . . . .  
. . . . .  
. . . . .  
. . . . . !

მხოლოდ საწყალ მიწის მუშას  
არავინ ჰყავს გამკითხავი,  
მისის ოფლით თავს იკვებენ,  
ქურქად მიდის მისი ტყავი!

მაგრამ ვინ რას გვათქმევინებს,  
ჩემო მუზავ, ტყვილა ელი!..  
დროა, სიტყვა უკუვაგდოთ,  
სხვებ მოვკიდოთ საქმეს ხელი,

თორემ ისე ჩვენი შრომა  
ემსგავსება ბებრის ბუქნას!  
რაც ყოფილა, დღეს არ არის,  
რაც დღეს არის, ხვალ ნულა ჰქნას!

ყარიბო და განწირულო,  
ნუ შეკრთები, ჩემო მუზა!  
სანამ კიდევ ძალ-ლონეს ვგრძნობთ,  
ვერ დაგვაფურთხობს ახალი გზა!

[1880 ]

## მინდა რამ ვსთქვა

მინდა რამ ვსთქვა, მაგრამ რა ვსთქვა  
 უსამართლოდ ალაგმულმა?  
 ჩემი გრძნობა უნდა უხმოდ  
 შიგ ჩაიკლას წყლულმა გულმა!

მე ამ ლაგამს წავიძრობდი,  
 არ მაქვს უცხოს მორიცება;  
 მაგრამ რა ვქნა, რომ ხელმარჯვედ  
 ჩემივე ძმა მეჭიცება!

იმის აზრი სულ სხვა არის  
 და სულ სხვას გრძნობს ჩემი გული;  
 მე სხვა რამე მენატრება, –  
 მაგას ჯილდო, ანუ ფული!

ეჰ, რა მეთქმის? მირჩევნია  
 უხმოდ მოვკლა გრძნობა გულში,  
 და არვის კი არ მივყიდო  
 არც ჯილდოში და არც ფულში!..

[1880 ]

\* \* \*

თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ  
და მაგდებენ საკირეში!  
ურცხვად შვიდ-შვიდ პარასკევსა  
მითვლიან მე ერთ კვირეში!

მამა-პაპის სწორ გზაზედა  
სიარულსაც კი მიშლიან,  
მაგიერად მათ მრუდ გზაზედ  
ფიანდაზებს ფეხთ მიშლიან!

ვერ დავაგდებ ძველსა გზასა,  
გინდა იყოს ეკლიანი.  
ვიცი, სხვებიც მომყვებიან  
ჩემებრ შავბედ-ეტლიანი!

და თუ ვინმემ გადუხვია  
და გადასდგა მრუდედ ფეხი,  
გაუსქდეს მას დედამიწა  
და დაეცეს თავზედ მეხი!

[1880]

## მოკანანახე

(სუფლიორი)

ეს სოფელი თეატრია!..  
 ხალხს ვადარებ აქტიორებს:  
 ახალ-ახალ როლს თამაშობს  
 და ხანდახან იმეორებს.

ვის შეხვდებით, აბა, ბძანეთ,  
 უპირბადოდ მოარულსა?  
 სიტყვით სხვა ვართ, საქმით სულ სხვა,  
 ცბიერებას ვსწირავთ გულსა!

ცხოვრებაში ვინც კი უკეთ  
 ითამაშებს, ითვალთმაქცებს,  
 სახელს მხოლოდ ის მოიმკობს...  
 გარეგნობით გაგვიტაცებს.

მაგრამ ვინც კი ჩუმად შრომობს  
 და არ არის აქტიორი,  
 ის ალარ სჩანს, ორმოში ზის,  
 ვით საწყალი სუფლიორი.

[1880 ]

## ჩვენი მიხაკა

ეს სოფელი უსამართლო  
მასხარა და ტუტუცია,  
იმასა სთხოვს ანგარიშსა,  
ვისთვისაც არ მიუცია.

მდიდარს თვითონ ემონება,  
საწყალს კი სთხოვს სამსახურსა,  
ედავება, ხელიდან გლეჯს  
ოფლით ნაშოვნ ლუქმაპურსა.

მაგრამ ეს ხომ ადამს აქეთ  
საზოგადო რამ წესია:  
ხშირად ის მკის და ისა სჭამს,  
ვისაც სულ არ უთესია!

ეჰ, ვინ დასდევს საწყალ მუშას!..  
ფეხით სრესენ, როგორც ჭიას  
და ფეხთა მტვერს ულოკავენ  
გამდიდრებულს და პრანჭიას!

სამართალი ბეცი არის:  
ახლოს ვერ სჭრის, შორს ვერ ხედავს,  
მაგრამ ხალხი დაბორკილი  
ურჩობას ვით გაუბედავს?

ულირსად და უსამართლოდ  
ამაღლებულს ემონება;  
დაჩაგრულს და შერისხულსა  
სდევნის!.. სად აქვს მას გონება?..

მაგალითად, გინდ, ავილოთ  
ჩვენი მიხაკ ლორისაო!  
პაპამისი მწყემსი იყო  
თხებისა და ლორისაო!

მამამისიც ტყავებს ჰყიდდა,  
საცოდავი ტარიელა,  
ქუჩა-ქუჩა დადიოდა  
ჯიბე და თავ-ცარიელა.

მაგრამ ნახეთ, დღეს რაღაა  
მიხაკუა, მისი შვილი?  
დარჩა ქვეყნის მოედანი!  
სადღაა სხვა მიხაილი?

სახელმწიფო კაცს ეძებენ  
რუსეთისთვის ამ ცუდ დროსო,  
მისთანას, რომ ახალ რუსეთს  
მარჯვედ ტყავი გააძროსო,

და მეტყავის შვილს მოადგენ,  
სთქვეს, თუ: გამოცდილიაო;  
კინტობში გაზდილია,  
გაქნილ-გამოქნილიაო.

სასახლეში მიიწვიეს,  
უთხრეს: „უნდა გვიშველოო:  
ძველი უნდა გაგვიახლო,  
ახალი კი გვიძველოო!..“

ეს უთხრეს და პირველობა  
მიანიჭეს მიხაკასა,  
თითონ შორით უყურებენ  
მის თესვას და იმის მკასა.

ჯარასავით დატრიალდა  
ჩვენი კინტო მიხაკუა,  
სასახლეში კარისკაცებს  
ყველას ერთად მ. . . . ა.

გულში ანბობს: „ამდენ ვირებს  
რად უყრიდენ აქ თავსაო?  
ქვეყანას სხვას რას უზამდენ,  
თუ არ ცუდსა და ავსაო?“

ზოგი გაყარ-გამოყარა,  
ზოგს კუდს უქნევს, როგორც მელა,  
ერთნაირად მოატყუა  
ახალი და ძველი, ყველა.

სათვალთმაქცო რამ მალამო  
ძველსაც მოსცხო, ახალსაც სცხო,  
მაგრამ სომხური საქმე კი  
უფრო კარგად გამოაცხო:

ახლებს თვალი აუხვია,  
მოატყუა, მოაღორა,  
ძველსაც მხარი მოუქცია:  
კოტრიალით გააგორა!

[1880–1881 ]

ვარიანტები,  
შენიშვნები,  
კომენტარები



აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის წინამდებარე I ტომი მოიცავს 1856–1880 წლებში დაწერილ ლექსებს, რომელთა უმრავლესობა შექმნისთანავე ქვეყნდებოდა უურნალ-გაზეთებსა და კრებულებში, ნაწილი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ზოგი მათგანი ავტორის სიცოცხლეში საერთოდ არ დაბეჭდილა და გვიან გახდა ცნობილი ფართო მეცნიერების საზოგადოებისთვის, ამიტომ ბუნებრივია, რომ ზოგიერთ ლექსს ათეულობით წყარო მოეპოვება, ზოგიერთს კი – მხოლოდ ერთი ან ორი.

ამ წყაროების ურთიერთშეჯერება და ავტორის საბოლოო ნების განსაზღვრა მეტად საპასუხისმგებლო და შრომატევადი სამუშაო იყო.

ტომის შედგენისას ჩვენ ვეყრდნობოდით აკაკის თხზულებათა სრული კრებულის შვიდგომშეულს, თხზულებათა თხუთმეტ და თვრიშეტრომებულებს, ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“ (თბ., 1989), თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის აკაკის კაბინეტის მიერ გამოცემულ კრებულებს: „უცნობი აკაკი“ (შემდგენლები ი. ევგენიძე და ნ. ფრუზიძე, თსუ, თბ., 2001). „აკაკის კრებული“ I და II წიგნი (მომზადებული აკაკის კაბინეტის მიერ, თსუ გამოცემა, თბ., 2000; 2005).

ზემოხსენებულის გარდა, გამოყენებულია აკაკის სიცოცხლისდრო-ინდელი ყველა გამოცემა, მათ შორის აკაკის „თხზულებანი“, 1893, I და II ტომები და „ჩემი ნაწერები“, 1912 და 1913, I-II წიგნები. ეს უკანასკნელი გამოცემა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ შეიცავს ავტორისეულ კომენტარებს. წინამდებარე ტომის შედგენისას გამოყენებულია ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გოორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდები დაცული მასალები.

ახალ აკადემიურ გამოცემას ემატება აკაკის ლექსების ერთი ნაბეჭდი წყარო – „სალამური – აკაკის ლექსთა კრება“, შედგენილი და გამოცემული 1893 წელს კირილე ლორთქიფიზანიძის მიერ ქუთაისში. აღნიშნული წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, შემონახულია მისი მხოლოდ ორი ეგზემპლარი. ამჟამად ისინი ინახება ი. გრიშაშვილის მუზეუმსა და წიგნის პალატაში. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ეგზემპლარი იმსებ გრიშაშვილის საკუთრებაა, აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომულში იგი ვერ მოხვდა, რადგან გამომცემლებს ამ ეგზემპლარებისთვის ვერ მიუგნიათ („სალამურის“ შესახებ იხ.. ჯ. გაბოძე „აკაკის ლექსთა კრებულ „სალამურის“ გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი“ შ. „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“ №2, 2000 და „აკაკის თხზულებათა გამოცემები“, თბ., 2009.)

ტექსტის დადგენისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ქუთაი-სის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ავტოგრაფული კრებულები: 2173/973, 2173/974 და სხვ.

1 ტომს ემატება, აგრეთვე, გ. ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის აკაკის საარქივო გამოცემის მიხედვით მოპო-ვებული ლექსების ახალი წყაროები, რომლებმაც შეავსო გამოცემა და შესაძლებელი გახადა ბევრი თხზულების შემოქმედებითი ისტორიის ახლებურად შესწავლა. ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკაკის ლექსების ავტოგრაფუ-ლი კრებული №17662, რომელიც თვით ავტორს გაუმზადებია გამოსაცე-მად და რედაქტირებულია პოეტის უახლოესი მეგობრის კირილე ლორთ-ქიფანიძის მიერ. ამ კრებულში მოთავსებული ლექსების უმრავლესობას კ. ლორთქიფანიძის ხელით მიწერილი აქვს წლები, რომელთა დიდი ნაწი-ლი ზუსტად ემთხვევა სხვა წყაროებით დადასტურებულ თარიღებს. რო-გორც ირკვევა, ეს ავტოგრაფული კრებული 1876 წლამდეა შედგენილი და უთარიღოდ დარჩენილი რამდენიმე ლექსის მიახლოებით დათარიღე-ბის საშუალებასაც იძლევა. რა თქმა უნდა, კრებული ერთი-ერთი სანდო პირველწყაროა ტექსტის დადგენის მხრივაც. მნიშვნელოვანია აგრეთვე ლიტერატურის მუზეუმის კრებული „ჩონგური“ – ქართველ მწერალთა ხელნაწერი აღმანახი №25909, რომელიც შედგენილია კირილე ლორთ-ქიფანიძის მიერ. იგი დაგვეხმარა ბევრი ლექსის თარიღისა და ტექსტის დადგენაში.<sup>1</sup>

1980-იან წლებში ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო აკაკის თხზულებათა სრული კრებულის მომზადება თვრამეტ ტომად, 1991 წ. გამოიცა მხოლოდ | ტომი.

თვრამეტტომეულისაგან განსხვავებით, ახალი აკადემიური ოცტო-მეულის | ტომს დაემატა აკაკის ბევრი ლექსი, რომლებიც წინა გამო-ცემებში შეტანილი არ ყოფილა კონიუნქტურულ მოსაზრებათა გამო, გაფართოვდა პირველი ტომის ქრისოლოგიური ჩარჩოები.

წინა გამოცემებში | ტომი მოიცავდა 1856-1879 წლებში დაწერილ ლექსებს. აკადემიური ოცტომეულის პირველ ტომში შევიდა 1880 წლით დათარიღებული ლექსებიც.

დაზუსტდა ბევრი ლექსის კომენტარი და შენიშვნა. ვარიანტებს დაემატა ახალი წყაროები, მათ შორის, ჩვენ მიერ მოძიებული უცნობი ავტოგრაფები. ახლებურად დათარიღდა ზოგიერთი ლექსი.

1915 წელს გამოქვეყნებული ლექსები პოეტის გარდაცვალების შემ-დეგდოროინდელად მივიჩნიეთ და ვარიანტებიდან ამოვილეთ ყველა ასეთი წყარო.

<sup>1</sup> მასალის მიღების პერიოდში წინამდებარე ტომზე მუშაობა უკვე დასრუ-ლებული იყო. ამიტომ ახალი წყაროების ვარიანტებში შეტანისას დაირღვა ზოგიერთი ლექსის ლიტერთა ანბანური რიგი.

ოცტომეულის სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით აღდგენილ იქნა ავტორისეული ფორმები, რადგან გრამატიკულ ნორმათა მრავალ-ფეროვნება ნიშანდობლივია XIX ს-ის 60-80-იანი წლებისთვის. ენობრივ ფორმათა უნიფიცირება გამოიწვევდა ეპოქისათვის დამახასიათებელი სურათის წაშლას, ამიტომ ახალი აკადემიური ოცტომეულის I ტომში შემაგალ ლექსებში სრულადაა აღდგენილი (რამდნიმე აშკარა კორექტურული შეცდომის გარდა) გამომცემელთა მიერ შეცვლილი ავტორის-ეული ფორმები (მაგ.: ვიწვიდე, ანბობ, წყრული, ურტყავს, მამწონხარ, აღვიარებ, ახურვებდეს, გჰყავს, მოგიძლვნო, ზდის, საპნობით, შავება და ა.შ.), აგრეთვე, ავტორის ბოლო ნების მიხედვით აღვადგინეთ ვითარებითი ბრუნვისა და I სუბიექტური პირის ნიშნები, რომლებიც წინა გამოცემაში შესწორებული იყო თანამედროვე გრამატიკული ნორმების შესაბამისად.

აკადემიური ოცტომეულის I ტომს ახლავს ვარიანტები და კომენტარები, ლექსების ანბანური საძიებელი პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

წინამდებარე ტომში არ შევიტანეთ პროზასა და პუბლიცისტურ წერილებში ჩართული ლექსები, რომელთაც დამოუკიდებელი მხატვრული ლირებულება არ მოეპოვებათ და ავტორსაც ფალკე არასოდეს შეუტანია თავის თხზულებათა კრებულებში. მათ მკითხველი შესაბამის ტომებში გაეცნობა.

კომენტარებში ყველგან აღნიშნულია, თუ სად და როდის დაიბეჭდა პირველად ესა თუ ის ნანარმოები, ან როდის იქნა შეტანილი მწერლის თხზულებათა კრებულში.

A ლიტერით აღნიშნულია ძირითადი წყარო, B, C, D და A. შ. ლიტერებით აღნიშნულია სხვა წყაროები ქრონოლოგიური რიგის მიხედვით.

პასპორტში მითითებულია ძირითადი ტექსტისგან განსხვავებული სათაური, ქვესათაური, თარიღი და ხელმოწერა, მინანერი, რომელიც ამა თუ იმ წყაროში მოიპოვება.

ტექსტიდან გამოტანილია ყოველგვარი ხელმოწერა, ფსევდონიმი ან კრიპტონიმი. როცა ლექსი ავტორის მიერაა დათარიღებული და ხელმოწერილი, ამის შესახებ მითითებულია პასპორტში. .

დაუთარილებელი ლექსები, თუ მათ შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება, თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით და ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში, ასევე კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული კვლევა-ძიებით დადგენილი თარიღი.

დათარილებისა თუ ატრიბუციის საკითხებზე, სადაც ამის საჭიროება არსებობს, კომენტარებშივე არის მსჯელობა. იქვე არის აღნიშნული, თუ ვის ან რას ეძღვნება ნანარმოები, ვინ არიან მასში ნახსენები ან ნაგულისხმევი პირები. საჭიროებისამებრ, ახლავს ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები, ვარიანტებში წარმოდგენილია ყველა წყაროს

ნაირწაკითხვა. პირველი ციფრი მიუთითებს გვერდს, მომდევნო – სტრიქონს (ზემოდან). სათაურები და სტროფებს შორის გამყოფი ნიშნები სტრიქონების სათვალავში არ შედის.

T ლიტერით აღნიშნულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული აკაკი წერეთლის პირადი არქივი.

K და S ლიტერით -- ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალა (S ფონდში დაცულია აკაკის რამდენიმე ლექსი).

Q-თი აღნიშნულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდი.

### პირობითი ნიშნები

ვარიანტების ჩვენების დროს მიღებული გვაქვს შემდეგი პირობითი ნიშნები:

] ნაცვლად: მაგ.: სამკურნალოდ] სატრფომ ტურფად B, ნიშნავს: ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი „სამკურნალოდ“ სიტყვის ნაცვლად B ვარიანტში არის სიტყვები: „სატრფომ ტურფად“.

+ ტექსტს ემატება: მაგ.: ნეტარება + თეთრპერანგა B, ნიშნავს: B ვარიანტში „ნეტარება“ სიტყვას ემატება „თეთრპერანგა“.

-არ არის: მაგ.: თუ -C, ნიშნავს: C ვარიანტში სიტყვა „თუ“ არ არის.

~ სიტყვები გადასმულია: მაგ.: ცხვარი უმწყემსური ~ D, ნიშნავს: D ვარიანტში იკითხება „უმწყემსური ცხვარი“.

### \* \* \* (გაბრწყინდი ჩემო კანდელო) (გვ. 3)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი T 17662, ფ. 20V-21 r (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1876, № 105. გვ. 1 (C); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 296 (D); გაზ. „სავაჭრო გზა“, 1908, №4, გვ. 3 (E); „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ. 135-136 (A).

ს ა თ ა უ რ ი: — C, კანდელი E, კანდელისადმი B.

თ ა რ ი ღ ი: [56 წ.] B.

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი C.

B ავტოგრაფი ნაწერი და ნასწორებია შავი მელნით, თარილი მიწერილი აქვს ლურჯი ფანჯრით სხვა ხელით.

C-ში ლექს ჩართულია პროზაში „მაქობა“.

აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულში ამ ლექსის A წყაროდ აღებულია 1876 წლამდე შედგენილი ავტოგრაფული კრებულის ტექსტი, ჩვენ კი ავიღეთ ავტორის სიცოცხლეში ბოლო (1913) ნაბეჭდი ტექსტი, როგორც ავტორის ბოლო ნების გამოხატულება.

1876 წელს გაზ. „დროებაში“ ამ ლექსის შესახებ აკაკი ასეთ ცნობას გვაწვდის: „ამ ოცი წლის წინეთ იმ სანში ვიყავი, როცა ადამიანი ყმაწვილობიდამ ჭბუკობაზედ გადადის; იმ დროს გული არის მბრძანებელი თავისა. ზურმუხტ ოცნებებით შეკმაზული სხვადასხვაგვარი ფიქრები და მრავალგვარი გრძნობები რას არ მოაქმედებინებენ ახალგაზრდას?! მცირე მიზეზი ალომ-არნივებს და მცირევე აჭიანჭველებს გამოუცდელ რაინდს. მეც ისე მომდიოდა და ერთხელ, არ ვიცი რამ მომცა მიზეზი, მაგრამ ისე კი გავიმსჭვალე, რომ წმინდის გულით შემდეგი სიტყვები დავამღერე ჩემს ჩანგას:

გაბრწყინდი ჩემო კანდელო,

მინათლე ბნელი ღამისა!..

გაბრწყინდი, რადგანც დაგირჩა

სინათლე მცირე უამისა!...

ჩემი სიცოცხლეც შენსავით

იწვის და თანდათან სდნება,

მომავალი არას მარგებს

და წარსული მენანება!

და თუ ასეა, სიცოცხლე,

რადგან მშორდები ხვალისად,

დღეის-დღე მაინც მალხინე,

რომ დრო ვატარო ხალისად!

გაბრწყინდი, ჩემო კანდელო,

მინათლე ბნელი ღამისა!..

რადგან ამეღამ სიცოცხლემც

შვება მცეს მცირე უამისა!..

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა; ბევრი მითქვამს და ბევრიც დამინერია, მაგრამ მათგანი მეასედიც აღარ მახსოვს და ეს ერთი, ეს პირველი

ლექსი კი, პირველ სიყვარულივით, სიკვდილამდე დაუვიწყრად დაებეჭდა ამ ჩემს გულს. სწორეთ იმ დღიდამვე მიგუპყარი გული ჩვენს ხალხს და დავაკვირდი მის ცხოვრებას”...

უფრო მოგვიანებით კი, 1902 წ.გაზ. „ივერიის“ №235-ეში დაბეჭდილ აკაკის პროზაულ თხზულებაში „ცხელ-ცხელი სიმართლე“ ნათევამია, თითქოს ზემოხსნებული ლექსი დაწერილია 1852 წელს.

1908 წ. გამოცა აკაკის „რჩეული ლექსები“ (ვაჭართა საზოგადოების გამოცემა), რომელსაც წამძღვანებული აქვს სოსიკო მერკვილაძის ნარკვევი – „აკაკის ცხოვრება“, რომელშიც ნათევამია, რომ „პირველი ლექსი „კანდელი“ აკაკიმ დასწერა ცამეტის წლისამ“. ე.ი. ამ ცნობის მიხედვით იგი 1853 წლით უნდა დათარილდეს.

ჩვენ, წინა გამომცემლების მსგავსად, ლექსი B ავტოგრაფის მიხედვით 1856 წლით დავათარილეთ. ამ თარიღს მხარს უჭერს აგრეთვე 1876 წ. გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილი აკაკის ადრინდელი ცნობა იმის თაობაზე, რომ ხსენებული ლექსი მან ამ ოცი წლის წინ (ე.ი. 1856 წ.) დაწერა.

3. 2 მინათლებელი ] ავტორს ჯერ დაუწერია „სინათლე ჩემის“, შემდეგ გაუსწორებია B; 3 მინათლებელი ] გაბრწყინდი E; რადგანც ] რადგან E; 4 მცირეს ] მცირე E; 10 რადგანც ] რადგან E.

### პ. 6. (გვ. 4)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1859, №3, გვ. 154–156.

თ ა რ ი ღ ი: 1858 წელსა, სეკურიტეტობრის 7-სა ქ. ქუთაისა.

ს ე ღ მ მ ო ნ ე რ ა: ნ.

ურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნების შემდეგ ლექსი პირველად დაიბეჭდა ა. წერეთლის რჩეული ნაწერების ოთხტომეულში, 1928, ტ. 4, გვ. 280.

როგორც ა. წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის თხუთმეტტომეულის I ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე ვარაუდობს, „ლექსში შესაძლოა იგულისხმებოდეს პოეტის ნათესავი ქალი პელაგია წერეთლისა, ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღვოლის – ნესტორ წერეთლის მეუღლე“, რომლისთვისაც ლექსები სხვა პოეტებსაც (მაგ.: გრ. ორბელიანს, კ.გ. დადიანს) მიუძღვნიათ.

ამ ვარაუდს ჩვენც ვიზიარებთ.

### ჩემს ვენერას (გვ. 6)

ს ე ღ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 25909 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1859, №1, გვ. 4–5 (A)

თ ა რ ი ღ ი: 1858-სა წელსა, დეკემბრის 20 დღესა, ქ. ქუთაისა. A;

1858 წ., დეკ. 20 ქ. ქუთაისი. B

ს ე ღ მ მ ო ნ ე რ ა: ნ. A.

ურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნების შემდეგ ლექსი პირველად დაიბეჭდა ა. წერეთლის რჩეული ნაწერების ოთხტომეულში, 1928, ტ. 4, გვ. 282.

6. 2 ღმერთა] ღმერთავ B; 3 გაზდილი] გაზრდილი B; 8 ჩვენსა] ჩუენსა  
B; 11 მოსწყლოს] მოსწყლას B; 13-14 სწორეთ] სწორედ B; 20 ვმლერა] მლერა A.

### ნავი (გვ. 7)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K 73, ფ. 1v—2v (A).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1859, №9, გვ. 4—5 (B)

თ ა რ ი ღ ი: 1859 წ. A, 1859 წელსა, მარტის 25 დღესა — ს. საჩხერეს B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: წ. B

პირველნაბეჭდის შემდეგ ლექსი პირველად გამოქვეყნდა ა. წერეთლის თხზულებათა შეიდტომეულში, 1940, ტ. I, გვ. 3.

7. 1 სცურავდა] სცურევდა B; 2 ყოველის] ყოლის A; მხრიდან] მხრიდგან B; 11 რომ] რა B; 12 გაპეტედაგვ] გაბედაგვ B; 15 ნაცე] ქარს B; დიდად] დიდათ B; 18 გარისხებული] განრისხებული B; 20 ვერრა] ვერა B. 22 დასტოვა] დასტევა B. 8. 5 მას შემდეგ, ვითომ აქვს მშვიდობა ნავს] მისა შემდეგ აქვს მშვიდობა ნავს B; 6 მავნებელიც] მავნებელი B; 7-10 გაძული არის... და ნაგავს —B.

### საიდუმლო ბარათი (გვ. 9)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი, Q 2173/974, გვ. 2 (B); ასლები: Q 2173/975 (47), გვ. 3—4 (C); T 25909 (N).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ცისკარი“, 1860, №1, გვ. 59—60 (D); „სასიმღერო ლექსები“, 1869, გვ. 15—16 (E); „ჩანგი“, 1888, გვ. 345—347 (F); „ჩანგი“ 1892 (ოზურგეთი), გვ. 347—348 (G); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 5—6 (H); „სალამური“, სასიმღერო ლექსები აკაკისა, (ქუთაისი) 1893, გვ. 5—6 (I); „ჩანგური“, 1904 (ბათუმი), გვ. 207—208 (L); „ჩემი ნაწერები“ I, 1912, გვ. 63—64 (A).

ს ა თ ა უ რ ი: საიდუმლო ბარათო FGL.

თ ა რ ი ღ ი: ჩყნთ-სა წელსა. მკათათვის კ-სა დღესა ს. პეტერბურლს D.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი D.

B ავტოგრაფი ნაწერია მელნით, ნასწორებია ფანქრით.

A-ში დაბეჭდილ ტექსტს აკაკის შემდეგი შენიშვნა ერთვის:

„ეს ლექსია, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჩემი სახელით და გვარით, მანამდე კი უსახელოდ ვპეტდავდი, ვერც ამ ლექსზე ვპეტდავდი ჩემი ვინაობის გამოცადებას, მაგრამ ჩემდა შეუტყობლად მოხდა. დაბეჭდა „ცისკრის“ რედაქტორს და თავისთავად მოეწერა ჩემი სახელი და გვარი. ჩემთვის წერილი გამოეგზავნა შემდეგი შინაარსის: „პლატონ იოსელიანს, რომელიც ქართულს ასწავლის ნამესტინი ბარიათონსკის, გადაუთარებელია მისთვის ეს შენი ხელნაწერი ლექსი და შენი ვინაობაც მოუხსენებია. ბარიათონსკის ძალიან მოსწონებოდა და ებრძანებია: რომ დაბეჭდოთ, ავტორის სახელი და გვარი მოანერეთო, და მეც — მეტი რაღა გზა მქონდა? — შენი სახელით დავპეტდე და არ გამიჯავრდეო.“

ეს ყოლითერი მართალი იყო თუ არა, არ ვიცი! ეგებ რედაქტორმა, როგორც ყმანვილის გულგასაკეთებლად, ისე მოანერა, მაგრამ მე კი დავიჯერე და დიდათაც მეფონა, რომ ყურადღებასაც მაქცევენ-მეთქი.

იმ ხანებშივე ამ ლექსის გამოისობით ორი წერილიც მივიღე. ერთი ჩემი უცნობის ანჩისხატის დეკანოზის ეფრემის იყო. აა, რას მნერდა სხვათა შორის: „გილოცავ მოშაირობას და თანვე გთხოვ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბით ენით ნუ სწრ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ კი რაღაც სოფლიურ ენითა სწრ, და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება. გამოსვლისთანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცა, განსაკუთრებით ქალები იმღერიან, და ვაითუ მაგ შენ ენას მიეჩიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიონ“. მეორე წერილი იყო თ. ირაკლი ლორთეიფანიძის, ისიც მაქებდა და მთხოვდა, ძველი ენითა სწრეო. ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს, გამაყოფოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკბობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერიან“ და მეც გადავსწყვიტე, რომ თავი დაფუძვა მნერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“.

**16. 4 ფარადო]** ფარადორ G; 7 ამისრულო] ალასრულო FG; 10 ცრემბებს რომ] ცრემლსავით DFG; 11. აბბავს] ანბავს BDFGI; 13 როცა] იდეს DFGN; 15. თვალს] თვალით BCDEFG; თვალთ N; თვალს ცრემლი] ავტორს ჯერ დაუნერია „ცრემლები“, შემდეგ ფანქრით გაუსწორებია B; 16 სახეზე] სახეზედ DFGLN. **9-18.** 2 ხშირად] ხშირათ D; 19 და თან] ანუ DFG; და თან ტკბილის გრძნობითა] და აღტაცებულ გრძნობით BCI; ტკბილის] ხშირის L; 21 ან, როც] და რომ BGI და როს D; ან] და FG; მანა] განა BC; 22 გამოგზავნა] გამოგზავნა L; 23 ანგელოზი] ანგელოსი BCDI; სუფევდა] ბუდობდა L. 10.1 არა!] აბა! B; ამ] წრფელ BCI; 2 მიპბედავდა] მიპედავდა BCI; ვერ მიპბედავს DFG; მიპედავს N ავტორს ჯერ დაუნერია: „ვერ მიპედავს“, შემდეგ ფანქრით გაუსწორებია B; 3-4 მაშინ უკულმა... თვით ქვეყანა] გინდ უკულმა დაბრუნდება მთლად ეს ცა და ქვეყანა B, გინდ უკულმა დაბრუნდეს მთლად ეს ცა და ქვეყანა CI, რადგან მარტო ის არ გრძნობს, ასეა ეს ქვეყანა DFGN; ავტორს ჯერ დაუნერია: „სიყვარულის ნაშობი არის თვით ეს ქვეყანა“, შემდეგ ფანქრით გაუსწორებია B; 4 ინყებდა თვით] ასეა ეს E; 5-8 საიდუმლო... ფარადო]

თუ ასეა, ბარათო,  
მე<sup>1</sup> შენ უნდა გამართო<sup>2</sup>  
სიხარული მომფინო,  
სევდა, რაც მაქვს, წამართო! DEGN.

### ცოდვილის სინანული (გვ. 11)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1860 წ., №3, გვ. 199–200.

თ ა რ ი ღ ი: 1859-სა წელსა, მეათათვის კბ-სა დღესა, ს. პეტერბურლი ხ ე ლ მ თ წ ე რ ა: აკ. წერეთელი

ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნების შემდეგ ლექსი პირველად შევიდა ა. წერეთლის თხზულებათა კრებულში, 1940, ტ. I, გვ. 7.

<sup>1</sup> მე] დღეს N

<sup>2</sup> გამართო] გამართლო D.

## ქართლის სალამი (გვ. 12)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი T 25909 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: უ. „ცისკარი“, 1859, №10, გვ.102-104 A.

ს ა თ ა უ რ ი: სალამი საქართველოს B.

თ ა რ ი ღ ი : 1859-სა წელსა, ივლისს, ს. პეტერბურლს A., [1859 წ. ივლისი, ქ. პეტერ. ] B

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: წ. A.

ურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნების შემდეგ ლექსი პირველად დაიბეჭდა ა. წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულში, 1940, ტ. I, გვ. 8.

**12. 3 მსხვერპლადცა]** მსხვერპლათაც B; **111. 3 უნუგეშომ უნუგეშოდ B;** **11 სურვილი]** წენილი B, 16 იქმნეს] იქნეს B; **19 ვარსკვლავს]** ვარსკვლავთ B, მქრალია] მრქალია A; **23 ვჰეურნო]** ვჰეურნო B; **13. 4 ექესინის]** ეფესინის B.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1859 წლის ოქტომბერში ურნალ „ცისკრის“ მე-10 ნომერში. ამის შემდეგ იგი არსად არ გამოქვეყნებულა და არც მისი ავტოგრაფია შემონახული. მიუხედავად ამისა, ლექსის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთმანეთისგან განვაცალებოთ ავტორისეული ტექსტი და ლექსზე სხვის მიერ დამატებული სტროფი.

„ქართლის სალამის“ ბოლო სტროფი:

„ჰედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა?

ვით ჰერუნავს შენთვის, გიმართავს ხელსა?

ეცადე ნაცვალს და მოთმინებას

შენ წუ აქმარებ მას ცარიელსა – ლოგიკურად ამოვარდნილია კონტექსტიდან. ჩამატებული სტროფი ცვლის მის შინაარსს. მკითხველისთვის სრულიად გაუგებარი ხდება, როგორია პოეტის დამოკიდებულება რუსული თვითმშეყრობელობისადმი. ვფიქრობთ, აღნიშნული სტროფის ლექსში დატოვება არღვევს ავტორის წებას. ამის ერთ-ერთ არგუმენტად გამოდგება 1860 წლის აპრილში პოეტის მიერ დედისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი წერს: „მე და კერძესელიძე როგორლაც ვერ მოვეწყვეთ. ლექსები წამიხდინა, თავისებურათ გადააკეთა... სექტენბრის აქეთ აღარაფერი გამიგზავნია და აღარც გაუგზავნი...“ (თსკ. ტ. XV, გვ. 20). ამ „წახდენილ“ ლექსებში აკაკი ალბათ გულისხმობს „ნავსა“ და „ქართლის სალამს“.

ლექსის ბოლო სტროფის ავტორისეულობას არ იზიარებენ: პ. ინგოროვება, ნ. გურგენიძე და ი. გორგაძე, მ. ნინიძე...

პავლე ინგოროვებამ აკაკის შვიდტომეულში „ქართლის სალამი“ ბოლო სტროფის გარეშე დაბეჭდა.

„აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანის“ შემდგენლები ნ. გურგენიძე და ი. გორგაძე პირდაპირ მიუთითებენ: „ცენტურის თვალის ასახვევად „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერძესელიძე ლექსის უმატებს ერთ სტროფს, რაც სრულიად ცვლის ლექსის დედააზრს“.

ამასვე ასაბუთებს მ. ნინიძეც (ჟ. „კრიტერიუმი“, №14, 2005). არც ჩვენ მიგვაჩინია ეს სტროფი აკაკისეულად, მაგრამ ივანე კერესელიძის მიერ დამ-ატებულ სტროფს ლექსიდან არ ვიღებთ, მხოლოდ განსხვავებული შრიფტ-ით ვძექდავთ.

**ერთ ქალს,  
ვარდი რომ ერჭო თმაში ზედ პეპლათი (გვ. 14)**

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: K 71, ფ. 13 r-v (A); T 17 662 (B).

ს ა თ ა უ რ ი: „ბალის შემდეგ ექსპრონტი“ (ბოლო სიტყვა გადასაზულია ავტორის მიერ) B.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (ერთ ქალს თავზედ ვარდი ერჭო და ზედ პეპლები აუდენ ხელოვნებით გაკეთებულები და ჰელოვნები) B.

თ ა რ ი ღ ი: 1859 წ. A, 63 წ. B.

ს ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

A ავტოგრაფი ნაწერია შავი მელნით, B ავტოგრაფიც ნაწერია შავი მელნით, ნასწორებია იმავე მელნით; ერთგან კალმისმიერი ლაფსუსი ჩას-წორებულია ლურჯი ფანქრით, B-ს თარიღი მიწერილი აქვს ლურჯი ფან-ქრით სხვა ხელით.

პირველად დაიძექდა ა. წერეთლის რჩეული ნაწერების ოთხფომეულში, 1928, ტ.4, გვ. 7.

**21. 13 მაგრამ იმ დროს] ავტორს ჯერ დაუწერია: „მხოლოდ ჩუმად“, შემდეგ გაუსწორებია B.**

**\* \* \* (ახალგაზრდა მონადირეს) (გვ. 15)**

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი T 17662, ფ. 39 v (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, №29, გვ. 2-3 (C); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 10 (D); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 72 (A).

ს ა თ ა უ რ ი: – C, ალბომში B.

თ ა რ ი ღ ი: [59 წ.]B.

ს ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

B ავტოგრაფი ნაწერი და ნასწორებია შავი მელნით, თარიღი მიწერილი აქვს სხვა ხელით ლურჯი ფანქრით.

C-ში ლექსი ჩართულია პროზაში „ცხელ-ცხელი ამბები“.

**15. 2 ერთხელ] ავტორს ჯერ დაუწერია „უცბად“, შემდეგ გაუსწორებია B; 4 უცბად] უცბათ C; 5 სიზმარი] ავტორს ჯერ დაუწერია „ხუმრობა“, შემ-დეგ გაუსწორებია B; 8 ისევ] ისე B; 13 ასე] ისე B; 16 ღირსი] და ღირსი B; ჩაექვაო] ჩაექვაო B.**

**შამილის სიზმარი (გვ. 16)**

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K 168 (A);

ასლი T 25909 (B).

თ ა რ ი ღ ი: [1859] B.  
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი პირველად დაიბეჭდა ა. წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულ-ში, 1940, ტ. I, გვ. 13-15.

პ. ინგოროვყას კომენტარებში ნათქვამია: „ეს ლექსი, მიძღვნილი შა-მილისადმი, მას შემდეგ არის დაწერილი, როდესაც შამილი, ხანგრძლივი გმირული ბრძოლების შემდეგ, დამარცხდა და ტყვედ იქმნა წაყვანილი (1859წ.). ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. „ცისკრის“ რედაქ-ციას, რომელსაც გადმოუგზავნა პოეტმა ეს ლექსი, შეუძლებლად უცვნა მისი გამოქვეყნება პოლიტიკური ტენდენციის გამო, რადგან ლექსი „თავი-სუფლად იყო დაწერილი“. (იხ.: ა. წერეთლის თხზულებანი, სრული კრებული შვიდ ტომად, 1941, ტ. II, გვ. 633).“

1893 წ. გაზ. „კვალის“ №2-ში გამოქვეყნებული ა. წერეთლის წერილიდან – „ორი შეხვედრა“ – ირკვევა, რომ ავტორს ეს ლექსი გადმოუგზავნია „ცის-კრის“ რედაქციაში 1859 წლის სექტემბრის შემდეგ, არა უგვიანეს 1860 წლის იანვარ-თებერვლისა, მეორე ლექსთან, მოხუცის მოგონებასთან“ ერთად, ეს უკანასკნელი დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1860 წელს, მაისის ნომერში.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: უ. „ცისკარი“, 1863, №6, გვ. 237–239 (B); „ჩონგური“, 1864, გვ. 27–30 (C); „თბზულებანი“, I, 1893, გვ. 77–79 (D); „ჩემი წაწერები“. I, 1912, გვ. 128–130 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1863] C.

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი B, აკ. წერეთელი C.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ აკაკის ლექსში „მოგონება“ აღნერილი ახალგაზრდის პროტოტიპი არის ცნობილი ქართვე-ლი ბელეტრისტი დანიელ ჭონქაძე (1830–1860).<sup>2</sup>

**66. 8** გადამფერავს] გადამფერამს BC; მოდებულ] მოდებულ C; ჟანგ-სა] ჟანგსა BCD; **9** თანამგრძნობელი] ნანა მგრძნობელი C; **12** ცრემლით] ცრემლიათ BC; **16** სამშობლო] სამშობლოს C; **17** წარმომიდგა] წარმომიდგა BC; თვალწინ ჭაბუკი] მე თვალწინა... B. მე თვალის წინა C; **23.** თავგანწირული] თავგანწირული BC; **27** ეტყოდენ] ეტყოდნენ C; **28** ემუქრებოდენ] ემუქრე-ბოდნენ C. **67. 1** ამბობდა] ანბობდა B; **2** შეიტყეთ] შეიტყვეთ BCM; თქვენი] ჩვენი C; **4** ნაგსკდება] ნაგსკდება B; **6** პირუთნეველად] პირუმთნეველად BD; **8** ყველას მიაჩნდა] და უნდებდნენ BC; **11** ჩუმად ხშირად] ჩუმათ ხშირათ BC; **13** შიმშილ-წყურებით] შიმშილისაგან BC; **16** დაპფარა] და-ფარა BCD; **17** უგნურებავ] უგუნურება B; **24** მამის საფლავს] მის საფლავსა BC; კურთხეულმც] **25** კურთხეულ M; **26** ამბობს] ანბობს B.

<sup>1</sup> ველარ] ვერ M.

<sup>2</sup> სიმ.ხუნდაძე, „ნარკვევები“, 1941, გვ. 109; ა. გაჩერილაძე, „აკაკის ლირიკა“, 1940, გვ. 97; გ. აბზიანიძე, აკაკი წერეთელი, თსკ ტ.1, 1950, შენიშვნები, გვ. 426–427.

## სიმღერა მკის დროს (გვ. 68)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი S 3723, გვ. 99–100 (B) ასლები: T 25909 (M), T 12413 (N).

ხ ა ბ ე ჭ დ ი: შურნ. „ცისკარი“, 1863, №7, გვ. 272–274 (C); „ჩონგური“ 1864, გვ. 108–111 (D); „თხზულებანი“, I 1893, გვ. 80–82 (E); „რჩეული ლექსები“ [საიუბილეო კომიტეტის გამოცემა], 1908, გვ. 42–45 (F), „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 131–133 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1863] D.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკ. წერეთელი B.

B ავტოგრაფი ნაწერია შავი მელნით. იგი დაცულია არა აკაკის პირად არქივში (რომელიც ჩვენ K ასოთი გვაქვს აღნიშნული), არამედ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის S ფონდში.

ამ ლექსის თაობაზე, აი, რას წერს თვითონ აკაკი „ჩემს თავგადასავალში“: „თითქმის ყველას ჩამოვშორდი, გარდა ორისა, ისინი არ მიყურებდენ სხვებსავით ხმის აყოლით და სხვებზე უფრო ნიჭიერად თუ მივაჩნდით, თვარა ნაკლებ არა... ერთი მათგანი იყო კირილე ლორთქიფანიძე და მეორე – ნიკო ნიკოლაძე. იმ სახებში მე ერთი ლექსი დავწერე. თუმც ნახევარი საუკუნე გასულია, მაგრამ დღესაც კიდევ წაიკითხება და ჩემმა ამხანაგებმა კი კიუინა დასცეს მაშინ: „აი, აქ აზრი არ ვარგა და ობროდობის მეტი არა არის რაო!“ – მხოლოდ კირილემა და ნ. ნიკოლაძემ კი სთქვეს, რომ კარგი რამ არის როგორც ხელოვნებაო, და მირჩიეს, ერთი რამ მისთანა მიმემატებია, რომ ცხოვრებაში გამოსადევი ყოფილიყო. ის ლექსი იყო „სიმღერა მკის დროს“. მეც ავიღე და ბოლოში ერთი ხანა ჩავაკერე.

„უხვად მოვიდა წელს პური,  
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,  
რომ პურს ბატონი წაიღებს  
და მე კი ოფლსა ტყვილად ვლვრი!“

ეს რომ ნახეს მიწერილი, მომიწონეს და კიდეც ამ მიკერებული, ნაძალადევი ლექსით დაბეჭდა: მე კი უნდა გამოვტყდე, რომ არც მიწერის დროს და არც მერე არ მომწონებია და მიტომაც მოვშალე შემდეგში“.

**68.** 8 დამწიფებულ] დამწიფებულს BCDEF; 10 ეს] ეგ F; 17 ჯერ] და BCD; 18 გაფუქარვოთ] გაფუქარვოთ C; 21 „თაბაგარო“-ს სქოლიო] – BD; 23 მკაში რომ შენც ჩვენთან] რომ ჩვენთან მკაშია BCDM; 24 ბევრი ოფლი გადმოღვარო] შენც ბევრი ოფლი დაღვარო BCDM; **69.** 2 თქვენ გენაცვლები] გენაცვალები BCDM; 4 შორაპნიდგან] შორაპნიდგამ BDM; 6 მომკათ] მომკოთ CD; 7 შენ] შენც D; კარგად] კარგათ C; 8 აგდის კი ~ BD; ალმური] ალმული C; 11 დატრიალდით] დატრიალდი C; 12 პოპუნა! პოპუნა +

პა, ბატონებო, გვიყურეთ,  
ოფლში რა რიგათ მოვსცურეთ,  
თუ მკითა ვერ გაგაკვირვოთ,  
ლეჩაქები დაგვახურეთ! BCDM

23 საღამომდე სულ მოვრჩებით] აქამდის სრულად მოვმკიდით BDM, აქამდე სრულად მომკიდით C; 24 ნამგალმაც თუ დაგვაცალა] ნამგალმა აღარ გვაცალა BCDM; 27 რიგიანად] რიგიანათ BCD;

BCDM-ში ბოლოს ერთვის კიდევ ერთი სტროფი:

უხვად მოვიდა წელს პური,  
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,  
რომ ამას სულ სხვა წამართმევს  
და მე კი ოფლსა ტყვილა ვღვრი.

### იმერული ნანინა (გვ. 70)

6 ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1864, №5, გვ. 38–39 (B); „თბზულებანი“, 1, 1893, გვ. 83–85 (C); „რჩეული ლექსები“ (საიუბილეო გამოცემა), 1908, გვ. 39–40 (D); „ჩემი ნაჩერები“, I, 1912, გვ. 134–135 (A);  
თ ა რ ი ღ დ ი: [1864]

ხ ე ღ მ თ ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ამ ლექსთან დაკავშირებით აკაკი საინტერესო ცნობას გვაწვდის: „ამ ალიაქოთს (იგულისხმება აკაკის კონფლიქტი ნესტორ წერეთელთან, დაწვრილებით იხ.: ლექსის – „გამოცანას“ კომენტარი) დაერთო კიდევ გლეხების განთავისუფლება, რომელსაც მე თანავუგრძნობდი და დავწერე „იავ-ნანა!“. მაშინ კი აუტნელი შეიქნა ჩემი ცხოვრება: ჩამოვშორდი დედ-მამას, ოჯახს... ცოლ-შვილი საყოლში გავისტუმრე და მე გავკერპდი, ავიღე საპირადო ცხოვრებაზე ხელი, განზე გადავდევი ყოველიფერი და აშკარად შევუდექი ჩემ გზას, რაც დამემართოს, დამემართოს-მეთქი. და მის შემდეგ ორჯერ-სამჯერ სიკვდილს გადარჩენილს მოთმინება ფარად მქონდა და თითონ კი უშიშრად ყუშეფი ყოველგვარ ცუდ მოვლინებას ჩვენში. შეიძლება ზოგჯერ კიდეც შევმცდარი-ყო, მაგრამ ყოველთვის კი – გულწრფელი ყვითელგვარ...“

70. 2 აგრე] ეგრე B; უდარდელად] უდერდელათ B; 7 ვაჟაცობას] ვაშკაცობას B; 14 შეიტყვე] შეიტყვე B; 17 გაიზრდები] გაიზდები B; 18 შეგაწუხებს] შეგაშინებს D; 19 მოშურნესა] მოშურესა B; 23 გვერდთ] გვერდს B; 25 ბატონის შვილს] ბატონშვილს D; 26 გლეხსა] გლეხს B; 71. 2 ჩვენს] ჩვენ CD; საქმეზე] საქმეზედ BD; 8-9 კარგად] კარგათ B; 10 შეიტყვე] შეიტყვე CD.

გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმში ინახება ლექსის „იმერული ნანინა“ ფრაგმენტი (ავტოგრაფი T—17674. 1 ფ.; ხელ-მოწერა: აკაკი). იგი შეტანილი არ არის აღნიშნულ ლექსში, ამიტომ სტროფს ვარიანტებში ვგეტავთ:

<sup>1</sup> იგულისხმება ლექსი „იმერული ნანინა“, რომელსაც რეფრენში გასდევს სტრიქონი „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინა“.

\* \* \*

გაივსე და გაიზარდე, პატარა მთვარეო;  
შეისწავლე და შეიტებე სამშობლო მხარეო!  
ანუგეშე, სადაც ნახო მოძმე მწუხარეო!  
და მამულის გულისათვის ცრემლი დაღვარეო!

### ჩანგურის ძალა (გვ. 72)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1864, №6, გვ. 148–153 (B); „თხზულებანი“, 1, 1893, გვ. 85–90 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 136–140 (A);

თ ა რ ი ღ ი: [1864]

ს ე ღ მ ო წ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

B-ში ლექსის მეორე ნახევარში სტროფები გადაადგილებულია.

**72.** 8 და თავიც მაშინ ვცანი] და მაშინ თავი ვიცანი B; 10 გულში] გულ-შიდ B; ამენთო] აღმენთო B. 19 დლიდგან] დლითგან B; 20 მგონისათვის] გულისათვის B; 27 ვუჩვენე] უჩვენე B; **73.** 4 „უგნურების შვილები-ს შემდეგ B-შით

თავს ვუთხარი „გასწორდი!  
კმა არს, დლემდის მოღორდი,“  
შებრალებით უჩვენე  
მათ ზურგი და მოვშორდი;

[შემდეგ სტროფები გააადგილებულია]. 6 გადავსწყვიტე BC; 10 თვალთ] თვალ B. 17 აიაფე] ალაფე B; 21 ეს] ეგ B; 23-24 შებრალებით... მოვშორდი] მაგრა შენ სიმთ ჩამოჰკარ, ააკვნესე ჩანგური B; **74.** 2 მოჰიბლა] მოხიბლა BC; 3 ბროლის] ბოლოს B; 6 გულში] გულშიდ B; 8 შავად] შევათ B; 9 ვუთხარი] უთხარი B; 10 დლემდი] დლემდი B; 11 ვუჩვენე] უჩვენე B; 13 და მუზს] მაგრამ B; 15 რად] რათ B. 17 ყველგნით] ყელგნით B; 19 მას] მის B; რაც] რა B; 21 ტახტად] ტახტათ B; 23 მას] მის B; **75.** 6 შევპით] შეპით B; 20 დაგხვნეში +

შენით მიყვარს სოფელი!  
შენი ბანისაც მთქმელი  
ვნახე და ერთმანეთსა  
გრძნობით მიეცით ხელი;  
მაშ, აქ მოდი, ჩანგურო,  
უგუნურს დამამდურო,  
სამთავ გრძნობით ვიმღეროთ  
და ტკბილათ ვატაროთ დრო!  
იმღერე, რა გაჩერებს?  
რას აყოლისარ მტერებს?  
აპაშიძეც ბანს გეტყვის  
და წერეთელი დაგმღერებს B.

## საცოლლოს ალბომში (გვ. 76)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი T 2715, ფ. 1 რ.  
თარიღი: 1864 წ, 24 ოქნისი.  
ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ავტოგრაფი ნაწერია შავი მელნით. სტრიქონების დასაწყისი ასოები გამოყოფილია – წარმოადგენს აკროსტიხს: **ნატალია აკაკი.**

ამ ავტოგრაფიდან ლექსი პირველად დაიბეჭდა გაზ. „სიტყვა და საქმე-ში“ 1934 წელს, 20/ XII, გვ. 5. შემდეგ დაიბეჭდა აკაკის თხზულებათა შვიდ-ტომეულის II ტომში, 1941, გვ. 538.

ნატალია ბაზილევსკაია (1848-1919) – აკაკი წერეთლის მეუღლე.

## მოქრთამე მსაჯულებს გლეხისაგან (გვ. 77)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1864, №8, გვ. 315–316 (A); „ჩანგი“ (ტფილისი), 1892, გვ. 98–99 (B)

თ ა რ ი ღ ი: [1864]

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი A.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ავტორისძროინდელი პუბლიკაციის შემეგ ლექსი გამოქვეყნდა ა. წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულში, 1940, ტ. I, გვ. 64–65.

77. 3 სიდან] სიდგან B; 6 მაღლისა] მაღალის B; 16 გვგვლეჯ] გვგლეჯავ B; ვითა] ვით B.

## პასუხი კ. ბ. ჯ.[ორჯაძისას] (გვ. 79)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1864, №10, გვ. 71–72 (B); „თხზულებანი“, I 1893, გვ. 93–94 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 142–143 (A).

ს ა თ ა უ რ ი: პასუხი კ.ბ.ჯ. AC.

თ ა რ ი ღ ი: [1864]

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ლექსი პასუხა ცნობილი პოეტი ქალის, ბარბარე ჯორჯაძის ლექსზე „ა... წ...ს“, რომელიც 1863 წ. უურნალ „ცისკრის“ №9-ში დაიბეჭდა და ეძღვნებოდა აკაკი წერეთელს.

აკაკის საპასუხო ლექსში გამუდავნებულია განსაკუთრებული სიმპათია ძველი თაობის მოღვაწე ქალის მიმართ.

79. 1 სახედ] სახეთ B; 5 ნაშობ] ნაშობს B; 6 ჰედაგს] ხედავს B. 17 ქა-რთვლის] ქართლის B; 26 ვსცემ] ვცემ BC; 27 გამარჯვებას] გამარჯობას B; 28 მივულოცავ] მიულოცავ B.

ჯორჯაძე ბარბარე (1811–1895) – მწერალი, რაფიელ ერისთავის და.

## ვედრება (გვ. 80)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი T 17496 (M)

ნ ა პ ე ჭ დ ი: ქ. „ცისკარი“, 1864, №10, გვ. 72–73 (B); „თხზულებანი“, 1, 1893, გვ. 91–92 (C); „რჩეული ლექსიბი“ (საიუბილეო გამოცემა), 1908, გვ. 35 (D); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 141–142 (A);

თ ა რ ი ღ ი: [1864].

ს ე ლ მ ო წ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ლექსი მიმართულია საქართველოს პრივილეგირებული ჩინოვნიკური წოდების წინააღმდეგ, რომელსაც იმ ხანებში უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი ეროვნული შეგნება და „მტერს პირუტყვებრ ემორჩილებოდა“ (ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა.“ თბ., 1953, გვ. 207).

80. 2 კაცი რომ] როს კაცი B; 3 რად] რათ B. 5. [სცნა] ჸსცნა B; 11 ჰგრძნობს] გრძნობს BC; 25 ჩავჰყლაპო] ჩაჰყლაპო C; 28 „ფურთხის“ – B.

## ნადირობა (გვ. 81)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლები: T 17496 (D), T 12622 (E).

ნ ა პ ე ჭ დ ი: „კრებული“, 1871, წიგნი V, გვ. 201–208 (B), „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 96–103 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 145–151 (A).

თ ა რ ი ღ ი: 1864-სა წელსა, მოსკოვი B, 1864 A (სარჩევში).

ს ე ლ მ ო წ ე რ ა: აკ. წერეთელი B.

ამ ლექსს აკაკი „ჩემი ნაწერების“ I ტომში (1912) ურთავს ასეთ შენიშვნას: „ხალხი – ბრბი პირუტყვულ მიბაბაბობით სცხოვრობს, ერთმა ცხვარმა თუ დაიძახა „ბეკეეო!“, მთელი ფარა აბლავლდება. ბრბოც ასეა. ერთმა თუ რამე წაიცდინა, სხვებიც აჲყვებან, ერთი-მეორის წამხედურობით ააგორებენ ნათქვამს თოვლის გუნდასავით და აღარსად არის გაკითხვა... სწორედ მეც ამგვარად ვიყავ ყბადალებული და წიპზე ეკიდა ჩემი გულის გატეხაც, მაგრამ ტყვილად კი არ არის ნათქვამი, რომ ღმერთი არ გასწირავს ბედისა-გან განაწირსაო!..“

იმ ხანებში ერთ ღვთისნიერ კაცს, გიორგი ჭილაძეს, სასტუმრო „კოლხ-იდა“ ეჭირა. ის შემხვდა და მითხოა: „ნუ გემინან! ფიქრი ნუ გაქვს! ნუ დაზოგავ ამ მუქთაბორა ხალხს, ეგრე რომ გდევნიანო!.. გადმოდი ჩემთან, საკუთარი ოთახი გექნება, საჭმელი, სასმელი, მოსამსახურე გეყოლება, ასე რომ, ყველაფერი უზრუნველად გექნება, გარდა ტანისამოსისა, როცა გექნება, გადამიხადე, და თუ არ გექნება, ალალი იყოს შენზეო!..“ მე არ შემეძლო არ მიმეღო ამ კეთილი კაცის წინადადება და გადავედი „კოლხიდაში“. ქონებრივად ხელგამობრუნებულს, ზნეობრივი გამხნევებაც მეჭირვებოდა და ესცე ვიპოვე წიკოლაძისა და ხელთუფლიშვილის ოჯახებში. შათთან ერთად გადაწყვიტე მაშინ, რომ, რაც უნდა დამმართოდა, არ გადამეხვია არჩეულ

გზისათვის და, როგორც გეგმა, დავსწერე: „გავკაუშებივარ შავ ბედსა“ და სხვანი, აღარავის ვზოგავდი, ვისაც კი შევნიშნავდი საზოგადო უკუღმართობას, და არავის ვეპუებოდი; სხვათა შორის მაშინ დაიწერა ეს ლექსიც „ნადირობა“.

ამ ლექსში გამოხატულები იყვნენ მაშინდელი გავლენიანი ბიბოლა პირები, მაგრამ მე რომ თვითო მქონდა სახეში, მოდავე ას-ასი გამოუჩინდა. ყველა თავის თავზე იწერდა და ატყყდა ერთი ვაი-უშველებელი, მათმა მრისხანებამ ჩემზე უმწვერვალესობამდე მიაღწია, მხოლოდ ერთი ამათგანი, სპირიდონ მაჭავარიანი, ღენერალი, სხვანაირად მომექცა...

ერთხელ თურმე მეფე სოლომონ პირველი გაგუთში ნადირობდა. ავდრიანი დღე იყო. გამოაგდეს ბრონულას კურდლელი და მიუტევეს მწევრები. აცქიტა განსაცდელში ჩავარდნილმა მსხვერპლმა ყურები, დაადგა ტალახიან გზას და ისე გარბოდა, რომ მეურები ჩამოიშორა. მეფემ დაინახა, მოშალა ნადირობა და ბრძანა: ვერ უყურებთ ამ კურდლელსა? ტალახიან გზაზე რომ ასე გარბის, მშრალი რომ იყოს, მაშინ ხომ უფრო მეტ სიმარდეს გამოიჩინს? იმ კურდლელისა არ იყოს, სპირიდონ მაჭავარიანიც ცუდ დროს... ტალახიან დროს, იყო დაბადებული და გაზრდილი. წინ მშრალი არ ედვა!.. იმ დროში არავინ იცოდა „საზოგადო“ რა იყო! ყველა თავის კუჭზე ჰყიუქრობდა, საპირადოს მისდევდა და სპირიდონ მაჭავარიანიც ჩაება „თანამედროვეთა ფერსულში“ და, როგორც შესანიშნავი ნიჭისა და ჭკუის პატრონმა, ყველას გაუსწრო: თავში დაუდგა და გაითქვა სახელი. აი, ეს კაცი შემოვიდა ჩემთან მხიარულად, მომცინარის სახით და ტკბილად მითხრა:

– საჩუბრად და სასაყვედუროდ არ მოვსულვარ შენთან! მინდა რომ გულგახსნით, მეგობრულად გესაუბრო!.. ეს რა ლექსი დაგნერიაო, რომ ქვეყანა ააყადან? თუმცა მეც მელიად გამოგიყვანივარ, მაგრამ მაინც დიდი თანამგრძნობი ვარ და მომწონს... ის კი არ არის მართალი, რომ მე „არც მტერსა და არც მოყვარესა არ ვზოგავდე!“ ეგ სენი ღმერთმა მაშოროს! სხვა კი შეგიძლია სთევა, რასაცა შენა ჰყიურინობ და ჰყიუქრობ, იმაზე მეც ბევრჯერ მიფიქრია!.. ის არც ჩემთვის არის უცხო!.. მაგრამ თვალი დაუდგეს დროსა და ვითარებას!.. დიდი გრიგოლ წერეთელი რომ მეფობდა იმერეთში,

– ასე ვსტევათ მეფობდა... მართალია, მეფე არ ყოფილა, მაგრამ იმ ახალ რუსობის დროს მეფის იდენი ძალა ეჭირა ხელში, რაც უნდოდა, გაიტანა. შორსმჭვრეტელი კაცი იყო და აწმყოს თავის ნებაზე ხმარობდა, იმავე დროს მომავალსაც იმზადებდა. იმ დროს მე, ბესარიონ ხელთუფლიშვილს, სისო მესსს და ორიოდე სხვასაც, როგორც ნიჭიერებს, სახელი გვქონდა კარგი „ჩინოვნიკობის“. ერთხელ დაგვპატიუა ყველა ერთად გრიგოლ წერეთელმა, გაგვიმასპინძლდა და ნასადილეს დაგვიკეტა კარები და აღარ გამოგვიშვა, სანამ მის ერთგულებაზე არ დაგვაფიცა: დღეიდან თუ რამე საქმე შეგხვდესთ ჩემ შესახებ, ჩემ სასარგებლოდ იმოქმედეთო. აი, როგორ დროს ვარ დაბადებული და გაზდილი! დღესაც რომ კადევ ასეთი სიბნელეა ჩვენში, აბა, იფიქრე, რა იქნებოდა მაშინ? აი მანდერ შენ!.. ვინა გყავს თანამგრძნობი? და რომ კიდეც გყავდეს, ვინ გაპედავს გამოაცხადოს? დიდი გვარისშვილი ხარ, დიდი ოჯახის, ხომ ხედავ, რა დღეს გაყენებენ? და მე, უბრალო გვარისას, იმ დროში რა დღეს დამაყენებდენ, რომ ჩემ გულისთქმას მიგჰყოლოდი? და ან რას გა-

ვაწყობდი? რა გამოვიდოდა? ჩავები საზოგადო ფერხულში, ეგებ თავს მაინც ვარგო-თქო და, მაღლობა ღმერთს, სიბნელეში მარჯვედა ვჰფრენ!.. ლამურა ვარ!.. კიდევ მტრიც... თუმცა ეს ჩემი ბუნების მოთხოვნილება არ არის!!.... ჩემი ბნელი ცხოვრების გზა გამივლია, ნინ ორი პარასკევი აღარ მირჩება და ახლა ახალ გზაზე დადგომას და, რაც ძევლი გზით შემიძენია, მის დაკარგვას, ვეღარ მოვახერხებ! მაგრამ მომავალი დროის მახარობელ მერცხლებად ვისაც კი ვხედავ, თანავუგრძნობ. რამდენიც უნდა მლანძლო, რაც უნდა მიყო, მე მაინც შენი მოყვარული და თანამგრძნობი ვიქწები! გუშინ მომიხმო „შენმა მგელმა“ და მეტითა: „მართალია, ამ მოუსვენარს ვუგინებივართო: შენც, მეც და ჩვენზე უფროსებიცო?“ და მე მოვახსენე, რომ ტყუილი მოუსხენებია-თქო!.. იმ იგავ-არავში... იმ სატირაში, კრილოვის იგავ-არავისა არ იყოს, არც სახელი და არც გვარი ვისძესი არ არის მოხსენებული, და თავის თავზე რად უნდა მიღლოს ვინმემ-მეტქი? ზოგიერთი ადგილიც გადავუთარგმნე... ბევრი იცინა. ბოლოს მითხრა, ურჩიე, რომ სამსახურში შემოვიდეს ჩემთან. კარგ ადგილს მივცემ. გაჭირვებასაც გადარჩება და კიდეც დაწინაურდებაო!.. განა ვერ ჰქედავს, რომ მაღლიერი არავინა ჰყავს და მისიანებივე უჩივიან.....ბეზ-ლებით გამაყრუესო!...

– მაღლობელი ვარ, როგორც თქვენი, ისე მისიც, – ვუთხარი მე, – მა-გრამ თქვენ თქვენდათავად რას მირჩევთ? შევიდე სამსახურში და დავანებო „ამ ჩხირ-კედელაობას“, როგორც საზოგადოდ მიაჩინათ, თავი?

– არ გირჩევ! სანამ ძალ-ღონე გაქვს, მაგ გზით იარე!.. ნათქვამია: იერუსალიმს მიმავალს ნუ ეტყვი, რომ ვერ ჩახეალო!.. თუ იერუსალიმიამდე ვერ მივა, სტამბოლში ხომ ჩავ, ისიც კარგია! ამისა არ იყოს, შენ ეგები, რასაც ჰყიქრობ, იქამდი ვერ მიაღწიო, მაგრამ გზის გაკვლევით ცოტათი მაინც დააწინაურებ ხალხს და მერე სხვებმა, შენმა მომყოლებმა გაჰკვალონ ძირამდი!.. მაგ გზას, რომელზედაც დგეხარ, ნუდა მოშორდები და მეც მიგ-ულე საიდუმლო თანამოაზრედ!

ეს მითხრა და გამომეტხოვა, მართლა მეგობრულად... მას უკან კიდევ დიდხანს იცოცხლა სპირიდონ მაჭავარიანმა. ვაკვირდებოდი მის მოქმედებას და თანდათან ვრწმუნდებოდი მის გულისათქმაში...“

**81. 3 სუყველამ]** სულ ყველამ B; **4 ტყვილად]** ტყვილათ B; **5 რადგან]** რადგანც B; **16 კუდამოძეული]** კუდ-გამზინებული B; **20 სცქვეტი]** ცქვეტ BC; **21 კაცივით]** კაცსავით B; **26 კაცნი]** კაცი B; **82. 2 საზრდოს]**... B; სუნით დაეძებენ] სულითა ეძებენ B; **10 გავაკვირვოთ]** გავაკვიროთ B; **17-20 თავმ-სხვილაა...** დიდი ვირი]... B; **24 სწორად]** სწორათ B; უჩნს მას მთა და ბარი] უჩანს მას მთა-ბარი B; **27 შეუტივე]** შეუტევე B; **83. 1 ტყვილად]** ტყვილათ B; **12 მსუქნადა]** მსუქნათა B; **13 კუდს აბზეკს]** კუდსა ბზეკს B; ჰერის] ხრის B; **18 ზეინია]**... B; **19 სწმენდაგს]** სწმინდაგს B; **20 მომჭირნეა]** მომჭირნია B; **23 ნასულია]** ნარსულია B; **84. 7 კარგად]** კარგათ B; **14 სხვის ეზოში** რომ სხვის ეზოში B; **16 უწყალოდ]** უწყალოთ B; **85. 4 რადგან]** რადგანც B; ლომი] დათვი, B; **5 ლომსაც]** დათვსაც B; **6 თვისი]** თავის B; **23 კარგად]** კარგათ B; **27 სუყველა]** სულ ყველამ B.

## უდარდო კაცი (გვ. 86)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/974 (46), ფ. 5 v-6 v (A). ასლი Q 2173/975 (47). გვ. 10-11 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ცისკარი“, 1865, №3 გვ. 1-2 (C); „საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს“, 1878, გვ. 44-46 (D); გაზ. „დროება“, 1884, № 235, გვ. 1 (E); გაზ. „კვალი“, 1893, №21, გვ. 10 (F); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 103-105 (H); „სალამური“, სასიმღერო ლექსები აკაკისა (ქუთაისი), 1893, გვ. 13-14 (G); „სულიკო“ და სხვა რჩეული სასიმღერო ლექსები აკაკისა“, 1899, №7, გვ. 26-28 (I); „სიმღერა აკაკისა“, 1903, გვ. 70-71 (L); „ჩანგური“, 1904, გვ. 151-152 (M); „სამდროვო სიმღერები“ 1908, გვ. 19-20 (N); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 158-159 (O).

ს ა თ ა უ რ ი: – F; უდარდო კაცის სიმღერა N.

თ ა რ ი ღ ი: 1865 D.

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი C, აკაკი EF.

ტექსტის დადგენის დროს ძირითად წყაროდ ავტოგრაფი, სა-დაც ზოგიერთი სიტყვის ფორმა საბოლოოდ არის გასწორებული და გამოხ-ატავს ავტორის ბოლო ნებას. იგი ნაწერია მელნით, ნასწორებია ამავე მელ-ნითაც და ფანჯრითაც.

E-ში ლექსი ჩართულია წერილში „ერთის წერილის პასუხად“. F-ში ლექსი ჩართულია პროზაში „ძალად ლიტერატორები“. F წყარო ძირითადი ტექსტისაგან იმდენად განსხვავდებულია, რომ მას მთლიანად ვბეჭდავთ სხვა წყაროების ვარიანტული წაკითხვების შემდეგ.

C-ში სტროფები გადაადგილებულია.

**86. 3** არ გავივლებ გულში გულში არ შეუშვებ GHILMNO; გავივლებ] შეუშვებ D; შევუშვებ E, ავტორს ჯერ დაუწერია „შეუშვებ“, შემდეგ ფანჯრით გადაუხაზავს და ზევით წაუნერია „გავივლებ“ A; გულში შურს] ავტორს ჯერ დაუწერია „შურს გულში“, შემდეგ ფანჯრით გაუსწორებია A. იგივე სწორება არის ჩატარებული მელნით B-ში; 5 მე ბევრს] ჩემთვის E; 6 რაც მაქვს [ცოტა] მაქვს თუ არა E; [ცოტა] ცოტას HILMNO; 7. ქერივ-ობლებს] ქერივ-ოხერს DHILMNO; ესტაცებ] ვტაცებ BCDHILMNO, ქვრივ-ობლებს არას ესტაცებ] სხვისას არას ვიტაცებ E; 9 პატიოსან] პატიოსან D; 9-16 პატიოსან ოფლსა ვლვრი... ვარ და ბედნიერი ვარ –E; 10 ერთ მუშათ] ავტორს ჯერ დაუწერია „მუშებში“, შემდეგ მელნითვე გადაუსწორებია „ერთ მუშათ“ A, მუშაკათ CDHMO, მუშაკად ILN; 11 უსაქმურებს] უსაქმურ კაცს CDHILMNO; 12 მხე-დავთ] მხედავ CDHILMO; 13-16 „ბატონიც ვარ... ვარ და ბედნიერი ვარ“ გადასმულა 17-20 „ხან მაქვს... მაინც ბედნიერი ვარ“-ს შემდეგ CHILMO; 15 მხედავთ] მხედავ ILMN; 16 ვარ და ბედნიერი ვარ+ერთი სტროფი:

ცუდ საქმეში, ღალატში

არვის დაუჭერივარ,

არ ვყოფილვარ ხალათში,

მაგრამ ბედნიერი ვარ C;

17–20 „ხან მაქეს წყალი და პური... მაინც ბედნიერი ვარ“ გადასმულია  
21–24 „მიყვარს... მაგრამ ბედნიერი ვარ“-ს შემდეგ DN; 20 მაინც ბედნიერი  
ვარ+ ერთი სტროფი:

მიყვარს თავისუფლება,  
მუდამ მისით მღერივარ  
და სხვა რა მენაღვლება?  
ვარ და ბედნიერი ვარ C;

21 გაჭირვებული] თავისუფლება D; **86.21–87.8** მიყვარს... ბედნიერი ვარ]

ბატონიც ვარ, ყმაცა ვარ  
ჩემთვის ყველაფერი ვარ;  
ხომა მხედავ-რაცა ვარ?  
შენზედ ბედნიერი ვარ E;

**86. 22** მეც მისებრ ოხერი] მუდამ მისი მღერი D; 23 თუმც არ მაქეს გრო-  
ში ფული] და სხვა რა მენაღვლება D; 24 მაგრამ] ვარ და E; ბედნიერი ვარ+

ცუდ საქმეში, ლალატში  
არვის დაუჭერივარ,  
არ ვყოფილვარ ხალათში,  
მაგრამ ბედნიერი ვარ D;

**87. 1** უურავ] უკრავ D; 3 ვფიცაგ] ვფარავ DIL; 4 ჩემათ] ჩემით DEFH-  
GILMNO, 6 და არცა ხნიერი] ავტორს ჯერ დაუწერია „ვიდრე არც ხნიერი“,  
შემდეგ ფანქრით ასე უსწორებია: „და ხნიერიც არა“ A; არცა ხნიერი] ყო-  
ფილა „ხნიერიც არა“. იმავე მელნით გასწორებულია „არცა ხნიერი“ ფორ-  
მით B; და არცა] ვიდრე არც CDHILMNO.

ქვემოთ ვძეჭდავთ ამ ლექსის დიდად განსხვავებულ F ვარიანტს:

ყველასათვის ცუდი მსურს,  
სინიდისის მტერი ვარ,  
თაყვანსა ვსცემ მტრობა-შურს  
და მით ბედნიერი ვარ!

ვწერ და გროშებს დავეძებ,  
ცოტასაც არ ვჯერივარ;  
თუ არ მომცემს – ვიტაცებ  
და მით ბედნიერი ვარ!

წარა-მარა მელანს ვლვრი,  
პუბლიცისტად ვწერივარ;  
თავ-ბრუ მესხმის და ვყვირი:  
„მხედავთ? ბედნიერი ვარ!“

ბატისტვინა, შოშია,  
ჭია-ლუა მწერი ვარ!  
ვყეფ მე როგორც გოშია  
და მით ბედნიერი ვარ!

პატრონი მყავს გულდიდი,  
მეც მის შესაფერი ვარ!  
მრუდე მაქვს გზა და ხიდი,  
მაგრამ ბედნიერი ვარ!

შეგწუნუნებ რედაქტორს,  
მისი ფეხთა მტვერი ვარ!  
სხვას ვერ ხედავს ის ჩემს სწორს  
და მით ბედნიერი ვარ!

მხოლოდ მისი გულისთვის  
თითქმის ყველაფერი ვარ!  
რჯულს გავყიდი ფულისთვის  
და მით ბედნიერი ვარ!

ცუდს ვფიქრობ და ცუდი მსურს,  
კარგი კაცის მტერი ვარ!  
ქვეყნად ვთესავ მტრობა-შურს  
და მით ბედნიერი ვარ!

### ჩუ, ქართველო (გვ. 88)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17662, ფ. 17v–18 r (A); Q 2173/973 (45), ფ. 60 (B).

ს ა თ ა უ რ ი: ზოგიერთ ქართველს B.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ჩუ, ქართველო B.

თ ა რ ი ღ ი: 65 A.

ს ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

A-ს თარიღი მიწერილი აქვს ლურჯი ფანქრით სხვა ხელით,  
ლექსი პირველად დაბეჭდა აკაკის თხზულებათა შვიდტომეულის II  
ტოშში, 1941, გვ. 556.

88. 1 ბედნიერო] ნებიერო B; 12 როს] რომ B; 18 ანბობ] ამბობ B.

### მოსაწონი (გვ. 89)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17662, ფ. 12 v–13 v (B); Q 2173/973 (45), ფ. 41 v – 42 r (A).

ს ა თ ა უ რ ი: მოსაწონი ვაჟი B.

თ ა რ ი ღ ი: [65 წ.] B.

ს ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

B ავტოგრაფი ნაწერი და ნასწორებია შავი მელნით; თარიღი მიწერილი აქვს ლურჯი ფანქრით სხვა ხელით; A ავტოგრაფი ნაწერი და ნასწორებია მელნით, ლექსი პირველად დაიბეჭდა აკაკის თხზულებათა შვიდტომეულის II ტომში, 1941, გვ. 557.

**89. 2** ვაჟიშვილია ვაჟის შვილია A; 3 ყოვლისფერი] ყოლიფერი B; ავტორს ჯერ დაუწერია „ყოველთვის“, შემდეგ გაუსწორება და გვერდით მიუწერია „ყოვლის ფერი“ A; ეჭირვება] ეჭირება B; 4 მით წინ] ავტორს ჯერ დაუწერია „მამინ“, შემდეგ გადაუსწორება A; 12 უმცროსებს] უნცროსებს B; 15 „მისთვის“ წინ გადახაზულია „და“ B; ყოვლისფერს] ყოლიფერს B; 16 იმისგან] მისაგან B; 19 „ოპ“ გადახაზულია A; 20 იჩუქებს] ავტორს ჯერ დაუწერია „ისესხებს“, შემდეგ გადაუსწორება B. **90. 2** სურს ჰსურს B; 7 იმ] ამ B; 9 ჩვენგანსა] გოგიტას B; 12 ჩვენგანი] გოგიტა B; უხვდება] მიხვდება B; 13 ეჲ] ეს B; 14 ჩვენგანი] გოგიტა B; 16 შეაფურთხებს] მიაფურთხებს B.

### პოეტის გული (გვ. 91)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი T 17662, ფ. 18 v – 19 r (B); ასლი: ხელნაწერი ჟურნალი „სალამური“, T 10 512, გვ. 11 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ივერია“, 1881, №1, გვ. 110–111 (D); „თხზულებანი“, II, 1893, გვ. 85–86 (E); „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ. 254–255 (A).

თ ა რ ი ღ ი: [65 წ.] B.

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი CD.

B-ში თარიღი მიწერილია ლურჯი ფანქრით, სხვა ხელით.

C-ში (ხელნაწერ ჟურნალ „სალამურში“) ლექსი გადაწერილია უცნობი ხელით სხვადასხვა მწერალთა ლექსების გვერდით.

**91. 11** მბრუნავი] ბრუნავი C; 12 გაქრება] გაჰქრება DE; 13 მაშ ლელვისა] ავტორს ჯერ დაუწერია „ალელვების“, შემდეგ გადაუსწორება B; 26 რა] და C; მშვიდად] მშვიდათ B; 27 მშვიდი] ავტორს ჯერ დაუწერია „მცირე“ შემდეგ გადაუსწორება B; გვრიტი] მგვრიტი B; 28 ნახოს] და ნახოს B.

### ცრუ-მორწმუნება (გვ. 92)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი : ავტოგრაფები: Q 2173/973 (A),  
T 17662 ფ. 12r (B).

ს ა თ ა უ რ ი : სომხის ალბომში B.

თ ა რ ი ღ ი: 66 წ. B.

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

თარიღი B-ში მიწერილია ლურჯი ფანქრით სხვა ხელით: 66 წ.

**92. 5** კურდღელი] ყურდგელი B; 9. 1 რჯულს] სჯულს B, 14 მათზედ] მათზედც B, 8 მხდალი] მხთალი B. I სტროფის მე-3 სტრიქონში ჯერ დაუწერია: „და ის, შემხვდა“, ნაუმლია და გადაუკეთებია: „ის რომ შემხვდება“ B.

ლექსი მოთავსებულია ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ავტოგრაფულ კრებულში T-17662, რომელიც გამოსაცემად მოუმზადებია აკაკის, ხოლო რედაქტირება გაუკეთებია პოეტის უახლოეს მეგობარს კირილე ლორთქი-ფანიძეს. მას ლურჯი ფანქრით მიუთითებია თითოეული ლექსის შექმნის თარიღი. რადგან ისინი ემთხვევა სხვა წყაროების მონაცემებს, ამიტომ კ. ლორთქიფანიძის თარიღები სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, ლექსი ვათარილებთ 1866 წლით. იგი პირველად გამოქვეყნდა კრებულში „უცნობი აკაკი“ B ვარიანტის მიხედვით.

### გამოცანა (გვ. 93)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/973 (45) ფ. 61 (B).  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1867, №5, გვ. 97 (C); „თხზულებანი“, I, 1893,  
გვ. 107-108 (D); ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 161-162 (A).  
თ ა რ ი ღ ი: [1867]  
ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკ. წერეთელი C.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

„გამოცანაში“ იგულისხმება ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღვრლი ნესტორ წერეთელი.

A წყაროს სქელობში დართული აქვს ავტორის ვრცელი შენიშვნა:

„ერთი სტუდენტი დაბრუნდა პეტერბურლიდან და ჩამოიტანა ამბავი: ჩვენა ლუბერნიის წინამძღვრლმა უმაღლესად მასხენა, რომ ქართველი ყმანებილები სტუდენტობის დროს იქ ფუქდებიან, რჯულზე ხელს იღებენ, ნათესაობა აღარ სწამთ, მთავრობის ორგული არიანო და სხვანი. ამან მაშინ-დელი თავადაზნაურობა ააღლევა. დარბაისელებმა, ვინც კი იყვნენ, მოიყარეს თავი ნიკო აბაშიძისას და შეჰქრეს პირობა, რომ ამისთანა წინამძღვრლს არც ჭირში და არც ლიხიში აღარ მიეკარო, ყოველივე კავშირი სამტკრმოყვარე გასწყვიტონ მასთან. ამოასვენეს ძელი-ჭეშმარიტი, რომელიც მუდამ გულზე ეკიდა თ. ირაკლი ლორთეიფანიძეს, და შეპფიცეს ერთმანეთს, როცა ჯერ ჩემზე მოდგა, მე მოვახსენ-ყე: „ის კაცი ჩემი მოგვარეა, შვილად მივაჩინვარ და ჩემთან საპრადო კარგის მეტი არა მიყედვის-რა... მაგრამ, რადგანაც საზოგადო საქმეა, მეც თქვენთან ვიქები... არ ჩამოგშორდებით, მაგრამ ფიცით კი არ დავიფიცავ-მეთქი. მეორე დღესვე დავსწერე ლექსი: „ჩემს მოგვარეს“, ეს ლექსი პოზით მხრით ვერაფერი შვილია, მაგრამ, რადგანაც იმ დროისთვის გამოჩენილ პირს შეეხებოდა... დიდი ალაქოთი ასტეხა: როგორ გაბედა? ვის გაუბედაო? და სხვანი. გაიმართა საპასუხოდ ვითომ შაირები, მაგრამ ლანძღვა-გინება მხოლოდ. მაგინებდენ უშვერად. არა მარტო მე!... ჩემ ცოლ-შვილსა და დედ-მამასაც კი. მამამ დიდის მწუხარებით მითხრა: „შვილო, რას მერჩოდი, რომ ქვეყანა გადამამტერე? მტრებს მიზეზი მიეცა და მოყვრები ჩამომაშორეო. აბა, ამაზე არის ნათქვამი: „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“ და სხვანი... მიზეზი რომ ავუხსენი, არ დაიჯერა: „რა ქვეყანაშიაც ხარ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა გეხუროსო“. ჩვენ ერთმანეთს ვერ დავეთანხმეთ და დიდხანსაც მყავდა მამა გამწყრალი. მხოლოდ ლრმა მოხუცებულობაში რომ შევიდა, მაშინ შემირიგდა.

ჩემმა ლანძღვა-გინებამ სტამპამდინაც მიაღწია, მაშინდელმა ოდესის სტუდენტმა დათიკო ერისთავმა დამიწერა უცნაური ლანძღვა, მაგრამ, რადგან მხოლოდ ჩემი ლანძღვის მეტი არა იყო, რა, სხა არ გამიცია, მეორედ იმ ხანებში „ცისკრის“ რედაქციაში შევედი, რედაქტორი აღელვებული დამხ-ვდა და მითხრა: „ეს-ეს არის შენზე ლანძღვის ლექსი მივიღე, მაგრამ ვაი, დაბეჭდვასა და ვაი, დაუბეჭდაობას... თუ დაბეჭდეჭდე, შენ გენუინება, და თუ არა, თანამშრომელს დაგვკარგავ! და მერე ვის? უგანათლებულებას, სვიტის ლენერალს გრიგოლ დადიანს, რომელიც კოლხიდელის სახელით თანამშ-რომლობს, რადგანაც თავის ვრნაობის გამომუდავნების ეშინიაო!“ მე სიცილი ამიტყდა და ვუთხარი: დაბეჭდე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იქვე ჩემი ლექსიც საპასუხოდ მიუტეჭდო-მეთქი, მაშინვე დავსწერე საპასუხო ლექსი და გადავვეცი. აი, კოლხიდელის ლექსი და ჩემი მასზე პასუხიც:

### გამოცანის მნიშვნელს გამოცანა

ოდესმე ერთი ირმისა წუკი შორის ლომებთა გამოიზარდა.  
სადაც ენახა ლომი ბრძოლაში, თვის სიაღმათეს ვით არ იხმარდა,  
მით წესი ბრძოლის მცირედ გაიცნო, მაგრამ ესოდენ კი გაეხარდა.  
სთქვა, თუ, – ჩემს ტოლში ლომი ვიქნები, ასე ეგონა თუ გადაგვარდა,  
და რომ მოემთხვა თვისას არესა, იფიქრა, ტოლში გამოვერევი,  
ჩემის ხევისას, ჩემის ქვეყნისას, სადღა იქნება ჩემი მომრევი?  
ვისაცა შევლრენ, სულ შევაშინებ, ვინ გამოჩენდება ჩემი წამქცევი?  
არ გამიჩნდება ლომშიდ გაზღდილსა ბრძოლის უღლისა ჩემთან გამწევი.  
კბილი და ბრჭყალი გასაბზარავად რადგან მას წუკრსა ეძვირებოდა,  
და მანც რჩოლა თავის ტომისად დაუყოვნებლად ესურვებოდა,  
იყბინებოდა, ტორსა იქნევდა, ტლიკებსა ყრიდა, ირქინებოდა,  
ერთისა სიტყვით, არვინ უზოგავს, რაც მისის ღონით შეიძლებოდა.  
ამგვარად წუკრის უზრდელობანი მინვდნენ ცნობადმდე ქორბუდანთა.  
მათ მშვენიერთა, ტომის ერთგულთა, ვითვე ძლიერთა, სწორმხედიანთა.  
რქენაში უფრო გამოცდილებთა, მაგრამ სარქენად მუნემ გვიანთა.  
სანამდის წუკრს არ გამოუცხადონ, წუ ყრის ტლიკებსა ის ჩლიქიანსა.  
დასტურ ამისთვის შეერბენ, არჩიეს დამარცვეველი წუკრის ზდილობის.  
თქვეს თუ, მოისპოს, ვინც ამაყია, და გამოანდველი ჩენებიდ კერძობის.  
თავი ლომად უჩნას, სხვას ნიხლსა ურტყავს, ლირსია წუკრი ექსორიობის.  
მაგრამ პირველად შევატყობინოთ, მიზეზი წუა თავის ბრკოლების.

ამ ლექსს აკაიმ უპასუხა ლექსით „მეგრული ალელორია“.

მეორე დღესვე ორივე ერთად დაიბეჭდა, ამან კიდევ უფრო ააღელვა საზოგადოება. დიდმა და პატარამ ჩემზე მოიტანა იერიში. ცენზურა შეფასეს, მთავრობას დამაბეზღეს; და აღარ ვიცი, როგორ ავიტანდი ამ განსაცდელს, რომ ქალები და ახალგაზდები არ მყოლოდენ თანამგრძობი?!“

**93. 2 გაიზრდება]** გაიზდება BCD; 4 ვამბობ] ვანბობ B; 5 დასტუნება] დას-ტუნდება CD; 7 ხშირად] ხშირათ B; 8 ვამბობ] ვანბობ BC; 10 დაჭვეიანდება] დასტურეანდება B; 11 იქ მიელის] აქ მოელის B; 12 ვამბობ] ვანბობ BC; ვის უყვარს] ვინ იცის B; 14 ნეტა] ნეტავ B; რით]რათ C; 17 გმირისა] გმირის B; 19 შურით] შუბით B; 20 ველი] ველით B.

## მოზარე (გვ. 94)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1867, № 41. გვ. 4 (B); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 108–110 (C), „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 168–170 (A).  
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: – B.

თ ა რ ი ღ ი: [1867].

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**94.** 3 ჩემსას] ჩემსა B; 7 მივუგდე] მიუგდე B; 15 ხმებად] ხმებათ B; 20 რად] რათ B; 22 გავიდა] განვიდა B; **95.** 2 მხიარულებდენ] მხიარულებდნენ B; 4 გვიმღერდენ] გვიმღერდნენ B. 13 მეორედ] მეორეთ B.

## \* \* \* (წარსული გულს მწყვეტს) (გვ. 96)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1867, №43, გვ. 1 (B); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 110–111 (C), „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 170–171 (A).  
თ ა რ ი ღ ი: [1867].

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკ. წერეთელი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

B-ში ლექსი ჩართულია კორესპონდენციაში „ქუთაისიდგან“ „სადილი გუბერნიის წინამდლოლისას“.

**96.** 6 გვიჩვენებდენ] გვიჩვენებდნენ B; 7 საზოგადოდ] საზოგადოთ B; 8 აჩვენებდენ] აჩვენებდნენ B; 10 სჯიდენ] სჯიდნენ B; 11 მოჰკვდენ] მოჰკვდნენ B; 12 აფურთხებდენ] აფურთხებდნენ B; საფლავზედ]... B.

## რჩევა (გვ. 97)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 73. გვ. 6 v — 7 r (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: უურნ. „აკაკის კრებული“, 1899, №12, გვ. 1–2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: პასუხი B.

თ ა რ ი ღ ი: 1867 ნ. A.

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ავტორისადროინდელი პირველნაბეჭდის შემდეგ ლექსი პირველად შევიდა ა. წერეთელის რჩეული ნაწერების ოთხორმეულში, 1928, ტ. IV, გვ. 202.

**97.** 1. შენი] ჩვენი B; აღმაფრენაა] აღმა ფრენაა B; 2 „ჩანგი“-ს შემდეგ გადახაზულია „და“ B; 5-8 ეს საქვეშქვეშო ქვეყანა... რა გალავანიც ავლია – A; 8 „გალავანიც“ შემდეგ გადახაზულია „ავლია“ B; 13 დაგვაცადე] დაგვაცალე B; 15 ესაუბრე] ეჭიკიკე B; 18 ხოხონიკა] ლვიტიკელა B.

## დიდი ვინება (გვ. 98)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი T 17662, ფ. 6 (B); ასლი T 12622 (M).  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880, №258, გვ. 1. (C); „თხზულებანი“, I, 1893,  
გვ. 76–77 (D), „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ. 247–248 (A).  
თ ა რ ი ღ ი: [67] B.  
ს ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C.

B ავტოგრაფი ნაწერია შავი მელნით, თარიღი მინერილი აქვს სხვა ხე-  
ლით ლურჯი ფანქრით, იმავე ლურჯი ფანქრით გასწორებულია ხელნაწერ-  
ის ერთი კალმისმიერი ლაფსუსიც.

ასლი ავტოგრაფის იდენტურია.

აკაკიმ ეს ლექსი უძლვნა პოეტ გრიგოლ დადიანს – „კოლხიდელს“  
(1814–1901)<sup>1</sup>.

**98.** 5 არ მცალიან... ეტყვის „ნანას“]... AD; 6 გასალესად] გასალესათ  
BC; 8 ჩუმად] ჩუმათ BC; [ცხადად] [ცხადათ BC; 10 ერთგულად] ერთგულათ  
C; 12 დიდვაცად] დიდვაცათ C; 13 მუხლს მომიყრის] მუხლ-მომიყრის C; 15  
თაობისთვის] თავობისთვის B; 19 ვიქები] ვიქენი B; 23 შეიტყვეთ] შეიტყვეთ  
BC, შეიტყვე D.

## პასუხი „პარასკევია, ვერ მოგართვისზე“ (გვ. 99)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: K 71, ფ. 13 v — 14 v (A); T 17662, ფ.  
41 r - v (B).  
თ ა რ ი ღ ი: 1867 წ. A, [75 წ.] B.  
ს ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

A ავტოგრაფი ნაწერი და გასწორებულია შავი მელნით;

B ავტოგრაფი ნაწერია შავი მელნით, თარიღი მინერილი აქვს ლურჯი  
ფანქრით სხვა ხელით.

ლექსი დაიბეჭდა ა. წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეტში,  
1950, ტ. I., გვ. 162.

**99.** 5 სწორედ] სწორეთ B; კარგად] კარგათ B; 6 გამოჰატა] გამოხატა  
B; 8 ჩვენ როდი ვართ] ავტორს ჯერ დაუწერია „მე არა ვარ“, შემდეგ გაუს-  
წორებია A; 17 მაგან თუკი] თუ ამ გვარიც B; 18 ღმერთს მადლობა უნდა] მაგან  
ღმერთს მადლობა B; 19 იმარხოს] იმახოს A, იდახოს B; 20 „კვირააო“  
დაიყვიროს] „კვირეა თქო“ სულ იყვიროს B; 21 თაროზე] თაროზედ B; 22  
იცით] იცის A; 23 ერთ] ერთს B; დროზე] დროზედ B.

<sup>1</sup> იხ.: აქვე კომენტარი ლექსისა „გამოცანა“.

## მოთქმა შვილზედ (გვ. 100)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/973, გვ. 31 (A).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „უცნობი აკაკი“, 2001, (B).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ცოტა ჭურაზედ არეულობის დროს AB.

თ ა რ ი ღ ი: [1867]. დ. 1866 წელსა მაისის 27, პარასკევი და გ. 1867 წლის

8 დეკემბერი, პარასკევი AB.

ს ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსის ბოლოს მითითებული წლები ბავშვის დაბადებასა და გარდაცვალებას უნდა აღნიშნავდეს.<sup>1</sup> A ავტოგრაფზე დასახელებული წლების წინ ნათლად იყითხება ასოები და და გ. (დაბადება-გარდაცვალება). ამიტომ ლექსი ბავშვის გარდაცვალების წლით დავათარილეთ.

A ავტოგრაფი დაყოფილია სტროფებად, B არ არის დაყოფილი.

ლექსი პირველად დაიბეჭდა კრებულში „უცნობი აკაკი“ ასეთი შენიშვნით: „აკაკის და ნატალია ბაზილევსკაას ორი შეილი ჰყავდათ: ქალიშვილი სოფიო (სონია), რომელიც ჩვილობაშივე გარდაცვალა და ვაჟი – ალექსი. სილოვან სუნდაძე აკაკის ბიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ პოეტმა დაკარგა პატარა გოგონა, ამ ფაქტს აკაკის პირადი წერილებიც ადასტურებს. ნიკუშა მაჩაბლისადმი მიწერილ ბარათში აკაკი აღიარებს, რომ ძალიან უყვარს დაბადუნია (ელისაბედ თარხნიშვილი) და ერვენება, რომ გარდაცვლილი ქალიშვილი სოფიო მასში გაუცოცხლდა (იხ.: თხ. სრ. კრებული, ტ. 15, გვ. 179, პირველი წერილი ნიკო მაჩაბლისადმი).

(საბედისნერო დამთხვევაა: როსტომ წერეთელსა და ეკატერინე აბაშიძესაც დაეღუპათ პირმში გოგონა სოფიო(!) ორი წლის ასაკში).

ლექსი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნობა მოგვაწოდა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ქართ. ლიტ კათედრის პროფესორმა თამარ ახვლედიანმა („უცნობი აკაკი“, 2001, თსუ, გვ. 198).

კრებულში „უცნობი აკაკი“ დაბეჭდილი ვარიანტის წყაროს ვერც ჩვენდა და ვერც წიგნის გამომცემლებმა ველარ მივაკვლიეთ. B ვარიანტი A წყაროსგან საკმაოდ განსხვავდება, ამიტომ ისინი ვარიანტები აღვნესხეთ.

**100. 2 გყავს შენი] გვყავს ჩვენი B; 5 [ცრემლებსა] ცრემლებსაც B, თავ-ხრილი] თავდახრილი B; 6 [საამოს] საამო B, დაპკარგე] ნავარგე B, ძმა] ძმას B; 8 კი—B; 9 შეუკრავსთ] შეუკრავთ B; 10 ჩემს] ჩემ B; 12 ვირგე] ვრგე B; 14 თავ-თმა-გაშლილი] თავ-გაშლილი B; 15 ეგ—B, კარგათ] კარგად B; 16 სხვაზედ] სხვაგვარად B; 17 გიკვირსთ] გიკვირთ B; 19 „მზეშინა“] მეშინია B; 23 მიიქცერ] შეიქცერ B; ძუძუებზედ] ძუძუებზე B; 24 აშვრე] აშრე B, არცხვინე] ამცხივნე B; **101. 2 ხომ]** რომ B, რათ] რად B; 8 უყვარსთ] უყვარს B, რადგანც] რადგან B; პხოცე] ხოცე B; 11 თუმც] ნუმც B; კი— B; 12 ნახვენ რომ] რომ გნახე B; 13 ვაიმე] ვა მე B; 15 სხვაფრივ] სხვაფრით B; 16 რიგათ] რიგით B; 18 რათ იჯდობს სონია] რად იჯდობ სონა B; 22 მოსაწონია] საწადელია B; 24 თვარა ამგვარი უბრობა სხვისგან ვის გაუგონია — B.**

<sup>1</sup> ამავე აზრს გამოთქვამენ კრებულის „უცნობი აკაკი“ შემდგენლები.

## სომხებს (გვ. 102)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: K 71, გვ. 27 (A); Q 2173/973 (B)  
თ ა რ ი ღ ი: 1867 წ. A.  
ს ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს

ლექსი იბეჭდება პირველად.

## მეგრული ალელორია (გვ. 103)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/973 (45) ფ. 42 v—43 r (B).  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1868, №1, გვ. 91 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912,  
გვ. 166–167 (A).  
თ ა რ ი ღ ი: 15 იანვარს 1868 წ., ტფილის C, 15 იანვარს 1868 წ. A.  
ს ე ლ მ ო წ ე რ ა: იმერელი C.

ა წყაროში თარიღი მიწერილია სარჩევში, სქოლიოში კი ავტორის  
შენიშვნაა: „ეს შენიშვნა ეხება ლექსს გამოცანასაც“ (იხ.: აქვე შენიშვნები და  
კომენტარები ლექსისა „გამოცანა“).

**103. 1** დიდ დიდს BC; 3 დაუყური] დაუყური C; 4 ნეტავ] ნეტა C; ჯიშს]  
თავს B, ჯიშს C; რაღაც] რაღაც BC; მალაც] მალამს BC; 6 ბრძანდება] ბრძანდება BC; 8 ყურგრძელის] ყურთ-გრძელის C; 10 ჩუმად] ჩუმათ B; 12  
ჰლალავს] ლალავს C; 18 ყურგრძელის] ყურთ-გრძელის C; 19 და შუბლზე-  
დაც აწერია] დაღათ შუბლზედ აწერია B, დაღით შუბლზედ აჭერია C.

## ნინო (გვ. 104)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1868, №1, გვ. 2–5 (B); „თხზულებანი“, I, 1893,  
გვ. 111–113 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 171–173 (A).  
თ ა რ ი ღ ი: 20 იანვარს [1868] B.  
ს ე ლ მ ო წ ე რ ა: აკ. წერეთელი B.

ლექსი თარიღდება პირველი ჟუბლიკაციის მიხედვით.

როგორც თხუთმეტტომეულის I ტომის კომენტარებში გ. აბზიანიძე  
მიუთითებს, ლექსის ადრესატია ჟურნალ „ცისკრის“ ახლო თანამშრომელი,  
არქაისტი ბოეტი დიმიტრი ბერიევი. აკაკის ლექსში გამოხატული ნინო-  
სადმი უნდა იყოს მიძღვნილი დ. ბერიევის ლექსი: „ნ...“ („როს უეცრად  
შამოგხედე“), რომელიც დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1865 წ., №5.

**104. 6** ვფიცვ] ვჰფიცავ B; 7 კი არ] არვის B; 8 მხოლოდ ერთი აქცევს  
აქცეს მხოლოდ ერთი B; 9 მდიდრად] მდიდრათ B; 10 ოვლებიც ბევრი კი]  
თვლებიცა ბევრი B; 14 კაბად] კაბათ B; 16 ხაბარდალა] ხაბარდა კი B; 19  
ამივარდა მე ~ B; 22 ჰედავთ] ჰედავთ B; **105. 2** მან არ მიკმარა] არ დამი-  
ჯერა B. 5 და არ ნაღვლობს ფულისათვის] არც კი ნაღვლობს ფულისთვის B;  
6 ეშმაკისა რამ] სწორეთ ეშმაკის B; 7 სხვისი გულისათვის] მეგობრის

გულისთვის B; 9 შემოჰევევია] შემოხევია B; 11 აუნევია] აუზევია B; 16 უხაბარდოდაც] უხაბარდოთაც B; 22 მარტოდმარტო] მარტო მარტო B; 23 შეიქნება] შეიქმნება B.

### \*\*\* (ეპ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?) (გვ. 106)

6 ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დღოება“, 1868, №5, გვ. 1 (B); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 117 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 177 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1868].

ხ ე ღ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

B-ში ლექსი ჩართულია პროზაში „არც ჩვენია, არც თქვენი, მაშ შუა-თანათ იყოს“.

**106.** 4 სანაგველას ფინა ხარ] უზრუნველათა ჰითხარ B; 5 რაღას] რა-ლათ B; 6 რაღაზე] რაღაზედ B; 11 როდესაც გამოძლები] თუ რომ ცოტა გაძლები B; 12 გაქვს სავსე ~ B.

### მაზურკის ხმა (გვ. 107)

6 ა ბ ე ჭ დ ი: უ. „ცისკარი“, 1868, №3, გვ. 45–46 (B); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 113–114 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 173–174 (A).

ს ა თ ა უ რ ი: (მაზურკის ხმაზე) B.

თ ა რ ი ღ ი: 15 თებერვალს 1868 წ. A, 1868 წელსა 15 თებერვალს ქ. ტფი-ლისს B.

ხ ე ღ მ ო წ ე რ ა: აკ. წერეთელი B.

A წყაროში თარიღი სარჩევში აქვს მინერილი ლექსის სათაურს.

**107.** 9 ვუძღვნათ] უძღვნათ B; 11 ფიანდაზადა] ფიანდაზათა B. 13 ბუდ-ედ] ბუდეთ B; 15 ისაა] ისია B.

### დიდი პოეტების მიბაძვა (გვ. 108)

6 ა ბ ე ჭ დ ი: უ. „ცისკარი“, 1868, №2, გვ. 1–4 (B); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 115–117 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 174–176 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ახალი პოეტების მიბაძვა B.

თ ა რ ი ღ ი: [1868].

ხ ე ღ მ ო წ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**108.** 1 აახ] ახ B; 2 ვაი და ვუღ] უი და ვაი B; 3 გულსაკლავად] გულსაკვ-დავათ B; 9 ჩემ] ჩემს B; 10 შევუყენებ] შეუყენებ B; 16 ქაბას + ერთი სტროფი:

უცხო და უცხო პურებით  
ქართველს მუცელს გაუბერავ,  
უცხო ქვეყნების ნაჭრებით  
ქართველს სამოსს შეუკერავ B;

19 ცოცხლებზე] ცოცხლებზედ B; მკვდრებს] კვდრებს C; 23 გაქვთ]  
გაქვსთ B. 109. 8 უთავბოლოდ] უთავბოლოთ B; 10 უწყალოდ] უწყალოთ B;  
12 უხაბარდოდა] უხაბარდოთა B; აჲ] ახ B; 14 ჟსუნთქავს] სუნთქავს C; 15  
ორთაფალიდან] ორთაფალიდამ B; 18 მებენარ] მებენარს B; 20 მტერთ] მტრის  
B; 21 ვირი] ... B; 23 პლატკონი] ... B. 27 არვის შესტკივა] არავის სტკივა B.

### ჩემს მუზას (გვ. 111)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1868, № 6, გვ. 60–61.

თ ა რ ი ღ ი: [1868].

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: ალექსანდრე სამარიძე.

შურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნების შემდეგ ლექსი დაიბეჭდა აკაკის  
თხზულებათა თხუთმეტტომეულში, 1950 წ., ტ. 1, გვ. 171–172.

111. 16 ზუილით] გხულით; 19 ძირმნარე] ძიმნარე;

### ციცინათელა (გვ. 112)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/973 (45) ფ. 51 v—53 r (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1871, №30, გვ. 2 (C), „ციცინათელა ანუ  
ლექსთა კრება“, 1885, გვ. 1–2 (D) „ჩანგი“, 1888, გვ. 349–350 (E); „ჩანგი“,  
1892, (ტფილისი), გვ. 448–449 (F); „ჩანგი“ 1892, (ოზურგეთი), გვ. 351–352  
(G); „თბზულებანი“, I, 1893, გვ. 137–139 (H), „ჩანგი“, 1900 (ბათომი), გვ.  
360–361 (I); „ჩანგური“, 1904, გვ. 275–276 (L), გაზ. „თემი“, 1912, № 167, გვ.  
3 (M), „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 194–196 (A).

ს ა თ ა უ რ ი: \* \* \* L.

თ ა რ ი ღ ი: 1869 წ. D

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი C, აკაკი D M

C-ში ლექსი ჩართულია ფელეტონში „ცხელ-ცხელი ამბები“.

ლექსის ვათარილებათ D წყაროს მიხედვით.

112. 2 რად] რათ B; 3 ნათებამ] დანახვამ L; 6 მე თუმც ~ DEFGI; 7  
ჩემი იყო, ის მინდა] მსურს ვიტვირთო სიამით B; მსურს გიტვირთო სიამით  
CDEFGIM; 9-20 აბრეშუმის პეპელა... ჩემო ციცინათელა — L; 17 რად] რათ  
BCDEG; 21-113. 8 მეორე თაფლს და სანთელს... მასაც ციცინათელი — L;  
24 ცხვირ-პირს და ხელს] ცხვირპირ ხელებს DEFGI; და — CM. 25-113.  
4 მაშ რად მინდა ფუტკარი... პარკში იღრჩობს თავის თავს — B; 25 რად]  
რათ CDEG; ფუტკარი] ფუტკარი D; 26 მოისარი] მოისარი DEFGI; 113.

1 ტანს გვიმოსავს] ტანსა გვმოსავს CDEFGIM; 2 არ] არა M; იქმს] იქს DEFGI; 3 უგნურებითა] უგუნრებითა DEG, უგუნურებითა FI; 5 რად] რათ BCM; პეპლი] პეპლა DEFGI; 6 უგნურად] უგუნრად EF; 8 ციცინათელი] ციცინათელა DEFGI; 10 საით] ავტორს ჯერ დაუწერია „სადღა“. შემდეგ გაუსწორებია B; 17 ნეტავ] ნეტა EFGI; რისა] რისი BCM, ვისი DEFGI; 18 გამოფრინდი] გამოპფრინდი E; 19 ნათელი მომაზინე] და ნათელი მომაზინე G; 20 გამინათე] გამინათლე BCDEFGI; 21 კმა] აპა D; დღემდის] დღემდინ D; კმა, რაც დღემდის] კმარა, რაც რომ L; ვიწამე] მანამე CD; 21-28 კმა, რაც დღემდის ვიწამე..... უუდროოდ დამანელა – EFGI; 28 უდროოდ] უდროვოთ BC, უდროვოდ DHM.

### პასუხი მაცდურს (გვ. 114)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 17748, გვ. 2-3 (B.)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „მნათობი“, 1870, №2, გვ. 128-129 (C); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 126-128 (D); „ჩემი ნაწერები“, II 1912, გვ. 185-186 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1869 ნ. 12 სექტემბრამდე].

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი C.

მ ი ნ ა ნ ე რ ი: «Дозволено цензурою 12-го сентября 1869 года» В, რაც სა-შუალებას გვაძლევს, ლექსი დავათარილოთ 1869 წლის 12 სექტემბრამდე.

**114. 6 გამოკვებული]** გამოკვებილი C; 9 მეხსიერება] მეყსიერება B; 18 მა-ნონხარო] მომწონხარო BC; 20 მკურნალო] მკურნალი BC; **115. 1 ჩუმი]** ჩუმის B; 4 ერთმანეთისთვის] ერთმანერთისთვის C; 7 განპერი] განპერი BCD; 11 ნავიდენ] წარვიდნენ BC; 13 ხელიდან] ხელიდამ BC; 14 ცრემლად] ცრემლათ B.

### რჩევა ახალგაზრდა მწერლებს (გვ. 116)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლები: T 17748, გვ. 2 (B), T 12278 (M)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „კრებული“, 1873, №3, გვ. 61-64 (C)

„თხზულებანი“, I, 1893, გვ. 202-204 (D); „ჩემი ნაწერები“, II 1913, გვ. 68-70 (A).

თარიღი: [1869 ნ. 12 სექტემბრამდე]

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი C.

В ასლი გადაწერილია რამდენიმე ლექსთან ერთად, რომელთაგან ზო-გიერთს (მაგ. „პასუხი მაცდურს“ და სხვ.) აქვს ცენზორის ვიზა: „Дозволено цензурою 12-го сент. 1869 г.“. ეს კი საფუძველს იძლევა, ლექსი 1869 ნ. 12 სექტემბრამდე დაწერილად იქნეს მიჩნეული. მასში სასტიკად არის დაგ-მობილი მეფის ცენზურა, მაგრამ ალევორიულმა ხასიათმა თვალი აუხვია ცენზორს, დაიბჭდა და დიდი აღიარებაც მოიპოვა.

А წყაროს სქოლიოში დართული აქვს ავტორის საინტერესო შენიშ-ვნა: „განსვენებული დავით ერისთავი, დრამების გადამკეთებელი, მეტად გულწრფელი და კეთილი კაცი იყო. ამას შემდეგი ამტკიცებს: როცა ის ოდესაში სტუდენტი იყო, და ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, თურმე მე იმას საშინლად ვეჯავრებოდი და ვსძულდი. ეს მწერლობითაც აღნიშნა

განსვენებულმა: დამინირა ლანძღვა-კრულვის ლექსი, სადაც გველიც კი მიწოდა და სხვ. მე, რასაკვირველია, ხმაც არ გამიცია. ოდესიდან რომ დაბრუნდა, მაშინ კი ძალიან ვერიდებოდი, რადგანაც ვიცოდი, რომ არ ვესამოგნებოდი. ერთხელ მოულოდნელად შემოვიდა ჩემთან, ცოტა ფერმიხ-დილი და დამეკითხა: – მიმიღებო?

– რატომ არა? დიდის სიამოვნებით, – ვუთხარი მე, – ყოველგვარი ნიჭი მიყვარს და პატივისმცემელი ვარ!

– კი, მაგრამ მე რომ ცუდათ გიხსენებდი!?

– ეგ შენი საქმეა! ალბათ ცუდათ მიცნობდი...

– საქმეც ის არის, რომ სულაც არ გიცნობდი! მხოლოდ განაგონებით მყავდი წარმოდგენილი.

– ახლა?

– ახლა კი თვალ-ყურს ვადევნებ შენ ნაწერებს და ვრწმუნდები, რომ ახ-ირებული კაცი ხარ, მაგრამ საგმობელი კი არა! ახლა მიტომ შემოვედი შენთან, რომ ბოდიში მოვიხადო და სიყვარულით შევეხო იმ ხელს, რომელმაც ეს ლექსი „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“ დასწრეაო.

მითხრა და გამომიშვირა გაზეთი, სადაც ეს ლექსი იყო დაბეჭდილი, იმ დღიდან მეგობრები ვიყავით ერთმანეთის და ისიც, როგორც მეგობარი, მირჩევდა ხოლმე: იმერულად ნუ სწრომ!...“

**116. 3 გამოპარავს] გამოხრავს B; 6 ისე] ასე B; 9 სიცრუეს] სიცრუეს B; 11 სჩადის] ჩადის BC. 21 რაღად] რაღათ BC; 23 რად] რათ BC; **117. 1 სცდი-ლობ]** ცდილობ B; 2 მამულისა] მამულისაც BC; 3 შეცდები] შესცდები BC; 6 უფრენდეს] უფრენდესთ BCD; 9 სამართალს] სიმართლეს B; 14 ცენტს] ვირს B; 18 ფერსთა] ფეხთა B; 19 სჩაგრე] ჰსჩაგრე B. 21 ბანზე შეაგდე] ზე სხვანზედ შედევ B, ზე სხვანზედ შედე C; 22 ბლომად] ბლომათ B; 25-28 ააჭიჭინე აჭი-ბაჭია... ჭკუის მტარებალი ტვინმეისტერი – B; 27 გამოპარავს C.**

### ზოგიერთების ლოცვა (გვ. 118)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 17748, გვ. 1 (B)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: უ. „მნათობი“, 1869, № VII-VIII. გვ. 57 (C); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 119-120 (D); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 178-179 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ხელანძერ ასლში ჯერ ენერა „იმერული ლოცვა“, ცენზორს „იმერული“ გადაუხაზავს და მიუწერია „ზოგიერთების“ B.

თ ა რ ი ღ ი: [1869 ნ. 12 სექტემბრადე]

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი C.

ასლს აქვს ცენზორის ნებართვა და თარიღი: 12 სექტემბერი 1869 ნ., რაც ლექსის დათარიღების საშუალებას იძლევა.

**118. 1 მოვილტვი] მოვისწრაფვი A; 3 წყალობად] წყალობათ B; 12 ერთი-ერთმანეთს] ერთი ერთმანერთს BC; 15 უსაქმოდ] უსაქმოთ B; 16 გამოლევ] გამოპლევ CD; 17 სწავლა] ჰსწავლა BC. 21 პირმოთნეობის] პირმომთნეობის B; 24 წინ ნავადგა] მით წინ ნავდგა BC; 25 აღმისრულე] ამისრულე B; 27 ჰასავ] ნახავ B.**

## ძველ სატრფოს (გვ. 119)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი T 17748, გვ. 3.  
თ ა რ ი ღ ი: [1869 წ. 12 სექტემბრამდე]  
ს ე ლ მ ო წ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი.

ხელმოწერა გადამზერის ხელით არის შესრულებული. ხელნაწერს აქვს ცენზორის მინაწერი: „Дозволено цензурою. 12-го сент. 1869“.

ლექსი პირველად შემოკლებით დაიბეჭდა ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, 1950, №17. შემდეგ მთლიანად დაიბეჭდა თხუთმეტტომეულში, 1950, ტ. 1 გვ. 182–183.

## ზოგიერთების მამაო ჩვენო (გვ. 121)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი T 17748, 2 ფ. (B)  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: ქ. „მნათობი“, 1871, № 4, გვ. 27 (A).  
ს ა თ ა უ რ ი: ხელნაწერ ასლში ჯერ ეწერა „იმერული მამაო ჩვენო“. „იმერული“ გადახაზულია და განსხვავებული ხელით ზემოთ აწერია „ზოგიერთების“ B, ზოგიერთების „მამაო ჩვენო“ A.  
თ ა რ ი ღ ი: 1869 წ. A.  
ს ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი წერეთელი A.

ასლი გადაწერილია რამდენიმე ლექსთან ერთად. ამათგან ზოგიერთ ლექსს აქვს ცენზორის მინაწერი „Дозволено цензурою. 12-го сент. 1869“.

პირველნაბეჭდის შემდეგ გამოქვეყნდა თხუთმეტტომეულში, 1950 წ., ტ. I, გვ. 184.

**121. 3 წმინდა] წმიდა B; 8 მთლად] მთლიათ B; ჩვენს] ჩვენ B; 11 მიუტევებთ] მივუტევებთ B; 12 რომ] რო B; 13 შემიყვანებ] შემიყვან B; გვიხსენ ჩვენ] გვიხსენ B; 15 ვთხოვ] ვსთხოვ B.**

## გიორგის აღსარება (გვ. 122)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/973 (45) ფ. 57 v—58 r (B). T 17662, ფ. 29 r — 30 r (C)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, №42, გვ. 1, (D); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 124–126 (E); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 183–184 (A).

ს ა თ ა უ რ ი: გიორგის მოთხრობა BC; ავტოგრაფ ჯერ დაუწერია „გრუზინსკის მოთხრობა“, შემდეგ „გრუზინსკის“ გადაუხაზავს და ზემოთ დაუწერია „გიორგის“ C.

თ ა რ ი ღ ი: [ 69 წ.] C. 1869 წ. D.

ს ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი D.

C-ში თარიღი მიწერილია ლურჯი ფანჯრით სხვა ხელით.

122. 8 ბარათაშვილმა მისთვის მორთო უკვდავი ქნარი — იგულისხმება ნიკ. ბარათაშვილის (1817–1845) პოემა „ბედი ქართლისა“.

ლექსი ალეგორიულად გამოხატავს მეფის თვითმშეყრობელობის ხელში საქართველოს დამონებულ ყოფას.

**122.** 1 ადრე] ადრევ C; 2 მექახდენ] მექახდნენ D; 3 გარდაქმნილი] გადაქმნილი BCD; 4 ძველი] ჩემი C; ძველი დავთორები] სწორი დავთარი B; 6 გულადი და] სულით მაღალი BC; 7 სისხლით] სისხლად B, სისხლათ D; იყო] ყოფილა BC; 10 მზრდელი] გამზრდელი BC; 13 კარგად] კარგათ B, მეცა C; 15 იმან] მამაზ C, ავტორს ჯერ დაუნერია „მამამ“, შემდეგ გადაუხაზავს და ზემოთ ნაუნერია „იმან“ B; 16 ტფილისისკენ] თფილისისკენ D; 17 სცნა] სცნო C; ამბავი] ანბავი C; 18 იმდენ] იმდენი BCD; ჯავრსა] ჯავრს B; 21 უცხო] უცხომ BC; 22 დამდევდა] დამსდევდა B; 23 ხელში ჩამიგდო კავიები მან] ხელშიაც მომცა მან კავიები იქ C; კავიები მან] მან კავიები იქ B; **123.** 1 დედის] დედისა B; 3 ოჟ] ოხ CD. 5 წინაგანზრახვით] წინაგანზრახვით C; 7 უმისოდ] უმისოთ CD; გზაზე] გზაზედ BC; 8 მისს] მის BC; ამ] მე BC; 10 სიყრმიდანვე] სიყრმიდგანვე ან C; სიყრმიდგანვე D; შევეზარდე] თან შევეზარდე B; ამა] იმა B; 11 ეს] ავტორს ჯერ დაუნერია „მე“, შემდეგ გაუსწორებია C; ეს მონების] მონებისა B; 12 და არც] აღარ B, აღარც C; 13 მოვკვდები] მოვჭკვდები BDE; 14 მამის ხვედრსა] მამის ხვედრს BC; 16 სული] სულიც BC; მაინც იცნობს] იცნობს ერთხელ B.

### პასუხი ჭალადიდელისადმი (გვ. 124)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: უ. „მნათობი“, 1869, № IX-X, გვ. 60–61 (B); „თხზულებანი“, I, 1893, გვ. 121–124 (C); „ჩემი ნაუნერები“, I, 1912, გვ. 180–182 (A).

თ ა რ ი ღ ი: 1869 ნ. B.

ხ ე ლ მ თ წ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი B.

აკავის ეს ლექსი წარმოადგენს პასუხს პოეტ გიორგი ჭალადიდელის (ქოჩაკიძის) (1847–1891) ლექსზე „მნერლისადმი“ (იხ. გაზ. „დროება“, 1869 წ., №44).

**124.** 6 მონიჭებული] მინიჭებული B; 7 მოსჩანს] მოჩანს B. 18 სწორი] წორი B; 24 თავისი] თავისა B; 28 მის] მისს C; 30 ტკბილი სიტყვა] . . . . . B; აქვს] აქვს მას B; **125.** 6 ცეცხლნადებ] ცეცხლ-ნადებს C. 18 უმართლოდ] უსჯელად B; 19 კაცი გველ-მტრედი ~ B; 24 ქვესკნელში] ქვეშკნელში B; 29 საღმრთო] სამღრთო B; 30 სიბერელიდამ B.

### გამოსარჩლება (გვ. 126)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17662, ფ. 8 v – 9 r (A); Q 2173/973 (45) ფ. 26 (B).

